ზურაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული

# რუსეთის ისტორია

## 1938-1953

გამომცემლობა „არტანუჯი"
თბილისი 2006

რედაქტორი პროფ. დიმიტრი შველიძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. დალი კანდელაკი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. გრიგოლ ზარქუა
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. გიორგი ჭუჭუნაშვილი

ნაშრომი იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რუსეთის ისტორიის კათედრის დადგენილებით

ISBN 99940-11-47-2

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2006

## ავტორებისაგან

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს რუსეთის ისტორიის სისტემატური გადმოცემის ცდას. ეს ეპოქა (1938-1953 წწ.), ისევე როგორც სხვა ეპოქები, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ იმდენად გააყალბა, რომ დღეს, ჭეშმარიტების დადგენა ძალზე ძნელდება. მართალია, თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია ცდილობს ისტორიული პროცესის ობიექტური სურათის აღდგენას, მაგრამ რუსი ისტორიკოსებიც თავისთავად ბევრს სცოდავენ ჭეშმარიტებას. ჩვენ მიზნად დავისახეთ ბოლო წლებში გამოქვეყნებული წყაროების (საარქივო მასალების, მემუარების და ა. შ.) საფუძველზე, თანამედროვე რუსი და სხვა უცხოელი ავტორების გამოკვლევების გათვალისწინებით, ობიექტურად გავაშუქოთ რუსეთის ისტორიის ერთი მეტად საინტერესო პერიოდი.

*პროფ. მ. ვაჩნაძე*
*პროფ. ვ. გურული*
25. VIII. 2005

# თავი I. საბჭოთა სახელმწიფო 1938-1941 წლებში

## § 1. საერთაშორისო ურთიერთობები 1938-1941 წლებში

**1. მიუნჰენის შეთანხმება.** პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) ვერ გადაჭრა დიდ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობები. მსოფლიო ომის შედეგებითა და ვერსალ-ვაშინგტონის სისტემით უკმაყოფილო ქვეყნები რევანშისათვის ემზადებოდნენ. გერმანია, იტალია და იაპონია არ მალავდნენ თავიანთ აგრესიულ გეგმებს. 1935-1936 წლებში იტალიამ ეთიოპიის ოკუპაცია მოახდინა, ხოლო 1939 წლის აპრილში ალბანეთში შეიჭრა. 1931 წელს იაპონიამ მის მიერ კონტროლირებადი ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციების ტერიტორიაზე შექმნა მარიონეტული სახელმწიფო მანჯოუ-გო, ხოლო 1937 ნელს ჩინეთის დასაპყრობად ომი დაიწყო. 1938 წლის გაზაფხულზე გერმანიამ ავსტრიაში ჯარები შეიყვანა და გერმანიასთან ავსტრიის შეერთება („ანშლუსი") გამოაცხადა. ამასთან ერთად, გერმანია, იტალია და იაპონია მოლაპარაკებებს ანარმოებდნენ, რომლის მიზანი იყო სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნა.

შექმნილ ვითარებაში იოსებ სტალინი ფრთხილი პოლიტიკის გატარებას არჩევდა. საბჭოთა კავშირი არც გერმანია-იტალია-იაპონიას უჭერდა მხარს და არც მათი აგრესიული გეგმების აღკვეთის მიზნით აკეთებდა რაიმეს. ამავე დროს იოსებ სტალინი დაუფარავად აკრიტიკებდა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკას, რომლის მიზანი, საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერის აზრით, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის პროვოცირება იყო.

გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის სწრაფი ზრდის პირობებში ინგლისსა და საფრანგეთს ორი გზა რჩებოდა: ან გერმანიის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა, რაც საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობდა, ან გერმანიასთან მორიგება, რაც ევროპის სხვა ქვეყნების ინტერესთა უგულებელყოფას მოასწავებდა.

1937 წლის ნოემბერში ადოლფ ჰიტლერმა გერმანიის უმაღლეს მთავარსარდლობას ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა და მისი გერმანიასთან შეერთება დაუსახა მიზნად. 1938 წლის 24 მარტს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა **ნევილ ჩემბერლენმა** მთავრობის სახელით გაკეთებულ დეკლარაციაში აღნიშნა: ინგლისი გერმანიის აგრესიის შემთხვევაში ჩეხოსლოვაკიის დაცვას არ აპირებდა, ისევე როგორც არ დაეხმარებოდა საფრანგეთს, თუ ეს უკანასკნელი ჩეხოსლოვაკიის დაცვის მიზნით გერმანიას დაუპირისპირდებოდა. ამრიგად, ადოლფ ჰიტლერმა მიიღო იმის გარანტია, რომ ინგლისი და ინგლისის გავლენით საფრანგეთი გერმანიას ჩეხოსლოვაკიის დაპყრობაში ხელს არ შეუშლიდნენ. რჩებოდა მხოლოდ საბჭოთა კავშირი, რომელსაც შეეძლო დახმარება შეეთავაზებინა ინგლისისა და საფრანგეთისაგან მიტოვებული ჩეხოსლოვაკიისათვის. ჩეხოსლოვაკიის საკითხში საბჭოთა კავშირის პოზიციის გარკვევის მიზნით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეკითხვით მიმართა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა

სახალხო კომისარიატს. 1936 ნლის 22 აგვისტოს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მაქსიმ ლიტვინოვმა გერმანიის ელჩს საბჭოთა კავშირში გრაფ ვერნერ ფონ შულენბურგს განუცხადა: „საბჭოთა კავშირმა ჩეხოსლოვაკიას აღუთქვა მხარდაჭერა და იგი შეასრულებს თავის სიტყვას, გააკეთებს ყველაფერს, რისი შესაძლებლობაც ექნება“. მაქსიმ ლიტვინოვისა და გრაფ ვერნერ ფონ შულენბურგის საუბრის შესახებ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა აცნობა მოსკოვში მყოფ ინგლისის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნარმომადგენლებს.

*მაქსიმ მაქსიმის ძე ლიტვინოვი (1876-1951). ნამდვილი სახელი და გვარია მეერ-გენოჰ მოსეს ძე ვალახი. გამოჩენილი საბჭოთა სახელმნიფო მოღვანე. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში, დაამთავრა რეალური სასნავლებელი, მსახურობდა არმიაში, დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ბუღალტრად. 1898 ნელს შევიდა რსდმპ რიგებში, ბოლშევიკი. ენეოდა არალეგალურ მოღვანეობას. 1907 ნელს ნავიდა ემიგრაციაში 1908 ნელს დააპატიმრეს პარიზში 1907 ნელს თბილისში ესერთა პარტიის მიერ გატაცებული საბანკო ბილეთების გადახურდავებისას. საფრანგეთიდან გასახლების შემდეგ ცხოვრობდა ლონდონში. ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, 1918 ნელს, დაინიშნა რსფსრ სრულუფლებიან ნარმომადგენლად ინგლისში, მაგრამ ინგლისის მთავრობამ არ ცნო მისი უფლებანი. 1918 ნელს ინგლისის ხელისუფლებამ დააპატიმრა რუსეთში ინგლისელი დიპლომატის ბ. ლოკარტის დაპატიმრების საპასუხოდ მოლაპარაკების შემდეგ მ. ლიტვინოვი ბ. ლოკარტში გაცვალეს. მუშაობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. 1921 ნელს დაინიშნა რსფსრ სრულუფლებიან ნარმომადგენლად ესტონეთში, იმავე ნელს დაინიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ. 1922 ნელს იყო საბჭოთა რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე გენუის კონფერენციაზე, იმავე ნელს ხელმძღვანელობდა საბჭოთა რუსეთის დელეგაციას ჰააგის კონფერენციაზე. 1923 ნელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, 1930 ნელს გახდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. 1934-1938 ნლებში იყო საბჭოთა კავშირის ნარმომადგენელი ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირ-გერმანიის დაახლოების პერსპექტივის გაჩენის შემდეგ 1939 3 მაისს მ. ლიტვინოვი, როგორც ანტიგერმანული პოლიტიკის იდეოლოგი, იოსებ სტალინმა ვიაჩესლავ მოლოტოვით შეცვალა. 1941-1946 ნლებში იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, იმავდროულად საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში (1941-1943 ნნ.) და საბჭოთა კავშირის ნარმომადგენელი კუბაში (1942-1943 ნნ.). 1946 ნელს გავიდა პენსიაზე.*



1938 ნლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის მთავრობამ გერმანიის აგრესიის შემთხვევაში ჩეხოსლოვაკიისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით გაატარა მთელი რიგი სტრატეგიული ხასიათის ღონისძიებანი. საბჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვრის მიმართულებით საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს ქვეითთა 30 დივიზია, 10 საკავალერიო დივიზია, 1 სატანკო კორპუსი, 3 სატანკო ბრიგადა, 12 საავიაციო ბრიგადა, ასევე დასავლეთის საზღვართან მდებარე 7 გამაგრებული რაიონი. ცოტა მოგვიანებით საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მოყვანილი კიდევ 36 დივიზია. სასაზღვრო სამხედრო ოლქებსა და ქვეყნის ცენტრალურ ნანილში მდებარე რამდენიმე სამხედრო ოლქში გამოცხადდა ნანილობრივი მობილიზაცია, შეიარაღებულ ძალებში დამატებით გაინვიეს 328 ათასი კაცი.

ჩეხოსლოვაკიაში გერმანიის შეჭრის საბაბად იქცა ჩეხოსლოვაკიის შემადგენლობაში არსებულ სუდეტის ოლქში მცხოვრები გერმანელების მდგომარეობა. 1938 ნლის აპრილში სუდეტელმა გერმანელებმა, რომლებიც ფარულად ფინანსდებოდნენ გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიის მთავრობას მოსთხოვეს „სუდეტის ოლქის“ ისეთი ფართო ავტონომიის დაკანონება, რაც ფაქტობრივად ჩეხოსლოვაკიისაგან სუდეტის ოლქის ჩამოშორებას ნიშნავდა. ეს იყო ნინასნარ დაგეგმილი პროვოკაცია. სუდეტელი გერმანელების ლიდერი ჰენლაინი არც მალავდა სუდეტელი გერმანელების მოთხოვნის პროვოკაციულ ხასიათს: „ჩვენ უნდა მოვითხოვოთ იმდენად ბევრი, რომ მისი დაკმაყოფილება შეუძლებელი იყოს“. 1938 ნლის 27 სექტემბერს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ნევილი ჩემბერლენმა გააფრთხილა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ედუარდ ბენეში, რომ გერმანიასთან კონფლიქტის შემთხვევაში ინგლისი და საფრანგეთი ვერ დაეხმარებოდნენ ჩეხოსლოვაკიას. ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ინგლისისა და საფრანგეთის დახმარების იმედი საბოლოოდ გადაენურა. ედუარდ ბენეში, თავისი პოლიტიკური მრნამსიდან გამომდინარე, იოსებ სტალინს დახმარებას არ სთხოვდა და ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კავშირის ჯარების შესვლას არ დასთანხმდებოდა. ჩეხოსლოვაკიის მთავ-

რობას ისევ გერმანიასთან მორიგება ერჩივნა. 1938 წლის 29 სექტემბერს მიუნჰენში გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას. შეთანხმების ძალით სუდეტის ოლქი ეტაპობრივად, 1938 წლის 1 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრამდე, უნდა დაეკავებინა გერმანიის ჯარებს. გარდა ამისა, მომავალში ჩეხოსლოვაკიის სხვა რეგიონებში უნდა ჩატარებულიყო პლებისციტი ამ რეგიონების გერმანიის შემადგენლობაში გადასვლასთან დაკავშირებით. შეთანხმებაზე ხელისმომწერი ოთხივე სახელმწიფო ჩეხოსლოვაკიას ჰპირდებოდა ქვეყნის ახალი საზღვრების ხელშეუხებლობას. მალე, 1939 წლის 16 მარტს, ადოლფ ჰიტლერის დეკრეტით ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან შეიქმნა ბოჰემიისა და მორავიის პროტექტორატები, რომლებიც უშუალოდ შეუერთდა გერმანიას. სლოვაკიამ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, თუმცა ფაქტობრივად იგი გერმანიის ვასალად იქცა.

მიუნჰენის შეთანხმება დიდი დარტყმა იყო საბჭოთა კავშირისათვის. ევროპის პოლიტიკური რუკიდან ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ისე გაქრა, რომ საბჭოთა კავშირისათვის არაფერი უკითხავთ. კიდევ უფრო მეტად საგანგაშო იყო ის, რომ გერმანიის, იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის შეთანხმება საერთაშორისო იზოლაციით ემუქრებოდა საბჭოთა კავშირს. ამის დადასტურებას წარმოადგენდა 1938 წლის 30 სექტემბერს ინგლისსა და გერმანიას შორის ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნული იყო რომ მხარეები ვალდებულებას იღებდნენ „არასდროს არ ეომათ ერთმანეთთან". აღნიშნული დეკლარაცია ფაქტობრივად თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულებას წარმოადგენდა. 1938 წლის 6 დეკემბერს ინგლის-გერმანიის დეკლარაციის მსგავს დეკლარაციას მოაწერეს ხელი საფრანგეთმა და გერმანიამ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ბონე კმაყოფილებით აღნიშნავდა: „ამიერიდან გერმანიის აგრესია მიმართული იქნება ბოლშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანია თავის ნებას აღმოსავლეთში ექსპანსიისას გამოავლენს".

**2. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა მიუნჰენის შეთანხმების შემდეგ.** 1939 წლის გაზაფხულიდან გერმანია ახალი ძალით შეუდგა ომისათვის მზადებას. 1939 წლის 11 აპრილს ადოლფ ჰიტლერმა დაამტკიცა „1939-1940 წლების ომისათვის შეიარაღებული ძალების ერთიანი მომზადების დირექტივა". დირექტივის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა პოლონეთის დაპყრობის გეგმა. გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ პოლონეთის დაპყრობა განიხილებოდა როგორც პირველი ეტაპი ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ ომისა, რომლის გაგრძელება უნდა ყოფილიყო „ლაშქრობა აღმოსავლეთზე".

გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეგმების შესახებ სხვადასხვა არხებით კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები. გერმანიის გეგმები საიდუმლოებას არც იოსებ სტალინისათვის წარმოადგენდა. შექმნილი ვითარება საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და საფრანგეთს აიძულებდა გერმანიის აგრესიის ერთობლივი ძალით აღკვეთაზე ეზრუნათ. თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ ამ ქვეყნებს ისე უნდა ემოქმედათ, რომ გერმანიის გაღიზიანება არ გამოეწვიათ და აუცილებლობის შემთხვევაში მასთან მორიგების შანსი შეენარჩუნებინათ. ცხადი იყო ისიც, რომ გერმანია ყველაფერს იღონებდა საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ჩაშლისათვის, რათა თავიდან აეცილებინა ანტიგერმანული კოალიციის შექმნა.

ანტიგერმანული კოალიციის შექმნის ინიციატივით, ცხადია, გერმანიაზე პირდაპირი მინიშნების გარეშე, საბჭოთა კავშირი გამოვიდა. 1939 წლის 17 აპრილს საბჭოთა მთავრობა საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების დადების ინიციატივით გამოვიდა. ხელშეკრულების მიზანი უნდა ყოფილიყო „ერთმანეთისათვის დაუყოვნებლივ ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა, მათ შორის სამხედროსიც, იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში ხელშეკრულების დამდებ რომელიმე მხარეს აგრესორი დაემუქრებოდა". ამასთან ერთად, ხელშეკრულების დამდებ მხარეებს ვალდებულება უნდა აეღოთ აგრესორისაგან დაეცვათ ის სახელმწიფოები, რომლებიც მდებარეობდნენ „ბალტიის ზღვასა და შავ ზღვას შორის და ესაზღვრებოდნენ საბჭოთა კავშირს". გარდა ხელშეკრულებისა, საბჭოთა მთავრობა საბჭოთა კავშირი ინგლის-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის დადების წინადადებითაც გამოვიდა, რათა სამი ქვეყნის სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა უფრო ეფექტური ყოფილიყო. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს

სხვაგვარად ესმოდათ ევროპაში აგრესიის აღკვეთის მიზნით დასადები ხელშეკრულების შინაარსი. მათი აზრით, იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ომის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ინგლისთან და საფრანგეთთან, მაშინ საბჭოთა კავშირს დაუყოვნებლივ უნდა დაეცვა არა მარტო ეს ორი ქვეყანა, არამედ ის სახელმწიფოებიც, რომელთაც თავის დროზე აგრესორისაგან დაცვა აღუთქვეს ინგლისმა და საფრანგეთმა. იოსებ სტალინმა ინგლისისა და საფრანგეთის წინადადებას „თავის აგდება" უწოდა, მაგრამ მოსკოვი შექმნილ ვითარებაში იძულებული გახდა მოლაპარაკების დაწყებას დასთანხმებოდა. ამასთან ერთად, იოსებ სტალინმა მოითხოვა ხელშეკრულებაში შეეტანათ მუხლი, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთს ავალდებულებდა გერმანიასთან ომის შემთხვევაში დახმარებოდა საბჭოთა კავშირს. ამის საპასუხოდ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ნევილი ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მას ურჩევნია გადადგეს, ვიდრე საბჭოთა კავშირთან მსგავს ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, ინგლისის პრემიერ-მინისტრი თვლიდა, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის დაახლოების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი იყო ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დაწყება.

**3. საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება.** საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება თავიდანვე განწირული იყო ჩაშლისათვის. მოლაპარაკების მონაწილე მხარეები გლობალურ მიზანზე (ანტიგერმანული კოალიციის შექმნა) უფრო მეტად კონკრეტული ამოცანის გადაჭრას ცდილობდნენ. ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდნენ არ დაეშვათ მათთვის მეტად საშიში გერმანია-საბჭოთა კავშირის დაახლოება. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი ცდილობდა როგორმე თავიდან აეცილებინა მისთვის ასევე მეტად საშიში გერმანია-ინგლის-საფრანგეთის ალიანსის შექმნა, რომლის სამიზნე, ცხადია, საბჭოთა კავშირი გახდებოდა. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება იმთავითვე ასე ბეჭდავდა: „მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის". სამი სახელმწიფოს მოლაპარაკების ხასიათი არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც 1939 წლის 16 ივნისიდან იგი მოსკოვში გაგრძელდა. 2 აგვისტომდე მოსკოვში სულ 12 სხდომა გაიმართა. მოსკოვის მოლაპარაკებაზე ინგლისის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ინგლისის ელჩი მოსკოვში უ. სიდსი და მაღალი რანგის მოხელე უ. სტრენგი. საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელი იყო საფრანგეთის ელჩი მოსკოვში პ. ნაჯიარი, ხოლო საბჭოთა კავშირისა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვი, რომელმაც ამ პოსტზე ცოტა ხნით ადრე მაქსიმ ლიტვინოვი შესცვალა.



*ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვის (1890-1986) ნამდვილი გვარია სკრიაბინი. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა წვრილი მოხელის ოჯახში. დაამთავრა ყაზანის რეალური სასწავლებელი, სწავლობდა პეტერბურგის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც არ დაუმთავრებია. 1906 წელს შევიდა რსდმპ რიგებში, ბოლშევიკი. 1909 წელს რევოლუციური მოღვაწეობისათვის დააპატიმრეს და ვოლოგდაში გადაასახლეს. 1911 წელს გადასახლებიდან დაბრუნდა და პარტიული მუშაობა განაგრძო. 1915 წელს ისევ დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს, 1916 წელს გადასახლებიდან გაიქცა. იყო 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის მონაწილე. 1917 წლის ოქტომბრიდან მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე. 1921-1930 წლებში იყო რკპ(ბ) - სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს წევრი. ამ პერიოდში დაუახლოვდა ი. სტალინს. ვ. ლენინის სიკვდილის შემდეგ იგი გახდა ი. სტალინის უახლოესი თანამოაზრე, 20-იან წლებში დიდად შეუწყო ხელი ი. სტალინს ოპოზიციის განადგურებასა და პირადი ძალაუფლების განმტკიცებაში, იყო 30-იანი წლების რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1930 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ, 1939 წელს — საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად, იმავდროულად შეინარჩუნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. 1941 წლის 6 მაისს განთავისუფლდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გახდა ი. სტალინი, ხოლო ვ. მოლოტოვი მის მოადგილედ დაინიშნა. 1941-1945 წლებში იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. 1942 წელს დაინიშნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, თან ახლდა ი. სტალინს თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე. 1946 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1945 წლიდან ი. სტალინმა ვ. მოლოტოვთან ურთიერთობა გაწყვიტა, ხოლო 1949 წელს იგი საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლა, თუმცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა შეუნარჩუნა. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლების გადანაწილების დროს, 1953*

*წლის 5 მარტს, დაინიშნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად. მხარს უჭერდა ნ. ხრუშჩოვს ლ. ბერიას წინააღმდეგ ბრძოლაში, იყო ლ. ბერიას დაპატიმრების მომხრე. 1956 წელს დაუპირისპირდა ნ. ხრუშჩოვს ი. სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკასთან დაკავშირებით. 1956 წლის 1 მაისს გაათავისუფლეს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან, თუმცა იმავე წელს დანიშნეს სახელმწიფო კონტროლის მინისტრად. 1956 წელს ვ. მოლოტოვმა ლ. კაგანოვიჩთან და გ. მალენკოვთან ერთად ცადა ნ. ხრუშჩოვის გადაყენება, მაგრამ ვ. მოლოტოვი და მისი თანამოაზრეები დამარცხდნენ. 1957 წლის 29 ივნისს ვ. მოლოტოვი გაათავისუფლეს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობებიდან. 1957 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის ელჩად მონღოლეთში. გამოვიდა ნ. ხრუშჩოვის მიერ შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის წინააღმდეგ. 1962 წელს გადაიყვანეს პენსია ზე და იმავე წელს გარიცხეს სკკპ რიგებიდან, პარტიაში აღადგინეს 1984 წელს. სიკვდილამდე არ შეუცვლია მსოფლმხედველობა — ეჭვი არ შეპპარვია ი. სტალინის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სისწორეში.*

დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა, თავიანთ მთავრობებთან მრავალგზის კონსულტაციის შემდეგ, თანხმობა განაცხადეს პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულებასთან ერთად ხელი მოეწერათ სამხედრო კონვენციაზეც. ამავე დროს გადაწყდა სამხედრო კონვენციის მომზადების მიზნით ერთმანეთს შეხვედროდნენ სამივე სახელმწიფოს სამხედრო ექსპერტები. მართალია, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ექსპერტები მოსკოვში 1939 წლის 11 აგვისტოს ჩავიდნენ, მაგრამ მათ არ აღმოაჩნდათ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელი რწმუნება. საფრანგეთის დელეგაციას (ხელმძღვანელი გენერალი ჟ. დუმენკი) თავისი მთავრობისაგან მიცემული ჰქონდა მხოლოდ მოლაპარაკების წარმოების რწმუნება, მაგრამ უფლება არ ჰქონდა ხელი მოეწერა სამხედრო კონვენციაზე. რაც შეეხება ინგლისის დელეგაციას (ხელმძღვანელი ადმირალი პ. დრაკსი), მას საერთოდ არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნდა. აშკარა იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი დროის მოგებას ცდილობდნენ და სამხედრო კონვენციის დადებას არ აპირებდნენ.

1939 წლის 15 აგვისტოს სამხედრო ექსპერტების სხდომაზე წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ბორის შაპოშნიკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად იყო ევროპაში აგრესორის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებისათვის გამოეყვანა 136 დივიზია, 5 ათასი ერთეული მძიმე არტილერია, 9-10 ათასი ტანკი და დაახლოებით 5,5 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი. ბ. შაპოშნიკოვმა წარმოადგინა სავარაუდო საბრძოლო მოქმედებების გეგმაც. იმხანად საბჭოთა კავშირს გერმანიასთან სახმელეთო საზღვარი არ გააჩნდა. გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად გამიზნული წითელი არმიის ნაწილები გერმანიაში მხოლოდ პოლონეთის ტერიტორიის გავლით შეიძლებოდა შეჭრილიყვნენ. პოლონეთის ტერიტორიაზე წითელი არმიის გატარებაზე კი თანხმობა პოლონეთის მთავრობას უნდა მიეცა. მოსკოვის მოლაპარაკების მონაწილეებმა 1939 წლის 15-დან 17 აგვისტომდე პოლონეთის მთავრობისგან წითელი არმიის ქვეყნის ტერიტორიაზე გატარების თაობაზე ვერანაირი პასუხი ვერ მიიღეს. პოლონეთის მთავრობის თანხმობის გარეშე კი სამხედრო კონვენციის დადების შესახებ მოლაპარაკების გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მოსკოვის მოლპარაკება ჩიხში მოექცა. ცხადია, პოლონეთის მთავრობა არასგზით არ დასთანხმდებოდა წითელი არმიის ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებას. პოლონეთის მთავრობაზე გავლენის მოხდენა მხოლოდ ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფლებებს შეეძლოთ, ეს უკანასკნელნი კი ამ მიზნით არაფერს აკეთებდნენ. პირიქით, მოსკოვის მოლაპარაკების დაწყებამდე, 1939 წლის 19 მაისს, ხელმოწერილი იქნა საფრანგეთ-პოლონეთის საიდუმლო სამხედრო ოქმი, რომლის ძალითაც საფრანგეთი ვალდებული იყო მესამე სახელმწიფოს მხრიდან აგრესიის შემთხვევაში პოლონეთისათვის დაუყოვნებლივ აღმოეჩინა სამხედრო დახმარება. გარდა ამისა, მზადდებოდა ინგლის-პოლონეთის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ (ეს ხელშეკრულება ცოტა მოგვიანებით, 1939 წლის 25 აგვისტოს გაფორმდა). ცხადია, გარანტიები საფრანგეთისა და ინგლისის მხრიდან პოლონეთის მთავრობამ საკმარისად მიიჩნია და საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე წითელი არმიის ნაწილების გატარებაზე არ დასთანხმდა. როგორც ცოტა მოგვიანებით გაირკვა,საფრანგეთის მთავრობა პოლონეთის თანხმობის შემთხვევაშიც ყოველ ღონეს იხმარდა, რათა გერმანიის წინააღმდეგ ევროპაში წითელი არმიის შესვლა გამოერიცხა.

1939 წლის 22 აგვისტოს გენერალმა ჟ. დუმენკმა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელს მარშალ კლიმენტ ვოროშილოვს

აცნობა, რომ მან საფრანგეთის მთავრობისაგან მიიღო სამხედრო კონვენციაზე ხელმონერისათვის აუცილებელი რნმუნება.



*კლიმენტ ეფრემის ძე ვოროშილოვი (1881-1969). გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა რკინიგზის დარაჯის ოჯახში. 1896 წლიდან მუშაობდა ქარხნის მუშად. 1903 წელს შევიდა რსდმპ რიგებში, ბოლშევიკი, 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონანილე. 1907 წლის შემდეგ ეწეოდა არალეგალურ მოღვაწეობას, დაპატიმრებული იყო რამდენჯერმე. მონანილეობდა 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებაში. იყო სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნის მონანილე და 1917-1918 წლებში პეტროგრადში გატარებული პირველი რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1918 წლის აპრილში შექმნა და სარდლობდა მე-5 ნითელ არმიას, იმავე წლის ივლის-აგვისტოში სარდლობდა ნითელი არმიის იმ ნანილებს, რომლებიც ცარიცინს იცავდნენ. ცარიცინში დაუახლოვდა ი. სტალინს. ცარიცინის დაცვის შემდეგ აქტიურად მონანილეობდა სამოქალაქო ომში, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, იყო მე-10 ნითელი არმიის სარდალი. თავი ვერ გამოიჩინა სამხედრო საქმის ღრმა ცოდნით, სამაგიეროდ, ერთგულად ატარებდა ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას ნითელ არმიაში. 1919 წლის იანვარში დაინიშნა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, პირადად ხელმძღვანელობდა ეროვნულ-პატრიოტული ძალების რეპრესიებს უკრაინაში. 1919 წლის ივნის-ივლისში იყო მე-14 ნითელი არმიის სარდალი. 1919 წლის ნოემბერში ს. ბუდიონთან ერთად შექმნა პირველი ცხენოსანი არმია და 1921 წლის მაისამდე იყო ამ არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ნევრი. 1921 წელს მონანილეობდა კრონშტადტის ამბოხების ჩახშობაში. 1921-1924 წლებში იყო ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, ხელმძღვანელობდა ჩრდილო კავკასიაში ანტისაბჭოთა ძალების განადგურებას. 1924 წელს დაინიშნა მოსკოვის ოლქის ჯარების სარდლად და საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ნევრად. 1925 წლის 6 ნოემბერს ი. სტალინის ინიციატივით დაინიშნა საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრად, ხოლო 1934 წლის 20 ივნისს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომისრად იყო ი. სტალინის დიდი აპოლოგეტი, აქტიურად მონანილეობდა 30-იანი წლების რეპრესიებში, მათ შორის სამხედრო კადრების რეპრესიებში 1939 წლის აგვისტოში მოსკოვში მიმდინარე საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკებაზე ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას, თავი გამოიჩინა დიპლომატიის ანბანის უცოდინარობით. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში (1939-1940 ნნ.) ნითელი არმიის მიერ გამოჩენილი უუნარობის გამო ი. სტალინმა კ. ვოროშილოვი გაათავისუფლა თავდაცვის სახალხო კომისრის თანამდებობიდან და დანიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1941-1945 წლებში იყო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკისა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ნევრი. 1941 წლის 10 ივნისს ი. სტალინმა კ. ვოროშილოვი დანიშნა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდლად, მაგრამ ომის დაწყებისთანავე გამოვლენილი სრული უუნარობის გამო 31 აგვისტოს დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. 1942 წლის სექტემბერში დაინიშნა ლენინგრადის ფრონტის სარდლად, მაგრამ იქაც ვერაფრით გამოიჩინა თავი და დაკავებული თანამდებობა მალევე დაატოვებინეს. 1942 წლის სექტემბერ-ნოემბერში ფორმალურად ითვლებოდა პარტიზანული მოძრაობის მთავარსარდლად. 1943 წლის იანვარში გაგზავნილი იქნა ლენინგრადში ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების ჯარების მოქმედების კოორდინაციის მიზნით. თან ახლდა ი. სტალინს თეირანის კონფერენციაზე. 1946 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ეს თანამდებობა დაკარგა 1953 წელს, ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ. 1953 წელს, დაინიშნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. 1956-1957 წლებში მიემხრო ვ. მოლოტოვის, ლ. კაგანოვიჩისა და გ. მალენკოვის ჯგუფს, თუმცა 1957 წელს ნ. ხრუშჩოვის მოთხოვნით თანამოაზრეებს უღალატა და მათი საქმიანობაც დაგმო, რის გამოც დროებით შეინარჩუნა თანამდებობა. 1960 წელს ვითომდა ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობიდან, თუმცა მისი დამსახურება ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ და სიცოცხლის ბოლომდე პატივისცემით სარგებლობდა.*

მოსკოვის მოლაპარაკებას აზრი საბოლოოდ პოლონეთის მთავრობის პოზიციამ დაუკარგა. 1939 წლის 23 აგვისტოს საფრანგეთის დელეგაციამ პოლონეთის მთავრობისაგან ოფიციალურად მიიღო უარი ქვეყნის ტერიტორიაზე ნითელი არმიის ნანილების გატარების თაობაზე. ორი დღით ადრე, 1939 წლის 21 აგვისტოს, იოსებ სტალინისადმი გაგზავნილ დეპეშაში ადოლფ ჰიტლერმა მზადყოფნა გამოთქვა გაეგრძელებინა ის პოლიტიკა, რომელსაც ნინა საუკუნეებში სარგებლობა მოჰქონდა ორივე ქვეყნისათვის. ასეთ ვითარებაში იოსებ სტალინმა ინგლისთან დ საფრანგეთთან მოლაპარაკების შენყვეტის გადანყვეტილება მიიღო.

4. საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. ადოლფ ჰიტლერი მიუნჰენის შეთანხმების დადების შემდეგაც კი არ გამორიცხავდა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის დაახლოებას. საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის მოლაპარაკების მიმდინარეობის პროცესში (1939 წლის გაზაფხულ-ზაფხულში) საბჭოთა კავშირთან დაახლოებამ გერმანიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. მხოლოდ ამ გზით შეეძლო გერმანიას ჩაეშალა მისთვის მეტად საშიში საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის დადება. გერმანიასთან დაახლოებამ საბჭოთა კავშირისათვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი არ აპირებდნენ სამხედრო კონვენციის დადებას. გამორიცხული არ იყო, რომ ინგლისი და საფრანგეთი მოსკოვის მოლაპარაკების პარალელურად ფარულად გერმანიასთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობდნენ და ამ უკანასკნელს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისაკენ მოუწოდებდნენ.

ამრიგად, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დაახლოება ორივე ქვეყნის ინტერესებში შედიოდა.

საბჭოთა კავშირთან შესაძლო მოლაპარაკების შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოაჰიმ ფონ რიბენტროპი 1939 წლის 25 მაისს პირველად ესაუბრა სამინისტროს მაღალი რანგის მოხელეს ფ. ჰაუსს. ეს საუბარი შედგა მას შემდეგ, რაც ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ნევილი ჩემბერლენმა პირველი საჯარო განცხადება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ. პირველ ეტაპზე გერმანელები ერიდებოდნენ ტერმინ „ხელშეკრულების" გამოყენებას და საბჭოთა კავშირთან დაახლოების შესახებ ზოგადი განცხადებებით იფარგლებოდნენ. გერმანიის გააქტიურება დაიწყო მას შემდეგ, რაც მოსკოვის მოლაპარაკებაზე გარკვეული დადებითი ძვრები მოხდა. 1939 წლის 26 ივლისს გერმანიაში საბჭოთა კავშირის რწმუნებულს გ. ასტახოვს უკვე პირდაპირ განუცხადეს, რომ გერმანია მზად იყო საბჭოთა კავშირისათვის „საქმით დაემტკიცებინა ყოველგვარ საკითხზე მოლაპარაკების შესაძლებლობა და ნებისმიერი გარანტიის მიცემა". იოსებ სტალინი ამის შემდეგაც დიდ სიფრთხილეს იჩენდა. სწორედ ამის გამოხატულება იყო ის, რომ ბერლინში გ. ასტახოვისათვის 1939 წლის 11 აგვისტოს გაგზავნილ მითითებებში სიტყვა „მოლაპარაკებები" შეცვალეს სიტყვით „საუბრები". გარკვეული კონსულტაციების შემდეგ იოსებ სტალინმა და ადოლფ ჰიტლერმა გადაწყვიტეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე ემსჯელათ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოაჰიმ ფონ რიბენტროპის მოსკოვში ვიზიტის დროს. ეს ვიზიტი 1939 წლის 23-24 აგვისტოს შედგა. მოლაპარაკებას ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელები ვიაჩესლავ მოლოტოვი და იოაჰიმ ფონ რიბენტროპი აწარმოებდნენ. იოაჰიმ ფონ რიბენტროპი შეხვდა იოსებ სტალინს. მოლაპარაკებები 1939 წლის 23 აგვისტოს გვიან ღამით დასრულდა. დოკუმენტებზე ხელმოწერა 23-24 აგვისტოს ღამით შედგა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის მოლაპარაკების პროცესში მწვავე დისკუსია გაიმართა გავლენის სფეროების დასადგენად. მხარეებმა შეძლეს კომპრომისის მიღწევა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულება დაიდო ათი წლის ვადით. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ თავი შეეკავებინათ ერთმანეთის მიმართ აგრესიული მოქმედებებისაგან, არ დასხმოდნენ თავს ერთმანეთს არც ცალკე და არც კოალიციის შემადგენლობაში.

ძირითადი ხელშეკრულების გარდა ხელმოწერილი იქნა „დამატებითი საიდუმლო ოქმი", რომელიც გავლენის სფეროთა გამიჯვნას ეხებოდა. ოქმის თანახმად, გერმანია უარს ამბობდა უკრაინისა და ბალტიისპირეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, ასევე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის იმ რაიონების ექსპანსიაზე, რომელთა გერმანიის მიერ დაპყრობას შეეძლო საფრთხე შეექმნა საბჭოთა კავშირისათვის. გერმანია ვალდებულებას იღებდა პოლონეთთან ომის შემთხვევაში არ მოეხდინა პოლონეთის იმ ტერიტორიის ოკუპაცია, რომელიც მდებარეობდა მდინარეების ნარევის, ვისლასა და სანის აღმოსავლეთით (იმავე დღეს საზღვრის ხაზი ასე დაზუსტდა: „მდინარეების ნისის, ნარევის, ვისლისა და სანის ხაზზე"). პოლონეთთან ომის შემთხვევაში გერმანიას ასევე არ ჰქონდა უფლება რაიმე საბაბით შეჭრილიყო ლატვიაში, ესტონეთში, ფინეთსა და ბესარაბიაში.

*1939 წლის 23 აგვისტოს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების „დამატებითი საიდუმლო ოქმი" (1939 წლის 23 აგვისტო): „გერმანიასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერისას ხელის მომწერმა ორივე მხარის წარმომადგენლებმა მკაცრად კონფიდენციალური წესით განიხილეს აღმოსავლეთ ევროპაში ორმხრივი ინტერესთა სფეროს გამიჯვნის საკითხი. განხილვა ქვემოთ მოტანილი შედეგით დასრულდა:*

*1) ბალტიისპირეთის ქვეყნებში (ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) შემავალი ოლქების ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის ცვლილების შემთხვევაში ლიტვის ჩრდილოეთ საზღვარი იმავე დროს იქნება გერმანიისა და სსრკ ინტერესთა სფეროს საზღვარი. ამასთან, ორივე მხარე ცნობს ლიტვის ინტერესს ვილნოს ოლქის მიმართ.*

*2) პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ოლქების ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის ცვლილების შემთხვევაში გერმანიისა და სსრკ ინტერესთა სფეროს საზღვარი დაახლოებით გაივლის მდინარეების ნარევის, ვისლისა და სანის ხაზზე.*

*საკითხი, იმის შესახებ, შედის თუ არა ორმხრივ ინტერესებში დამოუკიდებელი პოლონური სახელმწიფო შენარჩუნება და როგორი იქნება ამ სახელმწიფოს საზღვრები, შეიძლება საბოლოოდ გაირკვეს შემდგომი პოლიტიკური განვითარების კვალდაკვალ. ყოველ შემთხვევაში, ორივე მთავრობა ამ საკითს გადაწყვეტს ორმხრივი მეგობრული თანხმობით.*

*3) სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან დაკავშირებით საბჭოთა მხარემ ხაზი გაუსვა სსრკ ინტერესს ბესარაბიის მიმართ. გერმანიის მხარემ განაცხადა ამ ოლქების მიმართ თავისი სრული პოლიტიკური დაუინტერესებლობის შესახებ.*

*4) ეს ოქმი ორივე მხარის მიერ მკაცრად საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული".*

*1939 წლის 23 აგვისტოს დამატებითი საიდუმლო ოქმის განმარტება (1939 წლის 23 აგვისტო): „1939 წლის 23 აგვისტოს დამატებითი საიდუმლო ოქმის მე-2 პუნქტის პირველი აბზაცის დაზუსტების მიზნით ქვემოთ განვმარტავთ, რომ ეს აბზაცი საბოლოო რედაქციით ასე უნდა იკითხებოდეს:*

*„2. პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ოლქების ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობის ცვლილების შემთხვევაში გერმანიისა და სსრკ ინტერესთა სფეროს საზღვარი დაახლოებით გაივლის მდინარეების ნისის, ნარევის, ვისლისა და სანის ხაზზე".*

1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულება, დამატებითი საიდუმლო ოქმი და ცოტა მოგვიანებით, 1939 წლის 28 სექტემბერს დადებული საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება წარმოადგენდა იმ იურიდიულ და პოლიტიკურ ბაზას, რომელსაც ემყარებოდა ორი ქვეყნის ურთიერთობა 1941 წლის 22 ივნისამდე.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულება და „დამატებითი საიდუმლო ოქმი" დიდი ინტერესის საგნად იქცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური დიქტატურების მსხვრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის წინა ხანებში. 1989 წლის 24 დეკემბერს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყრილობამ საგანგებოდ იმსჯელა ამ დოკუმენტების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების შინაარსი არ ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ამასთან ერთად, საერთაშორისო სამართლის ნორმების საწინააღმდეგო იყო ის, რომ ხელშეკრულების დადებისა და მისი რატიფიკაციის დროს დაიმალა „საიდუმლო დამატებითი ოქმის" არსებობა. ყრილობის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმით ორივე დოკუმენტმა (ხელშეკრულებამ და საიდუმლო ოქმმა) ძალა დაკარგა.

**5. დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და დაწყების შემდეგ.** საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის მოსკოვის მოლაპარაკების ჩაშლისა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების დადების შემდეგ იოსებ სტალინმა განაცხადა: მსოფლიო პოლიტიკიდან საბჭოთა კავშირის გამორიცხვა, რასაც ადგილი ჰქონდა მიუნჰენის ხელშეკრულების დადებისას, მომავალში აღარ უნდა განმეორდეს. 1939 წლის ზაფხულისათვის გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი არ იყო იმდენად დიდი, რომ ომის შემთხვევაში გერმანიას რეალური საფრთხე შეექმნა საბჭოთა კავშირისათვის. იოსებ სტალინს სხვა რამ აფიქრებდა: პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში ინგლისი და საფრანგეთი გერმანიასთან ომში არ ჩაებმებოდნენ. მოსალოდნელი იყო გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის მორიგება. მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარება საბჭოთა კავშირისათვის დიდ საფრთხეს შეიცავდა. უნიადაგო ხდებოდა დასავლეთის დიდი სახელმწიფოების ერთმანეთთან დაპირისპირების იოსებ სტალინისეული ჩანაფიქრი. უფრო მეტიც, არსებობდა გერმანიის მეთაურობით ანტისაბჭოთა კოალიციის შექმნის სერიოზული საფრთხე. იოსებ სტალინს აფიქ-

რებდა ისიც, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების „დამატებით საიდუმლო ოქმში" მოხსენიებული ქვეყნები (ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი და მეტნაკლებად რუმინეთი) გაურბოდნენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას და გერმანიასთან თანამშრომლობისაკენ ისწრაფოდნენ. საბჭოთა კავშირის მიმართ აშკარად მტრული პოზიცია დაიკავა ინგლისმა. შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირ-იაპონიის სამხედრო კონფლიქტის დროს (ხასანის ტბასთან 1938 წლის ივლის-აგვისტოში და მდინარე ხალხინ-გოლზე 1939 წლის აგვისტოში) ინგლისი ყოველნაირად უწყობდა ხელს კონფლიქტის გადაზრდას ფართომასშტაბიან ომში. ინგლისმა ვალდებულება იკისრა წინ არ აღდგომოდა იაპონიის სამხედრო მოქმედებებს ჩინეთში (ეს ვალდებულება აისახა კიდეც 1939 წლის ივლისში ინგლისსა და იაპონიას შორის დადებულ ხელშეკრულებაში).

1939 წლის აგვისტოში ევროპაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. გერმანია უკვე აღარ მალავდა თავის პრეტენზიებს პოლონეთის მიმართ. 1939 წლის 11 აგვისტოს ადოლფ ჰიტლერი ბერლინში, თავის რეზიდენციაში, საიდუმლოდ შეხვდა შვეიცარიელ დიპლომატს კ. ბურკჰარდტს. აღსანიშნავია, რომ კ. ბურკჰარდტმა ასეთი შეხვედრის გამართვაზე საიდუმლოდ მიიღო თანხმობა ინგლისის, საფრანგეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან. ადოლფ ჰიტლერმა შვეიცარიელ დიპლომატს პირდაპირ განუცხადა: „ყველა ჩემი ქმედება მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. თუ დასავლეთი იმდენად ბრიყვი და ბრმაა, რომ ამის გაგება არ შეუძლია, მე იძულებული გავხდები შევუთანხმდე რუსებს. შემდეგ მე დავარტყამ დასავლეთს და მისი დამარცხების შემდეგ გაერთიანებული ძალებით თავს დავესხმები საბჭოთა კავშირს".

ადოლფ ჰიტლერი დასავლეთ ევროპის ქვეყნებს არა მარტო გულახდილად განუმარტავდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების ჭეშმარიტ მიზანს, არამედ ბოლო მომენტამდე ეძიებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევროპის ქვეყნების გაერთიანების გზებს. ადოლფ ჰიტლერისა და კ. ბურკჰარდტის შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ფრანგულმა გაზეთმა „პარი სუარმა" დაბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ ადოლფ ჰიტლერმა შვეიცარიელ დიპლომატს გადასცა პირადი წერილი ინგლისის პრემიერ-მინისტრ ნევილი ჩემბერლენისადმი. გერმანია ინგლისს სთავაზობდა ერთობლივი ძალებით დაეწყოთ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისისა და საფრანგეთისაგან დაიმედებული პოლონეთი გერმანიისათვის არაფრის დათმობას არ აპირებდა და ომისათვის ემზადებოდა. პოლონეთის პოზიცია იმდენად გაუმართლებელი და საშიში იყო, რომ საფრანგეთი და ინგლისი დაჟინებით ურჩევდნენ პოზიციის შერბილებას. სწორედ ინგლისისა და საფრანგეთის რჩევით გადაავადა 1939 წლის 30 აგვისტომდე პოლონეთმა საყოველთაო მობილიზაციის დაწყება.

ადოლფ ჰიტლერი თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების შემდეგ ინგლისი და საფრანგეთი გერმანიას პოლონეთის დაპყრობაში ხელს ვერ შეუშლიდნენ. 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს და პირველ დღეებშივე დიდ სამხედრო-სტრატეგიულ უპირატესობას მიაღწია. 3 სექტემბერს ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. 1939 წლის 15 სექტემბერს, როცა პოლონეთის სახელმწიფო განადგურების პირას იყო მისული, ინგლისის გენერალური შტაბის უფროსმა განაცხადა: ინგლისი პოლონეთს ვერავითარ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა გარდა 10 ათასი შაშხანისა და 15-20 მილიონი ვაზნისა. ეს ხდებოდა სამხედრო გარანტიების შესახებ ინგლის-პოლონეთის ხელშეკრულების დადებიდან სამი კვირის შემდეგ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ხელშეკრულება 1939 წლის 25 აგვისტოს დაიდო). საფრანგეთი გერმანიასთან ომის შემთხვევაში პოლონეთს ჰპირდებოდა საომარი მოქმედებების დაწყებიდან სამი დღის შემდეგ გერმანიის წინააღმდეგ 35-40 დივიზიის ამოქმედებას. ნაცვლად ამისა 1939 წლის სექტემბერში საფრანგეთის 9 დივიზიის ცალკეულმა ნაწილებმა უმნიშვნელო საბრძოლო მოქმედებები განახორციელეს საფრანგეთის მოსაზღვრე გერმანიის სამხრეთ რაიონებში. ეს იყო და ეს. მოკავშირეებისაგან მიტოვებული პოლონეთი გერმანიამ დაიპყრო.

**6. საბჭოთა კავშირის მონაწილეობა პოლონეთის ტერიტორიის გადანაწილებაში.** იოსებ სტალინი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს გერმანია-პოლონეთის ომის მსვლელობას. 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირ-გერმანიის

თავდაუსხმელობის ხელშეკრულების „დამატებითი საიდუმლო ოქმის" ძალით პოლონეთის ტერიტორიის ნაწილი (მდინარეების ნისის, ნარევის, ვისლასა და სანის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია, ასევე მდინარე ვისლას აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ქალაქ ვარშავის ნაწილი) საბჭოთა კავშირს უნდა გადასცემოდა. 1939 წლის 17 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც გერმანიის ჯარები მიუახლოვდნენ „დამატებითი საიდუმლო ოქმით" დადგენილ საზღვარს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ პოლონეთის ელჩს მოსკოვში ასეთი შინაარსის ნოტა გადასცა: „პოლონეთის მთავრობა დაიშალა და სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლონეთის სახელმწიფომ და მისმა მთავრობამ პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია გულთან არ მიიტანოს ის, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე მცხოვრები თანამოძმე უკრაინელები და ბელორუსები დაუცველნი დარჩნენ და ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი". საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე წითელ არმიას ებრძანა გადაელახა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი და დაეცვა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის სიცოცხლე და ქონება. ამ ამოცანის განხორციელების მიზნით შეიქმნა ორი ფრონტი — ბელორუსიის (სარდალი მ. კოვალიოვი) და უკრაინის (სარდალი ს. ტიმოშენკო). ორივე ფრონტის ჯარები 600 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა. ფრონტების სარდლობის დაქვემდებარებაში იყო 4 ათასი ტანკი, 5,5 ათასი ქვემეხი და 2 ათასი თვითმფრინავი. წითელი არმია პოლონეთის ტერიტორიაზე შევიდა 1939 წლის 17 სექტემბერს. 25 სექტემბრისათვის მან მიაღწია მდინარეებს დასავლეთ ბუგსა და სანს. პოლონეთის არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა ე. რიძ-სმიგლიმ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელიც პოლონეთის არმიას წითელ არმიასთან ბრძოლაში ჩაბმას უკრძალავდა. მიუხედავად ამისა, გროდნოს, ვილნოს, კობრინისა და სხვა რაიონებში პოლონეთის არმიამ წითელ არმიას ბრძოლები გაუმართა. პოლონელთა ცალკეულმა ნაწილებმა მძიმე თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ აღმოსავლეთისაკენ დაიხიეს და წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე თავისთავად აღმოჩნდა გერმანია-პოლონეთის ომის დაწყების მომენტისათვის იქ დისლოცირებული პოლონეთის არმიის ნაწილები. პოლონელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა უმრავლესობა წითელმა არმიამ ჩაიგდო ტყვედ. სულ საბჭოთა ტყვეობაში აღმოჩნდა 450 ათასი პოლონელი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 18,8 ოფიცერი. საბჭოთა ტყვეობაში აღმოჩნდა პოლონეთის სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილი. პოლონეთის ემიგრაციული მთავრობა, რომელიც ლონდონში იმყოფებოდა, დასავლეთის ქვეყნების დახმარებით დაჟინებით ცდილობდა ტყვე პოლონელების, პირველ რიგში, ოფიცრების გაყვანას საბჭოთა კავშირიდან. ამის საპასუხოდ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1940 წლის 5 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ტყვეობაში მყოფი პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ. სმოლენსკთან ახლოს, კოტინის ტყეში, დახვრეტილი იქნა პოლონელი ოფიცრები და ტყვეობაში მყოფი კიდევ სხვა პოლონელები, სულ 21.857 კაცი. ამ საზარელ ფაქტს ათეული წლების მანძილზე მალავდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. სიმართლე, და ისიც ნაწილობრივ, მხოლოდ 1993 წელს გახდა ცნობილი.

პოლონეთის ტერიტორიაზე შეჭრილმა წითელი არმიის ნაწილებმა პოლონეთის არმიასთან ბრძოლებში დაკარგეს 996 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაიჭრა 2383 სამხედრო მოსამსახურე.

პოლონელები ბოლო წუთებამდე ელოდებოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის დახმარებას. პოლონეთის არმია ჯერ კიდევ განაგრძნობდა ბრძოლებს. სწორედ ამიტომ 1939 წლის 17 სექტემბერს წითელი არმიის შეჭრა პოლონეთის ტერიტორიაზე პოლონელებმა შეაფასეს როგორც ზურგში დანის ჩაცემა. წითელი არმიის ლაშქრობა პოლონეთში 12 დღე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ პოლონეთის ტერიტორიაზე წინ წაიწია 250-350 კილომეტრით და დაიკავა დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია, სულ 190 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია 12 მილიონზე მეტი მოსახლეობით (მათ შორის 6 მილიონი უკრაინელი და 3 მილიონი ბელორუსი). ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი პოლონეთმა საბჭოთა რუსეთს წაართვა 1921 წლის მარტში დადებული რიგის საზავო ხელშეკრულებით. უნდა აღინიშნოს, რომ წითელი არმიის ლაშქრობას დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში მტრულად შეხვდნენ არა მარტო პოლონელები, არამედ უკრაინელები და ბელორუსები. უკრაინელებისა და ბელორუსების უმრავლესობას არ სურდა

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცხოვრება. განსაკუთრებით დიდი მღელვარება იგრძნობოდა დასავლეთ უკრაინაში. ამ უკანასკნელთა ეროვნული ძალები გაერთიანდნენ „უკრაინის ნაციონალისტთა ორგანიზაციაში", რომლის ლიდერი იყო **ს. ბანდერა**.

1939 წელს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ საბჭოთა კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმალურ-იურიდიული ნორმების დაცვით, დასავლეთ უკრაინა შეუერთდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, ხოლო დასავლეთ ბელორუსია — ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

**7. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება მეგობრობისა და საზღვრების შესახებ.** 1939 წლის 28 სექტემბერს მოსკოვში საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობისა და საზღვრების შესახებ. ხელშეკრულების დადება აუცილებელი გახდა ახალი საზღვრების დადგენის გამო. დაპყრობილი პოლონეთის ტერიტორია გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა შემდეგნაირად გაიყვეს: პოლონერთის ტერიტორიის 48,6% (189 ათასი კვადრატული კილომეტრი) და პოლონეთის ომამდელი მოსახლეობის 62,9% (20.260 ათასი კაცი) გერმანიას ერგო, დანარჩენი ტერიტორია და მოსახლეობა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გადავიდა. ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვარი გადიოდა ე. ნ. **კერზონის ხაზზე** (კერზონის ხაზი თავის დროზე ცნეს ინგლისმა, საფრანგეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და პოლონეთმა).

საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის 28 სექტემბრის მეგობრობისა და საზღვრების შესახებ ხელშეკრულებას თან ერთვოდა სამი ოქმი, მათ შორის ორი საიდუმლო. პირველი ოქმი ეხებოდა პოლონეთის ტერიტორიის იმ ნაწილიდან, რომელიც საბჭოთა კავშირს ერგო, გერმანული წარმოშობის მოსახლეობის გერმანიაში გადასახლების საკითხს. ორი საიდუმლო ოქმიდან პირველი ლიტვის ტერიტორიას საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროდ აცხადებდა, ხოლო პოლონერთის ტერიტორიის ნაწილს — ლიუბლინის სავოევოდოსა და ვარშავის სავოევოდოს — გერმანიის გავლენის სფეროდ. იმავე ოქმში აღნიშნული იყო, რომ მცირე ტერიტორია ლიტვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გერმანიის გავლენის სფეროს წარმოადგენდა (მოგვიანებით, 1941 წლის 10 იანვარს, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მიერ ხელმოწერილი საიდუმლო ოქმის ძალით ლიტვის ტერიტორიის ეს ნაწილი გერმანიამ საბჭოთა კავშირს დაუთმო 31,5 მილიონ მარკად ანუ 7,5 მილიონ დოლარად). მეორე საიდუმლო ოქმით გერმანია ვალდებულებას იღებდა თავის ტერიტორიაზე არ დაეშვა პოლონელთა მიერ რომელიმე ქვეყნის საწინააღმდეგო აგიტაცია.

*გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მეგობრობისა და საზღვრების შესახებ (1939 წლის 28 სექტემბერი): „სსრკ მთავრობა და გერმანიის მთავრობა ყოფილი პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ ამოცანად მიიჩნევენ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისათვის ისეთი მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფას, რომელიც შეესაბამება მათ ეროვნულ თავისებურებებს. ამ მიზნით ისინი მივიდნენ შემდეგ შეთანხმებამდე:*

*მუხლი I. სსრკ მთავრობა და გერმანიის მთავრობა ყოფილ პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ორმხრივი სახელმწიფოებრივი ინტერესების საზღვრად ადგენენ ხაზს, რომელიც დატანილია თანდართულ რუკაზე და უფრო დაწვრილებით იქნება აღწერილი დამატებით ოქმში.*

*მუხლი II. I მუხლით დადგენილ ორმხრივი სახელმწიფოებრივი ინტერესების საზღვრებს ორივე მხარე ცნობს საბოლოოდ და ამ გადაწყვეტილებაში მესამე მხარის ნებისმიერ ჩარევას აღკვეთენ.*

*მუხლი III. ნებისმიერ სახელმწიფოებრივ ცვლილებას მითითებული ხაზის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ახდენს გერმანიის მთავრობა, ხოლო ამ ხაზის აღმოსავლეთით — სსრკ მთავრობა.*

*მუხლი IV. სსრკ მთავრობა და გერმანიის მთავრობა ზემოთ ხსენებულ ცვლილებებს განიხილავენ როგორც მყარ საფუძველს თავიანთი ხალხების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.*

*მუხლი V. ეს ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა უნდა მოხდეს ბერლინში რაც შეიძლება სწრაფად. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე. შედგენილია ორი ორიგინალის სახით, გერმანულ და რუსულ ენებზე".*

*გერმანია-საბჭოთა კავშირის 1939 წლის 28 სექტემბრის მეგობრობისა და საზღვრების შესახებ ხელშეკრულების დამატებითი საიდუმლო ოქმები (1939 წლის 29 სექტემბერი): „ქვემოთ ხელმომწერი რწმუნებულები ადასტურებენ გერმანიის მთავრობისა და სსრკ მთავრობის თანხმობას შემდეგზე:*

*1939 წლის 23 აგვისტოს ხელმოწერილი დამატებითი საიდუმლო ოქმის I მუხლი იცვლება ისე, რომ ლიტვის სახელმწიფოს ტერიტორია შედის სსრკ ინტერესების სფეროში, ისევე როგორც ლიუბლინის სავოევოდო და ვარშავის სავოევოდოს ნაწილი შედის გერმანიის ინტერესების სფეროში (იხ. რუკა სსრკ და გერმანიას შორის მეგობრობისა და საზღვრების შესახებ დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულებისა). როგორც კი სსრკ მთავრობა ლიტვის ტერიტორიაზე თავისი ინტერესების დაცვის მიზნით მიიღებს საგანგებო ზომებს, საზღვრის ბუნებრივად მარტივად დადგენის მიზნით, გერმანია-ლიტვის საზღვრის დადგენის მიზნით, გერმანია-ლიტვის საზღვარი შესწორდება ისე, რომ ლიტვის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს რუკაზე აღნიშნული ხაზის სამხრეთ-დასავლეთით, გადაეცემა გერმანიას.*

*შემდეგ დადასტურდა, რომ გერმანიასა და ლიტვას შორის არსებული სამეურნეო შეთანხმებები არ უნდა დაირღვეს საბჭოთა კავშირის ზემოხსენებული ღონისძიებებით".*

***„ქვემოთ ხელმომწერმა რწმუნებულებმა საზღვრებისა და მეგობრობის შესახებ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულების დადებისას თავიანთი თანხმობა გამოთქვეს შემდეგზე:***

*ორივე მხარე არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე არავითარ პოლონურ აგიტაციას, რომელიც მოქმედებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ისინი თავიანთ ტერიტორიაზე მოახდენენ მსგავსი აგიტაციის ლიკვიდაციას და ერთმანეთს აცნობებენ ამისათვის მიზანშეწონილი ღონისძიებების შესახებ".*

*გერმანია-საბჭოთა კავშირის 1941 წლის 10 იანვრის საიდუმლო ოქმიდან: „საბჭოთა კავშირის მთავრობის რწმუნებით სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. მოლოტოვი, ერთი მხრივ, და გერმანიის მთავრობის რწმუნებული გერმანიის ელჩი გრაფი ფონ დერ შულენბურგი, მეორეს მხრივ, შეთანხმდნენ ქვემოთ მოტანილზე:*

*1) გერმანიის მთავრობა უარს ამბობს თავის უფლებებზე ლიტვის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც მითითებული იყო 1939 წლის 28 სექტემბრის დამატებითი საიდუმლო ოქმში და ოქმზე დართულ რუკაზე;*

*2) სსრკ მთავრობა თანახმაა გერმანიის მთავრობას აუნაზღაუროს კომპენსაცია იმ ტერიტორიისათვის, რომელიც მითითებულია ამ ოქმის I მუხლში, გადაუხადოს გერმანიას თანხა 7 500 000 ოქროს დოლარი, რაც უდრის 31 მილიონ 500 ათას გერმანულ მარკას".*

**8. საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებები ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან.** 1939 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირის მთავრობამ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს შესთავაზა დაედოთ **ურთიერთდახმარების პაქტი.** 1939 წლის 28 სექტემბერს ურთიერთდახმარების პაქტი დაიდო **საბჭოთა კავშირსა და ესტონეთს შორის, 5 ოქტომბერს — საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის, 10 ოქტომბერს — საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის.** ურთიერთდახმარების პაქტში აღნიშნული იყო, რომ მხარეები ვალდებულნი იყვნენ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან თავდასხმის საშიშროების შემთხვევაში ერთმანეთისათვის აღმოეჩინათ ყოველგვარი დახმარება, მათ შორის სამხედრო დახმარებაც. ამავე დროს პაქტზე ხელმომწერ მხარეებს სხვა ქვეყნებთან არ უნდა შეეკრათ კავშირი, არ უნდა შესულიყვნენ ისეთ კოალიციაში, რომელიც მიმართული იქნებოდა პაქტზე ხელმომწერი რომელიმე მხარის წინააღმდეგ. ურთიერთდახმარების პაქტში აღნიშნული იყო, რომ პაქტის პირობების შესრულებისას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შელახულიყო მხარეთა სუვერენული უფლებები. ბალტიისპირეთის სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ომის შემთხვევაში მათი საზღვრების დაცვის მიზნით მათ ტერიტორიაზე — კუნძულ საარემააზე, კუნძულ ჰიუმააზე, ქალაქ პალდისკიში, ქალაქ ლიეპაიაში, ქალაქ ვენტსპილსში — განლაგებული იქნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები — წითელი არმიის გარნიზონები, სამხედრო-საზღვაო ბაზები და სამხედრო ჰაეროდრომები.

ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებების დროს იოსებ სტალინი და ვიაჩესლავ მოლოტოვი არ მალავდნენ, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მოხდა ინტერესთა სფეროების გამიჯვნა, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები მოხვდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში და ამდენად, მათ დამოუკიდებელი დიპლომატიური ინიციატივის გამოჩენის უფლება არ ჰქონდათ.

1939 წლის 10 ოქტომბრის ურთიერთდახმარების პაქტით საბჭოთა კავშირმა ლიტვას გადასცა ქალაქი ვილნო და ვილნოს ოლქი. გადაცემის მომენტისათვის ამ ტერიტორიაზე (6656 კვადრატული კილომეტრი) ცხოვრობდა 457.000 კაცი, მათ შორის 100 ათასი ლიტველი. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ პოლონელები, ბელორუსები და ებრაელები. ცხადია, ლიტვისათვის მიუღებელი იყო 1939 წლის 10 ოქტომბრის პაქტის პირობები, მაგრამ პაქტის დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში ლიტვა ვილნოსა და ვილნოსა ოლქს ვერ დაიბრუნებდა. სწორედ ამიტომ დასთანხმდა ლიტვის მთავრობა პაქტის დადებას.

ურთიერთდახმარების პაქტის დადებასთან ერთად საბჭოთა კავშირმა ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან დადო ახალი სავაჭრო შეთანხმებები ნავთობის, რკინის მადნის, ბამბისა და სხვა ნედლეულის მიწოდების თაობაზე. სავაჭრო შეთანხმებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ეკონომიკური მდგომარეობა, ნაწილობრივ აანაზღაურა ის ზარალი, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკას მიადგა გერმანია-პოლონეთის ომის გამო დასავლეთთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შეფერხებით.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების განლაგება ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ტერიტორიაზე უარყოფითად მოქმედებდა ამ ქვეყნებში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე. მართალია, წითელი არმიის გარნიზონები, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო ავიაციის ნაწილები ბალტიისპირეთის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში არ ერეოდნენ, მაგრამ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ტერიტორიაზე ინტენსიურად მოქმედებდა საბჭოთა გარნიზონებში, სამხედრო-საზღვაო ბაზებსა და სამხედრო ავიაციის ნაწილებში მოკალათებული ძლიერი სადაზვერვო ქსელი. გარდა ამისა, ბალტიისპირეთის ქვეყნებში ლეგალურად დაიწყეს მოქმედება კომუნისტურმა პარტიებმა და სხვა პროსაბჭოთა ორგანიზაციებმა. გახშირდა კომუნისტების მიერ ორგანიზებული გაფიცვები და მიტინგები. მომიტინგეები და გაფიცულები ეკონომიკურ მოთხოვნებთან ერთად სულ უფრო ხშირად აყენებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებს. ცხადი იყო, რომ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში მოსკოვი ქმნიდა მეხუთე კოლონას.

**9. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი (1939-1940 წწ.).** გერმანია-პოლონეთის ომმა და პოლონეთის ტერიტორიის ნახევარზე მეტის შეერთებამ, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში წითელი არმიის გარნიზონების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და სამხედრო აეროდრომების განლაგებამ იოსებ სტალინს ფინეთის დაპყრობის სურვილი აღუძრა. ცხადია, იოსებ სტალინმა კარგად იცოდა, რომ ფინეთის დაპყრობა ადვილი არ იქნებოდა და მას შეიძლებოდა სერიოზული გართულებები მოჰყოლოდა. ამიტომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ფრთხილად მოქმედებდა და თავისი საბოლოო მიზნის დეკლარირებას ერიდებოდა.

1935 წელს ფინეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, თუმცა აშკარა პროგერმანულ ორიენტაციაზე უარი არ უთქვამს. ფინეთი არც თავის ანტისაბჭოთა განწყობილებას მალავდა. ფინეთის პრეზიდენტი პერ ედვინ სვინჰუვუდი აცხადებდა: „რუსეთი ფინეთის ერთადერთი მუდმივი მტერია. რუსეთის ნებისმიერი მტერი ფინეთის მეგობარი უნდა იყოს". ფინეთი მუდმივად გრძნობდა საფრთხეს საბჭოთა კავშირის მხრიდან. საბჭოთა კავშირის მხრიდან სამხედრო აგრესიის მოგერიების მიზნით ფინეთმა კარელიის ყელზე გამაგრებული ხაზის მშენებლობა დაიწყო. ამ ხაზის მშენებლობა გამოჩენილი ფინელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის კარლ ჰუსტავ მანერჰეიმის სახელს უკავშირდება და ისტორიაში მანერჰეიმის ხაზის სახელწოდებით შევიდა. ფინეთი სერიოზულად აძლიერებდა თავის არმიას.

ქალაქი ლენინგრადი ფინეთის საზღვართან ახლოს, 32 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. საბჭოთა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ სწორედ ამის გამოყენება ცადა თავის სასარგებლოდ. მოსკოვის ინიციატივით 1938 წლის ოქტომბრიდან 1939 წლის ოქტომბრამდე საბჭოთა კავშირი და ფინეთი განიხილავდნენ ლენინგრადის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრისა და საერთოდ ამ რაიონის უსაფრთხოების დასაცავ მიზნით შესაძლო ღონისძიებებს. 1939 წლის 14 ოქტომბერს საბჭოთა მხარემ ფინეთს შესთავაზა საბჭოთა კავშირისათვის 30 წლის ვადით იჯარით დაეთმო ჰანკოს პორტი, სადაც საბჭოთა მთავრობა სამხედრო-საზღვაო ბაზის განლაგებას აპირებდა. გარდა ამისა, ფინეთს საბჭოთა კავშირისათვის უნდა გადაეცა რამდენიმე კუნძული ფინეთის ყურეში, კარელიის ყელის ნაწილი და ნახევარკუნძულ რიბაჩის ნაწილი — სულ 2761 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირი ფინეთს უთმობდა 5529 კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას აღმოსავლეთ კარელიაში. საბჭოთა მხარის წინადადება ფინეთმა არ მიიღო, ხოლო 1939 წლის 13 ნოემბერს ფინეთის დელეგაციამ მოლაპარაკება შეწყვიტა. 1939 წლის 26 ნოემბერს საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე, სოფელ მაინილასთან მოხდა ინციდენტი. ფინეთის მხრიდან საარტილერიო ყუმბარებით დაიბომბა საბჭოთა ტერიტორია. ფინეთი კატეგორიულად უარყოფდა მისი ტერიტორიიდან საარტელერიო ცეცხლის გახსნის ფაქტს. დღესაც ბოლომდე დადგენილი არ არის, ცეცხლი ფინელებმა გახსნეს თუ ეს იყო საბჭოთა კავშირის მიერ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია. სოფელ მაინილასთან მომხდარი

ინციდენტი საბჭოთა კავშირმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ფინეთის მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა. ულტიმატუმის შინაარსი ასეთი იყო: ან ფინეთი გამოთქვამდა მზადყოფნას საბჭოთა კავშირის მიერ მოლაპარაკების პროცესში წარდგენილი პირობების შესრულებაზე, ან სოფელ მაინილასთან მომხდარი ინციდენტი საბჭოთა მხარის მიერ გამოყენებული იქნებოდა ომის საბაბად. ულტიმატუმის საპასუხოდ ფინეთის მთავრობამ ასეთი წინადადება წამოაყენა: ფინეთი მზად იყო თავის ჯარები ლენინგრადიდან იმდენად დაეხია უკან, რომ საბჭოთა მხარეს ლენინგრადის უსაფრთხოების გარანტია ჰქონოდა. იოსებ სტალინს ფინეთთან ომის დაწყება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რის გამოც მოსკოვს ფინეთის წინადადება არც კი განუხილავს. 1939 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო: ფინეთის არმიის მხრიდან ახალი პროვოკაციების შემდეგ, დილის 8 საათზე, ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარებმა კარელიის ყელზე და კიდევ რამდენიმე ადგილას გადალახეს ფინეთის საზღვარი. ასე დაიწყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი.

ფინეთთან ომის დაწყებამდე მოსკოვი გულდასმით ამზადებდა ფინეთში მყოფ საბჭოთა მეხუთე კოლონას. ომის დაწყების დღესვე მოსკოვმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ფინეთის ქალაქ ტერიოკში, რომელიც ფინეთის მემარცხენე ძალებმა ჩაიგდეს ხელში, შეიქმნა „ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მთავრობა“, რომლის სათავეში იდგა ფინელი კომუნისტი, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ოტო კუუსინენი. ცხადია, ეს სიცრუე იყო. სიცრუე იყო ისიც, რომ თითქოს 1939 წლის 1 დეკემბერს ფინეთის სხვადასხვა ადგილას დაიწყო აჯანყებები და ხალხმა გამოაცხადა ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. 1939 წლის 2 დეკემბერს მის მიერვე გამოგონილ ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან საბჭოთა კავშირმა დადო ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულება. ცოტა ხნით ადრე, 1939 წლის ნოემბერში, საბჭოთა კავშირში წითელი არმიის 106-ე დივიზიის ბაზაზე დაიწყო „ფინეთის სახალხო არმიისა“ და „ფინელთა კორპუსის“ შექმნა. მათი დაკომპლექტების მიზნით დაიწყო ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარებში მყოფი ორმოც წლამდე ასაკის ფინელების მობილიზაცია. ფინელთა კორპუსში 25 ათასი კაცი ჩაირიცხა. ცხადია, ოტო კუუსინენის მთავრობა იოსებ სტალინს ფინეთის კანონიერ ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზემოქმედებისათვის ესაჭიროებოდა.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი 1939 წლის 30 ნოემბრიდან 1940 წლის 12 მარტამდე გრძელდებოდა. ფინეთმა ომში ჩააბა მთელი თავისი არმია და რეზერვისტები, სულ დაახლოებით 600 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. ფინეთის არმიას გააჩნდა სხვადასხვა კალიბრის 900 ქვემეხი, 270 საბრძოლო თვითმფრინავი და 29 სამხედრო ხომალდი. ფინეთის არმიის ამოცანას შეადგენდა წითელი არმიის შეჩერება მანერჰეიმის ხაზზე. ეს ხაზი დიდი ხნის განმავლობაში შენდებოდა და კარგად იყო გამაგრებული. მანერჰეიმის ხაზის სიგრძე 135 კილომეტრს შეადგენდა. სულ მანერჰეიმის ხაზი სამი სარტყლისაგან შედგებოდა, თითოეული სარტყელი 30 კილომეტრით იყო დაცილებული ერთმანეთს, ანუ გამაგრებული ხაზი სიღრმეში 90 კილომეტრის მანძილზე იყო გადაჭიმული. 135 კილომეტრის სიგრძისა და 90 კილომეტრის სიგანის გამაგრებულ ხაზზე განლაგებული იყო 296 რკინაბეტონისა და 897 გრანიტის ქვისაგან აგებული თავდაცვითი ნაგებობა (ბუნკერი). ბუნკერის ნაწილი 152-203 მილიმეტრიანი საარტილერიო ყუმბარის პირდაპირ მოხვედრას უძლებდა.

ფინეთს სამხედრო დახმარებას უწევდა ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, შვეცია, ნორვეგია, იტალია. გარდა შეიარაღებისა ამ ქვეყნებიდან ფინეთში ბევრი მოხალისე გაემგზავრა. ფინეთისათვის დიდ საერთაშორისო მხარდაჭერას წარმოადგენდა ის, რომ 1939 წლის 14 დეკემბერს საბჭოთა კავშირი ფინეთთან ომის დაწყების გამო ერთა ლიგამ თავისი რიგებიდან გარიცხა. აშკარა გახდა, რომ ომი საბჭოთა კავშირისათვის მეტად არახელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში მიმდინარეობდა.

საბჭოთა კავშირმა ომში სერიოზული ძალები ჩააბა. 1940 წლის მარტისათვის ფინეთის არმიის წინააღმდეგ მოქმედებდა საგანგებოდ შექმნილი ჩრდილო-დასავლეთ ფრონტის (სარდალი ს. ტიმოშენკო) ორი არმია (52 დივიზია, რამდენიმე ათეული ცალკე მოქმედი ბრიგადა და პოლკი). კიდევ სამი არმია მოქმედებდა ლადოგის ტბიდან ბარენცის ზღვამდე მონაკვეთზე. ამ არმიების შეიარაღებას შეადგენდა 11 ათასი ქვემეხი და ნაღმტყორცნი, დაახლოებით 3 ათასი ტანკი, 3 ათასზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი. სახმელეთო ჯარების საბრძოლო მოქმედებებს

მხარს უჭერდა ბალტიისა და ჩრდილოეთის ფლოტის გემები და ლადოგის ტბის ფლოტილია.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ საბრძოლო მოქმედებების გეგმის შედგენისას დაუშვა ორი სერიოზული შეცდომა. გადაწყდა, რომ ომი უნდა დამთავრებულიყო რაც შეიძლება მალე. ამასთან ერთად, ობიექტურად ვერ შეფასდა ფინეთის არმიის შესაძლებლობანი.

წითელმა არმიამ შედარებით მცირე ძალებით ერთდროულად ოთხი მიმართულებით დაიწყო შეტევა. აღსანიშნავია, რომ არმია მოუმზადებელი იყო მკაცრი ზამთრის პირობებში ომისათვის. ფინელები ზამთრის პირობებში ომისათვის კარგად იყვნენ მომზადებული. მათ კარგად ჰქონდათ დამუშავებული თოვლში, ტყის მასივებსა და ტბებით დაფარულ ადგილებში ბრძოლის ტაქტიკა, კარგად იყენებდნენ თავდაცვის ბუნებრივ ზღუდეებს. ყოველივე ამის გამო ფინეთის არმიამ ომის დასაწყისში სარიოზული წარმატებები მოიპოვა. განსაკუთრებით დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა კარელიის ყელზე. აქ საბჭოთა მე-7 არმია ამაოდ ცდილობდა მანერჰეიმის ხაზის გადალახვას. 1939 წლის დეკემბერში საბჭოთა სარდლობამ საბრძოლო მოქმედებები შეაჩერა და მანერჰეიმის ხაზის გარღვევისათვის სერიოზულ მზადებას შეუდგა.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის მეორე, დამამთავრებელი ეტაპი დაიწყო 1940 წლის 11 თებერვალს. კარელიის ყელზე განლაგდა საბჭოთა კავშირის ორი არმია, რომელიც გაძლიერებული იყო საავიაციო, საარტილერიო, სატანკო და საინჟინრო ნაწილებით. 1939 წლის დეკემბრიდან 1940 წლის თებერვლამდე საბჭოთა სარდლობამ ომში მონაწილე ჯარების პირადი შემადგენლობა 550 ათასი კაციდან 760 ათას კაცემდე გაზარდა. ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ჯარები ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ და სამდღიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ გაარღვიეს მანერჰეიმის ხაზის პირველი სარტყელი. 1940 წლის მარტის დამდეგისათვის მანერჰეიმის ხაზის სამივე სარტყელი მთლიანად იქნა გარღვეული. წითელმა არმიამ ქალაქ ვიბორგის მიმართულებით განავითარა შეტევა.

1940 წლის 12 მარტს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ზავი დაიდო. ზავის პირობების თანახმად ფინეთს კარელიის ყელზე არსებული საზღვარი ქვეყნის სიღრმეში უნდა გადაეწია. კარელიის ყელი, ასევე რამდენიმე კუნძული ფინეთის ყურეში, ტერიტორია ქალაქ კუოლაიარვითურთ, ნახევარკუნძულების რიბაჩისა და სრედნის ნაწილი გადაეცა საბჭოთა კავშირს. ნახევარკუნძული ჰანკო იქ სამხედრო-საზღვაო ბაზის განლაგების უფლებით 30 წლიანი იჯარით ისევ საბჭოთა კავშირს გადაეცა.

ფინეთის ომში გამარჯვება ძვირად დაუჯდა საბჭოთა კავშირს. ომში, რომელიც 105 დღე გრძელდებოდა, საბჭოთა კავშირმა დაკარგა მოკლულთა სახით 65 ათასი კაცი, უკვალოდ დაიკარგა და ფინელთა ტყვეობაში მოხვდა 20 ათასი, დაიჭრა და მოიყინა 200 ათასი, დაავადდა 51 ათასი.

ფინეთის ომმა წარმოაჩინა წითელი არმიის სუსტი მხარეები. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრად დანიშნულმა ს. ტიმოშენკომ წითელი არმიის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე გამოსვლისას აღნიშნა: „თეთრფინელებთან ომმა გამოავლინა ჩვენი საბრძოლო მომზადების სისტემის დამღუპველი ხასიათი — მეცადინეობების ჩატარება არასაბრძოლო პირობებში, კაბინეტური მეთოდით. ჩვენ მეთაურებსა და შტაბებს არ ჰქონდათ პრაქტიკული გამოცდილება, არ შეეძლოთ ჯარების სახეობათა ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფა, რაც მთავარია, არ შეეძლოთ ხელმძღვანელობა".

ფინეთის ომმა, საბჭოთა კავშირის გამარჯვების მიუხედავად, დასცა წითელი არმიის პრესტიჟი. გერმანიამ შესაძლებლობა მიიღო კარგად შეესწავლა წითელი არმიის სუსტი მხარეები და სათანადო დასკვნებიც გაეკეთებინა.

მძიმე იყო ომის პოლიტიკური შედეგიც. საბჭოთა კავშირის გარიცხვამ ერთა ლიგიდან დიდად ავნო ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს.

ომმა დამთრგუნველი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის მოსახლეობაზე. მართალია, ხელისუფლება ხალხს უმალავდა ომის პირველ ეტაპზე განცდილ სერიოზულ წარუმატებლობებს, მაგრამ უამრავი დაჭრილი და მოყინული, რომელიც ხალხმა საკუთარი თვალით იხილა, თავისთავად მიანიშნებდა დიდ უბედურებაზე.

**10. საერთაშორისო მდგომარეობა ევროპაში გერმანიასთან საფრანგეთის დამარცხების შემდეგ.** გერმანია-პოლონეთის ომის დაწყებიდან მალე, 1939 წლის 3 სექტემბერს, ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას. საფრანგეთის არმიამ საარის ოლქში

განახორციელა რამდენიმე ოპერაცია დასავლეთის ფრონტზე (საფრანგეთ-გერმანიის საზღვარზე) და აქ სრული სიმშვიდე დამყარდა. ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო გემები დროდადრო მცირე მასშტაბის ბრძოლებს უმართავდნენ გერმანიის სამხედრო ფლოტს. ინგლის-საფრანგეთის ავიაცია მხოლოდ დაზვერვითი ხასიათის ფრენებს ანარმოებდა. არც გერმანელები აქტიურობდნენ. საფრანგეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას, როგორც ჩანდა, ხელს აძლევდა ფრონტზე შექმნილი ვითარება. ადოლფ ჰიტლერი, პოლონეთში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ახალ დაპყრობით გეგმებს აწყობდა. 1939 წლის 23 ოქტომბერს ადოლფ ჰიტლერმა სამხედროთა წინაშე გამოსვლისას აშკარად მიანიშნა, რომ დასავლეთში ომის გაგრძელებას აპირებდა. 1940 წლის აპრილის დამდეგს გერმანიამ დაიპყრო დანია და ნორვეგია, მაისში გერმანელებმა ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი დაიკავეს. ყველა გრძნობდა, რომ საფრანგეთის ჯერი დადგა.

1940 წლის ივნისში გერმანიამ სამარცხვინო მარცხი აგემა საფრანგეთს. 1940 წლის 22 ივნისს კომპიენის ტყეში, სადაც 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ ანტანტის ქვეყნების წინაშე კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი, საფრანგეთმა გერმანიის წინაშე კაპიტულაცია მოახდინა. კაპიტულაციის აქტის თანახმად საფრანგეთის მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიის მიერ უნდა ყოფილიყო ოკუპირებული. საფრანგეთის ეკონომიკა გერმანიის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამსახურში ჩადგა.

გერმანიის სწრაფმა გამარჯვებამ საფრანგეთზე ძირეულად შეცვალა ძალთა თანაფარდობა ევროპაში. ახალი ვითარება საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური კურსის კორექტირებას ითხოვდა.

მართალია, გერმანიამ საფრანგეთი სწრაფად დაამარცხა, მაგარმ 1940 წელს სასურველი შედეგი არ გამოიღო ინგლისის საავიაციო დაბომბვებმა. 1940 წლის ზაფხულ-შემოდგომისათვის გერმანიას იმდენი შესაძლებლობა არ ჰქონდა, რომ ინგლისის ტერიტორიაზე დესანტი გადაესხა. ადოლფ ჰიტლერი რთული არჩევანის წინაშე დადგა: ან ინგლისის საბოლოო დამარცხება და შემდეგ ომის დაწყება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ან ინგლისის დამარცხებამდე ომის დაწყება საბჭოთა კავშირთან. 1940 წლის 18 დეკემბერს ადოლფ ჰიტლერმა დაამტკიცა დირექტივა № 21 („ბარბაროსას გეგმა"), რომელიც ინგლისთან ომის დამთავრებამდე საბჭოთა კავშირის დამარცხებას ითვალისწინებდა.

1940 წლის ბოლოსათვის ინგლისი არ წარმოადგენდა სერიოზულ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას. გერმანელებმა ინგლისი პრაქტიკულად გააძევეს ევროპის კონტინენტიდან და იგი მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის დაცვას ახერხებდა. ევროპაში ინგლისის ერთადერთმა მოკავშირემ საფრანგეთმა გერმანიის წინაშე კაპიტულაცია მოახდინა. ინგლისს დიდი ფინანსური პრობლემებიც ჰქონდა. მას გადასახდელი ჰქონდა დიდი თანხა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მინოდებული სამხედრო პროდუქციის სანაცვლოდ. ამიტომ იყო, რომ იოსებ სტალინი ნდობით არ ეკიდებოდა ინგლისის ახალი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის მცდელობას პირადი კონტაქტები დაემყარებინა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ლიდერთან.

ევროპაში გერმანიის გაბატონებასთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა იმის საშიშროება, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები გერმანიასთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს დაამყარებდნენ. ამაზე აშკარად მიანიშნებდა ლიტვიდან, ლატვიიდან და ესტონეთიდან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მიერ გამოგზავნილი ინფორმაციები. საბჭოთა კავშირი სასწრაფოდ შეუდგა ბალტიისპირეთში თავისი პოზიციების გაძლიერებას. იოსებ სტალინს ამ დროისათვის უკვე მზად ჰქონდა ლატვის, ლატვიისა და ესტონეთის დაპყრობის გეგმა, რასაც „შეერთების" სახე უნდა მიეღო. 1940 წლის ივნისში საბჭოთა კავშირის მთავრობამ ლიტვის მთავრობას ბრალი დასდო წითელი არმიის ჯარისკაცების მიმართ პროვოკაციულ ქმედებებში, ასევე ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის მცდელობაში. მოსკოვი ითხოვდა ლიტვის მთავრობის გადაყენებას, ხოლო მთავრობის ზოგიერთი წევრის სამართალში მიცემას. მოსკოვი ასევე ითხოვდა ლიტვის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში წითელი არმიის დამატებითი ძალების განლაგებას. 1940 წლის 14 ივნისს ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა თანხმობა განაცხადეს თავიანთ ტერიტორიაზე წითელი არმიის დამატებითი ძალების განლაგების თაობაზე. საბჭოთა კავშირის სხვა მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით მოსკოვიდან ბალტიისპირეთის ქვეყნებში გაემგზავრნენ: ანდრეი ჟდანოვი, ანდრეი ვიშინსკი და ვლადიმერ დეკანოზოვი. ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის

საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებდა.

*ანდრეი ალექსანდრეს ძე ჟდანოვი (1896-1948).*



*გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა სახალხო სკოლების ინსპექტორის ოჯახში. 1912 წელს მიემხრო რევოლუციურ მოძრაობას, 1915 წელს შეიდა რსდმპ(ბ) რიგებში. პირველ მსოფლიო ომის დროს (1916 წ.) გაიწვიეს არმიაში, ფრონტზე არ ყოფილა. მონაწილეობდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციაში. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე, მსახურობდა წითელ არმიაში, იყო პოლიტმუშაკი. 1924-1934 წლებში იყო სკპ(ბ) ნიჟნი ნოვგოროდის სამხარეო კომიტეტის მდივანი. 1934 წელს აირჩიეს სკპ(ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტის მდივნად (იმავდროულად შეინარჩუნა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს წევრის თანამდებობები). პირადად ხელმძღვანელობდა ლენინგრადში მიმდინარე რეპრესიებს, ხოლო 1936-1938 წლებში იყო საბჭოთა კავშირში გატარებული რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. 1941-1945 წლებში იყო ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ჯარებისა და შემდეგ ლენინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი, პრაქტიკულად ერთპიროვნულად განაგებდა ლენინგრადს. ომის წლებში ლენინგრადში არსებული მძიმე მდგომარეობა ა. ჟდანოვს არ შეხებია, იგი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყო. დიდი პოპულარობის მიუხედავად ომის წლებში ლენინგრადში თავი არაფრით გამოუჩენია, ყველა მნიშვნელოვან საქმეს, როგორც პარტიულს, ისე სამეურნეოს და სამხედროს, სხვები ხელმძღვანელობდნენ. 1944 წლიდან სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში მოღვაწეობდა და იდეოლოგიის სფეროს კურირებდა. იყო ი. სტალინის დიდი მეხოტბე. სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად ავადმყოფობდა. ა. ჟდანოვის შვილი იური დაქორწინებული იყო ი. სტალინის ქალიშვილზე -- სვეტლანაზე.*

*ანდრეი იანუარის ძე ვიშინსკი (1888-1954). გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებთა აკადემიის ნამდვილი წევრი. დაიბადა აფთიაქარის ოჯახში. 1903 წელს შეიდა რსდმპ რიგებში, მენშევიკი. რევოლუციური მოღვაწეობისათვის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, 1909-1910 წლებში იმყოფებოდა პატიმრობაში. 1913 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1913 წელსვე დატოვეს კიევის უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად, მაგრამ მალე დაითხოვეს პოლიტიკური არასაიმედოობის გამო. 1913 წლიდან ბაქოს გიმნაზიაში*



*ისტორიას, რუსულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა, ხოლო 1915-1917 წლებში მოსკოვში ნაფიცი მსაჯულის თანაშემწედ მუშაობდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ სწრაფად დაწინაურდა და მალე დაინიშნა მოსკოვის ზამოსკვორეჩიეს რაიონის მილიციის უფროსად. ამ თანამდებობზე მუშაობის დროს მან, როგორც მილიციის უფროსმა, ხელი მოაწერა ბრძანებას ვ. ლენინისა და გ. ზინოვიევის დაპატიმრების შესახებ. ეს ბრძანება ქალაქის ქუჩებში გამოიკრა. 1917-1923 წლებში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო შემდეგ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 1920 წელს შეიდა სკპ(ბ) რიგებში. 1923-1925 წლებში იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სამძებრო კოლეგიის პროკურორი, 1925-1928 წლებში - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, 1928-1931 წლებში — რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 1931-1933 წლებში რსფსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე და რსფსრ პროკურორი, 1933-1935 წლებში — საბჭოთა კავშირის იუსტიციის მინისტრის მოადგილე, 1935-1939 წლებში — საბჭოთა კავშირის პროკურორი. 1936-1938 წლებში გამართულ ყველა პროცესზე იყო სახელმწიფო ბრალმდებელი და თავგამოდებით იცავდა გამოძიების მიერ შეთითხნილ საბრალდებულო დასკვნებს, ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა ი. სტალინის მითითებებს. ბრალი მიუძღვის პოლიტიკური მოტივით ბევრი ადამიანის სიკვდილით დასჯაში. 1939-1944 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, იმავდროულად, 1940-1946 წლებში, იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 1946-1949 წლებში - საგარეო საქმეთა მინისტრი. 1953 წელს დააქვეითეს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ, იმავდროულად იყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გაეროში.*

*ვლადიმერ გიორგის ძე დეკანოზოვი (1898-1953).*



*საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დაიბადა ბაქოში მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა სარატოვისა და ბაქოს უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტებზე. 1918 წელს შეიდა წითელ არმიაში, 1920 წელს გახდა რკპ(ბ) წევრი. არალეგალურ პარტიულ მუშაობას ეწეოდა ბაქოში, შემდეგ მუ-*

*მაობდა საბჭოთა აზერბაიჯანის აღმასრულებელ და საშეურნეო ორგანოებში. 1921 წლის ივნისში დაინიშნა აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების რწმუნებულად. 1921 წლიდან იყო აზერბაიჯანის, საქართველოს და ამიერკავკასიის ფედერაციის საგანგებო კომისიების ხელმძღვანელი მუშაკი. ამავე პერიოდში დაუახლოვდა ლ. ბერიას და შემდგომ დიდი ხნის განმავლობაში იყო მისი მფარველობის ქვეშ. 1927 წელს იყო პარტიულ სამუშაოზე. 1928 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის ფედერაციაში საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენლობის საიდუმლო განყოფილების მეორე ქვეგანყოფილების უფროსად, 1929 წელს — საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ეკონომიკური განყოფილების უფროსად, 1931 წელს — ამიერკავკასიაში საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენლობის უფროსად და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსად. 1931 წლის 26 დეკემბერს აირჩიეს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად ტრანსპორტისა და მომარაგების დარგში. 1934-1936 წლებში იყო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საბჭოთა ვაჭრობის განყოფილების გამგე. 1936 წელს გადაიყვანეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში და დანიშნეს კვების მრეწველობის მინისტრად, ხოლო 1937 წელს შეუთავსეს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები. სარგებლობდა ლ. ბერიას დიდი ნდობით. ლ. ბერიას საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისრად გადაყვანის (1938 წ.) შემდეგ 1938 წლის 2 დეკემბერს დაინიშნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს მესამე განყოფილებისა (კონტრდაზვერვა) და მეხუთე განყოფილების (დაზვერვა) უფროსად, ხოლო 1938 წლის 17 დეკემბრიდან შეუთავსეს სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა. ლ. ბერიას დავალებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გაწმინდა ნ. ეჟოვის მომხრეებისაგან. ხელმძღვანელობდა 1938-1939 წლებში წითელ არმიაში ჩატარებულ დამატებით წმენდას. 1939 წლის 4 მაისს გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში. 1940 წელს გაგზავნილი იქნა ლიტვაში, სადაც ხელმძღვანელობდა პოლიტიკურად არასანდოთა რეპრესიებს. 1940 წლის ნოემბერში დაინიშნა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად გერმანიაში, იმავდროულად იყო საგარეო საქმეთა სახალისო კომისრის მოადგილე. ომის დაწყების შემდეგ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში, და კვლავ მუშაობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ. 1947 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის ქონების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1949 წლამდე. 1952 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის კომიტეტის წევრად. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ლ. ბერიას წინადადებით 1953 წლის 10 აპრილს დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. ლ. ბერიას ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ, 1953 წლის 30 ივნისს დააპატიმრეს, გაასამართლეს და 23 დეკემბერს დახვრიტეს.*

იოსებ სტალინის გეგმა წარმატებით განხორციელდა. ლიტვის, ლატვიისა დ ესტონეთის შინაურ საქმეებში საბჭოთა კავშირის სისტემატურმა ჩარევამ თავისი შედეგი გამოიღო — მნიშვნელოვნად გაძლიერდნენ პროსაბჭოთა ძალები. ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერები ცხადად ხედავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის პირისპირ ისინი მოკავშირის გარეშე დარჩნენ. იოსებ სტალინისა და ადოლფ ჰიტლერის შეთანხმებამ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ბედი მათ გარეშე გადაწყვიტა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლიტვისა და ლატვიის სეიმებმა და ესტონეთის სახელმწიფო სათათბირომ თითქმის ერთდროულად (1940 წლის 21-24 ივლისს) მიიღეს დეკლარაციები თავიანთ ქვეყნებში საბჭოთა წყობილების გამოცხადებისა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში შესვლის შესახებ. 1940 წლის 3-5 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მიიღო.

ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში დაიწყო პოლიტიკური ტერორი. 1940 წლის აგვისტოდან 1941 წლის ივლისამდე ბალტიისპირეთიდან რუსეთში გადაასახლეს მოსკოვისათვის მიუღებელი პოლიტიკური მოღვაწეები, მსხვილი მიწათმფლობელები და მეწარმეები, ასევე მრავალი სხვა ადამიანი, რომელიც „კლასობრივად უცხო ელემენტად" იქნა მიჩნეული. რეპრესიები შეეხო დასჯილთა ოჯახის წევრებსაც. მხოლოდ 1941 წლის ივნის-ივლისში (საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის წინა ხანებში და ომის პირველ კვირებში) ბალტიისპირეთიდან გაასახლეს 26 ათასი ადამიანი.

**11. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობა 1940 წლის დამდეგიდან 1941 წლის გაზაფხულამდე.** 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების მიუხედავად საბჭოთა კავშირი და გერმანია ერთმანეთს არ ენდობოდნენ. პირველი სერიოზული უკმაყოფილება ადოლფ ჰიტლერმა იოსებ სტალინის პოლიტიკის მიმართ ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის საკითხთან დაკავშირებით გამოთქვა. იოსებ სტალინმა

რუმინეთი აიძულა ხელი აელო ბესარაბიასა და ჩრდილოეთ ბუკოვინაზე, რომელიც რუმინეთმა საბჭოთა რუსეთს წაართვა 1918 წელს. 1940 წლის 28 ივნისს რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა „მოლაპარაკების" საფუძველზე წითელმა არმიამ გადალახა მდინარე დნესტრი და 30 ივნისს მიაღწია მდინარე პრუტს. ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი გახდა. ადოლფ ჰიტლერს იმდენად საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ზრდა კი არ აფიქრებდა, არამედ ის, რომ მდინარე პრუტზე გასვლით საბჭოთა კავშირი ძალზე დაუახლოვდა რუმინეთის ნავთობის საბადოებს. რუმინეთის ნავთობს კი გერმანიის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

იოსებ სტალინი სერიოზულად შეაშფოთა 1940 წლის 27 სექტემბერს ბერლინში გერმანია-იტალია-იაპონიის პაქტის დადებამ. ბერლინის პაქტი იმისი მაუწყებელი იყო, რომ მსოფლიოს გავლენის სფეროებად გადანაწილება საბჭოთა კავშირის გარეშე მოხდა. გერმანია და იტალია თავის თავზე იღებდნენ „ახალი წესრიგის" დამყარებას ევროპაში, აზია კი იაპონიის უცილობელი გავლენის სფეროდ ცხადდებოდა. პაქტის დამდები მხარეები ვალდებულებას იღებდნენ ომის შემთხვევაში ერთმანეთისათვის აღმოეჩინათ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა.

ადოლფ ჰიტლერი, ცხადია, გრძნობდა, რომ იოსებ სტალინი გაღიზიანებული იყო. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გეგმების ამოცნობის მიზნით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი ბერლინში მიიწვიეს. ვიზიტი 1940 წლის 12-13 ნოემბერს შედგა. ვიაჩესლავ მოლოტოვი შეხვდა ადოლფ ჰიტლერსა და იოაჰიმ ფონ რიბენტროპსს. იოსებ სტალინის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის შეერთება გერმანია-იტალია-იაპონიის პაქტთან. ადოლფ ჰიტლერი კი საბჭოთა კავშირის სრულ იზოლაციაში მოქცევასა და ნეიტრალიზაციას ცდილობდა. იოსებ სტალინის დამშვიდებას ადოლფ ჰიტლერი იმით აპირებდა, რომ საბჭოთა კავშირს თავისუფალი მოქმედების უფლებას სთავაზობდა მახლობელ აღმოსავლეთში, სპარსეთის ყურესა და ინდოეთში. იოსებ სტალინმა იმთავითვე ამოიცნო გერმანიის „გულუხვობის" ნამდვილი მიზანი. ინდოეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში, ასევე სპარსეთის ყურეში საბჭოთა კავშირის შეღწევას არასგზით არ დაუშვებდა ინგლისი. ინგლისისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება კი გერმანიის დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა.

ვიაჩესლავ მოლოტოვის ვიზიტი ბერლინში წარუმატებლად დასრულდა. გერმანელი დიპლომატები და სამხედროები გერმანია-იტალია-იაპონიის პაქტთან საბჭოთა კავშირის შეერთებას უპერსპექტივოდ მიიჩნევდნენ.

1939-1941 წლებში წარმატებით ვითარდებოდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობა. გერმანია საბჭოთა კავშირიდან იღებდა: სასოფლო სამეურნეო პროდუქტს, ნავთობს, მარგანეცს, ქრომის მადანს, იშვიათ ლითონებს. ამის სანაცვლოდ საბჭოთა კავშირს გერმანიიდან შემოჰქონდა: სამრეწველო პროდუქცია (სხვადასხვა სახის ჩარხები, განსაკუთრებით მტკიცე ფოლადი, ტექნიკური მოწყობილობანი), უახლესი საველე და საზენიტო არტილერია, ნაღმტყორცნები, საბრძოლო თვითმფრინავების მცირე პარტიები, ოპტიკური ხელსაწყოები, რადიოაპარატურა და სხვ.). გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა 1941 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი კორპორაციების ფილიალებისა და მესამე ქვეყნების საშუალებით გერმანიას აწვდიდა დეფიციტურ ნედლეულს. მიწოდება მხოლოდ 1944 წელს შეწყდა.

**12. ვითარება შორეულ აღმოსავლეთში.** რთული ვითარება იყო შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრებთან. იაპონიამ ორგზის (1938 წელსა და 1939 წელს) მოსინჯა საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრების სიმტკიცე. 1938 წლის ივლის-აგვისტოში იაპონელები ხასანის ტბის რაიონში თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირის საზღვარს. იაპონიამ თავდასხმის საბაბად გამოიყენა ის, რომ თითქოს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის სასაზღვრო ხაზი ზუსტად არ იყო დადგენილი. საზღვრის ეს მონაკვეთი დადგინდა 1886 წელს ხუნჯუნის შეთანხმებით. შეთანხმებას თან ერთვოდა რუკა, რომლის მიხედვით ხასანის ტბა, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, რუსეთს ეკუთვნოდა. 1938 წელს წითელმა არმიამ საბჭოთა ტერიტორია მთლიანად გაწმინდა იაპონიის ჯარებისაგან.

1939 წლის მაისში იაპონიის ჯარებმა მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში მონღოლეთ-ჩინე-

თის საზღვარი დარღვიეს და მონღოლეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ამ პერიოდისათვის, 1936 წელს, საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთს შორის ხელმოწერილი ურთიერთდახმარების ოქმის საფუძველზე, მონღოლეთში იმყოფებოდა წითელი არმიის ნაწილები. იაპონელები 1939 წლის 2 ივნისს შეტევაზე გადავიდნენ და პირველ ხანებში ხელთ იგდეს უპირატესობა. 1939 წლის აგვისტოს დამდეგს ხალხინ-გოლის რაიონში განლაგებული იაპონიის მე-6 არმია 75 ათას კაცს ითვლიდა. მე-6 არმიის სარდლობის განკარგულებაში იყო დაახლოებულ 500 ქვემეხი, 182 ტანკი, დაახლოებით 300 თვითმფრინავი. მონღოლეთში მყოფ წითელი არმიის კონტინგენტს სარდლობდა გენერალი გიორგი ჟუკოვი. მას ექვემდებარებოდა 57 ათასი ჯარისკაცი დ ოფიცერი, 542 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 498 ტანკი, 385 ჯავშნიანი მანქანა, 515 თვითმფრინავი. მართალია, 1939 წლის 31 აგვისტოსათვის იაპონელები მთლიანად იქნენ განადგურებულნი, მაგრამ წითელმა არმიამ სერიოზული ზარალი განიცადა. ბრძოლების დროს აშკარა გახდა ოფიცერთა ოპერატიულ-ტაქტიკური მომზადების სისუსტე და ჯარების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაბალი დონე. ბრძოლების მსვლელობისას ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა ბტ-5 და ბტ-7 მარკის ტანკებს.

1939 წლის 15 სექტემბერს მოსკოვში საბჭოთა კავშირმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ და იაპონიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას. კონფლიქტი ამოიწურა, თუმცა მდგომარეობა საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის საზღვართან მაინც დაძაბული რჩებოდა.

1941 წლის მარტში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოსუკე მაცუოკა ბერლინში მიმავალი მოსკოვში შეჩერდა და იოსებ სტალინსა და ვიაჩესლავ მოლოტოვს შეხვდა. ი. მაცუოკამ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას საბჭოთა კავშირ-იაპონიის თავდაუსხმელობის პაქტის დადება შესთავაზა. იაპონიის დიპლომატია ცდილობდა წყნარ ოკეანეზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინააღმდეგ ომის დაწყების შემთხვევაში საბჭოთა კავშირის მხრიდან საფრთხე არ შექმნოდა.

1941 წლის 13 აპრილს მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დაიდო პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ. პაქტის ძალით საბჭოთა კავშირი და იაპონია ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ ნეიტრალიტეტი, თუ პაქტზე ხელისმომწერ რომელიმე მხარეს თავს დაესხმოდა ერთი ან რამდენიმე ქვეყანა. პაქტის მოქმედების ვადა განისაზღვრა ხუთი წლით რატიფიკაციის დღიდან.

## § 2. საბჭოთა კავშირი ომის წინ (1938-1941 წწ.)

**1. რეპრესიები წითელ არმიაში.** შეიარაღებული ძალების გაძლიერების საქმეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობდა. მიუხედავად ამისა, ბრძოლებმა ხასანის ტბაზე (1938 წ.) და ხალხინ-გოლზე (1939 წ.), განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომმა (1939-1940 წწ.) ცხადად წარმოაჩინა ყველა ის ნაკლი, რაც წითელ არმიას გააჩნდა. განსაკუთრებით უხეში შეცდომები იყო დაშვებული შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის, შეიარაღებისა და მართვის საქმეში. 1940 წლის მაისში სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ანდრეი ჟდანოვი ედგა სათავეში, შეისწავლა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის მუშაობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ თავდაცვის სახალხო კომისარიატს არ გააჩნდა ომის ოპერატიული გეგმა, არ იცნობდა რეალურ ვითარებას არმიაში, სათანადოდ არ იყო ორგანიზებული სახელმწიფო საზღვრების დაცვა, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ჯარების სამხედრო-საველე წვრთნას. შექმნილი ვითარება კანონზომიერი იყო. ოფიციალური მონაცემებით 1937-1939 წლებში არმიიდან (სამხედრო-საჰაერო ძალების გარდა) დაითხოვეს 36.892 მეთაური (ოფიცერი), მათი 66% დათხოვნილი იქნა პოლიტიკური მოტივით. არმიიდან გათავისუფლებულთა დიდი ნაწილი სიკვდილით იქნა დასჯილი. 1940 წლის ზაფხულისათვის დათხოვნილთაგან 11 ათასი კაცი არმიაში დააბრუნეს, მაგრამ ეს საქმის ვითარებას რადიკალურად ვერ ცვლიდა.

რა იყო წითელ არმიაში გატარებული რეპრესიების მიზეზი და რა შედეგი მოიტანა მან? საბ-

ჭოთა (კომუნისტური) ისტორიოგრაფია თვლიდა, რომ წითელი არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა (მარშლები, სამხედრო ოლქებისა და არმიების სარდლები, კორპუსების, დივიზიების მეთაურები), ისევე როგორც საშუალო და დაბალი რანგის მეთაურები (ოფიცრები) ვერ ეგუებოდნენ იოსებ სტალინის გალმერთებას, რაც გახდა მათი რეპრესირების საფუძველი. საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, რეპრესიები წითელ არმიაში იყო დიდი სამამულო ომის პირველ ეტაპზე (1941 წ.) განცდილი მარცხის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. სხვა აზრი აქვს ამ მოვლენის შესახებ უინსტონ ჩერჩილს. მისი აზრით, იოსებ სტალინმა რეპრესიების გზით წითელი არმია განმინდა პროგერმანული ელემენტებისაგან. უინსტონ ჩერჩილი თვლიდა, რომ რეპრესიებმა კი არ დაასუსტა, არამედ გააძლიერა წითელი არმია.

აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, იყვნენ თუ არა მიხეილ ტუხაჩევსკი, ვასილი ბლიუხერი და სხვა უმაღლესი რანგის სამხედროები უცხო ქვეყნების (გერმანიის) აგენტები. ეს საკითხი ალბათ კიდევ დიდხანს დარჩება პოლემიკის საგნად. დღეს ნათელია ერთი რამ: **მ. ტუხაჩევსკი, ვ. ბლიუხერი და სხვები იყვნენ იოსებ სტალინის პოლიტიკური კურსის აშკარა მოწინააღმდეგენი და არც აპირებდნენ თავიანთი მსოფლმხედველობის შეცვლას.** ხოლო თუ რა საშიშია უთანხმოება ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობას შორის კარგად გამოვლინდა 1944 წლის 20 ივლისს ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებით. 1934-1937 წლებში პოლიტიკურ ოპოზიციასთან მწვავე ბრძოლაში ჩაბმული იოსებ სტალინი, ევროპაში გერმანიის, ხოლო აზიაში იაპონიის მზარდი აგრესიის პირობებში წითელი არმიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში, ისევე როგორც სამხედრო ოლქებისა და არმიების სარდლებს, კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებს შორის მისი პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეებს ვერ დატოვებდა. წითელი არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობაში (თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეები, სამხედრო ოლქების სარდლები, არმიების სარდლები) ასევე კორპუსებისა და დივიზიების მეთაურები თავიანთ სამხედრო კარიერას ლევ ტროცკის უმადლოდნენ და იოსებ სტალინის მოღვაწეობის შედეგებს სწორედ ლევ ტროცკის თვალთახედვით აფასებდნენ. ეს იოსებ სტალინისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დამდეგს, მაგრამ იმხანად იგი რეპრესიებისაგან თავს იკავებდა. რეპრესიები გარდაუვალი გახდა მაშინ, როცა საერთაშორისო ვითარება ძალზე დაიძაბა და ომის საფრთხე რეალური გახდა.

**2. საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება 1939-1941 წლებში.** 1939 წელს დასრულდა წითელი არმიის დაკომპლექტებისა და ორგანიზების საკადრო სისტემაზე გადასვლა, რაც გამოიხატა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონით. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის ძალით იზრდებოდა არმიაში სავალდებულო სამსახურის ვადა, რაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სერჟანტები და რიგითი ჯარისკაცები სრულყოფილად დაუფლებოდნენ საბრძოლო ტექნიკას, მიეღოთ ბრძოლის წარმოების ოპერატიულ-ტაქტიკური გამოცდილება. წინათ ოფიცერთა კადრებით არმიის უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენდა თადარიგში გასულთა გაწვევა. 1932-1938 წლებში თადარიგიდან წითელ არმიაში გაიწვიეს 49 ათასი ოფიცერი. მიუხედავად ამისა, 1938 წლის დამდეგისათვის წითელი არმიის სრულად დაკომპლექტებისათვის საჭირო იყო კიდევ 100 ათასი ოფიცერი. ოფიცერთა კადრებით წითელი არმიის სრულფასოვნად დაკომპლექტების მიზნით 1939 წელს გაიხსნა 40 სამხედრო სასწავლებელი ქვეითი და საავიაციო ჯარების პროფილით, ასევე სხვადასხვა პროფილის სამხედრო სკოლები და კურსები. 1941 წლის ივნისის მონაცემებით არმიისათვის ოფიცერთა კადრებს ამზადებდა 19 სამხედრო აკადემია და სამოქალაქო უმაღლესი სასწავლებლების 10 სპეციალური ფაკულტეტი, 7 უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი, 203 სამხედრო სასწავლებელი და რამდენიმე ათეული კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. 1939-1941 წლებში სამხედრო სასწავლებელი დაასრულა 48 ათასმა კაცმა, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები — 80 ათასმა. 1941 წლის პირველ ნახევარში სამხედრო სასწავლებლებიდან და აკადემიებიდან არმიაში გაიგზავნა 79 ათასი კაცი. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა გადაუჭრელი დარჩა მთელი რიგი პრობლემები. 1941 წლის დამდეგისათვის წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა რაოდენობა 580 ათას კაცს უდრიდა. მათგან უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა 7,1%-ს, საშუალო — 55,9%-ს, დაჩქარებული წესით სამხედრო სწავლება გავლილი ჰქონდა 24,6%-ს, ხოლო 12,6%-ს საერთოდ არ ჰქონდა

სამხედრო განათლება. განსაკუთრებით არაეფექტური აღმოჩნდა სამხედრო კურსებზე ოფიცერთა კადრების მომზადება. 1941 წლის 22 ივნისს, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის დღისათვის, სამხედრო კურსებზე მომზადებულ ავიაციის ბევრ ოფიცერს საბრძოლო თვითმფრინავის მართვის მხოლოდ რამდენიმესაათიანი გამოცდილება გააჩნდა. იგივე ვითარება იყო სამხედრო კურსებზე მომზადებულ ტანკისტ ოფიცერთა შორისაც.

1941 წლის თებერვალში წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროს გიორგი ჟუკოვის წინადადებით მიღებული იქნა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქვეითი ჯარების დივიზიების რაოდენობა თითქმის ასამდე უნდა გაზრდილიყო. ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება, რადგან იმხანად ბევრი დივიზია არც პირადი შემადგენლობით და არც საბრძოლო ტექნიკით სრულად დაკომპლექტებული არ ყოფილა. უმჯობესი იქნებოდა უკვე არსებული დივიზიების გაძლიერებაზე გადაეტანათ აქცენტი.

1939-1941 წლებში დიდი ყურადღება ექცეოდა წითელი არმიის საბრძოლო ტექნიკით უზრუნველყოფას. 1939 წელს შეიქმნა საავიაციო მშენებლობის სახალხო კომისარიატი. დაიწყო ძველი საავიაციო ქარხნების გაფართოება და რეკონსტრუქცია. 1939-1940 წლებში შეიქმნა ახალი ტიპის გამანადგურებლები: იაკ-1, მიგ-3, ლაგგ-3, მოპიკირე ბომბდამშენი პე-2 და მოიერიშე ილ-2. 1941 წლის პირველ ნახევარში გმოშვებული იქნა 1946 გამანადგურებელი, 458 ბომბდამშენი და 246 მოიერიშე თვითმფრინავი.

გერმანია-პოლონეთის ომმა დაადასტურა სატანკო შენაერთების უპირატესობა. ამ ომის გამოცდილება სწორად ვერ შეაფასეს საბჭოთა კავშირში. 1939 წლის ნოემბერში წითელი არმიის უმაღლესმა სამხედრო საბჭომ მიიღო სატანკო კორპუსების დაშლისა და მათ ბაზაზე ცალკეული მოტორიზებული დივიზიების შექმნის გადაწყვეტილება. მოგვიანებით, 1940 წლის ზაფხულში, ისევ დაიწყო მსხვილი მექანიზებული კორპუსების შექმნა. ამ დროისათვის საბჭოთა კონსტრუქტორებმა ა. მოროზოვმა და ნ. კუჩერენკომ შექმნეს ახალი ტიპის ტანკი ტ-34. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდის საუკეთესო საშუალო სიმძიმის ტანკი. კონსტრუქტორმა ჟ. კოტინმა შექმნა მძიმე წონის ტანკი კვ. 1939 წლის იანვრიდან 1941 წლის ივნისამდე სატანკო ქარხნებმა გამოუშვეს 7 ათასზე მეტი ტანკი, მათ შორის 1861 ახალი კონსტრუქციის ტანკები ტ-34 და კვ.

1939-1941 წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცეცხლმსროლელი, ტანკსაწინააღმდეგო და საარტილერიო შეიარაღება. 1939 წელს გამოსცადეს ახალი ტიპის რეაქტიული ნაღმტყორცნი, შემდეგში სახელგანთქმული „კატიუშა" (კონსტრუქტორი ა. კოსტიკოვი). 1939 წელს წითელმა არმიამ შეიარაღებაზე მიიღო ვ. დექტიაროვის სისტემის ახალი დაზგის ტყვიამფრქვევი. 1940 წელს შეიქმნა ახალი ტიპის შაშხანა (კონსტრუქტორი ფ. ტოკარევი). კონსტრუქტორმა გ. შპაგინმა შექმნა ახალი ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, რომლის სერიული წარმოება დაიწყო 1941 წლის პირველ ნახევარში. 1939 წლიდან 1941 წლის ივნისამდე დამზადებული იქნა 105 ათასი ტყვიამფრქვევი და 100 ათასი ავტომატი. 1941 წლის ივნისისათვის წითელ არმიას გააჩნდა 14 ათასი 82 მილიმეტრიანი და 4 ათასი 120 მილიმეტრიანი ნაღმტყორცნი. მიუხედავად გატარებული ღონისძიებისა, წითელი არმია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით უზრუნველყოფის მხრივ გერმანიის არმიაზე გაცილებით სუსტი იყო.

გერმანიის არტილერიას თავისი საბრძოლო თვისებებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა წითელ არმიაში შეიარაღებაზე არსებული 76 მილიმეტრიანი საზენიტო ქვემეხი და 45 მილიმეტრიანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. წითელი არმიის არტილერია სუსტად იყო უზრუნველყოფილი ყუმბარებითა და გადაადგილების მექანიზებული საშუალებებით. სერიულ წარმოებაში ვერ იქნა ჩაშვებული რადიოსალოკაციო ტექნიკის დანადგარები, არ კმაროდა რადიოსანავიგაციო სადგურები და რადიოსადგურები. თანამედროვე რადიოსადგურების არარსებობის გამო ძნელდებოდა სამხედრო ავიაციის დედამიწიდან მართვა. დედამიწაზე კავშირგაბმულობის საშუალებას წარმოადგენდა ტელეგრაფი და ტელეფონი, ჰაერში — სასიგნალო რაკეტა.

*კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ მ. ა. პურკაევის 1941 წლის 29 აპრილის დირექტივიდან: „თავდაცვის სახალხო კომისრის 1463 ტელეგრამის შესაბამისად კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდალმა ბრძანა:*

*ჯავშანსამსხვრევი ყუმბარებით ოლქის ნაწილები მომარაგდეს შემდეგი გაანგარიშებით:*

*მსროლელი დივიზიების ყოველ 76 მილიმეტრიან ქვემეხზე — 6 გასროლა; საკავალერიო, მოტომსროლელ დივიზიებზე და გამაგრებული რაიონების ნაწილებზე — 12 გასროლა თითოეულ ზე...*

*1938-1939 წლების ნიმუშის საკაზემატო 76 მილიმეტრიან ქვემეხზე 20 გასროლა თითოეულზე.*

*1902 წლის ნიმუშის 76 მილიმეტრიან ქვემეხზე 10 გასროლა თითოეულზე.*

*კვ ტიპის ტანკის 75 მილიმეტრიან ქვემეხზე -- 25 გასროლა, ტ-34 ტიპის ტანკზე 13 გასროლა, გამომდინარე ჯავშანსამსხვრევი ყუმბარების ფაქტობრივი რაოდენობიდან ამა წლის 1 ივლისისათვის.*

*ჯავშანსამსხვრევ ყუმბარებზე სრული მოთხოვნა დაკმაყოფილდება 1941 წლის მეორე ნახევარში".*

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პირადად იოსებ სტალინი კარგად იცნობდნენ არმიაში შექმნილ ვითარებას. 1940-1941 წლებში თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და წითელი არმიის გენერალური შტაბის მიმართ ბევრი კრიტიკული აზრი გამოითქვა, გაკეთდა ბევრი კონკრეტული შენიშვნა. იოსებ სტალინის ინიციატივით მნიშვნელოვან თანამდებობებზე დაინიშნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანები, რომელთა დიდმა ნაწილმა თავი გამოიჩინა სამამულო ომში.

**3. გერმანიის მზადება საბჭოთა კავშირთან ომისათვის.** გერმანიის უმაღლესი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირს განიხილავდა ისეთ მოწინააღმდეგედ, რომელსაც მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდა ცოცხალი ძალის და შეიარაღების რაოდენობის მხრივ. გერმანელებმა ისიც იცოდნენ, რომ ხარისხობრივი მაჩვენებლებით წითელი არმია ჩამოუვარდებოდა გერმანიის არმიას. 1941 წლის თებერვალ-მარტში, ე. ი. უშუალოდ ომის წინ, გერმანიამ მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა ომისათვის არმიის უკეთ მომზადების მხრივ. საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვართან ახლოს გადაისროლეს ქვეითი ჯარისა და ავიაციის ძირითადი ნაწილი, შეიქმნა დამრტყმელი დაჯგუფებები, დამუშავდა ჯარების ცალკეულ სახეობათა შეთანხმებულად მოქმედების გეგმები, ასევე გერმანიის ჯარების ფინეთის, რუმინეთისა და უნგრეთის ჯარებთან კოორდინირებულად მოქმედების გეგმა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამიზნულ ჯარებში სატანკო და მოტორიზებულ შენაერთთა რაოდენობა 19%-ს გაუტოლდა. გერმანიის ჯარებში ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის გადასაადგილებლად მუხლუხებიან და ჯავშნიან საწევარებს იყენებდნენ. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამიზნულ გერმანიის ჯარებში იყო მრავალი ისეთი დივიზია, პოლკი და ბატალიონი, რომელსაც დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა მიღებული 1939-1940 წლებში. სოლიდური საბრძოლო გამოცდილება ჰქონდათ დაბალი, საშუალო და უმაღლესი შემადგენლობის ოფიცრებს. არმიათა დაჯგუფებების, არმიების, კორპუსების, დივიზიების შტაბებში მუშაობდნენ კომპეტენტური, დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე ოფიცრები.

„ბარბაროსას" გეგმის შესაბამისად გერმანიის შეიარაღებული ძალების ამოცანას წარმოადგენდა წითელი არმიის განადგურება საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილშივე. ამავე დროს სატანკო შენაერთების სწრაფი შეტევის შედეგად უნდა ალკვეთილიყო წითელი არმიის ბრძოლისუნარიანი ნაწილების უკან დახევა. საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან უმოკლეს ვადაში გერმანიის ჯარებს უნდა მიეღწიათ იმ ზღვრამდე, საიდანაც საბჭოთა ავიაცია ველარ დაბომბავდა გერმანიის ტერიტორიას. საბოლოოდ კი გერმანიის ჯარები უნდა გასულიყვნენ ვოლგა-ასტრახანის ხაზზე, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში ავიაციით დაანგრევდნენ ურალის სამრეწველო რაიონს. „ბარბაროსას" გეგმის ოპტიმისტი ავტორები ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ელვისებურ ომს" 8 კვირაში დაასრულებდნენ. უფრო ფრთხილი და შორსმჭვრეტელი სპეციალისტები კი თვლიდნენ, რომ „ბარბაროსას" გეგმის რეალიზებას 16 კვირა დასჭირდებოდა.

1941 წლის 30 მარტს არმიის უმაღლეს ოფიცერთა შეკრებაზე გამოსვლისას ადოლფ ჰიტლერმა პირდაპირ განაცხადა, რომ შეიარ-



ადოლფ ჰიტლერი

ალებული ძალების უმთავრეს ამოცანას საბჭოთა კავშირის განადგურება წარმოადგენდა. ადოლფ ჰიტლერი აღნიშნავდა: „აღმოსავლეთში ბრძოლა ძალზე განსხვავებული იქნება დასავლეთში ბრძოლისაგან. აღმოსავლეთში ჩადენილი სისასტიკე წაადგება მომავალს".

**4. გერმანიის აგრესიის მოგერიების მიზნით გატარებული ღონისძიებანი.** 1941 წლის გაზაფხულზე წითელი არმიის გენერალურმა შტაბმა, სამხედრო ოლქების და სამხედრო ფლოტების შტაბებთან ერთად შეადგინა „სახელმწიფო საზღვრის დაცვის გეგმა 1941 წლისათვის". გეგმა ითვალისწინებდა საზღვრისპირა გამაგრებული რაიონების დაცვას მანამ, სანამ წითელი არმიის ძირითადი და სარეზერვო (ახლადმობილიზებული) ძალები შეძლებდნენ ბრძოლისათვის მომზადებას. ავიაციის მიზანს შეადგენდა მოწინააღმდეგის ჯარების თავმოყრისა და შეტევისათვის მზადების ხელის შეშლა. საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრის დაცვა, რომლის სიგრძე 4,5 ათას კილომეტრს უდრიდა, 5 სამხედრო ოლქს ევალებოდა. საზღვართან ახლოს განლაგებული უნდა ყოფილიყო 60 დივიზია, რომლის დანიშნულებას შეადგენდა მოწინააღმდეგის შეჩერება მანამ, სანამ ბრძოლაში ჩაებმებოდნენ სარეზერვო (ახლადგაწვეული) ძალები.

1941 წლის აპრილ-მაისში დასავლეთის სამხედრო ოლქებში, ვითომდა სამხედრო შეკრებების ორგანიზების მიზნით, სამხედრო სამსახურისათვის გაიწვიეს 800 ათასი რეზერვისტი. მაისის შუა რიცხვებში დაიწყო ცენტრალური სამხედრო ოლქებიდან დასავლეთის სამხედრო ოლქებში ჯარების ფარულად (ღამით) გადაყვანა. სულ გადაყვანილი იქნა 7 არმია (66 დივიზია). 12 ივნისს დასავლეთის სახელმწიფო საზღვრისაკენ ფარულად (ღამით) დაიწყო გადაადგილება რეზერვისტთა 63 დივიზიამ. 16 ივნისს ძირითადი დისლოკაციის ადგილებიდან, ვითომდა სამხედრო სწავლებში მონაწილეობის მიზნით, დასავლეთის სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე ფარულად შევიდა კიდევ 52 დივიზია. ცხადია, ამ რაოდენობის ჯარების საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრის მიმართულებით გადაადგილება შეუმჩნეველი არ დარჩენია გერმანიის დაზვერვას. საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრებთან გერმანიის ჯარების თავმოყრა ასევე ცნობილი იყო საბჭოთა დაზვერვისათვის. ქვემოთ მოტანილ ცხრილში ნაჩვენებია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ჯარების თანფარდობა 1941 წლის 22 ივნისისათვის.

**საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ჯარების თანაფარდობა 1941 წლის 22 ივნისისათვის**

| საერთო მონაცემები | საბჭოთა კავშირის ჯარები | შეფარდება | გერმანიის ჯარები |
|---|---|---|---|
| დივიზიები | 170 | 1,01:1 | 167 |
| პირადი შემადგენლობა (მილიონებში) | 2,9 | 1,0:1,2 | 3,5 |
| სატანკო დივიზია | 40 | 2,3:1 | 17 |
| მექანიზებული დივიზია | 20 | 1,2:1 | 16,5 |
| ქვემეხი და ნაღმტყორცნი (ათასებში) | 49,3 | 1,6:1 | 31,0 |
| ტანკი და ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი (ათასებში) | 10,0 | 2,8:1 | 3,5 |
| საბრძოლო თვითმფრინავი (ათასებში) | 7,7 | 1,9:1 | 4,0 |

დღეს ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა ხასიათის მასალის ანალიზი გვარწმუნებს, რომ წითელი არმია მზად არ იყო გერმანიის არმიის შეტევის შესაჩერებლად და, მით უმეტეს, კონტრშეტევის განსახორციელებლად.

გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის ყოველმხრივ გულდასმით ემზადებოდა. დაძაბული მუშაობა არ წყდებოდა

ბოლო წუთებამდე. ყველა გრძნობდა, რომ ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი ომი.

*გერმანიის პროპაგანდის მინისტრ ი. გებელსის დღიურიდან:*

*1941 წლის 24 მაისი. „ჩვენ მთელს მსოფლიოში გულდასმით ვავრცელებთ ხმებს, უპირველეს ყოვლისა ნეიტრალური პრესით, ინგლისში მომავალი შეჭრის თაობაზე".*

*1941 წლის 25 მაისი. „ინგლისში შეჭრის შესახებ გავრცელებული ხმები მოქმედებს. ინგლისში უკიდურესად ნერვოზული განწყობილება მეფობს. რაც შეეხება რუსეთს, ჩვენ შევძელით ცრუ ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადის გავრცელება".*

*1941 წლის 31 მაისი. „გრძელდება ოპერაცია „ბარბაროსასათვის" მზადება... მობილიზებულია მთელი სახელმწიფო და სამხედრო აპარატი. ნამდვილი მიზეზი იცის მხოლოდ რამდენიმე კაცმა".*



*იოზეფ გებელსი*

*1941 წლის 18 ივნისი. „რუსეთის მიმართ გეგმების შენიღბვამ აპოგეას მიაღწია. ჩვენ მსოფლიო ავავსეთ ხმების ისეთი რაოდენობით, რომ საეჭვოა ვინმე რაიმეში გაერკვეს".*

*1941 წლის 21 ივნისი. „რუსეთის საკითხი ყოველ საათში მწვავდება. მოლოტოვმა ბერლინში ვიზიტად ჩამოსვლა მოითხოვა, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. გულუბრყვილო წინადადებაა. ეს უნდა გაკეთებულიყო ნახევარი წლის წინ... ფინეთში მობილიზაცია დაიწყო. ახლა მოსკოვმა უნდა დაინახოს, თუ რა ემუქრება ბოლშევიზმს".*

# თავი II. საბჭოთა სახელმწიფო დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1945 წწ.)

## § 1. ომის საწყისი პერიოდი (1941 წლის ივნისი — 1942 წლის ნოემბერი)

**1. სასაზღვრო ბრძოლები.** 1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას, 3 საათსა და 30 წუთზე, გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გერმანიის ჯარებმა ერთბაშად გადალახეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი უზარმაზარ სივრცეზე — ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. დაიწყო დიდი სამამულო ომი.

1941 წლის 22 ივნისს დილის 4 საათზე საბჭოთა კავშირის ელჩს ბერლინში ვლადიმერ დეკანოზოვს გადაეცა გერმანიის მთავრობის მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო: „გერმანიის მიმართ საბჭოთა მთავრობის მტრული მოქმედება და სერიოზული საფრთხე, რომელიც შეიქმნა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებისაკენ რუსეთის ჯარების გადაადგილების შედეგად, გერმანიას იძულებულს ხდის მიიღოს შესაბამისი ზომები". იმავდროულად გერმანიის ელჩმა მოსკოვში ვერნერ ფონ შულენბურგმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ მოლოტოვს ოფიციალურად აცნობა ომის დაწყების შესახებ. გერმანიის პროპაგანდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებულ ომს ამართლებდა „ბოლშევიზმის სასიკვდილო საფრთხისაგან ცივილიზაციის გადარჩენის" აუცილებლობით.

გერმანიის ჯარების შეტევა დაიწყო ძლიერი საარტილერიო მომზადებით. ათასობით ქვემეხიდან და ნაღმტყორცნიდან გერმანელებმა ცეცხლი გაუხსნეს სასაზღვრო საგუშაგოებს, ჯარების დისლოკაციის ადგილებს, სამხედრო შენაერთების შტაბებს, კავშირგაბმულობის კვანძებს, თავდაცვით ნაგებობებს. დაზვერვის კარგი მუშაობის წყალობით ყველა ამ ობიექტის მდებარეობა (კოორდინატები) გერმანელებმა ომის დაწყების წინ ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ. სწორედ ამიტომ ომის დაწყებიდან პირველ საათებშივე გერმანიის არტილერიამ სამიზნეთა აბსოლუტური უმრავლესობა მწყობრიდან გამოიყვანა, დაიღუპა უამრავი ჯარისკაცი და ოფიცერი, ასევე სამოქალაქო მოსახლეობა.

საარტილერიო მომზადების დასრულებისთანავე გერმანიის ავიაციამ დაიწყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დაბომბვა დასავლეთის საზღვრიდან ქვეყნის სიღრმეში 400 კილომეტრიან ზოლზე. მასობრივად დაიბომბა ქალაქები: მურმანსკი, ლიეპაია, რიგა, კაუნასი, სმოლენსკი, კიევი, ჟიტომირი; სამხედრო-საზღვაო ბაზები: კრონშტადტი, იზმაილი, სევასტოპოლი. საბჭოთა ჯარების მართვის პარალიზების მიზნით დასავლეთ სასაზღვრო სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე გერმანელებმა მასობრივად გადასხეს დივერსანტები. გერმანიის ავიაციამ განსაკუთრებით ძლიერი დარტყმები მიაყენა საბჭოთა აეროდრომებს, რითაც უზრუნველყო თავის გაბატონება მთელს საჰაერო სივრცეში. გარდა აეროდრომებისა საბჭოთა კავშირის დასავლეთის სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე გერმანელებმა გაანადგურეს 1200 საბრძოლო თვითმფრინავი (ამ თვითმფრინავების უმეტესობა

აეროდრომიდან აფრენამდე იქნა განადგურებული). საბჭოთა ავიაციის მოქმედება შეზღუდა სარდლობის არასწორმა გადაწყვეტილებამ. დასავლეთის საზღვართან ახლოს განლაგებულ საავიაციო შენაერთებს ებრძანათ გერმანელების ავიაციაზე იერიში მიეტანათ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი სახელმწიფო საზღვარს დაარღვევდნენ, არავითარ შემთხვევაში არ დაებომბათ სახელმწიფო საზღვრის მიღმა მდებარე გერმანელთა აეროდრომები, ჯარების კონცენტრაციის ადგილები და სხვა სამხედრო ობიექტები.

შესანიშნავად იყო ორგანიზებული არა მარტო გერმანელთა საარტილერიო მომზადება და საავიაციო დაბომბვები, არამედ ქვეითი და მოტორიზებული ჯარის შეტევა. ქვეითი ჯარის დამრტყმელმა დაჯგუფებებმა, მოტორიზებულმა სატანკო და საარტილერიო ნაწილებმა ურთიერთშეთანხმებული მოქმედებით სასაზღვრო საგუშაგოების განადგურების შემდეგ ომის პირველსავე დღეებში ისე სწრაფად წაიწიეს წინ, რომ საბჭოთა ჯარებმა ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა ვერც კი მოახერხეს. გერმანელები სწრაფი მანევრების წყალობით ადვილად გადიოდნენ საბჭოთა ჯარების ზურგში და თავიანთ კონტროლს უქვემდებარებდნენ სტრატეგიულ ობიექტებს: რკინიგზისა და შოსე გზების ხიდებს, რკინიგზის სადგურებს, კავშირგაბმულობის კვანძებს და ა. შ.

1941 წლის 22 ივნისს ბალტიისპირეთის, დასავლეთისა და კიევის სასაზღვრო სამხედრო ოლქები გარდაიქმნა ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებად. ახლადშექმნილი ფრონტების სარდლებად დაინიშნენ გენერალი ფეოდორ კუზნეცოვი (ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი), გენერალი დიმიტრი პაველოვი (დასავლეთის ფრონტი) და გენერალი მიხეილ კირპონოსი (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი).

*ფეოდორ ისიდორესძე კუზნეცოვი (1898-1961).*



*გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა გლეხის ოჯახში. დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია (1926 წ.). მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, ჰქონდა პრაპორშჩიკის წოდება. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში, იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. 1926 წელს დაინიშნა მოსკოვის ქვეითთა სამხედრო სკოლის უფროსად, 1935-1938 წლებში იყო მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის ფაკულტეტის, კათედრის უფროსი. 1938 წელს დაინიშნა ბელორუსიის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში (1939-1940 წწ.). 1940 წელს დაინიშნა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის უფროსად, ხოლო იმავე წლის აგვისტოში — ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად, 1940-1941 წლებში იყო ბალტიისპირეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, 1941 წლის ივნისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი. ომის დაწყებისთანავე სწორად შეაფასა შექმნილი მძიმე ვითარება და უკან დახევის ბრძანება გასცა. იმავე დღეს გადააყენეს ფრონტის სარდლობიდან. შემდგომ წლებში იყო არმიის სარდალი, ცენტრალური ფრონტის სარდალი. 1942 წლის აპრილში დაინიშნა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის უფროსად. 1943 წლის აგვისტოდან იყო ვოლხოვის ფრონტის, ხოლო 1944 წლის აგვისტოდან კარელიის ფრონტის სარდლის მოადგილე. 1945 წლის თებერვალში დაინიშნა ურალის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. 1948 წელს გავიდა პენსიაზე.*

*დიმიტრი გრიგოლის ძე პაველოვი (1897-1941).*



*არმიის გენერალი. დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია (1928 წ.). მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1919 წელს შევიდა წითელ არმიაში, იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. 1928 წლიდან იყო საკავალერიო და მექანიზებული პოლკების მეთაური. მონაწილეობდა ესპანეთის სამოქალაქო ომსა და საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში (1939-1940 წწ.). 1937 წლიდან მუშაობდა წითელი არმიის ავტოჯავშანსატანკო სამმართველოს უფროსად. 1938 წელს სხვა სამხედროებთან ერთად წერილით მიმართა ი. სტალინს წითელ არმიაში რეპრესიების შეწყვეტის შესახებ. 1940 წლის ივნისიდან იყო ბელორუსიის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარების, ხოლო იმავე წლის ივლისიდან დასავლეთის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. 1940 წელს ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა: „ჩვენ იმდენი ხალხის მტერი აღმოგვაჩნდა, ეჭვი მეპარება, რომ ყველანი ისინი ხალხის მტრები იყვნენ". 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებში ი. სტალინსა და თავდაცვის სახალხო კომისარიატს გაუგზავნა დაშიფრული ტელეგრამა, რომელშიც ითხოვდა: ჯარების გაყვანას საბრძოლო პოზიციებზე, სამხედრო ოლქის ჯარებში ნაწილობრივი მობილიზაციის დაწყებას, სამხედრო ოლქის ჯარების მომარაგებას კავშირგაბმულობის საშუალებებითა და ტანკების რაოდენობის გაზრდას. 1941 წლის ივნისში გახდა დასავლეთის ფრონტის ჯარების სარდალი. ომის პირველ დღეებშივე დასავლეთის ფრონტი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაშინ, როცა ფრონტის ჯარებმა*

გერმანიის ჯარების შეტევის შეჩერება ვერ შეძლო, უმაღლესი მთავარსარდლობა შეტევაზე გადასვლას ითხოვდა. გერმანელებმა დასავლეთის ფრონტის ჯარები გაანადგურეს. ომის პირველი 17 დღის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა 625 ათასი კაციდან 420 ათასი დაკარგეს დ. პავლოვს, ფრონტის შტაბის უფროსს, კავშირგაბმულობის უფროსს და ფრონტის მე-4 არმიის სარდალს ბრალი დასდეს ლაჩრობაში, ფრონტის ჯარების მართვის წინასწარგანზრახვით მოშლასა და გერმანელებისათვის პოზიციების უბრძოლველად ჩაბარებაში. დ. პავლოვსა და მის თანამებრძოლებს ჩამოერთვათ სამხედრო წოდება და მიესაჯათ სიკვდილით დასჯა. ყველანი დახვრიტეს. 1956 წელს დ. პავლოვი რეაბილიტირებული იქნა.

მიხეილ პეტრეს ძე კირპონოსი (1882-1941). გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა გლეხის ოჯახში. დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია (1927 წ.). მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, იყო სამხედრო ფელდშერი. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში, იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მეთაურობდა ბატალიონსა და პოლკს. სამოქალაქო ომის შემდეგ იყო წითელ ზემდეგთა სკოლის უფროსი და დივიზიის



შტაბის უფროსი, 1934-1939 წლებში -- ყაზანის სამხედრო სასწავლებლის უფროსი. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის (1939-1940 წწ.) დროს მეთაურობდა 70-ე მსროლელ დივიზიას. მ. კირპონოსი დაწინაურდა წითელი არმიის მეთაურთა კადრების წმენდის პერიოდში. 1940 წლის აპრილიდან იყო მსროლელი კორპუსის მეთაური, 1940 წლის ივნისიდან ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების, ხოლო 1941 წლის თებერვლიდან კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. ითვლებოდა ი. სტალინის ერთ-ერთ ფავორიტად. 1941 წლის ივნისში დაინიშნა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის სარდლად. მ. კირპონოსი არ გამოირჩეოდა სამხედრო ტალანტით, ერთგულად ასრულებდა ცენტრიდან მიღებულ ყველა ბრძანებას. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარებმა დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინაში სასტიკი მარცხი განიცადეს. მ. კირპონოსის გაუბედავი მოქმედების გამო ფრონტის ჯარების დიდი ნაწილი კიევთან ალყაში მოჰყვა. ალყიდან გამოსვლის მცდელობისას მ. კირპონოსი ნაღმტყორცნის ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა და გარდაიცვალა. უფრო სწორი უნდა იყოს ვერსია, რომლის მიხედვითაც მ. კირპონოსმა თავი მოიკლა.

1941 წლის 24 ივნისს ლენინგრადის სამხედრო ოლქი გარდაიქმნა ჩრდილოეთის ფრონტად (ფრონტის სარდალი გენერალი მ. პოპოვი), ხოლო მე-9 და მე-19 არმიების ბაზაზე შეიქმნა სამხრეთის ფრონტი (ფრონტის სარდალი გენერალი ი. ტიულენევი).

მარკიან მიხეილის ძე პოპოვი (1902-1969). არმიის გენერალი. დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია (1936 წ.). მონაწილეობდა სამოქალაქო ომში. 1920 წელს ჩაირიცხა წითელ არმიაში, იყო პოლკის სკოლის უფროსი, ბატალიონის მეთაური. 1936 წელს დაინიშნა მექანიზებული ბრიგადის შტაბის უფროსად, 1938 წელს -- შორეული აღმოსავლეთის პირველი არმიის შტაბის



უფროსად, 1939 წელს -- ამავე არმიის სარდლად, 1941 წლის იანვარში -- ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. 1941 წლის ივნისიდან სექტემბრამდე სარდლობდა ჯერ ჩრდილოეთის, ხოლო შემდეგ ლენინგრადის ფრონტს 1941-1943 წლებში იყო 61-ე, მე-40, მე-5, მე-5 სატანკო არმიების სარდალი, სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის სარდლის მოადგილე. 1943-1944 წლებში სარდლობდა დამრტყმელი დაჯგუფების მარცხენა ფლანგზე განლაგებულ ჯარებს. 1944 წელს იყო ლენინგრადისა და ბალტიისპირეთის მეორე ფრონტის შტაბების უფროსი. 1945 წლის შემდეგ ეკავა რამდენიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა არმიასა და თავდაცვის სამინისტროს სისტემაში.

ივანე ვლადიმერის ძე ტიულენევი (1892-1978). არმიის გენერალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. დაამთავრა წითელი არმიის სამხედრო აკადემია (1922 წ.). მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში, იყო პირველი ცხენოსანი არმიის დაზვერვის უფროსი, საკავალერიო ბრიგადის მეთაური. მონაწილეობდა დამსჯელ ექსპედიციებში. კრონშტადტის აჯანყების



ჩახშობისას (1921 წ.) იყო დამსჯელი ექსპედიციის ერთ-ერთი პოლკის მეთაური. ტამბოვის გუბერნიაში გლეხთა აჯანყების ჩახშობის დროს მეთაურობდა ბრიგადას. იმავდროულად იყო ტამბოვის გუბერნიის ერთ-ერთი რაიონის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე, რომელმაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანა აჯანყების მონაწილე გლეხებს. დამსჯელ ექსპედიციებში მონაწილეობდა შემდგომ ხანებშიც. სამოქალაქო ომის შემდგომ მეთაურობდა ბრიგადას, დივიზიას, იყო ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის კავალერიის ინსპექტორი. 1938 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, ხოლო 1940 წელს მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. საბჭოთა ჯარების მიერ დასავლეთ

*უკრაინის ოკუპაციის დროს (1939 წლის სექტემბერი) მეთაურობდა მე-12 არმიას. 1941 წლის ივნის-აგვისტოში იყო სამხრეთის ფრონტის სარდალი, 1941 წლის ნოემბრიდან – 28-ე სარეზერვო არმიის სარდალი, 1942 წლის მარტიდან — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, 1945-1946 წლებში – ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. ომის შემდგომ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. დაწერილი აქვს ძალზე ტენდენციური მემუარები სათაურით „Через три войны" (მოსკოვი, 1972).*

1941 წლის 23 ივნისს შეიქმნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა თავდაცვის სახალხო კომისარი ს. ტიმოშენკო. 1942 წლის 8 აგვისტოს ეს ორგანო გადაკეთდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკად, რომლის თავმჯდომარე ომის ბოლომდე იოსებ სტალინი იყო.



*სიმონ კონსტანტინეს ძე ტიმოშენკო (1895-1970). მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. დაამთავრა უმაღლესი აკადემიური კურსები (1922 წ., 1927 წ.) და ნ. ტოლმაჩევის სახ. სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის მეთაურთა კურსები. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. 1917 წელს შევიდა წითელ გვარდიაში, 1918 წელს – წითელ არმიაში. იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მეთაურობდა საკავალერიო პოლკს და ბრიგადას. 1919 წლიდან იბრძოდა ს. ბუდიონის ცხენოსანი კორპუსის შემადგენლობაში. 1920 წელს იყო პირველი ცხენოსანი არმიის მე-6 დივიზიის, ხოლო 1921 წელს – მე-4 დივიზიის მეთაური. 1925 წლიდან მეთაურობდა ჯერ მე-3, ხოლო შემდეგ მე-6 საკავალერიო კორპუსებს. ი. სტალინი ს. ტიმოშენკოს იცნობდა ჯერ კიდევ პირველი ცხენოსანი არმიიდან და აფასებდა მის სამხედრო ნიჭს. 1933 წელს დაინიშნა ბელორუსიის სამედრო ოლქის ჯარების, ხოლო 1935 წელს კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილედ. 1937 წელს იყო ჯერ ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების, ხოლო შემდეგ ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, 1938 წლის თებერვალში დაინიშნა კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარდა უკრაინაში წითელი არმიის მეთაურთა კადრების წმენდა. 1939 წლის სექტემბერში მისი სარდლობით უკრაინის ფრონტის ჯარებმა მოახდინეს დასავლეთ უკრაინის ოკუპაცია. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის (1939-1940 წწ.) მეორე ეტაპზე, 1940 წლის 7 იანვრიდან, სარდლობდა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტს. მიუხედავად დიდი რიცხობრივი უპირატესობისა ჩრდილო-დაოსავლეთის ფრონტის ჯარებმა ვერ მესძლეს ფინეთის ჯარების განადგურება, თუმცა ქვეყნის სიღრმეში კი დაახევინეს. 1940 წლის 7 მაისს დაინიშნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრად. ამ თანამდებობაზე მუშაობისას ყველაფერს აკეთებდა წითელი არმიის გაძლიერების მიზნით. 1941 წლის ივნისში იყო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის თავმჯდომარე, პრაქტიკულად მის ხელში იყო წითელი არმიის სარდლობა ომის პირველ დღეებში. 1941 წლის 1 ივლისიდან იმავდროულად იყო დასავლეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდალი. 1941 წლის 19 ივლისს ი. სტალინი გახდა თავდაცვის სახალხო კომისარი, ხოლო ს. ტიმოშენკო მის მოადგილედ დაინიშნა. 1941 წლის 19 სექტემბერს გაათავისუფლეს თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან და დანიშნეს სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების ჯარების მთავარსარდლად (ამ თანამდებობაზე დარჩა 1942 წლის ივლისამდე). იმავდროულად სარდლობდა დასავლეთის ფრონტს (1941 წლის ივლისი-სექტემბერი), სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს (1941 წლის სექტემბერი-დეკემბერი და 1942 წლის აპრილ-ივლისი), სტალინგრადის ფრონტს (1942 წლის ივლისი), ჩრდილო-დასავლეთის ფრონტს (1942 წლის ოქტომბერი — 1943 წლის ივნისი). 1942 წლის მაისში სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარებმა ს. ტიმოშენკოს სარდლობით ხარკოვთან უდიდესი მარცხი განიცადეს (დაკარგეს 230 ათასი კაცი, 775 ტანკი, 5000 ქვემეხი) 1943 წლის მარტიდან 1945 წლის მაისამდე, როგორც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი, კოორდინაციას უწევდა სხვადასხვა ფრონტების ჯარების მოქმედებას. ომის შემდგომ იყო სხვადასხვა სამხედრო ოლქების ჯარების სარდალი, ხოლო შემდეგ მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. ს. ტიმოშენკოს ქალიშვილი ეკატერინე იყო ი. სტალინის ვაჟის ვასილის მეუღლე.*

1941 წლის 22 ივნისს დილის 7 საათსა და 15 წუთზე საბჭოთა კავშირის მთავარმა სამხედრო საბჭომ გამოსცა დირექტივა ჯარებისადმი აქტიური სამხედრო მოქმედებების დაწყების შესახებ. ცხადია, ამ დირექტივის გადაცემას დასავლეთის სამხედრო ოლქების, არმიებისა და დივიზიების შტაბებში დრო დასჭირდა. დირექტივის მიღების მომენტისათვის სახელმწიფო საზღვართან განლაგებული საბჭოთა ჯარების დივიზიების, პოლკებისა და ბატალიონების უმრავლესობა უკვე ბრძოლაში იყო ჩაბმული, აეროდრომების დიდი უმრავლესობა დაბომბილი იყო, გერმანელი დივერსანტები აქტიურად მოქმედებდნენ საბჭოთა ჯარების ზურგში.

1941 წლის 22 ივნისის სალამოსათვის მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის ფრონტების ჯარების მესაყარზე და დასავლეთის ფრონტის მარცხენა ფლანგზე. არმიების, კორპუსებისა და დივიზიების შტაბებ-

მა სარდლობის მიერ დასახული ამოცანა საზღვრისპირა რაიონების დაცვის შესახებ ვერ შეასრულეს, რადგან აღმოჩნდნენ სრულიად განსხვავებულ პირობებში. ვითარების მიხედვით მოქმედების დაწყებაც შეუძლებელი იყო, რადგან შტაბებს არ გააჩნდათ მონაცემები მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შესახებ. მუდმივი კავშირი ფრონტის, არმიების, კორპუსებისა და დივიზიების შტაბებს შორის არ არსებობდა. ფრონტების შტაბებს არ ჰქონდათ მონაცემები მათ დაქვემდებარებაში მყოფ ჯარებში მოკლულთა და დაჭრილთა, საბრძოლო საჭურვლის მარაგის შესახებ. ხშირ შემთხვევაში არაზუსტი და დაგვიანებული იყო ცნობები არმიების, კორპუსებისა და დივიზიების მიერ დაკავებული თავდაცვითი ზღუდეების შესახებ. თავდაცვით ბრძოლებში ჩაბმულმა დივიზიებმა, პოლკებმა და ბატალიონებმა ხშირად არ იცოდნენ მათ ფლანგებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ და ალყაში მოხვედრის შიშით უკან იხევდნენ. მუდმივი კავშირის უქონლობის გამო ბევრი სამხედრო ნაწილი ალყაში მოჰყვა. თავდაცვის მეორე ეშელონში განლაგებული ჯარები ისე ებმებოდნენ ბრძოლაში, რომ არც კი იცნობდნენ შექმნილ ოპერატიულ-სტრატეგიულ ვითარებას.

1941 წლის 22 ივნისს დღის ბოლოსათვის დასავლეთის სახელმწიფო საზღვართან განლაგებულ საბჭოთა ჯარებს გერმანელებმა დაახლოებით 40 კილომეტრით დაახევინეს უკან. 22 ივნისს საღამოს დასავლეთის ფრონტის შტაბმა მის დაქვემდებარებაში მყოფ ჯარებს უბრძანა ღამის განმავლობაში მოეხდინა დაჭრილების ევაკუირება ზურგში, საბრძოლო საჭურველისა და 'ანვავის მარაგის შევსება და 23 ივნისს დილით გადასვლა კონტრშეტევაზე. ამ ბრძანების შესრულება შეუძლებელი იყო. ორი დღის ცხარე ბრძოლების შემდეგ დასავლეთის ფრონტის ჯარებმა სახელმწიფო საზღვრიდან 100 კილომეტრით დაიხიეს.

მსგავსი ვითარება იყო შექმნილი სხვა ფრონტებზეც. საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებულ კონტრშეტევებს უმნიშვნელო შედეგები მოჰყვა, ცოცხალი ძალის დანაკარგი კი დიდი იყო. დასავლეთის ფრონტის ზოგიერთმა შენაერთმა შეძლო გერმანელთა შეტევის შეჩერება და ისიც მცირე ხნით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ფრონტის ჯარებს არავითარი შანსი არ ჰქონდათ სარდლობის მიერ დასახული ამოცანის შესრულებისა — არც მოწინააღმდეგის არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" შეჩერება და მით უმეტეს კონტრშეტევის განხორციელება ფრონტის ჯარებს არ შეეძლოთ.

*ფ. ჰალდერის სამხედრო დღიურიდან (1941 წლის 22 ივნისი): „დილის ცნობებიდან ირკვევა, რომ ყველა არმია, გარდა მე-11 არმიისა (არმიათა დაჯგუფება „სამხრეთის" მარჯვენა ფლანგი, რუმინეთში) შეტევაზე გადავიდა გეგმის თანახმად. ჩვენი ჯარების შეტევა, როგორც ჩანს, მთელს ფრონტზე მოწინააღმდეგისათვის სრულ ტაქტიკურ მოულოდნელობას წარმოადგენდა.*

*სასაზღვრო ხიდები ბუგზე და სხვა მდინარეებზე ჩვენმა ჯარებმა ყველგან ბრძოლების გარეშე და ყოველგვარი დაზიანების გარეშე ჩაიგდეს ხელში. მოწინააღმდეგისათვის ჩვენი ჯარების შეტევის სრულ მოულოდნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამხედრო ნაწილებს თავს დაესხნენ მოულოდნელად, ყაზარმულ მდგომარეობაში. თვითმფრინავები აეროდრომებზე იდგნენ ბრეზენტით დაფარულები, ხოლო მოწინავე ნაწილები, რომლებსაც ჩვენი ჯარები მოულოდნელად დაესხნენ თავს, სარდლობას ეკითხებოდნენ. ჩვენი მობილური ნაწილების სწრაფი წინ წაწევის შედეგად, რის სრული შესაძლებლობაც ამჯერად არსებობს, უნდა ველოდეთ მოვლენათა განვითარებაზე მოულოდნელობის ელემენტის კიდევ უფრო მეტ გავლენას...*

*სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის ცნობით დღეს განადგურებულია მოწინააღმდეგის 850 თვითმფრინავი, მათ შორის ბომბდამშენთა მთელი ესკადრილიები, რომლებიც ჰაერში აფრინდნენ გამანადგურებელთა თანხლების გარეშე და ჩვენი გამანადგურებლების შეტევის შედეგად განადგურებული იქნენ".*

დასავლეთის ფრონტის ჯარების თავდაცვის გარღვევის შემდეგ არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" სატანკო შენაერთებმა ავიაციის ძლიერი მხარდაჭერით 1941 წლის 9 ივლისს დაასრულეს დასავლეთის ფრონტის ჯარების საუკეთესო ნაწილების ალყაში მოქცევა და განადგურება. ბელოსტოკ-მინსკის რაიონში გერმანელებმა ტყვედ იგდეს 323 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი. დასავლეთის ფრონტის ჯარებმა ბრძოლებში დაკარგეს 418 ათასი კაცი. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ფრონტის ჯარებმა მედგარი წინააღმდეგობის შედეგად გარკვეული დროით შეაჩერეს გერმანელების არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" შეტევა სმოლენსკ-მოსკოვის მიმართულებით. ბელორუსიაში თავდაცვითი ბრძოლების წარუმატებლობა დაბრალდა დასავლეთის ფრონტის სარდალ გენერალ დ. პავლოვს, ფრონტის შტაბის უფროს ვ. კლიმოვსკის, ფრონტის კავშირგაბმულობის უფროს ა. გრიგორიევს და მე-4 არმიის სარდალ ა. კორობკოვს. ოთხივენი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს

სამხედრო კოლეგიის განაჩენის საფუძველზე 1941 წლის 22 ივლისს დახვრიტეს.

ომის პირველ დღეებში ჩრდილო-დასავლეთ ფრონტის ჯარებმა ვერ შესძლეს მოწინააღმდეგისათვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა ვერც მდინარე დასავლეთ დვინის მარჯვენა სანაპიროზე და ვერც ქალაქ ფსკოვთან, მდინარე ველიკოეზე. 1941 წლის 9 ივლისს გერმანელებმა ფსკოვი აიღეს, რითაც სერიოზული საფრთხე შეექმნა ლენინგრადს. ლენინგრადის დაცვის საქმეს აფერხებდა ისიც, რომ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი მისადგომები არ იყო გამაგრებული. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ჯარების დიდი შენაერთების განადგურება გერმანელებმა ლენინგრადის მიმართულებით მაინც ვერ შეძლეს.

შედარებით უკეთესი ვითარება შეიქმნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. ფრონტის სარდლობამ შეძლო გერმანელთა შეტევის მთავარი მიმართულებით დიდი ძალების დაჯგუფება და მათი ბრძოლაში ჩაბმა. შედეგი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ფრონტის სარდლობას მთელი ძალები ერთდროულად რომ ჩაება ბრძოლაში. 1941 წლის 23 ივნისს ლუცკი-ბროდი-როვნოს რაიონში გაიმართა ომის საწყისი ეტაპისათვის ყველაზე დიდი სატანკო ბრძოლა. საბჭოთა ჯარებმა შეძლეს მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერება მთელი ერთი კვირით, რითაც თავიდან იქნა აცილებული ლვოვის რაიონში სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარების ძირითადი ნაწილის ალყაში მოხვედრა. მიუხედავად ამისა, 1941 წლის ივნისის ბოლოს ცხადი გახდა, რომ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარებმა ვერ შეძლეს ფრონტის სიღრმეში შეჭრილი გერმანიის სატანკო და მექანიზებული შენაერთების განადგურება. მოწინააღმდეგის ავიაცია გაბატონდა საჰაერო სივრცეში. ფრონტის ჯარებმა დაკარგეს უამრავი ჯარისკაცი და ოფიცერი, განადგურდა ტანკებისა და ავიაციის დიდი ნაწილი.

ომის დსაწყისში კატასტროფული აღმოჩნდა საბჭოთა ჯარებისათვის. საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან სამი კვირის განმავლობაში გერმანელებმა დაიკავეს ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ბელორუსია, უკრაინისა და მოლდავეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ პერიოდში გერმანიის არმიამ საბჭოთა კავშირის სიღრმეში წინ წაიწია: ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით — 450-500 კილომეტრი, დასავლეთის მიმართულებით — 450-600 კილომეტრი და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით — 300-350 კილომეტრი. სასწრაფო წესით ბრძოლაში ჩაბმულმა სარეზერვო ჯარებმა მხოლოდ უმნიშვნელო დროით მოახერხეს მოწინააღმდეგის შეჩერება. საბოლოო ჯამში, ლენინგრადის, სმოლენსკისა და კიევის მიმართულებით გერმანიის ჯარების გაჭრის საფრთხის ლიკვიდირება ვერ მოხერხდა.

დიდი სამამულო ომის საწყის ეტაპზე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სერიოზული მარცხი მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

პირველი. ყველაფრის მიუხედავად, ომი მაინც მოულოდნელად დაიწყო, რამაც გერმანიას სერიოზული უპირატესობა მისცა;

მეორე. დასავლეთის სასაზღვრო სამხედრო ოლქების შემადგენლობაში მყოფი არმიების, კორპუსების, დივიზიებისა და პოლკების მნიშვნელოვანი ნაწილი ცოცხალი ძალით ბოლომდე არ ყოფილა დაკომპლექტებული, სამხედრო შენაერთებს მიღებული არ ჰქონდათ ომის პერიოდის შტატით გათვალისწინებული შეიარაღება და საბრძოლო საჭურველი;

მესამე. დაბალი იყო სხვადასხვა სახეობის ჯარების მოქმედების კოორდინაციის დონე. ქვეითი, საავიაციო, სატანკო და საარტილერიო შენაერთები ხშირად ვერ მოქმედებდნენ შეთანხმებულად;

მეოთხე. ცუდად იყვნენ ომისათვის მომზადებული დასავლეთის სამხედრო ოლქების ტერიტორიაზე განლაგებული ძირითადი ძალები. ტრაგედია იყო არა ის, რომ უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის დასაცავად გამიზნულმა 30 დივიზიამ ვერ შეძლო მოწინააღმდეგის შეჩერება, არამედ ის, რომ დაკისრებული ამოცანა ვერ შეასრულეს დასავლეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების ჯარებმა;

მეხუთე. ომის დაწყებამდე დასავლეთის სასაზღვრო სამხედრო ოლქების (შემდეგ ფრონტების) ჯარებისათვის მიცემული მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერებისა და შემდეგ კონტრშეტევის განხორციელების გეგმა იყო არარეალური, მისი შესრულება შეუძლებელი იყო.

მეექვსე. ომის წინ დასახული საბრძოლო მოქმედების გეგმის ჩაშლის შემდეგ ფრონტების სარდლობამ ვერ შესძლო შექმნილი ვითარების სწორად შეფასება და საკუთარი გეგმით მოქმედება. ამის მიზეზი იყო უმაღლესი მთავარსარდლობის დაგვიანებული გადაწყვეტილებები და თვით ფრონტების სარდლობის უუნარობა.

მეშვიდე. ომის პირველ დღეებშივე გაირკვა, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, რიგითი ჯარისკაციდან დაწყებული გენერლით

დამთავრებული, არ ჰქონდა ისეთი დიდი საბრძოლო გამოცდილება, როგორიც საჭირო იყო გერმანიის არმიის შეტევის შესაჩერებლად და მით უმეტეს, დასამარცხებლად.

მერვე. გერმანიის არმია, მისი გენერალიტეტი, ოფიცრები და ჯარისკაცები, ოპერატიულ-სტრატეგიული და სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით, საბრძოლო გამოცდილებით ომისათვის გაცილებით უკეთ იყო მზად, ვიდრე წითელი არმია.

**2. გარდაქმნები ომის მოთხოვნათა შესაბამისად.** 1941 წლის 22 ივნისს, დღის 12 საათზე, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სახელით საბჭოთა ხალხს რადიოთი მიმართა ვიაჩესლავ მოლოტოვმა. მიმართვა მთავრდებოდა სიტყვებით: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“. მიმართვის ტექსტი დაწერილი იყო იოსებ სტალინის მიერ. პირადად იოსებ სტალინი რადიოთი მხოლოდ 1942 წლის 3 ივლისს გამოვიდა. იოსებ სტალინის გამოსვლის ტექსტი წარმოადგენდა ცოტა ხნით ადრე, 1941 წლის 29 ივნისს, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი დადგენილების გავრცობილ ვარიანტს (ცხადია, ეს დადგენილებაც იოსებ სტალინის მიერ იყო დაწერილი). ორივე დოკუმენტი (1941 წლის 29 ივნისის დადგენილება და 1941 წლის 3 ივლისის იოსებ სტალინის გამოსვლა) შეიცავდა შექმნილი ურთულესი ვითარების უაღრესად ზუსტ ანალიზს, დასახული იყო მტრის განადგურების გეგმა. ორივე დოკუმენტიდან ცხადი ხდებოდა, რომ იოსებ სტალინმა შეიმუშავა საბჭოთა კავშირის ერთიან სამხედრო ბანაკად გადაქცევის გეგმა. ქვეყანაში იწყებოდა ცოცხალი ძალისა და ეკონომიკის ტოტალური მობილიზაცია. იოსებ სტალინმა იმთავითვე გააკეთა უაღრესად სწორი დასკვნა: ომში გაიმარჯვებდა ის, ვინც განახორციელებდა ყველა შესაძლებლობის მანამდე არნახულ ტოტალურ მობილიზაციას. ეს, პირველ რიგში, ეხებოდა ადამიანის ფიზიკურ და მორალურ შესაძლებლობებს. იოსებ სტალინმა ცხადად მიანიშნა, რომ ქვეყანაში დამყარდებოდა უაღრესად მკაცრი რეჟიმი. უზარმაზარი ქვეყანა იცხოვრებდა ერთი დევიზით: „ყველაფერი ომისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“

თუ ღრმად გავაანალიზებთ 1941 წლის 29 ივნისის დადგენილებასა და იოსებ სტალინის 1941 წლის 3 ივლისის გამოსვლას ნათელი გახდება ერთი რამ: იოსებ სტალინი ცხადად გრძნობდა, რომ დაწყებული ომი არ იქნებოდა ხანმოკლე, იგი დიდხანს გაგრძელდებოდა და დიდ მსხვერპლსაც მოითხოვდა. ამაზე აშკარა მინიშნება, ცხადია, იოსებ სტალინს არ შეეძლო. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ლიდერმა მთელი პირდაპირობით განაცხადა: გერმანიის დამარცხება გარდაუვალია! ეს არ იყო ხალხის დასამშვიდებლად გამიზნული პოპულისტური გამონათქვამი. ეს იყო თავის ძალებში დარწმუნებული სახელმწიფო მოღვაწის, პოლიტიკური ლიდერისა და უმაღლესი მხედართმთავრის მიერ გაკეთებელი რეალისტური პროგნოზი.

1941 წლის 30 ივნისს შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: იოსებ სტალინი (თავმჯდომარე), ვიაჩესლავ მოლოტოვი (თავმჯდომარის მოადგილე), კლიმენტ ვოროშილოვი, გიორგი მალენკოვი, ლავრენტი ბერია. მოგვიანებით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრები გახდნენ: ნიკოლოზ ბულგანინი,



იოსებ სტალინი

**ნიკოლოზ ვოზნესენსკი, ლაზარ კაგანოვიჩი, ანასტას მიქოიანი.**



*გიორგი მაქსიმილიანეს ძე მალენკოვი (1901-1988).* სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა ნ. ბაუმანის სახ. მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში (არ დაუმთავრებია). 1919 წელს შევიდა წითელ არმიაში. იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. 1921 წელს შევიდა ს. შაუმიანის სახ მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, სწავლა არც ამჯერად დაუმთავრებია. 1935 წელს დაინიშნა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს ტექნიკურ მდივნად, 1927 წლიდან სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ტექნიკური მდივანია. ჩამოყალიბდა როგორც უპრინციპო ჩინოვნიკი და კარიერისტი. 1930 წლიდან მუშაობდა სკპ(ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის საავიტაციო განყოფილების გამგედ. პირადად მონაწილეობდა მოსკოვში პარტიული კადრების წმენდაში 1934-1939 წლებში იყო სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ განყოფილების გამგე, რომელიც ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მუშაობას კურირებდა. ამ პერიოდში ძალზე დაუახლოვდა ი. სტალინს, უსიტყვოდ ასრულებდა მის დავალებებს. გ. მალენკოვი ნ. ეჟოვთან ერთად იყო 1937-1938 წლების პოლიტიკური რეპრესიების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, პირადად ესწრებოდა ბრალდებულთა დაკითხვებს, ბევრს მოგზაურობდა რეგიონებში რეპრესიების ტემპის დასაჩქარებლად. 1937 წელს მისი უშუალო მითითებებით ჩატარდა რეპრესიები ბელორუსიასა და სომხეთში. რეპრესიების გატარებისას თავი იმდენად გამოიჩინა, რომ ნ. ეჟოვს თავის მოადგილედ უნდოდა გადაეყვანა. 1939 წელს გახდა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების სამმართველოს უფროსი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი, 1939-1952 წლებში იყო სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს წევრი. 1941-1945 წლებში იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი. ომის პერიოდში კურირებდა საავიაციო მშენებლობას, ხშირად მოგზაურობდა ფრონტებზე. 1943-1945 წლებში იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული განთავისუფლებულ ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობის აღმდგენი კომიტეტის თავმჯდომარე. 1944 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1946 წელს ი. სტალინმა ყველა თანამდებობა დაატოვებინა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სპეციალური ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარედ გადაიყვანა. ლ. ბერიას ინიციატივით ი. სტალინმა გ. მალენკოვი იმავე 1946 წელს სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად აარჩევინა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედაც დასვა. ამ პერიოდიდან გ. მალენკოვი საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ხელმძღვანელობაში მეორე კაცად იქცა. მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა ა. ჟდანოვის სიკვდილის (1949 წ.) შემდეგ. იყო ომისშემდგომი პოლიტიკური რეპრესიების მთავარი ორგანიზატორი. ი. სტალინის სიკვდილის (1953 წ.) შემდეგ ლ. ბერიასთან და ნ. ხრუშჩოვთან შეთანხმებით გახდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სამაგიეროდ, დაკარგა გავლენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. გ. მალენკოვმა ლ. ბერიასა და ნ. ხრუშჩოვის დაპირისპირებაში ნ. ხრუშჩოვს დაუჭირა მხარი, მაგრამ ამან ვერ უშველა 1955 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დაკარგა. ლ. კაგანოვიჩთან, ვ. მოლოტოვთან, ნ. ბულგანინთან და სხვებთან ერთად ნ. ხრუშჩოვის გადაყენების წარუმატებელი ცდის შემდეგ 1957 წელს დაინიშნა უსტ-კამენოგორსკის ჰესის დირექტორად. 1961 წელს გავიდა პენსიაზე.



*ლავრენტი პავლეს ძე ბერია (1899-1953).* გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგის სოფ. მერხეულში გლეხის ოჯახში. 1919 წელს დაამთავრა ბაქოს საშუალო მექანიკურ-სამშენებლო სასწავლებელი, სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (არ დაუმთავრებია). 1917 წლის ივნისიდან დეკემბრამდე მსახურობდა არმიაში ტექნიკოს-პრაქტიკანტად. 1918-1920 წლებში მუშაობდა ბაქოს საბჭოს სამდივნოში, ქარხნის კანტორაში, ბაქოს საბაჟოზე. 1920 წლის აპრილიდან მაისამდე იყო კავკასიის ფრონტის მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს სარეგისტრაციო განყოფილების რწმუნებული, შემდეგ გაიგზავნა საქართველოში არალეგალურ სამუშაოზე. 1920 წლის ივნისში საქართველოში დააპატიმრეს, მაგრამ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ს. კიროვის მოთხოვნის საფუძველზე გაათავისუფლეს და აზერბაიჯანში გაასახლეს. 1920 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე იყო აზერბაიჯანის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი, 1920 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის თებერვლამდე ბაქოში ბურჟუაზიის ექსპროპრიაციისა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საგანგებო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, 1921-1922 წლებში აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის საიდუმლო-ოპერატიული განყოფილების უფროსი და საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, 1924-1927 წლებში ამიერკავკასიის ფედერაციაში საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი. 1926 წლის დეკემბერში დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარედ და

ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1931 წლის ოქტომბრიდან 1938 წლის ოქტომბრამდე იყო საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, იმავდროულად, 1931 წლის ნოემბრიდან სკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე, ხოლო 1932 წლის ოქტომბრიდან 1937 წლის აპრილამდე - პირველი მდივანი. ლ. ბერია იყო ამიერკავკასიაში ი. სტალინის პოლიტიკის განუხრელად გამტარებელი და 30-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების ორგანიზატორი, რაც, ცხადია, ი. სტალინს შეუმჩნეველი არ დარჩენია. 1938 წლის 22 აგვისტოს დაინიშნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ნ. ეჟოვის მოადგილედ, 1938 წლის 29 სექტემბერს მეუთავსეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს თავმჯდომარეობა. 1938 წლის 25 ნოემბერს დაინიშნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, იმავდროულად მის უშუალო დაქვემდებარებაში დარჩა სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველო (1938 წლის 17 დეკემბერს სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს თავმჯდომარედ ლ. ბერიამ დანიშნა ვ. მერკულოვი). ლ. ბერიამ თითქმის მთლიანად განაახლა ნ. ეჟოვისდროინდელი კადრები. გარდა ამისა, 1939 წელს საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაათავისუფლა უსაფუძვლოდ დასჯილები, სულ 223,6 ათასი კაცი. იმავდროულად ახალი რეპრესიების შედეგად დააპატიმრეს 200 ათასი კაცი (მათ რიცხვში არ შედის დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ტერიტორიაზე დაპატიმრებულები). ლ. ბერიას ინიციატივით გაიზარდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისართან არსებული განსაკუთრებული თათბირის უფლებები, რომელსაც სასამართლოს გვერდის ავლით გამოჰქონდა განაჩენი. იყო კოტინის ტყეში ტყვე პოლონელი ოფიცრების დახვრეტის ორგანიზატორი. 1941 წლის 3 თებერვალს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს (1946 წლიდან — მინისტრთა საბჭოს) თავმჯდომარის მოადგილედ, იმავდროულად შეინარჩუნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობა (თუმცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებიდან გამოეყო სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველო და დამოუკიდებელ კომისარიატად - სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატად - გარდაიქმნა. ომის დაწყებისთანავე, 1941 წლის ივნისში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი კვლავ გაერთიანდა). 1941 წლის 30 ივნისს გახდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, 1944 წლის მაისიდან სექტემბრამდე იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ევალებოდა კონტროლი შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლის დამზადებაზე, გ. მალენკოვთან ერთად კურირებდა საავიაციო მშენებლობას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ჩეჩნების, ინგუშების, გერმანელებისა და თათრების დეპორტაცია. 1944 წლის 3 დეკემბერს დაევალა ატომური ბომბის დამზადებაზე მეთვალყურეობა. ლ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით იქნა დამზადებული პირველი ატომური ბომბი (გამოცდა მოხდა 1949 წლის 29 აგვისტოს). 1945 წლის 29 დეკემბერს დატოვა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა. (ამ თანამდებობაზე დაინიშნა ლ. ბერიას კანდიდატურა ს. კრუგლოვი). ი. სტალინის სიკვდილის (1953 წლის 5 მარტი) შემდეგ შეინარჩუნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა და მალე კი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად (ამ დროიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო კვლავ ერთ სამინისტროდ გაერთიანდა). ლ. ბერიას ინიციატივით 1953 წლის 9 მაისს გამოცხადდა ამნისტია, რის საფუძველზეც ციხეებიდან და ბანაკებიდან განთავისუფლდა 1,2 მილიონი კაცი, 400 ათასი მსჯავრდებულის მიმართ ძიებასა და სასამართლოში საქმის წარმოება შეწყდა. წამოაყენა ბევრი უმნიშვნელოვანესი წინადადება: სამხედრო ხარჯების შემცირება, ძვირადღირებული სტრატეგიული ობიექტების მშენებლობის დაკონსერვება, კორეის საქმეებში ჩარევის შეწყვეტა, იუგოსლავიასთან ურთიერთობის მოგვარება, გერმანიის გაერთიანება, სახელმწიფო და კომუნისტური პარტიის აპარატის შემცირება, რუსიფიკატორული პოლიტიკის შეწყვეტა და მოკავშირე რესპუბლიკებში ეროვნული კადრების დაწინაურება. ლ. ბერიას თავიდან მოცილება გადაწყვიტა შეთქმულთა ჯგუფმა ნ. ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით (გ. მალენკოვი, ლ. კაგანოვიჩი, ნ. ბულგანინი, გ. ჟუკოვი და სხვ.). 1953 წლის 25 ივნისს შეიპყრეს და საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო კოლეგიის განაჩენის საფუძველზე 1953 წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს. სხვა ვერსიებით: პაერშივე ააფეთქეს ის თვითმფრინავი, რომლითაც ლ ბერია ბერლინიდან მოსკოვში ბრუნდებოდა; ლ. ბერია შეიპყრეს თვითმფრინავის ტრაპთან და იქვე, აეროპორტში, დახვრიტეს; ლ. ბერიას მოულოდნელად დაესხნენ თავს საკუთარ სახლში და სროლის დროს მოკლეს. ამ ვერსიების ავტორები ამტკიცებენ, რომ სასამართლო პროცესს ლ. ბერიას ორეული ესწრებოდა.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბულგანინი (1895-1975). სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. 1917 წელს დაამთავრა რეალური სასწავლებელი, რის შემდეგაც მუშაობდა ელექტრიკოსის მონაფედ და კანტორის მოხელედ. 1918-1919 წლებში იყო მოსკოვ-ნიჟნი ნოვგოროდის რკინიგზის საგანგებო კომისიის თამჯდომარის მოადგილე, 1919-1921 წლებში



თურქესტანის ფრონტის განსაკუთრებული განყოფილების ოპერატიული ნაწილის სექტორის უფროსი. 1922-1927 წლებში მუშაობდა ჯერ რსფსრ, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოში ცენტრალური რაიონის ელექტროტექნიკური ტრესტის თავმჯდომარის თანაშემწედ და თავმჯდომარედ 1927 წელს დაინიშნა მოსკოვის ელექ-

ტროქარხნის დირექტორად, 1931-1937 წლებში იყო მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. დანინაურდა პოლიტიკური რეპრესიების შემდეგ. 1937-1938 წლებში იყო რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, 1938-1944 წლებში — საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. იმავდროულად 1938-1945 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარედ, 1941-1944 წლებში იყო სხვადასხვა მიმართულებისა და ფრონტების ჯარების სამხედრო საბჭოს წევრი, 1944 წელს გახდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი. 1946 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, 1947 წელს — საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრად და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ გახდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და თავდაცვის მინისტრი, 1955 წელს დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და გახდა ნ. ხრუშჩოვის უახლოესი თანამებრძოლი. 1957 წელს მიემხრო ვ. მოლოტოვის, ლ. კაგანოვიჩისა და გ. მალენკოვის ჯგუფს, მაგრამ კრიტიკულ მომენტში მათ ჩამოსცილდა და ისევ ნ. ხრუშჩოვს დაუჭირა მხარი. 1958 წელს ნ. ხრუშჩოვმა მაინც ჩამოაშორა უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ჩამოერთვა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება. 1960 წელს გავიდა პენსიაზე.

ნიკოლოზ ალექსის ძე ვოზნესენსკი (1903-1950).



სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომისტი, აკადემიკოსი. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში დაამთავრა ი. სვერდლოვის კომუნისტური უნივერსიტეტი (1926 წ.) და წითელი პროფესურის უნივერსიტეტი (1931 წ.). 1917 წლიდან მუშაობდა მუშად, კანტორის მოხელედ, ჟურნალისტად, სკპ(ბ) პასუხისმგებელ მუშაკად 1931-1934 წლებში ლექციებს კითხულობდა წითელი პროფესურის ინსტიტუტში, იმავდროულად, 1932-1934 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1935 წლიდან სათავეში ჩაუდგა ლენინგრადის დაგეგმვის საქალაქო კომიტეტს. დაწინაურდა პოლიტიკური რეპრესიების შემდეგ. 1937 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ. ხოლო 1938 წელს თავმჯდომარედ. იმავდროულად, 1939-1941 წლებში იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1941 წელს გახდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1942-1945 წლებში შედიოდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში, იმავდროულად, 1942-1948 წლებში იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან (მინისტრთა საბჭოსთან) არსებული სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე. 1949 წელს ე. წ. „ლენინგრადის საქმესთან" დაკავშირებით დააპატიმრეს, მოხსნეს ყველა თანამდებობიდან. გაასამართლეს და 1950 წელს დახვრიტეს. 1954 წლიდან რეაბილიტირებულია.

ლაზარ მოსეს ძე კაგანოვიჩი (1893-1991).



სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა ებრაელი ვაჭრის ოჯახში. 1907 წლიდან ცხოვრობდა კიევში, მუშაობდა ფეხსაცმლის ფაბრიკაში, სანყობში, წისქვილში, სხვადასხვა ქარხანაში, საკონდიტრო ფაბრიკაში. 1911 წელს ძმასთან, მ. კაგანოვიჩთან ერთად, შევიდა რსდმპ რიგებში, ბოლშევიკი. არალეგალური მუშაობისათვის 1915 წელს დააპატიმრეს და მშობლიურ სოფელში გადაასახლეს. ცხოვრობდა არალეგალურად 1917 წლის მარტიდან მოღვაწეობდა საბჭოთა ორგანოებში, ეკავა მნიშვნელოვანი თანამდებობები. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში. 1918-1920 წელს ისევ საბჭოთა ორგანოებში მოღვაწეობს და კვლავ მნიშვნელოვანი თანამდებობები უკავია. 1920 წლიდან შუა აზიაში მოღვაწეობს: იყო თურქესტანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, ქალაქ ტაშკენტის საბჭოს თავმჯდომარე. თავი გამოიჩინა ბასმაჩთა რაზმების განადგურებასა და შემდგომ გატარებულ რეპრესიებში. 1922 წელს ი. სტალინმა ლ. კაგანოვიჩი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში გადაიყვანა და ჯერ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, ხოლო შემდეგ საორგანიზაციო-გამანაწილებელი განყოფილება ჩააბარა. ეს განყოფილებები არჩევდნენ ხელმძღვანელ კადრებს მთელი საბჭოთა კავშირისათვის. 1924 წლის ივნისიდან 1925 წლის აპრილამდე იყო სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ი. სტალინის დავალებით უზარმაზარ სამუშაოს ასრულებდა 1924 წლის ივნისიდან 1925 წლის დეკემბრამდე და 1928 წლის ივლისიდან 1946 წლის მარტამდე იყო სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს წევრი. 1925 წლის აპრილში გახდა უკრაინის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. იყო უკრაინაში პოლიტიკური რეპრესიების მთავარი ორგანიზატორი. 1928 წელს აირჩიეს სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად, ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1939 წლამდე. კოლექტივიზაციის წლებში უკრაინასა და რუსეთის მთელ რიგ რეგიონებში იყო მასობრივი რეპრესიების ორგანიზატორი, ბრალი მიუძღვის რუსეთის გლეხობის მასობრივ განადგურებაში. სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნობასთან ერთად 1930-1935 წლებში იყო სკპ(ბ) მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივანი, ხოლო 1931-1934 წლებში სკპ(ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. მისი ხელმძღვანელობით

*მოხდა ი. სტალინის პოზიციის განმტკიცება მოსკოვში. ლ. კაგანოვიჩის განკარგულებით მოსკოვში დაანგრიეს ბევრი ისტორიული ძეგლი (მაცხოვრის ტაძარი, სუხარევის კოშკი, ვნების მონასტერი და სხვ.). მაგრამ სწორედ მისი მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის სათავეში ყოფნის პერიოდში დაიწყო მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობა. 1933 წლიდან შეთავსებით მუშაობდა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხსაგებ თანამდებობებზე და ბრალი მიუძღვის მასობრივი რეპრესიების ორგანიზებაში. მოსკოვის გარდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით გატარდა რეპრესიები ჩელიაბინსკში, იაროსლავში, ივანოვო-ვოზნესენსკში, დონბასში. 1937-1939 წლებში იყო საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი, გზათა სახალხო კომისარი, 1938-1953 წლებში რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს (მინისტრთა საბჭოს) თავმჯდომარის მოადგილე, 1939 წელს დაინიშნა სათბობენერგეტიკის სახალხო კომისრად, 1939-1940 წლებში იყო ნავთობმრეწველობის სახალხო კომისარი. 1942 წლის თებერვალში გახდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი. იყო რამდენიმე ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი. ფრონტებზე მივლინებისას ხშირად მიმართავდა მეთაურთა კადრების წმენდას და მასობრივ დახვრეტებს. 1943-1944 წლებში იყო გზათა სახალხო კომისარი, 1946-1947 წლებში — სამშენებლო მასალების მრეწველობის მინისტრი. 1947 წლიდან უკრაინის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია. უკრაინაში გაატარა მასობრივი რეპრესიები. 1948-1952 წლებში იყო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. თანამედროვეეთა დახასიათებით იყო მშიშარა, მაგრამ ჭკვიანი კარიერისტი. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ერგო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა. იყო ლ. ბერიას დაპატიმრებისა და სიკვდილის დასჯის მომხრე. 1957 წელს ვ. მოლოტოვთან და გ. მალენკოვთან ერთად გამოვიდა ნ. ხრუშჩოვის წინააღმდეგ, რის გამოც დაკარგა ყველა თანამდებობა. 1959 წელს გავიდა პენსიაზე.*

***ანასტას ივანეს ძე მიქოიანი (1885-1978).***



*სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა დურგლის ოჯახში. 1916 წელს დაამთავრა თბილისის სომხური სასულიერო სემინარია, სწავლობდა ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიაში. 1915 წელს შევიდა რსდმპ რიგებში, ბოლშევიკი. 1917 წლიდან ბოლშევიკური პარტიის დავალებით მუშაობდა თბილისსა და ბაქოში. 1918 წლის მარტში მონაწილეობა მიიღო ბაქოში დაწყებულ მუსავატელთა აჯანყების ჩახშობაში. ბაქოს კომუნის დაცემის შემდეგ დღემდე დაუდგენელი მიზეზის გამო ბაქოს კომისრებთან ერთად არ დაუხვრეტიათ. არსებობს მოსაზრება, რომ იყო ბაქოს კომუნაში შეგზავნილი პროვოკატორი. 1919 წლის მარტიდან იყო რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოს ბიუროს თავმჯდომარე, შემდეგ მოღვაწეობდა მოსკოვში. ბაქოში დაბრუნდა 1921 წლის აპრილში მე-11 წითელ არმიასთან ერთად. 1920 წლიდან 1926 წლამდე იმყოფებოდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აზერბაიჯანსა და რუსეთში. 1926 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისრად. „მემარჯვენე გადახრასთან" ბრძოლის დროს მხარი დაუჭირა ი. სტალინს. 1934-1938 წლებში იყო საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი. კარიერისტის ნიჭით დაჯილდოებული ა. მიქოიანი ძალზე დაუახლოვდა ი. სტალინს. მხარს უჭერდა რეპრესიების პოლიტიკას, რეპრესიების დაჩქარების მიზნით ხშირად მოგზაურობდა რეგიონებში. 1938-1949 წლებში იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი (მინისტრი). ომის დაწყების შემდეგ, 1941 წელს, დაინიშნა საბჭოთა არმიის სურსათით მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარედ, საევაკუაციო საბჭოს წევრად. 1942 წლის თებერვალში გახდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, კურირებდა მომარაგების საქმეს. 1944 წელს გამოვიდა ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის წინააღმდეგ. ომის დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებით 1951 წლიდან, მისი გავლენა ძალზე შესუსტდა, რაც გამოწვეული იყო ი. სტალინის ნდობის დაკარგვით. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ძალზე ფრთხილობდა. 1953 წლის მარტში მიიღო საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის მინისტრის თანამდებობა. ლ. ბერიას სიკვდილით დასჯის შემდეგ აქტიურად უჭერდა მხარს ნ. ხრუშჩოვს. 1953-1955 წლებში იყო ვაჭრობის მინისტრი, 1955-1964 წლებში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1964-1965 წლებში — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. 1974 წელს გავიდა პენსიაზე.*

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელში თავმოყრილი იქნა მთელი ძალაუფლება. მის დადგენილებას კანონის ძალა ჰქონდა. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდა. მის უფლებამოსილებაში შედიოდა: ქვეყნის უმაღლესი სარდლობის დანიშვნა და განთავისუფლება, მოქმედი არმიისათვის რეზერვების მომზადება და განაწილება, სამხედრო-სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტა, მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის მართვა, არმიისა და მოსახლეობის სურსათითა და სხვა საგნებით მომარაგება, მუშა ძალის რეზერვების შექმნა და მისი განაწილება.

ფრონტისპირა ქალაქებში (სევასტოპოლი, სტალინგრადი, ტულა, დონის როსტოვი, მურმანსკი დ სხვ.) შეიქმნა საქალაქო თავდაცვის კომიტეტები. თავდაცვის საქალაქო კომიტეტები

სამოცზე მეტ ქალაქში შეიქმნა. მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვის საქმეს უშუალოდ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობდა.

ქვეყნის ერთიან სამხედრო ბანაკად გადაქცევას საფუძვლად დაედო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მაქსიმალური ცენტრალიზაცია. მართალია, საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) მმართველი პარტია იყო, მაგრამ ომის პერიოდში პარტიის ყრილობა ან კონფერენცია არ მოუწვევიათ. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელსაც წელიწადში რამდენჯერმე იწვევდნენ, ომის წლებში მხოლოდ ერთხელ (1944 წლის იანვარში) მოიწვიეს. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოქმედებდა იმდენად, რამდენადაც მისი 14 წევრიდან და წევრობის კანდიდატებიდან 5 თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი იყო. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ომის დაწყების შემდეგ აღარ შეკრებილა. 1941 წლის 24 ივნისიდან სამდივნო გადაწყვეტილებებს იღებდა ზეპირი გამოკითხვის გზით. საკავშირო კპ(ბ) 500 პასუხისმგებელი მუშაკი, დაწყებული საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნიდან და დამთავრებული რაიონული კომიტეტის მდივნით, მობილიზებული იქნა ფრონტზე.

შეიქმნა მთელი რიგი ახალი სტრუქტურული ერთეულები. 1941 წლის სექტემბერში შეიქმნა **საბჭოთა კავშირის სატანკო მშენებლობის სახალხო კომისარიატი**, ხოლო 1941 წლის ნოემბერში — **სანაღმტყორცნო შეიარაღების სახალხო კომისარიატი**.

1941 წლის 30 ივნისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა **სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმა**. გეგმა ითვალისწინებდა ქვეყნის ეკონომიკის უმოკლეს ვადაში საომარ ყაიდაზე გარდაქმნას. 1941 წლის აგვისტოში დამტკიცდა ვოლგისპირეთის, ურალის, დასავლეთ ციმბირის, ყაზახეთისა და შუა აზიის რაიონების სამხედრო-სამეურნეო გეგმა 1941 წლის მეოთხე კვარტლისათვის და 1942 წლისათვის.

**3. საბჭოთა კავშირის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი 1941 წლის მეორე ნახევარში.** ქვეყნის ერთიან სამხედრო ბანაკად გადაქცევის გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება იყო საბჭოთა კავშირის დასავლეთი და ცენტრალური რაიონებიდან აღმოსავლეთ რაიონებში (ურალი, ციმბირი, შუა აზია, კავკასია) სამრეწველო სიმძლავრეების (ქარხნების, ფაბრიკების), მატერიალურ ფასეულობათა და მოსახლეობის ევაკუაცია. 1942 წლის იანვრისათვის აღმოსავლეთ რაიონებში გადატანილი იქნა და მალე ამოქმედდა კიდეც 1523 სამრეწველო საწარმო, მათ შორის 1360 ფრონტისათვის აუცილებელ პროდუქციას უშვებდა. ევაკუაციის პროცესის ხელმძღვანელობის მიზნით შეიქმნა საევაკუაციო საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა **ნიკოლოზ შვერნიკი**, ხოლო მოადგილედ — **ალექსი კოსიგინი**.



*ნიკოლოზ მიხეილის ძე შვერნიკი (1888-1970). დაიბადა მუშის ოჯახში. მუშაობდა ზეინკლად. 1905 წელს შევიდა რსდმპ რიგებში, ბოლშევიკი. მუშაობდა რკპ(ბ) — სკპ(ბ) პასუხსაგებ თანამდებობებზე, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1938-1946 წლებში იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე. 1941 წელს დაინიშნა საევაკუაციო საბჭოს თავმჯდომარედ. 1944 წლიდან იყო რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, 1946 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. 1953 წელს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და აირჩიეს საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ. 1956 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული კონტროლის კომიტეტის თამჯდომარედ, სადაც მუშაობდა 1962 წლამდე. 1966 წელს გავიდა პენსიაზე.*



*ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი (1904-1980). სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა მუშის ოჯახში. 1935 წელს დაამთავრა ს. კიროვის სახ. ლენინგრადის საფეიქრო ინსტიტუტი. 1919 წელს შევიდა წითელ არმიაში. 1927 წელს შევიდა სკპ(ბ) რიგებში. დაწინაურდა მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების შემდეგ. 1937 წელს დაინიშნა ქარხნის დირექტორად. 1938 წელს გახდა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, 1939 წელს საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი. 1940 წლის 17 აპრილს გახდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1941 წლის ივნისში დაინიშნეს*

*საევაკუაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1942 წლის თებერვლიდან ივნისამდე იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებული ლენინგრადში. 1943-1946 წლებში იყო რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1946 წელს მუშაობდა საბჭოთა კავშირის ფინანსთა მინისტრად. 1948 წლიდან მსუბუქი მრეწველობის მინისტრია. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ იყო საბჭოთა კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების მინისტრი (1953-1954 წწ.), საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1953-1956 წლებსა და 1957-1960 წლებში), სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე (1950-1960 წწ.) და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1960-1964 წწ.). 1964-1980 წლებში იყო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 1980 წლიდან პენსიაზე გავიდა.*

ევაკუაციის მასშტაბები უაღრესად დიდი იყო. მაგალითად, საავიაციო მშენებლობის სახალხო კომისარიატმა მთელი თავისი სიმძლავრეების 85%-ის ევაკუაცია მოახდინა, ანუ აღმოსავლეთ რაიონებში გადაიტანეს 118 ქარხანა. აღმოსავლეთ რაიონებში გადაიტანეს 9 სატანკო ქარხანა. შეიარაღების სახალხო კომისარიატის 32 საწარმოდან ევაკუირებული იქნა 31.

მიუხედავად ევაკუაციისა, წითელი არმიის სწრაფმა უკანდახევამ და გერმანიის მიერ სამრეწველო რაიონების ხელში ჩაგდებამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის ეკონომიკა. ომამდე უკრაინა იძლეოდა საბჭოთა კავშირში წარმოებული თუჯის 65%-ს, ფოლადის — 49%-ს. უკრაინაში მოიპოვებდნენ საბჭოთა კავშირში მოპოვებული რკინის მადნის 70%-ს. ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა ევაკუაციის გეგმის შეუსრულებლობამაც. ხშირად გერმანელებს ხელში უვარდებოდათ მთელი ქარხნები და იქ არსებული მზა პროდუქცია. მთლიანად ჩაიშალა უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული და კოქსქიმიური ქარხნების ევაკუაცია უკრაინის სტალინის (დღევანდელი დონეცკის) ოლქიდან.

დასავლეთის რაიონებიდან ევაკუირებული იქნა საწარმოებში დასაქმებული მოსახლეობის მესამედი. ამის გამო აღმოსავლეთ რაიონებში გადატანილი ქარხნები და სხვა საწარმოები განიცდიდნენ მუშახელისა და სპეციალისტების დიდ დეფიციტს. ამ დანაკლისის შევსებას ხელისუფლება სამუშაო საათებისა და ნორმატიული განაკვეთების გაზრდით ცდილობდა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით, ის ვინც სამუშაოზე 20 წუთზე მეტს დააგვიანებდა, მიეცემოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. 1941 წლის 26 დეკემბერს გამოცემული ბრძანებულებით სამხედრო მრეწველობისა და მასთან დაკავშირებული საწარმოების მუშები, საინჟინრო-ტექნიკური და დამხმარე პერსონალი გამოცხადდნენ ომის საჭიროებისათვის მობილიზებულად და საწარმოზე მიმაგრებულად. საწარმოდან თვითნებური წასვლა დეზერტირობად ითვლებოდა და 5 წლიდან 8 წლამდე პატიმრობით ისჯებოდა.

საბჭოთა კავშირის სამხედრო ეკონომიკა დაეფუძნა მშვიდობიან პერიოდში შექმნილ თავდაცვით მრეწველობას. 20-30-იან წლებში აგებული თავდაცვითი მრეწველობის ქარხნების პროდუქცია ვეღარ აკმაყოფილებს ომის პერიოდის მოთხოვნებს. ამიტომ იყო, რომ სახალხო მეურნეობის სამობილიზაციო გეგმის თანახმად მძიმე მანქანათმშენებლობის, სატრაქტორო, საავტომობილო და გემთმშენებელი ქარხნები საბრძოლო ტექნიკას უშვებდა. ცნობილი ქარხანა „ურალმაში“ კვ მარკის ტანკის კორპუსებსა და კოშკურებს ამზადებდა; სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ბაზაზე შეიქმნა დიდი ტანკმშენებელი ქარხანა; გორკის (ამჟამად ნიჟნი ნოვგოროდის) ოლქში მდებარე ქარხნები (მათ შორის საავტომობილო) ტ-34 მარკის ტანკებს ამზადებდა.

დიდი სიძნელეები შეიქმნა პისტოლეტის, შაშხანის, ავტომატისა და ტყვიამფრქვევი ვაზნების, ასევე საარტილერიო ჭურვების დამზადების საქმეში. ამის მიზეზი იყო ის, რომ ამ პროდუქციის დამამზადებელი ქარხნების უდიდესი ნაწილი საბჭოთა კავშირის დასავლეთ რაიონებში იყო განლაგებული. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით ვაზნებისა და ჭურვების დამზადება დაევალათ ისეთ ქარხნებს, რომლებიც ომამდე სამხედრო დანიშნულების პროდუქციას არ უშვებდნენ.

სამხედრო-სამრეწველო პროდუქციის წარმოების საქმეში გარდატეხა 1941 წლის ბოლოდან დაიწყო. 1941 წლის ივლისიდან დეკემბრამდე გამოშვებული იქნა 4800 ტანკი, 8200 საბრძოლო თვითმფრინავი, 30000 ქვემეხი, 42000 ნაღმტყორცნი, 90000 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, 1600000 შაშხანა და კარაბინი. ეს იყო დიდი მიღწევა, თუმცა ფრონტის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილება მაინც ვერ მოხერხდა. 1941 წელს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ბრძოლებში დაკარგეს 6000000 ცეცხლსასროლი იარაღი, 20000 ტანკი, 101000 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 17000 საბრძოლო თვითმფრინავი. ასე-

თი დიდი დანაკარგის შევსება ქვეყნის სამხედრო მრეწველობას იმხანად არ შეეძლო.

**4. სურსათით მომარაგება.** ომის წლებში განსაკუთრებით მწვავედ იდგა არმიისა და მოსახლეობის სურსათით მომარაგების საკითხი. 1941 წლის 18 ივლისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მოსკოვსა და ლენინგრადში პურზე, ხორცზე, ცხიმზე, შაქარსა და სხვა პირველადი მოხმარების საგნებზე საბარათო სისტემა შემოიღო. 1941 წლის ოქტომბრის ბოლოსათვის საბარათო სისტემა უკვე მოქმედებდა საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქსა და მუშათა დასახლებაში, ხოლო 1941 წლის ბოლოს — მთელს საბჭოთა კავშირში. საბარათო სისტემით მორაგება ყველასათვის ერთნაირი არ ყოფილა. მოსახლეობა იყოფოდა ოთხ კატეგორიად: 1) მუშები და მათთან გათანასწორებულნი; 2) მოსამსახურეები და მათთან გათანასწორებულნი, 3) სხვა ადგილებიდან სამუშაოდ მოყვანილები; 4) ბავშვები 12 წლამდე ასაკისა. ყველა კატეგორიას თავისი ნორმა ჰქონდა განსაზღვრული (ეს ნორმა ომით იცვლებოდა). ომის დასაწყისში პირველი კატეგორიის მოსახლეობა (მუშები და მასთან გათანასწორებულნი) დღეში იღებდნენ 800 გრამ პურს; მეორე კატეგორიის მოსახლეობა (მოსამსახურეები და მასთან გათანასწორებულნი) — 500 გრამს; მესამე და მეოთხე კატეგორიის (სხვა ადგილებიდან სამუშაოდ მოყვანილები და 12 წლამდე ასაკის ბავშვები) — 400 გრამს. 1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლენინგრადში სამოქალაქო მოსახლეობის საბარათო სისტემით მომარაგების ნორმა 5-ჯერ შემცირდა. სოფლის მცხოვრები, თუ სამრეწველო საწარმოში არ იყო დასაქმებული, საბარათო სისტემით საერთოდ არ მარაგდებოდა. სოფელში საბარათო სისტემით მარაგდებოდნენ: სოფლის ინტელიგენცია (მასწავლებელი, ექიმი და ა. შ.), ევაკუირებული მოსახლეობა, საბჭოთა და პარტიული მუშაკები, დიდი სამამულო ომის ინვალიდები. უმეტეს კოლმეურნეობაში მიღებული მოსავალი მთლიანად სახელმწიფოს მიჰქონდა და კოლმეურნეობის წევრებზე არ ნაწილდებოდა. კოლმეურნეები პირადი დამხმარე მეურნეობის ამარა იყვნენ დარჩენილნი.

1942 წლის განმავლობაში ქალაქებსა და მუშათა დასახლებებში შემოიღეს სამრეწველო საქონლის ბარათებით განაწილება.

1941 წლის ივნისისათვის საბჭოთა კავშირის მოსახლეობა დაახლოებით 200 მილიონს უდრიდა, მათ შორის სოფლის მოსახლეობა — 133,6 მილიონს. საბარათო სისტემის შემოღების მომენტისათვის ბარათის სასოფლო სამეურნეო პროდუქციას იღებდა 56 მილიონი ადამიანი. ამ 56 მილიონი კაციდან 1941 წლის 26 ივნისისათვის შემდეგი კატეგორიები გამოიყოფოდა: მუშები — 26,9 მილიონი, სხვა ადგილებიდან სამუშაოდ მოყვანილები — 17,4 მილიონი, 12 წლამდე ასაკის ბავშვები — 11,7 მილიონი 1942 წლის დეკემბრისათვის, მაშინ როცა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (80 მილიონი კაცი) გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ბარათებით მარაგდებოდა 38,1 მილიონი კაცი. გარდა ამისა, თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე მომუშავენი და დახურული (საიდუმლო) დაწესებულებების თანამშრომლები სურსათს ბარათის გარეშე იღებდნენ.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობა სურსათის სხვადასხვა ნორმას იღებდა. მაგალითად, 1942 წლის ივნისისათვის მოსკოვის ოლქის სოფლის ის მცხოვრებლები, რომლებიც სამრეწველო საწარმოებში მუშაობდნენ, ბარათით დღეში 700 გრამ პურს იღებდნენ, ომსკის ოლქში — 600 გრამს, ირკუტსკის ოლქში — 400 გრამს.

**5. ბრძოლები სმოლენსკისა და კიევისათვის.** 1941 წლის ივნის-ივლისში გერმანიის არმია წარმატებით ავითარებდა შეტევას ლენინგრადის, სმოლენს-მოსკოვისა და კიევის მიმართულებით. დიდი ძალისხმევის შემდეგ მხოლოდ მესამე კვირის ბოლოს შეძლო წითელმა არმიამ მოწინააღმდეგის შეჩერება. 1941 წლის ივლისში სმოლენსკ-მოსკოვის მიმართულებას იცავდა დასავლეთის ფრონტი (სარდალი ს. ტიმოშენკო). 1941 წლის 10 ივლისიდან 10 სექტემბრამდე გაიმართა სმოლენსკის ბრძოლა. ეს იყო ერთდროულად თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლა. სმოლენსკის ბრძოლის მიზანი იყო მოსკოვზე მოწინააღმდეგის შეტევის შეჩერება. სმოლენსკთან დაჯგუფებულ გერმანიის არმიას უპირატესობა ჰქონდა ცოცხალი ძალის, ქვემეხების, ნაღმტყორცნებისა და თვითმფრინავების მხრივ. საბჭოთა ჯარები კი მცირედ სჯობნიდნენ ტანკების რაოდენობით. ბრძოლა სმოლენსკისათვის პირველი დღიდან ბოლო დღემდე დიდი დაძაბულობით გამოირჩეოდა. 16-დღიანი ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა ქალაქი დაიკავეს. სმოლენსკის დაცემით საფრთხე შეექმნა მოსკოვს.

სმოლენსკისათვის ბრძოლის პარალელურად 1941 წლის ივლისის მეორე ნახევარში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა მდინარეების დნეპრსა და ბერეზინას შორის მდებარე ტერიტორიაზე. აქ წითელი არმიის წინააღმდეგობის უნარი საგრძნობლად გაიზარდა. წითელმა არმიამ მოწინააღმდეგე შეაჩერა კარელიაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ გერმანიის არმია შეჩერებული იქნა კიევთან. არმიათა დაჯგუფება „სამხრეთმა" კიევის აღება და მდინარე დნეპრის გადალახვა ვერ შეძლო. კიევთან შეფერხებით არმიათა დაჯგუფება „სამხრეთმა" დაჯგუფება „ცენტრს", რომელიც მოსკოვის მიმართულებით უტევდა, დახმარება ველარ აღმოუჩინა.

გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაინახა, რომ სამივე მიმართულებით (ლენინგრადის, მოსკოვის, კიევის) შეტევის გაგრძელებას ველარ შეძლებდა. 1941 წლის 30 ივლისს არმიათა დაჯგუფება „ცენტრს" მოსკოვზე შეტევის შეჩერება ებრძანა. სამაგიეროდ, მთელი ყურადღება არმიათა დაჯგუფებების „სამხრეთისა" და „ჩრდილოეთის" შეტევების გააქტიურებაზე იქნა გადატანილი. არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" მე-2 არმია და მე-2 სატანკო დაჯგუფება აღმოსავლეთის მიმართულებიდან სამხრეთით იქნა გადასროლილი. მათ ამოცანას შეადგენდა დნეპრზე გამაგრებული სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარებისათვის ზურგში დარტყმის მიყენება.

არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" აქტიურობის შესუსტებით ისარგებლა საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ და 1941 წლის აგვისტოსა და სექტემბერის პირველ ნახევარში დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტების ძალებით ელნიასა და დუხოვშჩინის რაიონებში კონტრდარტყმები განახორციელა. ამ კონტრდარტყმებით საბჭოთა სარდლობა ვარაუდობდა კიევისა და ლენინგრადის დამცველთა მდგომარეობის შემსუბუქებას. 1941 წლის 10-16 სექტემბერისათვის დასავლეთისა და სარეზერვო ფრონტის ჯარებმა კონტრდარტყმები შეწყვიტეს.

1941 წლის აგვისტოს ბოლოს დაჯგუფება „ჩრდილოეთმა" ჩუდოვოს რაიონში საბჭოთა ჯარების თავდაცვა გაარღვია და აქტიურად შეუტია ლენინგრადს. სექტემბერის შუა რიცხვებისათვის გერმანელებმა ფინეთის ყურეს მიაღწიეს. გერმანიის არმიას აქტიურად ეხმარებოდნენ ფინელები. კარელიის ყელზე მოქმედებდა ფინეთის 7 დივიზია და ფინეთის ცალკეული არმია. 1941 წლის აგვისტოს ბოლოს, საბჭოთა ჯარების თავდაცვის გარღვევის შემდეგ, ფინელები ლადოგის ტბის ორივე მხარეს დადგნენ და ლენინგრადზე შეტევისათვის იწყეს მზადება.

1941 წლის 25-30 აგვისტოს არმიათა დაჯგუფება „სამხრეთმა" მდინარე დნეპრის მარჯვენა ნაპირს მიაღწია. დნეპრის მარჯვენა ნაპირზე საბჭოთა ჯარების ხელში რჩებოდა რამდენიმე მცირე პლაცდარმი კიევისა და ოდესის ტერიტორიაზე. მარჯვენა ნაპირის უკრაინის დაკარგვამ ძალზე გაართულა სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტის ჯარების მდგომარეობა. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარების მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა მას შემდეგ, რაც არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" ჯარების ჯგუფმა ფრონტის ჯარებს ფლანგიდან შეუტია. საბჭოთა ჯარების კონტრშეტევას შედეგი არ მოჰყოლია. 1941 წლის 9 სექტემბერს გერმანელებმა მდინარე დნეპრი გადალახეს ქალაქ კრემენჩუგის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე პლაცდარმი ჩაიგდეს ხელში. ფრონტს საფრთხეს უქმნიდა არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" მე-2 სატანკო დაჯგუფება, რომელმაც ამ დროისათვის ქალაქ კონოტოპთან გაარღვია ბრიანსკის ფრონტის ჯარების თავდაცვა. საფრთხე ძლიერ სერიოზული იყო, თუმცა არც სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდალ სიმონ ბუდიონის და არც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს თავდაცვის გაძლიერებისათვის აუცილებელი რეზერვები არ გააჩნდა. სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდლობა (მთავარსარდალი სიმონ ბუდიონი) და წითელი არმიის გენერალური შტაბი (გიორგი ჟუკოვი, ალექსანდრე ვასილევსკი, ბორის შაპოშნიკოვი) მიიჩნევდნენ, რომ შექმნილი ვითარებიდან მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობდა — წითელ არმიას კიევი უნდა დაეტოვებინა და მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადასულიყო. იოსებ სტალინი ამ წინადადებას მხოლოდ 1941 წლის 17 სექტემბერს დაეთანხმა და კიევის დატოვების ბრძანება გასცა. ორი დღით ადრე, 15 სექტემბერს, გერმანიის სატანკო დივიზიებმა შესძლეს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარების ორად გაყოფა და მათი ალყაში მოქცევა. სულ გერმანელებმა ალყაში მოაქციეს 450 ათასი კაცი (სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მე-5, 21-ე, 26-ე და 37-ე არმიები). ტყვედ ჩავარდნილი 450 ათასი მეომრიდან 60 ათასი ოფიცერი იყო. კიევისათვის ბრძოლაში დაიღუპა ფრონტის სარდალი გენერალი მ. კირპონოსი, შტაბის უფროსი

ვ. ტუპიკოვი და ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი მ. ბურმისტრენკო. გერმანელებმა ხელთ იგდეს დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო ტექნიკა.

*სიმონ მიხეილის ძე ბუდიონი (1883-1973). საბჭოთა*



*კავშირის მარშალი. დაიბადა მოჯამაგირის ოჯახში. 1903 წელს გაიწვიეს არმიაში, მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიისა (1904-1905 წწ.) და პირველ მსოფლიო (1914-1918 წწ.) ომებში; კავალერისტი, უნტერ-ოფიცერი. 1918 წლის თებერვალში შექმნა ცხენოსანი რაზმი და ებრძოდა მოხალისეთა არმიას 1919 წელს მისი რაზმი ჯერ ცხენოსანთა კორპუსად გარდაიქმნა, ხოლო შემდეგ -- პირველ ცხენოსან არმიად, რომლის სარდალიც თავად იყო. სამოქალაქო ომის გმირი. 1923 წელს მისი ცხენოსანი არმია დაშალეს, ხოლო ს. ბუდიონი დანიშნეს წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილედ და საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად. 1924-1937 წლებში იყო წითელი არმიის ინსპექტორი კავალერიის დარგში. 1932 წელს დაასრულა მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია. მხარს უჭერდა წითელი არმიის მხედართმთავართა და ოფიცერთა რეპრესიებს, პირადად მონაწილეობდა ძიებასა და სასამართლო პროცესებში, სამხედრო ტრიბუნალის მუშაობაში. 1940 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ. 1941 წლის ივნის-აგვისტოში იყო სამხრეთ-დასავლეთ მიმართულების ჯარების მთავარსარდალი, 1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერში -- სარეზერვო ფრონტის სარდალი, 1942 წლის აპრილ-მაისში ჩრდილო კავკასიის მიმართულების ჯარების მთავარსარდალი, 1942 წლის მაის-აგვისტოში ჩრდილო კავკასიის ფრონტის სარდალი. ვერსად თავი ვერ გამოიჩინა. 1942 წელს საესებით ჩამოაცილეს ხელმძღვანელ თანამდებობებს. 1954 წლიდან პენსიაზე გავიდა.*

კიევის დაკარგვით სერიოზული საფრთხე შეექმნა ქალაქ ხარკოვსა და მთელ დონბასს.

*გიორგი კონსტანტინეს ძე ჟუკოვი (1896-1974).*



*მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა ხარაზის ოჯახში. განათლება მიიღო კავალერისტთა კურსებზე (1920 წ.), კავალერიის მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე (1930 წ). მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, კავალერისტი, უნტერ-ოფიცერი. 1918 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. სამოქალაქო ომის წლებში მეთაურობდა ოცეულს, ესკადრონს. მონაწილეობდა ტამბოვის გუბერნიაში ა. ანტონოვის მეთაურობით მიმდინარე გლეხთა აჯანყების ჩახშობაში. 1920-1933 წლებში იყო ესკადრონის მეთაური, საკავალერიო პოლკის მეთაური. 1933 წელს დაინიშნა მე-4 საკავალერიო დივიზიის მეთაურად, 1937 წელს - მე-3 საკავალერიო კორპუსის მეთაურად, 1938 წელს — კაზაკთა მე-6 კორპუსის მეთაურად. წითელ არმიაში გატარებული რეპრესიების შემდეგ სწრაფად დაწინაურდა. 1938 წელს დაინიშნა ბელორუსიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილედ, ხოლო 1939 წელს მონღოლეთში განლაგებული წითელი არმიის პირველი საარმიო დაჯგუფების სარდლად. ხალხინ-გოლზე დაამარცხა იაპონიის მე-6 არმია. 1940 წელს დაინიშნა კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. ხელმძღვანელობდა ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ოკუპაციას (1940 წლის დეკემბერი). 1941 წლის იანვრიდან წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი და საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეა. 1941 წლის 22 ივნისს ი. სტალინმა გაგზავნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, პრაქტიკულად ასრულებდა ფრონტის სარდლის მოვალეობას. იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წევრი. 1941 წლის 30 ივლისს წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და დაინიშნა სარეზერვო ფრონტის სარდლად. 1941 წლის 9 სექტემბერს გაიგზავნა ლენინგრადის ფრონტზე კ. ვოროშილოვის დაქვემდებარებაში. 1941 წლის 6 ოქტომბერს გამოიძახეს მოსკოვში და მოსკოვის დაცვის ხელმძღვანელობა ჩააბარეს. მალე დაინიშნა დასავლეთის ფრონტის სარდლად. 1942 წლის 1 თებერვალს დასავლეთის ფრონტის სარდლობასთან ერთად დაევალა დასავლეთის სტრატეგიული მიმართულების მთავარსარდლობა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილეობა. 1942 წლის 26 აგვისტოდან იყო საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე. ომის წლებში გ. ჟუკოვმა გამოავლინა მხედართმთავრის დიდი ტალანტი, იყო ი. სტალინის უახლესი მრჩეველი. 1943-1945 წლებში ახდენდა სხვადასხვა ფრონტების მოქმედების კოორდინაციას. იყო უკრაინის პირველი და ბელორუსიის პირველი ფრონტების სარდალი. 1945 წლის 9 მაისს საბჭოთა კავშირის სახელით ხელი მოაწერა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. 1945 წლის ივნისიდან იყო გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი და საბჭოთა საოკუპაციო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. 1946 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად და შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილედ. 1946 წელსვე დააქვეითეს და ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად დანიშნეს. გ. ჟუკოვის წინააღმდეგ აღიძრა ე. წ. „ნადავლის საქმე“. მას ბრალი დასდეს გერმანიიდან დიდი რაოდენობით ნადავლის უკანონოდ გატანაში. ცნობილი მხედართმთავრის დაპატიმრების ნებართვა ი. სტალინმა არ გასცა, თუმცა მას ჩამოერთვა გერმანიიდან გატანილი დიდი ნადავლი: 17 ოქროს საათი, 3 ძვირფასი*

ქვებით მორთული საათი, 15 ოქროს სამკაული, 4000 მეტრზე მეტი ქსოვილი, 323 ბეწვიანი ტყავი, 44 ხალიჩა და გობელენი, 55 სურათი, 55 ყუთი ჭურჭელი, 20 სანადირო თოფი და სხვ. 1948 წელს დაინიშნა ურალის სამხედრო ოლქის სარდლად. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სამხედრო მინისტრის პირველ მოადგილედ, 1955 წელს გახდა თავდაცვის მინისტრი. იყო ნ. ხრუშჩოვის თავგამოდებული მომხრე, თუმცა 1957 წელს მინისტრობიდან მაინც გაათავისუფლეს. 1958 წლიდან პენსიაზე გავიდა.

**ალექსანდრე მიხეილის ძე ვასილევსკი (1895-1977).**



მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა სოფლის მღვდლის ოჯახში. განათლება მიიღო კინეშემანის სასულიერო სასწავლებელსა (1909 წ.) და კოსტრომის სასულიერო სემინარიაში (1914 წ.), 1937 წელს დაასრულა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ შევიდა მოსკოვის ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1915 წელს. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, მეთაურობდა ასეულს, ბატალიონს, ჰქონდა შტაბს-კაპიტნის წოდება. 1917 წელს არმიიდან დემობილიზებული იქნა, 1918-1919 წლებში მუშაობდა პედაგოგად. 1919 წელს შევიდა წითელ არმიაში. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, იყო ოცეულის მეთაური, ასეულის მეთაური, პოლკის მეთაურის თანაშემწე. 1920-1931 წლებში იყო ბატალიონის მეთაური, პოლკის მეთაური, ბრიგადის შტაბის უფროსი, უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სკოლის უფროსი, პოლკის მეთაური. 1931 წელს დაინიშნა ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო მომზადების განყოფილების უფროსის თანაშემწედ. გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1937 წელს, დაინიშნა აკადემიის კათედრის უფროსად. დაწინაურდა წითელ არმიაში გატარებული რეპრესიების შემდეგ. 1937-1940 წლებში იყო გენერალური შტაბის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის ოპერატიული მომზადების განყოფილების უფროსი, 1939-1941 წლებში — გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილე, 1941 წლის აგვისტოდან — გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, 1942 წლის ივნისიდან — გენერალური შტაბის უფროსი, იმავდროულად 1942 წლის ოქტომბრიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე. სარგებლობდა ი. სტალინის დიდი ნდობით, იყო მისი უახლოესი მრჩეველი. ა. ვასილევსკი იყო თითქმის ყველა დიდი სამხედრო ოპერაციის გეგმის შემდგენელი, კურირებდა სხვადასხვა ფრონტების მოქმედებას 1945 წლის თებერვალ-მარტში იყო ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდალი, რომლის ჯარებმაც კენიგსბერგი აიღეს. 1945 წლის ივნისიდან სექტემბრამდე იყო შორეულ აღმოსავლეთში მოქმედი საბჭოთა ჯარების მთავარსარდალი, ხელმძღვანელობდა კვანტუნის არმიის განადგურების მიზნით ჩატარებულ ოპერაციებს. 1948 წლის ნოემბრიდან იყო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 1949 წლის 24 მარტიდან – მინისტრი. 1950 წლის 25 თებერვალს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტრო გაიყო ორად — სამხედრო სამინისტროდ და სამხედრო-საზღვაო სამინისტროდ. ა. ვასილევსკი დაინიშნა სამხედრო მინისტრად. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ დააქვეითეს და 1953 წელს დანიშნეს სამხედრო მინისტრის პირველ მოადგილედ. 1953 წლის 15 მარტს ორი სამხედრო სამინისტროს ნაცვლად კვლავ ერთი — სამხედრო სამინისტრო — შეიქმნა. ა. ვასილევსკი ამჯერადაც დააქვეითეს და დანიშნეს სამხედრო მინისტრის რიგით მოადგილედ. 1956 წლიდან იყო სამხედრო მინისტრის მოადგილე სამხედრო მეცნიერების დარგში.

**ბორის მიხეილის ძე შაპოშნიკოვი (1882-1945).**



საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. განათლება მიიღო მოსკოვის სამხედრო სასწავლებელსა (1903 წ.) და ნიკოლოზის სამხედრო აკადემიაში (1910 წ.). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, პოლკოვნიკი. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში, მუშაობდა უმაღლეს სამხედრო საბჭოში, იყო წითელი არმიის საველე შტაბის დაზვერვის განყოფილების უფროსი, საბჭოთა რუსეთის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს საველე შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი. სამოქალაქო ომის შემდეგ იყო წითელი არმიის შტაბის უფროსის პირველი მოადგილე; 1925-1928 წლებში — ჯერ ლენინგრადის, ხოლო შემდეგ მოსკოვის სამხედრო ოლქების ჯარების სარდალი; 1928-1931 წლებში — წითელი არმიის შტაბის უფროსი; 1931-1932 წლებში — ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი; 1932-1935 წლებში — მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის უფროსი. 1937 წლის მაისში დაინიშნა წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსად. წითელ არმიაში გატარებულ რეპრესიებს გადაურჩა, მაგრამ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში (1939-1940 წწ.) განცდილი წარუმატებლობის გამო 1940 წელს გენერალური შტაბის უფროსობიდან გაათავისუფლეს და თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნეს. 1941 წლის 30 ივლისს კვლავ დანიშნეს წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსად. 1943 წელს საბოლოოდ ჩამოაცილეს უმაღლეს სამხედრო თანამდებობებს და დანიშნეს გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის უფროსად.

**6. ლენინგრადის ბლოკადა.** გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმით არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" მიერ მოსკოვის დაკავებამდე არმიათა დაჯგუფება „ჩრდილოეთს" უნდა დაეკავებინა ლენინგრადი. ლენინგრადის დაკავებით გერმანელები ერთბაშად რამდენიმე ამოცანის გადაჭრას გეგმავდნენ: ბალტიის ზღვის ფლოტის ბაზების განადგურება; ლენინგრადის სამხედრო ქარხნების მწყობრიდან გამოყვანა; ლენინგრადთან თავმოყრილი ჯარებით დაჯგუფება „ცენტრი" მარცხენა ფლანგზე შეტევას განხორციელებდა.

1941 წლის 27 ივნისს ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის და მისი შემოგარენის მოსახლეობის თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე სავალდებულო მობილიზაციის შესახებ. მობილიზებულთა რაოდენობა, რომელთა შორის უამრავი ქალი იყო, 1333 ათასს უდრიდა. გარდა ამისა, ქალაქის მოსახლეობისაგან ჩამოყალიბდა სახალხო ლაშქარი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა წითელ არმიას. სულ ლენინგრადის სახალხო ლაშქარში 130-140 ათასი კაცი ირიცხებოდა.

ომის პირველ თვეებში ლენინგრადში გამწვავდა სურსათით მომარაგების საკითხი. ამის მიზეზი იყო ქალაქში ბალტიისპირეთიდან და ფრონტისპირა რაიონებიდან ლტოლვილთა შესვლა. 1941 წლის ივნისის ბოლოს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ლენინგრადიდან 400 ათასი ბავშვის ევაკუაციის შესახებ. ბავშვები გადაყვანილი იქნენ ლენინგრადის, იაროსლაველის, კიროვისა და სვერდლოვსკის ოლქებში.

1941 წლის 30 აგვისტოს გერმანელებმა აიღეს რკინიგზის სადგური მგა, რის შემდეგაც ლენინგრადთან სარკინიგზო კავშირი შეწყდა. ამ დროისათვის ქალაქიდან უკვე გაყვანილი იყო 636200 კაცი, მათ შორის ქალები და ბავშვები — 219691, შრომისუნარმოკლებულები — 104692, მუშები და მოსამსახურეები (ევაკუირებულ ქარხნებთან ერთად) — 164320, ლტოლვილი — 147500. 1941 წლის 30 აგვისტოსვე თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება **„ლენინგრადისათვის ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ"**. დადგენილება ითვალისწინებდა ლადოგის ტბის მეშვეობით ქალაქის მომარაგებას.

მძიმე ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა მდინარე ნევის ნაპირს მიაღწიეს და ხელთ იგდეს ივანოვსკოე. ამ სამხედრო ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ მოწინააღდეგემ გადაჭრა ლენინგრადში შემავალი უკანასკნელი შოსე და კონტროლი დააწესა მდინარე ნევის სანაოსნო გზაზე.

1941 წლის 8 სექტემბერს გერმანელებმა აიღეს შლისელბურგი, რითაც დასრულდა ხმელეთიდან ლენინგრადის ბლოკადაში მოქცევა. ამ დროისათვის ქალაქში 2,5 მილიონი ადამიანი იმყოფებოდა. ლენინგრადი დარჩა სვირის, ვოლხოვისა და რაუხიალის ელექტროსადგურების გარეშე. 8 სექტემბერს ქალაქში ძლიერი საავიაციო დაბომბვის შედეგად გაჩნდა ხანძრის რამდენიმე კერა. ხანძარმა გაანადგურა პურის ფქვილისა და შაქრის ერთ-ერთი დიდი საწყობი.

1941 წლის ნოემბრის შუა რიცხვებისათვის ლენინგრადში უმძიმესი სასურსათო მდგომარეობა შეიქმნა. ლენინგრადის ფრონტის ჯარებს მხოლოდ ათი დღის პურის მარაგი დარჩა. კიდევ უფრო მცირე იყო სამოქალაქო მოსახლეობისათვის განკუთვნილი პურის მარაგი. მდგომარეობის გაუარესება დაიწყო იმის გამო, რომ ლადოგის ტბა ნაადრევად გაიყინა. ავიაციის საშუალებით ლენინგრადში პურის შეზიდვა შეუძლებელი იყო. ერთადერთ იმედად ყინულის საფარის სისქის გაზრდის შემდეგ ისევ ლადოგის ტბა რჩებოდა. ლადოგის ტბის ყინულზე გზა გადიოდა ოსინოვეცის კონცხიდან ზელენცის კუნძულამდე, საიდანაც იგი სოფელ კობონამდე და სოფელ ლავროვომდე მიდიოდა. 1941 წლის 20 ნოემბერს ლადოგის ტბის აღმოსავლეთ ნაპირიდან ლენინგრადში ცხენშებმული მარხილების პირველი ქარავანი გაემართა, 22 ნოემბერს კი ყინულის გზას პირველი ავტოკოლონა დაადგა. ლადოგის ტბის ყინულის გზა 1942 წლის აპრილამდე მოქმედებდა. ამ გზით ლენინგრადში 262419 ტონა სურსათი შეიტანეს. ამავე გზით 1942 წლის იანვრიდან აპრილამდე ქალაქიდან ევაკუირებული იქნა 553186 კაცი.

დაგვიანებით დაიწყო ლენინგრადიდან სამრეწველო საწარმოების ევაკუაცია. სულ ქალაქიდან უნდა გაეტანათ 80 ქარხანა და 13 საკონსტრუქციო ბიურო. ქარხნების ევაკუაცია ნელი ტემპით მიმდინარეობდა და თითქმის 1944 წლის იანვრამდე გაგრძელდა.

1943 წლის 18 იანვარს საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს შლისელბურგი და ლადოგის ტბის სამხრეთ სანაპირო. შეიქმნა 8-11 კილომეტრიანი სატრანსპორტო დერეფანი და ამრიგად, აღსდგა სატრანსპორტო კავშირი ლენინგრადთან.

**7. ღონისძიებანი წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.** ომის პირველმა კვირებმა ცხადად წარმოაჩინა წითელი არმიის ყველა სუსტი მხარე. გერმანელთა მიერ ბრწყინვალედ განხორციელებულმა შეტევითმა ოპერაციებმა, თავდაცვით ბრძოლებში განცდილმა მარცხმა, უამრავმა დახოცილმა და დაჭრილმა ძალზე დასცა წითელი არმიის საბრძოლო სულისკვეთება. დეზერტირობის, საბრძოლო პოზიციების უნებართვოდ მიტოვებისა და პანიკის თავიდან აცილების მიზნით უმაღლესი მთავარსარდლის იოსებ სტალინის ბრძანებით ყველა მსროლელ დივიზიაში შეიქმნა **გადამღობი რაზმები**, რომელთა შტატი ერთი ბატალიონის შტატის ტოლი შეიძლებოდა ყოფილიყო. გადამღობ ბატალიონს უფლება ჰქონდა უკიდურეს შემთხვევაში ცეცხლი გაეხსნა პანიკით მოცული მებრძოლებისათვის. ცოტა ხნით უფრო ადრე, 1941 წლის აგვისტოში, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა გამოსცა **ბრძანება № 270**, რომლის შინაარსი ასეთი იყო: სამხედრო მოსამსახურე, რომელიც იხსნიდა სამხედრო წოდების დამადასტურებელ ნიშნებს და ტყვედ დანებებას აპირებდა უნდა ჩათვლილიყო დეზერტირად, ხოლო მისი ოჯახის წევრები დაეპატიმრებინათ. დეზერტირების დახვრეტა ადგილზევე ხდებოდა. დეზერტირთა დახვრეტა ევალებოდა 1941 წლის ივლისში შექმნილ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის **საგანგებო განყოფილებებს** (1943 წლის აპრილში საგანგებო განყოფილებები გააუქმეს. მის ნაცვლად თავდაცვის სახალხო კომისარიატის სისტემაში შეიქმნა კონტრდაზვერვის სამმართველო **სმერში**, რომლის სათავეშიც ვ. აბაკუმოვი იდგა).

*ვიქტორ სიმონის ძე აბაკუმოვი (1908-1954).*



*სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა მეცეცხლურის ოჯახში. განათლება მიიღო ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებელში. მუშაობდა სანიტრად, კოოპერატივის მუშად, საწყობის მუშად. 1932 წლიდან საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სისტემაშია, 1937-1938 წლებში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს ოპერატიული რწმუნებულია. 1938 წლიდან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის როსტოვის სამმართველოს უფროსია. 1941 წლის 25 თებერვალს დაინიშნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, იმავდროულად 1941 წლის 19 ივლისიდან განსაკუთრებული განყოფილებების სამმართველოს უფროსად. 1943 წელს გახდა კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს სმერშის უფროსი და იმავდროულად დაინიშნა თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ. 1946 წლიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრია. იყო ე. წ. „ლენინგრადის საქმესთან" დაკავშირებით გატარებული რეპრესიების მთავარი ორგანიზატორი. 1951 წელს, ე. წ. „ექიმთა საქმის" ხელისუფლებისათვის არასაკმარისი აქტიურობით გამოძიებისათვის თანამდებობიდან მოხსნეს. 1951 წელს დააპატიმრეს და გაასამართლეს. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ მეორედ გაასამართლეს და 1954 წელს დახვრიტეს.*

1941 წლის ივლისში წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში შემოიღეს **სამხედრო კომისრის თანამდებობა**. სამხედრო კომისრის თანამდებობა შემოღებული იქნა ყველა დივიზიასა და პოლკში. ასეულებში, ბატარეებსა და ესკადრონებში მოქმედებდა **პოლიტიკური ხელმძღვანელის (პოლიტხელის)** თანამდებობა. სამხედრო კომისარსა და პოლიტხელს ეკისრებოდა ჯარისკათა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება.

**8. მოსკოვის დაცვა.** 1941 წლის 6 სექტემბერს ადოლფ ჰიტლერმა ხელი მოაწერა ახალ დირექტივას მოსკოვზე შეტევის დაწყების შესახებ. მოსკოვისათვის ბრძოლაში მთავარი როლი სატანკო ჯარებსა და ავიაციას ეკისრებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ოპერაციის საიდუმლო ვითარებაში მომზადებას. მოსკოვის დაკავების გეგმა ითვალისწინებდა წითელი არმიის განადგურებას **ვიაზმასთან** და **ბრიანსკთან**. დასავლეთის ფრონტის ის ჯარები, რომლებიც მოსკოვისაკენ უკან დახევას მოასწრებდნენ, გერმანელებს უნდა გაენადგურებინათ მდინარე ვოლგის ზემო წელიდან მდინარე ოკამდე. ამის შემდეგ გერმანიის ჯარები მოსკოვში ტრიუმფით შესვლას გეგმავდნენ.

მოსკოვზე შეტევას იწყებდა არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" 77 დივიზია: 1000000 ჯარისკაცი და ოფიცერი, 14000 ქვემეხი, 1700 ტანკი. მოსკოვზე შეტევას ჰაერიდან მხარს უჭერდა 950 თვითმფრინავი. საბჭოთა ჯარები, რომლებიც მოსკოვს იცავდნენ, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდნენ მოწინააღმდეგეს. მოსკოვის დაცვაში მონაწილეობდა 770 ტანკი, 364 თვითმფრინავი, 9150 ქვემეხი და ნაღმტყორცნი. გარდა

ამისა, მოწინააღმდეგის განკარგულებაში არსებული ძლიერი მძიმე არტილერია და თვითმავალი საარტილერიო დანადგარები დიდ უპირატესობას ანიჭებდა გერმანელთა ქვეით დივიზიებს.

გენერალური შეტევა მოსკოვზე დაიწყო 1941 წლის 30 სექტემბერს. არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" მე-2 სატანკო არმიამ ბრიანსკის ფრონტის ჯარების მარცხენა ფლანგს შეუტია შოსტკის რაიონში. 2 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტის ჯარების წინააღმდეგ დიდი შეტევა დაიწყეს არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" ძირითადმა ძალებმა. ბრძოლამ პირველი დღიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. გერმანელებმა შეძლეს 43-ე არმიის უბანზე დასავლეთის ფრონტის თავდაცვის გარღვევა. შეიქმნა ფრონტის ჯარების ალყაში მოხვედრის საფრთხე. ფრონტის სარდლობის ცდას, უკან დახევის გზით თავიდან აეცილებინა ჯარების ალყაში მოხვედრა, შედეგი არ მოჰყოლია, რადგან გერმანელთა მოტორიზებული კორპუსი ძალზე სწრაფად მიიწევდა წინ და უკან დასახევ გზას უჭრიდა დასავლეთი ფრონტის ჯარებს. 1941 წლის 7 ოქტომბერს გერმანელებმა ვიაზმის რაიონში დაასრულეს დასავლეთის ფრონტის მე-19, მე-20, 24-ე და 32-ე არმიების ალყაში მოქცევა. 3 ოქტომბერს მათ აიღეს ორიოლი და ორიოლ-ტულის შოსე — გზით დაიწყეს წინ წაწევა. 6 ოქტომბერს მოწინააღმდეგემ დაიკავა კარაჩევი და ბრიანსკი. ბრიანსკის ფრონტის ჯარები დაიქსაქსა, ხოლო უკანდასახევი გზა მოჭრილი აღმოჩნდა. ბრიანსკის რაიონში ალყაში მოხვდა მე-3, მე-13 და 50-ე არმიები. გერმანული წყაროების მიხედვით, ბრიანსკთან ალყაში მოჰყვა 663 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო 1242 ტანკი და 5412 ქვემეხი. საბჭოთა წყაროები იუწყებიან, რომ ალყაში მოხვდა 64 დივიზია, 11 სატანკო ბრიგა და 50 საარტილერიო პოლკი. ალყიდან გამოსვლა მოახერხა 34 დივიზიამ და 13 საარტილერიო პოლკმა. 50-ე არმიის პირადი შემადგენლობიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 10%, არმიამ შეინარჩუნა ქვემეხებისა და არტილერიის 2,4%. დიდი დანაკლისი განიცადა დასავლეთის, სარეზერვო და ბრიანსკის ფრონტების მეთაურთა (ოფიცერთა) შემადგენლობამ. მე-19 არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი მ. ლუკინი დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. უკვალოდ დაიკარგა 24-ე არმიის სარდალი გენერალ-მაიორი კ. რაკუტინი.

მოსკოვისათვის ბრძოლებში 1941 წლის ოქტომბრის დამდეგს განცდილი სერიოზული მარცხის მიზეზი მარტო ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ გერმანიის არმიის რიცხობრივი უპირატესობა კი არ იყო, არამედ თავდაცვის ორგანიზებისას უმაღლესი მთავარსარდლობისა და ფრონტების სარდლობის მიერ დაშვებული შეცდომები. ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული უშუალოდ ბრძოლის პერიოდში.

1941 წლის 13 ოქტომბრისათვის დასავლეთის ფრონტის ჯარებს მოსკოვის მისადგომებთან შემდეგი პოზიცია ეკავა: ვოლოკოლამსკის გამაგრებულ რაიონს იცავდა მე-16 არმია (სარდალი კ. როკოსოვსკი), მოჟაისკის გამაგრებულ რაიონს — მე-5 არმია (სარდალი ლ. გოვოროვი), მალოიაროსლავეცის გამაგრებულ რაიონს — 43-ე არმია (სარდალი კ. გოლუბევი), კალუგის გამაგრებულ რაიონს — 49-ე არმია (სარდალი ი. ზახარინი). ამ გამაგრებული რაიონების უკან, უშუალოდ ქალაქის საზღვარზე კიდევ იყო თავდაცვის ერთი ზღუდე. მოსკოვთან თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე მუშაობდა 450 ათასი მოსკოველი, ძირითადად ქალები.

განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები მოსკოვის მიმართულებით 1941 წლის 13-18 ოქტომბერს გაიმართა. 18 ოქტომბერს გერმანელებმა დაიკავეს მოჟაისკი, მალოიაროსლავეცი და ტარუსა. შეიქმნა მოსკოვში მოწინააღმდეგის შეჭრის რეალური საფრთხე. 17 ოქტომბრის დილიდან მოსკოვის მისადგომებთან პოზიციების დაკავება დაიწყო სახალხო ლაშქარმა.

1941 წლის 15 ოქტომბერს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სსრკ დედაქალაქ ქ. მოსკოვის ევაკუაციის შესახებ". დადგენილების თანახმად მთავრობის დაწესებულებათა ნაწილი და მთელი დიპლომატიური კორპუსი უნდა გადასულიყო ქალაქ კუიბიშევში.

*თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება „სსრკ დედაქალაქ ქ. მოსკოვის ევაკუაციის შესახებ": „მოსკოვის თავდაცვითი ხაზის რაიონში შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის გამო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:*

*დაევალოს ამხ. მოლოტოვს განუცხადოს საზღვარგარეთის მისიებს, რომ ისინი დღესვე ევაკუირებულნი უნდა იქნენ ქ. კუიბიშევში (გზათა მიმოსვლის სამინისტრომ — ამხ. კაგანოვიჩმა უზრუნველყოს მატარებლის შემადგენლობათა დროული მიწოდება მისიებისათვის, ხოლო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა — ამხ. ბერიამ უზრუნველყოს მათი დაცვა).*

*დღესვე მოხდეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, ასევე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მოლოტოვით სათავეში მთავრობის*

*ევაკუაცია. (ამხ. სტალინი ევაკუირებული იქნება ხვალ ან მოგვიანებით, მდგომარეობის შესაბამისად).*

*დაუყოვნებლივ იქნეს ევაკუირებული თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოები ქ. კუიბიშევში, ხოლო გენერალური შტაბის ძირითადი ჯგუფი არზამასში.*

*მოსკოვის კარიბჭესთან მოწინააღმდეგის ჯარების გამოჩენის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ამხ. ბერიამ და ამხ. შჩერბაკოვმა მოახდინონ იმ საწარმოების, საწყობებისა და დაწესებულებების აფეთქება, რომელთა ევაკუაცია შეუძლებელია, აგრეთვე მეტროს მთელი ელექტრომოწყობილობისა (გარდა წყალგაყვანილობისა და კანალიზაციისა)".*

გავრცელდა ხმები, რომ თითქოს მთავრობამ გერმანელებისათვის მოსკოვის ჩაბარება გადაწყვიტა. პანიკით მოცული მოსახლეობა ქალაქიდან გარბოდა. პანიკას აძლიერებდა ისიც, რომ ძალზე მწირი ცნობები გადაიცემოდა მოსკოვთან მიმდინარე ბრძოლების შესახებ. 1941 წლის 17 ოქტომბერს ხელისუფლებამ ოფიციალურად უარყო ხმები მოსკოვის დატოვების შესახებ, ხოლო 19 ოქტომბერს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილება მოსკოვსა და მიმდებარე რაიონებში საალყო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. მოსკოვიდან დასავლეთით 100-120 კილომეტრიანი ზოლის დაცვა დაევალა გენერალ გიორგი ჟუკოვს.

მოსკოვის მოსახლეობისა, და საერთოდ, ქვეყნის მოსახლეობის, წითელი არმიის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში, წითელ მოედანზე, გამართულ სამხედრო პარადს. ჯარები პარადიდან პირდაპირ ფრონტზე მიემართებოდნენ.

1941 წლის 15-16 ნოემბერს გერმანელებმა მოსკოვზე შეტევა გააგრძელეს. მოწინააღმდეგე ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ ამჯერად, ინარჩუნებდა უპირატესობას. გერმანელები ცდილობდნენ მოსკოვისათვის ჩრდილოეთიდან კლინისა და სოლნეჩნოგორსკის, ხოლო სამხრეთიდან ტულისა და კაშირის მხრიდან შემოევლოთ. კლინი-სოლნეჩნოგორსკისა და ტულა-კაშირის მიმართულებით სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა. 29 ნოემბერს გერმანელებმა იახრომის რაიონში გადალახეს მოსკოვ-ვოლგის არხი, მაგრამ შემდგომი წინსვლა ვეღარ შეძლეს.

1941 წლის ნოემბრის მიწურული და დეკემბრის დამდეგი მოსკოვისათვის ბრძოლის კულმინაციას წარმოადგენდა. ეს იყო პერიოდი, როცა გერმანელებმა იგრძნეს, რომ ისინი უძლურნი იყვნენ გადაელახათ წითელი არმიის წინააღმდეგობა. გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები მოიქანცნენ როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. მათ დაკარგეს მოსკოვის დაკავების რწმენა.

**9. საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა მოსკოვთან.** 1941 წლის დეკემბრის დამდეგისათვის მოსკოვისაკენ გერმანიის ჯარების წინსვლა ყველა მიმართულებით შეჩერებული იქნა. იმავდროულად მოსკოვის მისადგომებისაკენ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაიწყო კალინინის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების სარეზერვო არმიების გადასროლა. მოსკოვთან დაჯგუფებული საბჭოთა ჯარები ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ უკვე აღემატებოდნენ გერმანელთა ჯარებს.

1941 წლის 5 დეკემბერს, გამთენიისას, კალინინის ფრონტის (სარდალი ი. კონევი) მარცხენა ფლანგზე განლაგებულმა ჯარებმა განახორციელეს ძლიერი კონტრშეტევა. 6 დეკემბერს, დილით, კონტრშეტევა დაიწყეს დასავლეთის ფრონტის დამრტყმელმა დაჯგუფებებმა და სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის (სარდალი ს. ტიმოშენკო) მარჯვენა ფლანგზე განლაგებულმა ჯარებმა.



*ივანე სტეფანეს ძე კონევი (1897-1973). მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. 1934 წელს დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. უნტერ-ოფიცერი. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში. იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მონაწილეობდა კრონშტადტის ამბოხების ჩახშობაში (1921 წ). სამოქალაქო ომის შემდეგ იყო დივიზიის მეთაური, კორპუსის მეთაური, 1928-1940 წლებში შორეული აღმოსავლეთის მე-2 არმიის სარდალი, 1940-1941 წლებში ბაიკალისპირეთისა და ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქების ჯარების სარდალი. ომის დაწყების შემდეგ დაინიშნა მე-19 არმიის სარდლად, იყო დასავლეთის ფრონტის სარდალი (1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერი და 1942 წლის აგვისტო - 1943 წლის თებერვალი), კალინინის ფრონტის სარდალი (1941 წლის ოქტომბრიდან), ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის სარდალი (1943 წლის მარტიდან), სტეპის ფრონტის*

*სარდალი (1943 წლის ივლისიდან), უკრაინის მეორე ფრონტის სარდალი (1943 წლის ოქტომბრიდან), უკრაინის პირველი ფრონტის სარდალი (1944 წლის მაისი — 1945 წლის მაისი), ცენტრალური ჯგუფის ჯარების მთავარსარდალი და ავსტრიის უმაღლესი კომისარი (1945-1946 წ.). 1946 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლად და შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილედ. 1950 წელს გაათავისუფლეს სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობიდან, ხოლო 1951 წელს — შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილეობიდან. 1951 წელს დაინიშნა კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. 1953 წელს იყო სპეციალური თათბირის თავმჯდომარე, რომელმაც გაასამართლა და სიკვდილის დასჯის განაჩენი გამოუტანა ლ. ბერიას, ვ. მერკულოვს, ვ. დეკანოზოვს, ბ. ქობულოვს და სხვებს. 1955-1956 წლებში კვლავ ეკავა საბჭოთა კავშირის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თანამდებობა. 1956-1960 წლებში იყო საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, იმავდროულად, 1955-1960 წლებში იყო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1956 წელს ხელმძღვანელობდა უნგრეთის აჯანყების ჩახშობას. 1961-1962 წლებში იყო გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი.*

გერმანელებმა ვერც ერთ უბანზე საბჭოთა ჯარებს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და უკან დახევა დაიწყეს. 1942 წლის თებერვლის დამდეგს დასავლეთის ფრონტის ჯარები გავიდნენ ნარო-ფომინსკ-მალოიაროსლავეცის ხაზზე. ხოლო შემდეგ კალუგის, სუხინიჩისა და ბელევის დასავლეთით. კონტრშეტევის პერიოდში საბჭოთა ჯარებმა დასავლეთის მიმართულებით წინ წაიწიეს 100-250 კილომეტრით. მოსკოვისათვის ბრძოლა გერმანელთა დიდი მარცხით დასრულდა.

მოსკოვთან გერმანიის ჯარების დამარცხებით საბჭოთა ჯარებმა საბოლოოდ ჩაშალეს „ელვისებური ომით" საბჭოთა კავშირის განადგურების გეგმა. გერმანიის არმიამ მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან პირველად იგემა სერიოზული მარცხი. აშკარა გახდა, რომ ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა. ეს საერთაშორისო ვითარებას გერმანიის საზიანოდ ცვლიდა.

**10. ანტიგერმანული კოალიციის შექმნა.** ანტიგერმანული კოალიციის შექმნა ადვილი არ ყოფილა. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკება, რომელიც ომის სხვადასხვა ასპექტს ეხებოდა, დამოკიდებული იყო იმაზე თუ „რამდენ ხანს გაუძლებდა რუსეთი". 1941 წლის 30 ივლისს მოსკოვში ჩაფრინდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ჰ. ჰოპკინსი. იოსებ სტალინისა და ჰ. ჰოპკინსის შეხვედრის შემდეგ არსებითად შეიცვალა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო წრეების შეხედულება წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობაზე. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ხაზი არ შეცვლილა: საბჭოთა კავშირს „უნდა დახმარებოდნენ არა იმიტომ, რომ უზრუნველეყოთ მისი გამარჯვება, არამედ იმიტომ, რომ გერმანია ჰყოლოდათ შებოჭილი მანამ, სანამ ამერიკის როლი ომში გადამწყვეტი გახდებოდა". სწორედ ამიტომ იყო, რომ ლენდ-ლიზის კანონი, მეორე ქვეყნისათვის იჯარით ან სესხად თავდაცვისათვის აუცილებელი რესურსების მიცემის შესახებ, საბჭოთა კავშირზე თავიდანვე არ გავრცელებულა.

1941 წლის 12 ივლისს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმება. შეთანხმებაში აღნიშნული იყო: გერმანიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირი და ინგლისი ერთმანეთს აღმოუჩენდნენ დახმარებას და ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე გერმანიასთან არ დაიწყებდნენ მოლაპარაკებას.

1941 წლის 29 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის კონფერენცია. კონფერენციაზე იხილებოდა მოკავშირეების მხრიდან საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ვალდებულება იკისრეს 1941 წლის 1 ოქტომბრიდან 1942 წლის 30 ივნისამდე საბჭოთა კავშირისათვის ყოველთვიურად მიეწოდებინათ 400 თვითმფრინავი, 500 ტანკი, 200 ტანკსაწინააღმდეგო თოფი და სხვ. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირს მოკავშირეებისათვის უნდა მიეწოდებინა სამხედრო პროდუქციისათვის აუცილებელი ნედლეული. მოკავშირეები საბჭოთა კავშირს გამოუყოფდნენ 1 მილიარდი დოლარის ოდენობის უპროცენტო სესხს.

მიუხედავად მოლაპარაკებისა, 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ლენდ-ლიზით მიღებული დახმარება არ იყო დიდი, მისი საერთო ღირებულება 0,5 მილიონ დოლარს აღწევდა.

1941 წლის 14 აგვისტოს ატლანტიკის ოკეანეში, კუნძულ ნიუ-ფაუდლენდზე, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბა-

ზაზე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა ხელი მოაწერეს „ატლანტიკის ქარტიას". ატლანტიკის ქარტიაში აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი: 1) არ ესწრაფიან ომის შედეგად ტერიტორიების შეძენას; 2) არ მოახდენენ არანაირ ტერიტორიულ ცვლილებებს დაინტერესებული მხარეების თანხმობის გარეშე; 3) პატივს სცემენ ხალხების უფლებებს თვითონ აირჩიონ მმართველობის ფორმა; 4) ყველა ქვეყანას შეუქმნან ერთნაირი პირობები ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარებისათვის.

„ატლანტიკის ქარტიაში" საბჭოთა კავშირი ნახსენები არ ყოფილა, ისევე როგორც ნახსენები არ ყოფილა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტი. ცხადია, ეს იმის შედეგი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი საბჭოთა კავშირს არ განიხილავდნენ რეალურ ძალად, ყოველ შემთხვევაში მანამდე, სანამ არ გაირკვეოდა, თუ ვის მხარეზე გადაიხრებოდა სასწორი გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში. 1941 წლის აგვისტოში კი საბჭოთა კავშირი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

1941 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის მთავრობამ სპეციალური დეკლარაციით დაადასტურა თავისი მზადყოფნა ეცნო „ატლანტიკის ქარტიის" ძირითადი პრინციპები. ამავე დროს დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ქარტიის პრინციპების ხორცშესხმა უნდა მომხდარიყო ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობისა და ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით.

1941 წლის 7 დეკემბერს იაპონია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზას პერლ-ჰარბორში (ჰავაის კუნძულები). 8 დეკემბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა იაპონიას. იაპონიას ომი გამოუცხადა ინგლისმაც. 11 დეკემბერს გერმანიამ და იაპონიამ ომი გამოუცხადეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. მეორე მსოფლიო ომის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1942 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში შეიკრიბა ანტიგერმანული კოალიციის 26 ქვეყანა, მათ შორის: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი. ხელმოწერილ დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ანტიგერმანული კოალიციის სახელმწიფოები ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ ყოველგვარ სამხედრო და ეკონომიკურ რესურსს. ვაშინგტონის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოები, ასევე ის სახელმწიფოები, რომლებიც შემდეგ შეუერთდნენ დეკლარაციას, იწოდებოდნენ „გაერთიანებულ ერებად".

მიუხედავად ანტიგერმანული კოალიციის შექმნისა, 1942 წელს ევროპაში გერმანიის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნა ვერ მოხერხდა.

**11. საომარი მოქმედებანი 1942 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში.** 1942 წლის აპრილში მოსკოვთან დაწყებული კონტრშეტევის ძალა შესუსტდა. შეტევის გაგრძელებისათვის არც ცოცხალი ძალა და არც საბრძოლო ტექნიკა აღარ კმაროდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაიწყო პოზიციური ბრძოლები.

1942 წლისათვის შეიცვალა წითელი არმიის შევსების პრინციპი. თუ 1941 წელს დასუსტებული დივიზიები და ბრიგადები ფრონტზევე ივსებოდა ახლადგაწვეულებით, 1942 წლის გაზაფხულიდან დაიწყეს ფრონტიდან დივიზიებისა და ბრიგადების გაყვანა დასასვენებლად და ცოცხალი ძალითა და ტექნიკით შესავსებად. გარკვეულ პერიოდამდე ეს შენაერთები რეზერვში ითვლებოდა. დასვენებისა და შევსების შემდეგ ისინი კვლავ ფრონტზე იგზავნებოდნენ. გაუმჯობესდა ოფიცერთა კადრების მომზადება. დაიწყო საჰაერო არმიების, სატანკო კორპუსებისა და არმიების შექმნა. დაიწყო ომის გამოცდილების შესწავლა.

1942 წლის ზაფხულის საომარი კამპანიის დაგეგმვის დროს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ყველაფერი სწორად ვერ გათვალა. გადაწყდა, რომ წითელი არმია შეძლებდა ერთდროულად როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი ბრძოლების წარმოებას, რაც შეცდომა იყო. წითელი არმია გერმანიის არმიას ჯერ კიდევ ბევრი რაიმეთი ჩამოუვარდებოდა. ეს ნათლად დადასტურდა ყირიმისა და ხარკოვისათვის ბრძოლების დროს. პირველი შეტევა ყირიმის ფრონტის ჯარების წინააღმდეგ გერმანელებმა 1942 წლის 8 მაისს დაიწყეს. მოწინააღმდეგემ არტილერიისა და ავიაციის ძლიერი მხარდაჭერით საბჭოთა ჯარების თავდაცვა გაარღვია. ყირიმის ფრონტი (სარდალი დ. კოზლოვი) პრაქტიკულად დაიშალა, მის შემადგენლობაში შემავალი არმიები განადგურებულნი იქნენ. 15 მაისს გერმანელებმა დაიკავეს ქერჩი და ხელთ იგდეს დიდი რაოდენობით ტყვე და სამხედრო ტექნიკა.



*დიმიტრი ტიმოთეს ძე კოზლოვი (1896-1967). გენერალ-ლეიტენანტი. დაამთავრა მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია (1928 წ.). მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, პრაპორშჩიკი. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში, იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მეთაურობდა ბატალიონს, პოლკს. 1922 წლიდან იყო მსროლელი დივიზიის ჯერ შტაბის უფროსი, შემდეგ მეთაური. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში (1939-1940) მეთაურობდა მსროლელ კორპუსს. 1941 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. ომის დაწყების შემდეგ, 1941 წლის აგვისტოში, დაინიშნა ამიერკავკასიის ფრონტის, 1941 წლის დეკემბერში — კავკასიის ფრონტის, 1942 წლის იანვარში — ყირიმის ფრონტის სარდლად. ხელმძღვანელობდა ქერჩის სადესანტო ოპერაციას. 1942 წლის 15 მაისს ი. სტალინისაგან მიიღო ბრძანება არავითარ შემთხვევაში არ ჩაებარებინა ქერჩი. 12 დღეში გერმანელებმა ყირიმის ფრონტის ჯარები სასტიკად დაამარცხეს და ქერჩი დაიკავეს. ფრონტის ჯარებმა უდიდესი ზარალი ნახეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. დ. კოზლოვი გენერალ-მაიორობამდე ჩამოაქვეითეს და 24-ე არმიის სარდლად დანიშნეს. 1942 წელს იყო ვოლხოვის ფრონტის ჯარების სარდლის მოადგილე. 1943 წელს დაინიშნა ბაიკალისპირეთის ფრონტის სარდლად. 1946-1954 წლებში იყო სხვადასხვა სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.*

ქერჩის დაცემამ ძალზე გაართულა ალყაშემორტყმული სევასტოპოლის მდგომარეობა, რომლის აღებასაც გერმანელები დიდი გააფთრებით ცდილობდნენ. ამ პერიოდისათვის სევასტოპოლში შემავალი საავტომობილო და სარკინიგზო კომუნიკაციები მოწინააღმდეგის ხელში იყო. ქალაქის დამცველებს არ ჰყოფნიდათ საბრძოლო ტექნიკა და საჭურველი, სურსათი, სასმელი წყალი და მედიკამენტები. 1942 წლის 4 ივლისს გერმანელებმა სევასტოპოლი დაიკავეს და მთელს ყირიმის ნახევარკუნძულსაც დაეუფლნენ.

ყირიმის ნახევარკუნძულზე ბრძოლების პარალელურად მიმდინარეობდა ბრძოლები ხარკოვის რაიონში. იმხანად ხარკოვის აღების შესაძლებლობა საბჭოთა ჯარებს არ გააჩნდათ. და მაინც, 1942 წლის 12 მაისს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ჯარებმა (მთავარსარდალი ს. ტიმოშენკო) ხარკოვზე შეტევა დაიწყეს და 25-40 კილომეტრით წინ წაიწიეს. 17 მაისს გერმანელებმა მოულოდნელად ძლიერი კონტრშეტევა განახორციელეს და საბჭოთა ჯარების ფრონტი გაარღვიეს. მდგომარეობის ხსნა ვერც სარეზერვო ჯარების ბრძოლაში ჩაბმით მოხერხდა. 23 მაისს გერმანელებმა დაასრულეს სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტების ჯარების ალყაში მოქცევა. ალყის გარღვევის ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. წითელმა არმიამ დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა და ტექნიკა დაკარგა: დაიღუპა 67 ათასი კაცი, ტყვედ ჩავარდა 200 ათასი; მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო 143 ათასი შაშხანა, 9 ათასი ავტომატი, 652 ტანკი, 1500 ქვემეხი, 3200 ნაღმტყორცნი, 58000 ცხენი.

1942 წლის ივნის-ივლისში გერმანელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. დაიკავეს მთელი დონბასი და მდინარე დონის დელტა, რითაც საფრთხე შეექმნა სტალინგრადსა და ჩრდილო კავკასიას.

**12. იოსებ სტალინის ბრძანება № 227.** დიდმა წარუმატებლობებმა 1942 წლის ზაფხულში ისევ დასცა წითელი არმიის საბრძოლო სულისკვეთება. განუწყვეტელი უკანდახევა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აგდებდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. 1942 წლის 28 ივლისს იოსებ სტალინმა ხელი მოაწერა № 227 ბრძნებას. ბრძანება შეიცავდა კატეგორიულ მოთხოვნას: „არც ერთი ნაბიჯი უკან!" საშუალო და უფროსი ოფიცრები, რომლებიც იოსებ სტალინის ბრძანების შეუსრულებლობაში იქნებოდნენ შემჩნეულნი, იგზავნებოდნენ საჯარიმო ბატალიონებში, ხოლო რიგითი ჯარისკაცები და უმცროსი ოფიცრები - საჯარიმო ასეულებში. საჯარიმო ასეულები და ბატალიონები იბრძოდნენ ფრონტის ყველაზე უფრო ძნელ უბნებზე, რის გამოც დიდი რაოდენობით იხოცებოდნენ. საჯარიმო ასეულის თუ და ბატალიონის მებრძოლი ჭრილობის მიღების შემდეგ სასჯელიდან თავისუფლდებოდა.

*საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის იოსებ სტალინის 1942 წლის 28 ივლისის # 227 ბრძანებიდან: „წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობა ბრძანებს:*

*ფრონტების სამხედრო საბჭოებსა და უპირველეს ყოვლისა ფრონტების სარდლებს:*

*ა) უპირობოდ მოახდინონ უკან დახევის განწყობილების ლიკვიდაცია ჯარებში და რკინის ხელით აღკვეთონ პროპაგანდა იმის შესახებ, რომ ჩვენ შეგვიძლია აღმოსავლეთისაკენ უკან დახევა და რომ უკან დახევას არ მოაქვს ზიანი;*

*ბ) უპირობოდ მოიხსნან თანამდებობიდან და სამხედრო სასამართლოსათვის გადასაცემად უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში გაიგზავნონ არმიათა*

*სარდლეპი, რომლეპიც დაკავებული პოზიციებიდან ფრონტის სარდლოპის ბრძანების გარეშე ჯარების თვითნებურად უკან დახევას დაუშვებენ;*

*გ) ფრონტის შემადგენლობაში, ვითარების შესაბამისად, შეიქმნას ერთიდან სამამდე საჯარიმო ბატალიონი (800 კაცით თითოეულში), სადაც გაიგ ზავნონ ჯარის ყველა სახეობის საშუალო და უფროსი ოფიცრობა და შესაპამისი პოლიტმუშაკები, რომელთაც დაარღვიეს დისციპლინა სილაჩრის ან მერყეობის გამო. დააყენონ ისინი ფრონტის კიდევ უფრო ძნელ მონაკვეთზე, რათა საშუალება მიეცეთ სისხლით გამოისყიდონ თავიანთი დანაშაული სამშობლოს წინაშე.*

*ფრონტების სამხედრო საბჭოებსა და უპირველეს ყოვლისა ფრონტების სარდლებს:*

*ა) უპირობოდ მოიხსნას თანამდებობიდან და ფრონტის სამხედრო საბჭოში სამხედრო სასამართლოსათვის გადასაცემად გაიგ ზავნონ დივიზიებისა და კორპუსების მეთაურები და კომისრები, რომლებიც დაკავებული პოზიციებიდან არმიის სარდლობის ბრძანების გარეშე ჯარების თვითნებურად უკან დახევას დაუშვებენ;*

*ბ) არმიის შემადგენლობაში შეიქმნას 3-5 კარგად შეიარაღებული გადამღობი რაზმი (200 კაცამდე თითოეულში), დააყენონ ისინი მერყევი დივიზიების უშუალო ზურგში და დაავალონ მათ პანიკისა და დივიზიების ნაწილების უწესრიგოდ უკან დახევის შემთხვევაში ადგილზე დახვრიტონ პანიკიორები და ლაჩრები და ამით დივიზიის პატიოსან მებრძოლებს ხელი შეუწყონ მოიხადონ ვალი სამშობლოს წინაშე;*

*გ) არმიის შემადგენლობაში, ვითარების შესაბამისად, შეიქმნას ხუთიდან ათამდე საჯარიმო ასეული (150 კაციდან 200 კაცამდე თითოეულში), სადაც გაიგ ზავნონ რიგითი მებრძოლები და უმცროსი მეთაურები, რომელთაც დაარღვიეს დისციპლინა სილაჩრის ან მერყეობის გამო. დააყენონ ისინი არმიის ძნელ უბნებზე, რათა საშუალება მიეცეთ სისხლით გამოისყიდონ თავიანთი დანაშაული სამშობლოს წინაშე.*

*კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებსა და კომისრებს:*

*ა) უპირობოდ მოიხსნას თანამდებობიდან პოლკებისა და ბატალიონების მეთაურები, რომლებიც კორპუსის ან დივიზიის მეთაურის ბრძანების გარეშე ნაწილების თვითნებურად უკან დახევას დაუშვებენ, ჩამოერთვათ მათ ორდენები და მედლები და გაიგ ზავნონ ფრონტის სამხედრო საბჭოში სამხედრო სასამართლოსათვის გ.ადასაცემად;*

*ბ) არმიის გადამღობ რაზმებს წესრიგისა და დისციპლინის აღდგენის საქმეში აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება და მხარდაჭერა.*

*ბრძანება წაკითხული იქნას ყველა ასეულში, ესკადრონში, ბატარეაში, ესკადრილიაში, ეკიპაჟსა და შტაბში".*

ფრონტზე შექმნილი ვითარება ითხოვდა ევაკუაციის ახალი ეტაპის ორგანიზებას. ამჯერად ევაკუაცია მიმდინარეობდა როსტოვის, ვორონეჟის, ორიოლის, სტალინგრადის და ვოროშილოვგრადის ოლქებიდან, ასევე ჩრდილო კავკასიიდან. 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ამ ოლქებიდან ევაკუირებული იქნა ასი ათასობით ადამიანი, 150 მსხვილი საწარმო, დიდი რაოდენობით ჯოგი, სურსათი და სხვ.

**13. სტალინგრადისა და კავკასიის დაცვა.** 1942 წლის ზაფხულში სევასტოპოლთან და ხარკოვთან მოპოვებული წარმატების მიუხედავად გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ 1942 წლის საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვისას დაუშვა დიდი სტრატეგიული შეცდომა. ადოლფ ჰიტლერმა ჩათვალა, რომ გერმანიის არმიას უნარი შესწევდა ორი მიმართულებით განეხორციელებინა შეტევითი ოპერაცია. არმია დაჯგუფება „ა"-ს უნდა დაეკავებინა ჩრდილო კავკასია, ხოლო შემდეგ — შავი და კასპიის ზღვის სანაპიროები. ამ ოპერაციის შედეგად გერმანიის ხელში აღმოჩნდებოდა გროზნოსა და ბაქოს ნავთობის საბადოები. არმიათა დაჯგუფება „ბ"-ს სტალინგრადის დაკავების შემდეგ თავდაცვითი ზღუდე უნდა შეექმნა მდინარე დონზე, რათა თავიდან აეცილებინა წითელი არმიის კონტრშეტევა.

გერმანელები, წითელი არმიის თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, დასავლეთიდან სწრაფი შეტევის წყალობით 1942 წლის 25 აგვისტოს სტალინგრადს მიუახლოვდნენ. გერმანიის მე-4 სატანკო არმია სტალინგრადს სამხრეთ-დასავლეთიდან უტევდა. გერმანელთა წარმატება იმანაც განაპირობა, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ვერ ამოიცნო გერმანელთა მთავარი შეტევის მიმართულება. ვარაუდობდნენ, რომ 1942 წლის ზაფხულში გერმანიის არმიის შეტევის უმთავრესი მიზანი ისევ მოსკოვის დაკავება იქნებოდა. სწორედ ამიტომ ქვეყნის სამხრეთში წითელი არმიის მნიშვნელოვანი ძალები არ ყოფილა განლაგებული.

საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ გერმანიის ჯარების წინსვლის შესაჩერებლად სასწრაფო ზომები მიიღო. 1942 წლის 12 ივლისს სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ბაზაზე შეიქმნა სტალინგრადის ფრონტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა 3 საერთო-საჯარისო და 2 საჰაერო არმია. სტალინგრადის ფრონტს გადაეცა თავდაცვით ბრძოლებში სერიოზულად დაზარალებული 38-ე და 28-ე არმიები, ასევე მდინარე ვოლგის სამხედრო ფლოტილია. 1942 წლის 5 აგვისტოს სტალინგრადის ფრონტი გაიყო ორად

- – სტალინგრადის ფრონტად და სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტად. 28 სექტემბერს სტალინგრადის ფრონტს ეწოდა დონის ფრონტი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტს სტალინგრადის ფრონტი. 1942 წლის აგვისტოში უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა სტალინგრადის მიმართულებით 15 მსროლელი დივიზია და 3 სატანკო კორპუსი გადაისროლა. სტალინგრადის მისადგომებთან მიმდინარეობდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა, რომელშიც 200 ათასი კაცი მონაწილეობდა.

სტალინგრადის ბრძოლის თავდაცვითი პერიოდი გრძელდებოდა 1942 წლის 17 ივლისიდან 18 ნოემბრამდე. ქალაქის დაცვაში განსაკუთრებით დიდი შეუპოვრობა გამოიჩინეს მსროლელმა დივიზიებმა, რომელთაც მეთაურობდნენ: ა. როდიმცევი, ი. ლიუდნიკოვი, ნ. ბატიუკოვი, ვ. გორიშნი, ი. ერმოლკინი, თ. სმეხოტვოროვი.

სტალინგრადის დაცვის მთელი სიმძიმე თავიანთ მხრებზე იწვნიეს იმ არმიების ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, რომელთაც სარდლობდნენ გენერალი ვ. კოლპაკჩი, ა. ლოპატინი, ვ. ჩუიკოვი და მ. შუმილოვი.



*ვასილ ივანეს ძე ჩუიკოვი (1900-1892). საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. 1925 წელს დაამთავრა სამხედრო აკადემია, 1927 წელს მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის აღმოსავლეთის ფაკულტეტი, 1936 წელს — წითელი არმიის მექანიზაციისა და მოტორიზაციის აკადემიური კურსები. 1919 წელს შევიდა წითელ არმიაში, იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. 1918 წელს მონაწილეობდა მოსკოვში დაწყებული მემარცხენე ესერთა აჯანყების ჩახშობაში. 1927-1929 წლებში იყო სამხედრო მრჩეველი ჩინეთში, 1929-1932 წლებში -- შორეული აღმოსავლეთის არმიის შტაბის უფროსი, 1936 წლიდან მექანიზებული ბრიგადის მეთაური, მსროლელი კორპუსის მეთაური, ბობრუისკის საარმიო ჯგუფის სარდალი. დასავლეთ ბელორუსიის ოკუპაციის დროს (1939 წლის სექტემბერი) სარდლობდა მე-4 არმიას, ხოლო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის (1939-1940) დროს მე-9 არმიას. 1940-1942 წლებში იმყოფებოდა ჩინეთში სამხედრო მრჩევლად. 1942 წლის ივლისიდან 64-ე არმიის სარდალია, ხოლო 1942 წლის სექტემბერში 62-ე არმიის სარდლად დაინიშნა. მონაწილეობდა სტალინგრადის ბრძოლებში. 1943 წელს დაინიშნა მე-8 გვარდიული არმიის სარდლად, მონაწილეობდა უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებში, ვისლა-ოდერისა და ბერლინის ოპერაციებში. ომის შემდეგ ეკავა მნიშვნელოვანი თანამდებობები, 1960-1964 წლებში იყო საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე.*

1942 წლის 14 ოქტომბერს, გერმანელთა ავიაციის მიერ განხორციელებული ძლიერი დაბომბვის შემდეგ, სტალინგრადზე შეტევა დაიწყეს ქვეითმა მოტორიზებულმა და სატანკო ნაწილებმა. ცხარე ბრძოლები ხშირად გადადიოდა ხელჩართულ შეტაკებებში. ქარხანა „ბარიკადთან", ვიწრო მონაკვეთზე, გერმანელებმა შეძლეს მდინარე ვოლგის სანაპიროზე გასვლა. საბჭოთა ჯარების ხელში რჩებოდა ქალაქის უმნიშვნელო ნაწილი. ეს იყო გერმანელთა უკანასკნელი წარმატება. ქუჩის ბრძოლებში გერმანიის არმიამ დაკარგა თავისი უმთავრესი უპირატესობა თავისუფალი მანევრირება. გარდა ამისა, მკვეთრად დაეცა გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების საბრძოლო სულისკვეთება. საბოლოო მიზნის მიუღწევლობამ, დიდძალი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის განადგურებამ, ზამთრის მოახლოებამ ცუდად იმოქმედა გერმანელი ჯარისკაცის ფსიქიკაზე. სტალინგრადთან დაჯგუფებული გერმანიის ჯარები კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდნენ ქალაქის აღება შეუძლებელი ჩანდა.

1942 წლის აგვისტო-სექტემბერში გერმანელებმა წარმატება მოიპოვეს ჩრდილო კავკასიაში: 1942 წლის 8 აგვისტოს დაიკავეს მაიკოპი, ხოლო 25 აგვისტოს — მოზდოკი. წარუმატებლობა განიცადეს გერმანელებმა ტუაფსეს დაკავების მცდელობისას, სამაგიეროდ, ხელთ იგდეს ტამანის ნახევარკუნძული. 10 სექტემბერს გერმანელები ნოვოროსიისკს მიუახლოვდნენ, მაგრამ ტუაფსეს მიმართულებით შეტევაზე გადასულ ჯარებს ვერ შეუერთდნენ. საერთო მდგომარეობა ჩრდილო კავკასიაში ძალზე დაძაბული რჩებოდა. ყველაფერი დამოკიდებული იყო სტალინგრადთან მიმდინარე ბრძოლებზე.

**14. გერმანელთა საოკუპაციო რეჟიმი.** 1942 წლის ნოემბრისათვის გერმანელების მიერ ოკუპირებული იყო საბჭოთა კავშირის მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი -- 1795 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიაა 80 მილიონი მოსახლეობით. საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიას განაგებდა გერმანელთა ან სამხედრო და ან სამოქალაქო ადმინისტრაცია. ოკუპირებული ტერიტორიის ძარცვის მიზნით გერ-

ბერლინში სპეციალური სამინისტრო შეიქმნა, რომლის სათავეში ა. როზენბერგი იდგა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკონომიკის მართვა ჩაბარებული ჰქონდა სპეციალურ შტაბს, ხოლო წესრიგის დაცვა — ესესის სამსახურსა და პოლიციას. ესესისა და პოლიციის მიზანს შეადგენდა გერმანიისადმი მტრულად განწყობილთა განადგურება. საჭიროების შემთხვევაში ესესისა და პოლიციის გარდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის მიზნით რეგულარული არმიის ნაწილებიც შეჰყავდათ.

დაპყრობილ ტერიტორიაზე გერმანელებმა შექმნეს საქალაქო და რაიონული თვითმმართველობები. სოფლის გამგებლობა დაეკისრათ მამასახლისებს.

დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობა, ასაკის მიუხედავად, ვალდებული იყო ემუშავა. 1941 წლის 5 აგვისტოს ა. როზენბერგმა გამოსცა ბრძანება შრომითი ვალდებულების შემოღების შესახებ. ფრონტისპირა რაიონების მოსახლეობას უნდა ემუშავა ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ ყოველდღიური საკვების ფასად. გაცილებით ძნელი იყო „შრომით კოლონებში" საქმიანობა. „შრომით კოლონებში" მომუშავენი აგებდნენ გზებს, თავდაცვით ნაგებობებს, აუვნებელყოფდნენ დანაღმულ ადგილებს.

მდგომარეობის შესწავლის შემდეგ გერმანელები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოკუპირებული ტერიტორიის მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობას სამუშაო ადგილები არ ჰყოფნიდა. ზედმეტი მოსახლეობა სამუშაოდ გერმანიაში მიჰყავდათ.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე უამრავი ადამიანი დაიხოცა. მარტო შიმშილისა და ეპიდემიის გამო გარდაიცვალა 6,5 მილიონი კაცი. 11 მილიონი კი გერმანელებმა დახვრიტეს ტყვეთა ბანაკებში ან საცხოვრებელ ადგილებზე. გერმანიაში სამუშაოდ წაყვანილი 6 მილიონი კაციდან დაიხოცა 3 მილიონი.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე გერმანელებმა შეძლეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზება. მსხვილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე მოეწყო მამულები — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დიდი გაერთიანებები. მოსავლიანობის ამაღლების მიზნით გერმანელებმა შემოიტანეს დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სასუქები. უკრაინასა და ბელორუსიაში გერმანელებმა დაიწყეს ხე-ტყის დამზადება.

**15. პარტიზანული მოძრაობა.** საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 29 ივნისის დირექტივასა და იოსებ სტალინის 1941 წლის 3 ივლისის სიტყვაში დასახული იყო გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე პარტიზანული და იატაკქვეშა მოძრაობის ორგანიზების ამოცანა. 1942 წლის 30 მაისს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკთან შეიქმნა პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბი, რომლის უფროსადაც დაინიშნა პ. პონომარენკო.



*პანტელეიმონ პროკოფის ძე პონომარენკო (1962-1984). სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა გლეხის ოჯახში. 1932 წელს დაამთავრა მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. 1932-1936 წლებში მსახურობდა წითელ არმიაში. 1938-1941 წლებში იყო ბელორუსიის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1942-1944 წლებში პარტიზანული მოძრაობის ცენტრალური შტაბის უფროსი, 1944-1948 წლებში ბელორუსიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. პირადად ხელმძღვანელობდა ომისშემდგომი პერიოდის რეპრესიებს ბელორუსიაში. 1948 წლიდან სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანია, 1950-1952 წლებში საბჭოთა კავშირის დამზადების მინისტრი. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1954-1955 წლებში, იყო ყაზახეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, 1955-1956 წლებში საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში, 1957-1959 წლებში საბჭოთა კავშირის ელჩი ინდოეთსა და ნეპალში, 1959-1961 წლებში საბჭოთა კავშირის ელჩი ნიდერლანდებში. 1962 წლიდან პედაგოგიურ სამუშაოზეა. 1978 წელს გავიდა პენსიაზე.*

უკრაინაში პარტიზანულ და იატაკქვეშა მოძრაობას ხელმძღვანელობდა უკრაინის პარტიზანული მოძრაობის შტაბი, ხოლო ბელორუსიაში — ბელორუსიის პარტიზანული მოძრაობის შტაბი. პარტიზანული მოძრაობის შტაბები იქნებოდა ფრონტების სამხედრო საბჭოებთან.

პარტიზანული მოძრაობის სხვადასხვა დონის შტაბები ამზადებდნენ პარტიზანული მოძრაობის სპეციალისტებს და ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეჰყავდათ ისინი. 1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაწყებულ პარტიზანულ მოძრაობას შეუერთდა საგანგებოდ მომზადებული 13 ათასი სპეციალ-

ისტი. ომის წლებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მთლიანად შეგზავნილ იქნა 60 ათასი სპეციალისტი (მზვერავები, რადისტები, ამფეთქებლები, პარტიზანული მოძრაობის ორგანიზატორები და სხვ.). მთელი თავისი არსებობის მანძილზე (1942 წლის მაისი — 1944 წლის იანვარი) პარტიზანული მოძრაობის ცენტრალურმა შტაბმა პარტიზანულ რაზმებს მიაწოდა 60 ათასი კარაბინი და შაშხანა, 34 ათასი ავტომატი, 4 ათასი ხელის ტყვიამფრქვევი და სხვ.

პარტიზანული მოძრაობა საწყის ეტაპზე (1941 წლის ზაფხული და შემოდგომა) სტიქიური იყო. პარტიზანული რაზმები იქმნებოდა ალყაში მოხვედრილი და ტყვეობიდან გაქცეული წითელარმიელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისაგან, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისაგან. შემდგომ ეტაპზე პარტიზანული მოძრაობა უფრო ორგანიზებული ხდება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პარტიზანული მოძრაობის ცენტრალურ შტაბსა და უკრაინისა და ბელორუსიის პარტიზანული მოძრაობის შტაბებს, რომლებიც პარტიზანებს სპეციალისტებითა და შეიარაღებით ამარაგებდნენ, აწვდიდნენ ოპერატიულ ინფორმაციას. პარტიზანულ რაზმებში მკაცრი დისციპლინა არსებობდა. მაროდიორობა და სხვა მსგავსი დანაშაული სასტიკად ისჯებოდა.

პარტიზანულ რაზმს ჰყავდა მეთაური და კომისარი. რამდენიმე პარტიზანული რაზმი ერთიანდებოდა პარტიზანულ შენაერთში, რომელსაც მეთაურისა და კომისრის გარდა ჰყავდა შტაბის უფროსი. პარტიზანული შენაერთები უფრო უკრაინაში იყო გავრცელებული, ბელორუსიაში უპირატესობა პარტიზანულ ბრიგადებს ენიჭებოდა. პარტიზანული მოძრაობის ცნობილი ხელმძღვანელები იყვნენ: სიდორ კოვპაკი, პეტრე ვერშიგორა, ალექსი ფედოროვი, ანტონ ოდუხა და სხვები.

პარტიზანებმა დიდი როლი შეასრულეს მოსკოვსა და სტალინგრადთან გერმანელთა დამარცხების საქმეში, ასევე 1943-1944 წლებში საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებული საბრძოლო ოპერაციების წარმატებით დასრულებაში. პარტიზანებმა სარკინიგზო კომუნიკაციებზე მუდმივი თავდასხმებით მნიშვნელოვნად შეაფერხეს გერმანიის არმიის მომარაგება ცოცხალი ძალითა და ტექნიკით. ოკუპირებულ ტერიტორიაზე პარტიზანთა შენაერთების მიერ განხორციელებულმა რეიდებმა მოშალეს გერმანიის არმიის ზურგის კომუნიკაციები. 1943 წლის შემოდგომისათვის პარტიზანთა სრული კონტროლის ქვეშ იყო ოკუპირებული ტერიტორიის 200 ათასი კვ. კილომეტრიანი მონაკვეთი. პარტიზანული მოძრაობის მასშტაბებზე მიუთითებს ის, რომ 1942 წლის ზაფხულში პარტიზანებისაგან სარკინიგზო ეშელონების დაცვის მიზნით გერმანელებმა 13 დივიზია გამოყვეს.

გერმანელები უმკაცრესი ზომებით ებრძოდნენ პარტიზანულ მოძრაობას. მარტო არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" ზურგში 1942 წლის მაისისათვის გერმანელებმა პარტიზანებთან კავშირის ბრალდებით 80 ათასი კაცი დახვრიტეს.

## § 2. ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში (1942 წლის ნოემბერი — 1943 წლის დეკემბერი)

**1. გერმანელების დამარცხება სტალინგრადთან.** საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა სტალინგრადთან 1942 წლის 19 ნოემბერს დაიწყო. გერმანიის ჯარების განადგურების მიზნით დაგეგმილი საბრძოლო ოპერაცია (1942 წლის 19 ნოემბერი — 1943 წლის 2 თებერვალი) რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. ოპერაცია „ურანი" — სტალინგრადთან გერმანიის ჯარების ალყაში მოქცევა; ოპერაცია „მცირე სატურნი" — გერმანიის სარდლობისათვის ალყაში მოქცეული ჯარებისადმი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობის მოსპობა; ოპერაცია „რკალი" — ალყაში მოხვედრილი გერმანიის ჯარების განადგურება.

სტალინგრადთან კონტრშეტევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება იოსებ სტალინმა 1942 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში მიიღო. გეგმა ითვალისწინებდა 400 კილომეტრიან ფრონტზე კონტრშეტევის განხორციელებას, მონაწილემ-

დეგის დამარცხებას, მისთვის ინიციატივის ნართმევას და დიდი შეტევითი ოპერაციისათვის მომზადებას. ამ გრანდიოზული ოპერაციის ნარმართვა დაეკისრა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს (სარდალი ნ. ვატუტინი), დონის ფრონტსა (სარდალი კ. როკოსოვსკი) და სტალინგრადის ფრონტს (სარდალი ა. ერემენკო). სამი ფრონტის ჯარების გარდა ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღო შორეული ფრენის ავიაციას, ასევე ვორონეჟის ფრონტის (სარდალი ფ. გოლიკოვი), მე-6 საერთო-საჯარისო და მე-2 საჰაერო არმიასა და ვოლგის სამხედრო ფლოტილიას. სტალინგრადთან კონტრშეტევის საერთო ხელმძღვანელობა დაევალათ გიორგი ჟუკოვს და ალექსანდრე ვასილევსკის.

*ნიკოლოზ თევდორეს ძე ვატუტინი (1901-1944).* მხედართმთავარი. არმიის გენერალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. დაამთავრა ქვეითთა მე-14 სკოლა (1922 წ.), კიევის უმაღლესი სამხედრო სკოლა (1936 წ.), მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია (1929 წ.), გენერალური შტაბის აკადემია (1937 წ.). 1940 წლიდან იყო გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე. 1942 წელს სარდლობდა ვორონეჟის ფრონტს, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს, უკრაინის პირველ ფრონტს. როგორც ფრონტის სარდალი მონაწილეობდა სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლებში, ბელგოროდის, ხარკოვის, კიევის განთავისუფლებაში, მდინარე დნეპრის გადალახვაში. გარდაიცვალა უკრაინელი ნაციონალისტების რაზმთან შეტაკების დროს მიღებული ჭრილობისაგან



*კონსტანტინე კონსტანტინეს ძე როკოსოვსკი (1896-1968).* მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა რკინიგზის მემანქანის ოჯახში. დაამთავრა კავალერიის მეთაურთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები (1926 წ.) და მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიასთან არსებული მეთაურთა დახელოვნების კურსები (1929 წ.). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, კავალერისტი, უნტერ-ოფიცერი. 1917 წელს შევიდა წითელ გვარდიაში. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, მეთაურობდა



საკავალერიო ესკადრონს, დივიზიონს და პოლკს. იბრძოდა ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და მანჯურიაში. 1926-1928 წლებში იყო მონღოლეთის არმიის ინსტრუქტორი. 1929 წლიდან მეთაურობდა პოლკს, საკავალერიო ბრიგადას. 1930 წელს დაინიშნა სამარის მე-7 საკავალერიო დივიზიის მეთაურად (ამ დივიზიაში ბრიგადის მეთაურად მსახურობდა გ. ჟუკოვი), 1936 წელს - მე-5 საკავალერიო კორპუსის მეთაურად. ომის წლებში იყო: მე-16 არმიის სარდალი (1941 წლის აგვისტოდან), ბრიანსკის ფრონტის სარდალი (1942 წლის ივლისიდან), დონის ფრონტის სარდალი (1942 წლის სექტემბრიდან), ცენტრალური ფრონტის სარდალი (1943 წლის თებერვლიდან), ბელორუსიის ფრონტის სარდალი (1943 წლის ოქტომბრიდან), ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალი (1944 წლის თებერვლიდან), ბელორუსიის მეორე ფრონტის სარდალი (1944 წლის ნოემბრიდან 1945 წლის ივნისამდე). მონაწილეობდა მოსკოვის, სტალინგრადის, კურსკის ბრძოლებში, ბელორუსიის და ვისლაოდესის, აღმოსავლეთ პრუსიისა და ბერლინის ოპერაციებში. იყო ომის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი, დიდი ტალანტით დაჯილდოებული მხედართმთავარი. მისი ტალანტის სრულად გამოვლენას ხელი შეუშალა ი. სტალინის უნდობლობამ და გ. ჟუკოვის პირადმა მტრობამ. 1945-1949 წლებში იყო ჩრდილოეთის ჯარების დაჯგუფების სარდალი. 1949 წელს ი. სტალინის მოთხოვნით დაინიშნა პოლონეთის სამხედრო მინისტრად და პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ. მონაწილეობდა ომის შემდგომ პოლონეთის არმიაში მიმდინარე რეპრესიებში. 1956 წელს პოლონეთიდან გამოიწვიეს და 1956 წლის ნოემბერში დანიშნეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ. 1957 წელს გადაიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად, ხოლო 1958 წლის იანვარში კვლავ თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. 1962 წლიდან გადაიყვანეს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექტორების ჯგუფში.

*ანდრეი ივანეს ძე ერემენკო (1892-1970).* საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო კავალერიის უმაღლეს სკოლაში (1925 წ.), წითელი არმიის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიასთან არსებულ მეთაურთა კურსებზე (1931 წ.) და მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში (1935 წ.). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში, იბრძოდა პირველი ცხენოსანი არმიის შემადგენლობაში. პოლიტიკური რეპრესიები არ შეხებია, რის გამოც კარგი კარიერა გაიკეთა. 1929 წლიდან იყო საკავალერიო პოლკის, დივიზიის მეთაური. 1939 წელს დაინიშნა კაზაკთა ცხენოსანი კორპუსის მეთაურად, მონაწილეობდა



*დასავლეთ ბელორუსიისა და უკრაინის ოკუპაციაში (1939 წლის სექტემბერი), მისმა კორპუსმა იერიშით აიღო ქალაქი გროდნო. 1940 წლის ზაფხულში კაზაკთა ცხენოსანთა კორპუსმა მთავარი როლი შეასრულა ლიტვის ოკუპაციაში. 1940 წლის დეკემბერში დაინიშნა შორეული აღმოსავლეთის პირველი არმიის სარდლად. ომის დაწყების შემდეგ ეკავა მნიშვნელოვანი თანამდებობები: დასავლეთის ფრონტის სარდლის მოადგილე (1941 წლის ივლისიდან), ბრიანსკის ფრონტის სარდალი (1941 წლის აგვისტო-ოქტომბერი), მე-4 არმიის სარდალი (1941 წლის დეკემბერი), სამხრეთ დასავლეთის (სტალინგრადის) ფრონტის სარდალი (1942 წლის აგვისტო-დეკემბერი), სამხრეთის ფრონტის სარდალი (1943 წლის იანვარ-თებერვალი), კალინინის ფრონტის სარდალი (1943 წლის აპრილი-ოქტომბერი), ბალტიისპირეთის პირველი ფრონტის სარდალი (1941 წლის აპრილიდან), უკრაინის მეოთხე ფრონტის სარდალი (1945 წლის მარტიდან). ომის შემდგომ იყო რამდენიმე სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.*

1942 წლის 12 ნოემბრისათვის გერმანიის დაზვერვას ჰქონდა ცნობა, რომ საბჭოთა ჯარები აპირებდნენ რუმინეთის მე-3 არმიის წინააღმდეგ კონტრშეტევის დაწყებას, თუმცა ვერ ამოიცნო შეტევის მასშტაბი.

1942 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე სტალინგრადთან დაჯგუფებული საბჭოთა ჯარების გაძლიერების მიზნით გადასროლილი იქნა 4 სატანკო და 2 მექანიზებული კორპუსი, 17 სატანკო ბრიგადა და პოლკი, 10 მსროლელი დივიზია, 230 საარტილერიო და სანაღმტყორცნო პოლკი. მთლიანად სამხრეთ-დასავლეთის, დონისა და სტალინგრადის ფრონტების ჯარებს გააჩნდათ 900 ტანკი, 135000 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 1250 რეაქტიული ნაღმტყორცნი „კატიუშა", 1100 საზენიტო ქვემეხი. სტალინგრადთან ჯარების სწრაფი გადასროლის მიზნით სასწრაფოდ იქნა აგებული 11000 კილომეტრის საერთო სიგრძის 6 სარკინიგზო ხაზი.

კონტრშეტევის დაწყების წინ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ჯარების ძალთა თანაფარდობა ასეთი იყო:

**პირადი შემადგენლობა — 1,1:1**
**ქვემეხი და ნაღმტყორცნი — 1,5:1**
**ტანკები — 2,2:1**
**ავიაცია — 1,1:1**

საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ შეძლო შეტევის ძირითად მიმართულებებზე ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ უპირატესობის შექმნა. გარდა ამისა, კონტრშეტევის დროც ზედმიწევნით ზუსტად იქნა განსაზღვრული: გერმანიის ჯარებმა შეტევისათვის აუცილებელი მთელი ძალები ამოწურეს, ხოლო თავდაცვისათვის მომზადება ვერ მოასწრეს. გერმანელთა თავდაცვითი პოზიციების სისუსტეზე მეტყველებს ისიც, რომ ცენტრში მდგარი გერმანიის ჯარები საკმაოდ წინ იყვნენ წაწეულნი, ხოლო მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე განლაგებული იტალიისა და რუმინეთის ჯარები გაცილებით უკან იდგნენ. გერმანიის ჯარების მდგომარეობას სერიოზულად ართულებდა ის, რომ მათ სარდლობას უშუალოდ ზურგში აუცილებელი რეზერვები არ გააჩნდა, ხოლო შორი მანძილიდან რეზერვების გადმოსროლისათვის ხელის შეშლა საბჭოთა მებრძოლებისათვის ძნელი არ იყო.

1942 წლის 19 ნოემბერს, დილით, 7 საათსა და 30 წუთზე, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის (სარდალი ნ. ვატუტინი) ჯარები, ასევე დონის ფრონტის (სარდალი კ. როკოსოვსკი) მარჯვენა ფლანგზე განლაგებული ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. ძლიერმა ნისლმა ხელი შეუშალა საბჭოთა ავიაციის მოქმედებას, ნაკლებეფექტური აღმოჩნდა საარტილერიო მომზადებაც. მიუხედავად ამისა, 19 ნოემბერსვე წითლებმა გერმანელთა თავდაცვა გაარღვიეს. 20 ნოემბერს შეტევა დაიწყო სტალინგრადის ფრონტმა, რომლის სატანკო ნაწილებმა ძალზე სწრაფად წაიწიეს წინ. 23 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტის ჯარები შეერთდნენ კალაჩისა და სოვეტსკის რაიონში, რითაც გერმანიის ჯარების გარშემო შეიკრა ალყა. საბჭოთა ჯარების ალყაში მოექცა გერმანიის მე-6 საერთო-საჯარისო და მე-4 სატანკო არმია, სულ 330 ათასი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი, მათ შორის მე-6 არმიის სარდალი ფელდმარშალი პაულიუსი. ალყაში მოექცა რუმინეთის მე-3 არმიაც. ამით დასრულდა ოპერაციის პირველი ეტაპი — „ურანი".

ცხადი იყო, რომ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა შეეცდებოდა საბჭოთა ჯარების ალყის გარღვევას ალყაში მოქცეული ჯარებისა და დასავლეთიდან გადმოსროლილი ჯარების ერთობლივი მოქმედებით. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ შეძლო ამ საფრთხის თავიდან აცილება. დონისა და სტალინგრადის ფრონტის ჯარებს ებრძანათ ავიაციის მხარდაჭერით გაენადგურებინათ ალყაში მოქცეული გერმანიის ჯარები. იმავდროულად სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებს არ უნდა დაეშვათ საბჭოთა ჯარების ალყის გარღვევის მიზნით დასავლეთიდან გერმანიის ჯარების წინსვლა. საჭიროე-

ბის შემთხვევაში უნდა გამოეყენებინათ ვორონეჟის ფრონტის ჯარები.

სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების ალყის გარღვევის მიზნით გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ შექმნა ძლიერი დაჯგუფება, „ჰოლიდტი", რომელშიც გაერთიანდა სატანკო, ქვეითი და საკავალერიო ნაწილები. 1941 წლის 12 დეკემბერს გერმანელები კოტელნიკოვოს რაიონიდან შეტევაზე გადავიდნენ. გერმანიის სარდლობამ შეტევა განავითარა ტიხორეცკ-სტალინგრადის სარკინიგზო ხაზის გასწვრივ. 19 დეკემბერს გერმანელებმა მიაღწიეს მდინარე მიშკოვოს. სტალინგრადთან ალყაში მოქცეულ ჯარებამდე სულ 45 კილომეტრი რჩებოდა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავის დროზე სათანადოდ ვერ შეაფასეს გერმანიის ჯარების შესაძლებლობანი. სასწრაფოდ მოხდა წინასწარ შედგენილი გეგმის კორექტირება. 1942 წლის 16 დეკემბრიდან სამი დღის განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარებმა ვორონეჟის ფრონტის მარცხენა ფლანგის ჯარებთან ერთად რამდენიმე ადგილას გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა, ბრძოლებით გადალახეს მდინარეები -- დონი და ბოგუჩარკა. საბჭოთა ჯარების სწრაფი და გაბედული მოქმედების წყალობით სტალინგრადთან ალყაში მოქცეული ჯარების გამოხსნის მიზნით დასავლეთიდან შეტევაზე გადმოსული გერმანელთა დაჯგუფება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საბჭოთა სარდლობამ გადაწყვიტა მოპოვებული უპირატესობა ხელიდან არ გაეშვა და შეტევა გაეგრძელებინა. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ჯარები გააძლიერეს ვორონეჟის ფრონტის მე-6 არმიით, სატანკო და მექანიზებული ნაწილებით. შეტევა მიმდინარეობდა უმკაცრესი ზამთრის პირობებში. მიუხედავად ამისა, 24-ე სატანკო კორპუსმა ვ. ბადანოვის მეთაურობით 5 დღის განმავლობაში 240 კილომეტრით წაიწია წინ და მწყობრიდან გამოიყვანა იტალიის მე-8 არმიის ზურგის კომუნიკაციები, ხოლო 24 დეკემბერს დაიკავა რკინიგზის სადგური ტაცინსკაია და გაანადგურა გერმანელთა აეროდრომი. საბჭოთა ტანკისტებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 300 თვითმფრინავი. სადგურ ტაცინსკაიას დაკავებით საბჭოთა ჯარებმა გადაჭრეს რკინიგზის ხაზი ლიხაია — სტალინგრადი, რომელსაც გერმანიის სარდლობა იყენებდა ცოცხალი ძალითა და ტექნიკით ჯარების მომარაგებისათვის. სტალინგრადთან ალყაში მოქცეული ნაწილების გამოხსნის მიზნით დაწყებული გერმანელთა შეტევა შეჩერებული იქნა. ამის შემდეგ ფაშისტებმა სცადეს თავდაცვის ორგანიზება, მაგრამ უშედეგოდ. საბჭოთა ჯარებმა კიდევ 200 კილომეტრით წაიწიეს წინ. საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციის შედეგად გერმანელთა დაჯგუფება „ჰოლიდტის", ასევე იტალიის მე-8 არმიისა და რუმინეთის მე-3 არმიის ძირითადი ძალები განადგურებული იქნა. ამით დასრულდა ოპერაციის მეორე ეტაპი — „მცირე სატურნი".

სტალინგრადთან ალყაში მოხვედრილი გერმანელთა ჯარების ლიკვიდაცია დაიწყო 1943 წლის 10 იანვარს. ამ დროისათვის ალყაში მყოფი გერმანელების საბრძოლო სულისკვეთება ძალზე დაცემული იყო. მათ უკვე იცოდნენ, რომ ალყის გარღვევის მიზნით დასავლეთიდან დაძრული გერმანიის არმიის დაჯგუფება განადგურებული იყო. საბჭოთა ავიაციამ არ დაუშვა ალყაში მოხვედრილთა მომარაგება „საჰაერო ხიდით".

1943 წლის 10 იანვარს დაწყებული შეტევა მთელი დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლად გრძელდებოდა. 15 იანვარს საბჭოთა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელთა აეროდრომი პიტომნიკი. საბჭოთა სარდლობის ჩანაფიქრით ალყაში მოქცეული გერმანიის ჯარები ორმხრივი, შემხვედრი დარტყმის შედეგად ორად უნდა გაეხლიჩათ და შემდეგ ცალ-ცალკე გაენადგურებინათ. ეს მისია დაეკისრათ 21-ე და 62-ე არმიებს. 26 იანვარს ერთმანეთის საპირისპიროდ დაძრული 21-ე არმია (სარდალი ი. ჩისტიაკოვი) და 63-ე არმია (სარდალი ვ. ჩუიკოვი) მამაის ყორღანის რაიონში შეერთდნენ. ალყაში მოქცეული გერმანიის ჯარები ორად, სამხრეთის და ჩრდილოეთის დაჯგუფებებად იქნა გახლეჩილი. 31 იანვარს წინააღმდეგობა შეწყვიტა სამხრეთის დაჯგუფებამ, ხოლო 2 თებერვალს ჩრდილოეთის დაჯგუფებამ. ამით დასრულდა ოპერაციის მესამე ეტაპი „რკალი".

სტალინგრადთან დაწყებული კონტრშეტევის შედეგად, ოპერციების „ურანის", „მცირე სატურნისა" და „რკალის" განხორციელების პერიოდში, 1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 2 თებერვლამდე, საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს 5 არმია (ორი გერმანიის, ორი რუმინეთის და ერთი იტალიის). მოწინააღმდეგემ დაკარგა 800 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 ათასი ტანკი, 10 ათასი ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 3 ათასი საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავი. თუმცა სტალინგრადის ბრძოლა ძვირად დაუჯდა საბჭოთა კავშირსაც. 1942 წლის 17 ივლისიდან 1943

წლის 2 თებერვლამდე წითელმა არმიამ მოკლულთა სახით 478 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა, დაჭრილთა სახით — 650 ათასი. დიდი იყო დანაკლისი სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით. განადგურდა 0,5 მილიონი ცეცხლსასროლი იარაღი (პისტოლეტი, შაშხანა, კარაბინი, ტყვიამფრქვევი), 4 ათასი ტანკი, 15 ათასი ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 3 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი.

სტალინგრადთან განცდილი მარცხის გამო გერმანიაში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა.

**სტალინგრადის ბრძოლით დაიწყო ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში.**

სტალინგრადის ბრძოლას ჰქონდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. განცდილმა მარცხმა გერმანიის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში დიდი კრიზისი გამოიწვია. იტალიის, რუმინეთისა და უნგრეთის არმიები პრაქტიკულად მწყობრიდან გამოეიდნენ. რუმინეთსა და უნგრეთში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა აზრი ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სეპარატული ზავის დადების შესახებ. იტალიის დიქტატორი ბენიტო მუსოლინი კი ადოლფ ჰიტლერს ურჩევდა ზავი დაედო საბჭოთა კავშირთან, რადგან „რუსეთის დამარცხება შეუძლებელი იყო". თურქეთი „აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას" ატარებდა და ცდილობდა ორივე მხარესთან (მოკავშირეებთან და გერმანიის ბლოკთან) კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა.

სტალინგრადთან მოპოვებულმა გამარჯვებამ სერიოზული გავლენა იქონია საბჭოთა კავშირ-ინგლის-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაზე. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აშკარად დაინახა, რომ წითელ არმიას თავის ქვეყნის ტერიტორიიდან გერმანიის ჯარების განდევნის უნარი შესწევდა. 1943 წლის გაზაფხულიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ქვეყნის სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა ინგლისში ძლიერი სამხედრო კონტინგენტის განლაგებას ურჩევდა, რათა წითელი არმიის დასავლეთ ევროპაში შეჭრის შემთხვევაში სათანადო ზომები მიეღო. სტალინგრადთან გამარჯვებამ დააჩქარა მეორე ფრონტის გახსნა.

**2. სამხედრო ინდუსტრიის შემდგომი განვითარება.** ომის სულ უფრო და უფრო მეტ სამხედრო პროდუქციას ითხოვდა. სამხედრო პროდუქციის მოცულობის გაზრდა ითხოვდა ელექტროენერგიის, სხვადასხვა სახის ლითონის, საწვავი მასალის მიწოდების გაზრდას. 1942 წელს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო დადგენილებები, რომელიც მიზნად ისახავდა კუზბასში, ურალსა და მოსკოვის ოლქში ქვანახშირის მოპოვების ზრდას. 1943 წელს საბჭოთა კავშირის საბადოებში ამოღებული იქნა 93,1 მილიონი ტონა ქვანახშირი, ანუ 17,6 მილიონი ტონით მეტი 1942 წელთან შედარებით. ერთადერთი დარგი, რომელმაც 1943 წელს პროდუქცია შეამცირა, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა იყო. ეს გაპირობებული იყო იმით, რომ გერმანელებმა ჩრდილოკავკასიაში ბრძოლების დროს დიდი ზიანი მიაყენეს გროზნოს ნავთობსამრეწველო რაიონს. 1943 წლიდან დაიწყო ურალ-ვოლგის რაიონში ნავთობის საბადოების დამუშავება. ნავთობის მოპოვების შემცირების მიუხედავად 1943 წელს 1942 წელთან შედარებით ბენზინის წარმოება 1,1-ჯერ გაიზარდა, ხოლო დიზელის წარმოება 2,3-ჯერ. 1943 წელს გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება. ელექტროენერგიის ძირითადი მიმწოდებელი ურალისა და დასავლეთ ციმბირის ელექტროსადგურები იყო.

გამართულად მუშაობდა სამხედრო პროდუქციის გამომშვები ქარხნების უმრავლესობა. 1943 წელს გამოშვებული იქნა 35 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი. დაიწყო ახალი მოდიფიკაციის თვითმფრინავების: ლა-5 ფნ და იაკ-9, გამანადგურებელისა და ორადგილიანი მოიერიშის ილ-2 და ბომბდამშენის პე-2 სერიული წარმოება.

საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რეგიონებში შეიქმნა სატანკო მშენებლობის ძლიერი ბაზა. 1943 წლის სექტემბერში გამოშვებული იქნა ახალი ტიპის მძიმე ტანკი ის (კონსტრუქტორი ჟ. კოტინი). 1943 წლის დამდეგს ფრონტზე გაიგზავნა პირველი პარტია თვითმავალი საარტილერიო დანადგარისა საუ-122. მალე შეიქმნა კიდევ უფრო ძლიერი თვითმავალი საარტილერიო დანადგარები ისუ-152 და ისუ-122. 1943 წელს ტანკებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარების გამოშვება 1941 წელთან შედარებით 3,7-ჯერ გაიზარდა და 2 ათასი ერთეულს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ 1943 წელს 1942 წელთან შედარებით შემცირდა გამოშვებული ტანკების რაოდენობა. ეს იმით იყო გაპირობებული, რომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით მსუბუქი ტანკების გამოშვება საერთოდ შეწყდა, სამაგიეროდ, უნდა გაზრდილიყო საშუალო და მძიმე ტანკების გამოშვება.

გაიზარდა ცეცხლმსროლელი იარაღის დამზადება. 1943 წელს 1942 წელთან შედარებით 3-ჯერ გაიზარდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების გამოშვება, ხოლო ხელის ტყვიამფრქვევებისა — 2-ჯერ.

**3. წითელი არმიის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება.** შეიარაღების გაუმჯობესებასთან ერთად იხვეწებოდა წითელი არმიის ორგანიზაციული სტრუქტურა. გაიზარდა მსროლელთა კორპუსების რაოდენობა, რაც შეტევითი ოპერაციების ეფექტურობის გაზრდის საშუალებას იძლეოდა. სწრაფად იზრდებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის ტანკსაწინააღმდეგო-გამანადგურებელი არტილერიის რაოდენობა, იქმნებოდა უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის გარღვევის საარტილერიო დივიზიები და საზენიტო საარტილერიო დივიზიები. 1943 წლის ბოლოსათვის ავიაციას უკვე ჰქონდა ახალი საბრძოლო ტექნიკა, ყველა საავიაციო შენაერთს ჰქონდა საკუთარი ახალი რადიოსადგური, რადიოსალოკაციო და სხვა მოწყობილობა. ყველა ფრონტის შემადგენლობაში იყო საჰაერო არმია. თვისობრივი ცვლილებები განხორციელდა საინჟინრო ჯარებში, საავტომობილო, საგზაო და სამხედრო-სამედიცინო სამსახურებში.

გაიზარდა ოფიცერთა კადრების მომზადების დონე. 1942 წლის ოქტომბერში გაუქმდა სამხედრო კომისრების ინსტიტუტი და წითელ არმიაში დამყარდა ყველა დონის მეთაურთა სრული ერთხელისუფლებიანობა. 1943 წლის მაისიდან სამხედრო აკადემიებში განახლდა ოფიცერთა კადრების მომზადება სრული პროგრამით.

ახალი ტექნიკის მასობრივი წარმოების დაწყებით ბოლო მოეღო გერმანიის ჯარების ტექნიკურ უპირატესობას, მომზადდა საფუძველი დიდი შეტევითი ოპერაციების განხორციელებისათვის.

**4. ეკონომიკა ომის პირობებში.** წითელი არმიის პირადი შემადგენლობის ზრდა და თანამედროვე შეიარაღებით უზრუნველყოფა ძლიერი ეკონომიკის გარეშე წარმოუდგენელი იყო. საბჭოთა კავშირი ძირითადად თავისი ეკონომიკის იმედად უნდა ყოფილიყო, თუმცა მას სერიოზულ დახმარებას უწევდა ამერიკის შეერთებული შტატები. 1942 წელს საბჭოთა კავშირმა ლენდ-ლიზით მიიღო: 2505 თვითმფრინავი, 3023 ტანკი, 78964 ავტომანქანა. ლენდ-ლიზით გათვალისწინებული დახმარების მიღება საომარი მდგომარეობის გამო ხშირად ფერხდებოდა. 1943 წლის შემოდგომიდან მურმანსკისა და არხანგელსკის პორტებში ტვირთის შეზიდვა საერთოდ შეწყდა.

სამხედრო მრეწველობის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა გადასახადები, შინაგანი სახელმწიფო კრედიტები (სესხები) და ფულის ემისია. ოფიციალურად საბჭოთა კავშირის 1944 წლის ბიუჯეტში სამხედრო ხარჯები შეადგენდა 58%-ს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი სამოქალაქო უწყება სამხედრო ხარჯებში არ აღირიცხებოდა.

საბარათო სისტემის შემოღების გამო მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ფულმა პრაქტიკულად დაკარგა თავისი მნიშვნელობა. საბარათო სისტემით მიღებული პროდუქტი, ცხადია, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, მაგრამ იმავე პროდუქტზე საბაზრო ფასები იმდენად დიდი იყო, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს მისი შეძენა არ შეეძლოთ.

ხელფასი მიახლოებითაც კი ვერ ასახავდა მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას. ომის დასასრულისათვის (1945 წ.) სამხედრო-სამრეწველო პროდუქციის გამომშვები საწარმოების კვალიფიციური მუშების თვიური ხელფასი 470 მანეთს შეადგენდა, მშენებლობაში დასაქმებულთა — 413 მანეთს, რკინიგზის ტრანსპორტის მუშებისა — 525 მანეთს, ვაჭრობაში დასაქმებულთა — 269 მანეთს. იმავე პერიოდში საბარათო სისტემით 1 კილოგრამი პროდუქტის ფასი ასეთი იყო: ჭვავის პური — 1 მანეთი, პირველი ხარისხის ფქვილი — 2,9 მანეთი, საქონლის ხორცი — 12 მანეთი, რაფინირებული შაქარი — 5,7 მანეთი; 1 ლიტრი ზეთი ღირდა 25 მანეთი, ხოლო 1 ლიტრი რძე — 2 მანეთი. ომის წლებში ნორმირებულ პროდუქტზე ფასები არ გაზრდილა, გარდა არაყისა, ღვინისა, ლუდისა და მარილისა.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ოჯახების ბიუჯეტისათვის ძალზე მძიმე იყო სახელმწიფო გადასახადები და სესხები. 1942 წელს შემოღებული იქნა სამხედრო გადასახადი, რომელიც დაეკისრა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას, ასევე წითელი არმიის ზურგის ორგანოებში მომუშავე სამხედროვალდებულებასა და სხვა თანამშრომლებს. სამხედრო გადასახადით ომის წლებში სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 72,1 მილიარდი მანეთი. 1942-1945 წლებში გამოშვებული იქნა ოთხი სამხედრო სესხი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ბიუჯეტმა მიიღო 89,7 მილიარდი მანეთი. ხელისუფლებამ სახელმწიფო

ბიუჯეტში გადარიცხა შემნახველ ბანკებში მოსახლეობის პირად ანგარიშზე არსებული დანაზოგები. გამოუყენებელი შვებულებისათვის მუშებსა და მოსამსახურეებზე გასაცემი თანხა ასევე სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხებოდა.

ომის წლებში კოლმეურნე გლეხობის შემოსავალი რამდენჯერმე შემცირდა. 1940 წელს კოლმეურნის ოჯახმა შრომადღეზე საშუალოდ მიიღო: 8,2 ცენტნერი ხორბალი და 4,9 ცენტნერი კარტოფილი, ხოლო 1943 წელს – 2,6 ცენტნერი ხორბალი და 1,6 ცენტნერი კარტოფილი. გარდა ფულადი გადასახადისა კოლმეურნე გლეხის ოჯახი იხდიდა ნატურალურ გადასახადს, რაც ითვალისწინებდა ხორბლის, ხორცის, რძის, კვერცხლის, კარტოფილისა და სხვ. სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. ფასი, რომელსაც სახელმწიფო ამ პროდუქტისათვის გლეხს უხდიდა, სიმბოლური იყო.

1942 წლის აპრილიდან გაიზარდა კოლმეურნეთა, მათ შორის მოზარდთა, აუცილებელი შრომადღეების რაოდენობა. ეს ხდებოდა მაშინ, როცა, 1943 წლის მონაცემებით, 20 მილიონი კოლმეურნიდან შრომისუნარიანი ქალების რაოდენობა 10 მილიონს უდრიდა, მოზარდებისა 4 მილიონს, შრომისუნარმოკლებულებისა და ავადმყოფებისა 2,3 მილიონს, შრომისუნარიანი მამაკაცებისა 3,6 მილიონს.

ომის წლებში მოხმარების საგნების წარმოება თითქმის ნახევრამდე შემცირდა, რამაც გამოიწვია დეფიციტი. საბარათო სისტემამ და მოხმარების საგნების დეფიციტმა თავისთავად გამოიწვია სპეკულაციის ზრდა. ომის პირველ წლებში გავრცელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გაცელა საპონზე, ასანთზე, მარილზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე და ა. შ.

**5. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ომის წლებში.** ომის წლებში მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს შეემატა. ომის დასაწყისისათვის რუსეთს პატრიარქი არ ჰყოლია, მისი ტახტი 18 წელიწადი თავისუფალი იყო. დაიწყო თუ არა ომი პატრიარქის ტახტის მონაცვლემ, მოსკოვის მიტროპოლიტმა სერგიმ მიიწმუნე მოსახლეობას მიმართა. მიმართვაში ნათქვამი იყო: „ეკლესია ლოცავს ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების დამცველთ". რუსეთის ეკლესია იმთავითვე შეუდგა თავის მრევლში ფულადი სახსრების და სხვა შესაწირავის (ოქროსა და ვერცხლის ნივთების, ძვირფასი ქვების და ა. შ.) შეგროვებას ომის საჭიროებისათვის. 1943 წლის თებერვალში მიტროპოლიტმა სერგიმ და იოსებ სტალინმა წერილებით მიმართეს ერთმანეთს, ხოლო 4 სექტემბერს იოსებ სტალინმა მიიღო მიტროპოლიტები სერგი, ალექსი და ნიკოლოზი. სამღვდელოთათვის მოულოდნელად იოსებ სტალინმა თანხმობა განაცხადა რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევაზე, რომელიც პატრიარქს აირჩევდა. ამ შეხვედრის შემდეგ მოღვაწეობა განაახლა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა. სასულიერო პირთა მომზადების მიზნით გაიხსნა ახალი სასულიერო სემინარიები და აკადემიები. განახლდა სასულიერო ხასიათის ლიტერატურის გამოცემა.

მიტროპოლიტმა სერგიმ იოსებ სტალინთან შეხვედრისას დააყენა საკითხი ციხეებსა და გადასახლებაში მყოფი ღვთისმსახურების განთავისუფლების შესახებ. იოსებ სტალინი მიტროპოლიტს დაჰპირდა, რომ ამ საკითხს შეისწავლიდა.

მალე ციხეებიდან და გადასახლებიდან გაათავისუფლეს 20 ათასზე მეტი სასულიერო პირი.

1943 წლის 8 სექტემბერს მოსკოვში გაიმართა რუსეთის საეკლესიო კრება, რომელმაც მოსკოვის მიტროპოლიტი სერგი აირჩია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად. 1943 წლის 8 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან შეიქმნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო, რომელსაც შუამავლის როლი უნდა შეესრულებინა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის.



*სერგი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, ერისკაცობაში ივანე სტრაგოროდსკი (1867-1944). დაიბადა მღვდლის ოჯახში. დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია (1890 წ.). იყო პეტერბურგის სასულიერო სემინარიის რექტორი, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი. სხვადასხვა წლებში იყო იამბურგის, პეტერბურგის, ფინეთის და ვიბორგის ეპისკოპოსი. 1911 წელს აირჩიეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრად. იყო რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასულიერო მოღვაწე. 1917 წლიდან ნიჟნი ნოვგოროდის მიტროპოლიტია. 1925 წელს დააპატიმრეს რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლე მიტროპოლიტი პეტრე და მის ნაცვლად პატრიარქის ტახტის მონაცვლე გახდა მიტროპოლიტი სერგი. 1926 წელს მიტროპოლიტი სერგიც დააპატიმრეს. პატიმ-*

*რობაში დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან უპირობო თანამშრომლობა. 1927 წელს პატიმრობიდან გაათავისუფლეს. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც მორწმუნეებს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდა. ბევრმა მორწმუნემ ასეთი მოწოდება ღალატად მიიჩნია. 1934 წლიდან იყო მოსკოვისა და კოლომენსკოეს მიტროპოლიტი, იმავდროულად, 1937 წლიდან პატრიარქის ტახტის მონაცვლე. ომის წინ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დიდი რეპრესიები დაატყდა თავს. რეპრესიებს გადაურჩა მხოლოდ ოთხი ეპისკოპოსი, ათასობით მღვდელი დახვრიტეს. მიტროპოლიტმა სერგიმ ომის დაწყებისთანავე მორწმუნეებს სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდა. 1943 წლის 8 სექტემბერს რუსეთის საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტი სერგი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩია.*

*ალექსი — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, ერისკაცობაში სერგეი სიმანსკი (1877-1970). დაიბადა მემამულის ოჯახში. განათლება მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. სხვადასხვა დროს იყო ტულისა და ნოვგოროდის სასულიერო სემინარიების რექტორი, ტიხვინისა და ნოვგოროდის ეპისკოპოსი, მონასტრის წინამძღვარი. 1921 წლიდან იყო იამბურგის, პეტერბურგის, ტიხვინის, ნოვგოროდის ეპისკოპოსი. 1927 წელს გახდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი. 1927 წელს ხელი მოაწერა მიტროპოლიტ სერგის მიერ შედგენილ დეკლარაციას. 1933 წლიდან იყო ლენინგრადის ეპისკოპოსი, ბლოკადის წლებში ქალაქი არ დაუტოვებია. 1944 წლიდან იყო პატრიარქის ტახტის მონაცვლე. 1945 წელს აირჩიეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად.*



ომმა საფრთხის ქვეშ დააყენა რუსი ერისა და მისი სახელმწიფოებრიობის არსებობა. რაც უფრო ცუდად მიდიოდა საქმე ფრონტზე, მით უფრო ძლიერდებოდა ნაციონალისტური პროპაგანდა. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ოფიციალური საბჭოთა (კომუნისტური) იდეოლოგია მკვეთრად ემიჯნებოდა ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. იოსებ სტალინმა 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინის გვერდით მოიხსენია ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვისა და მიხეილ კუტუზოვის სახელები.

საბჭოთა ხელისუფლების ახალ საეკლესიო პოლიტიკას გერმანელებმა იმით უპასუხეს, რომ მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მართლმადიდებელი ეკლესიების ამოქმედებას დასტური მისცეს. ომის წლებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამოქმედდა 6500 ეკლესია, რაც 1944 წელს მთელს საბჭოთა კავშირში რეგისტრირებული ეკლესიების 74%-ს შეადგენდა. გარდა ამისა, გერმანელები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ბელორუსიის ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოსათვის ჩამოეცილებინათ. იგივე პოლიტიკა ტარდებოდა ბალტიისპირეთსა და უკრაინაში. ამ პროცესის შეფერხების მიზნით რუსეთის საეკლესიო კრებამ (1943 წლის სექტემბერი) ოკუპანტების საეკლესიო პოლიტიკის გატარებაში მხილებული ყველა სასულიერო პირის სასჯელად ეკლესიიდან განკვეთა დააწესა.

1944 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საიდუმლო დადგენილებით რელიგიურ თემებს (მათ შორის იგულისხმებოდა მონასტრებიც) იურიდიული პირის უფლება მიენიჭა. კონკრეტულად ეს ეხებოდა იჯარას, მშენებლობას, ყიდვა-გაყიდვას, ტრანსპორტს. მოიხსნა შეზღუდვა ზარების დარეკვაზე, განახლდა მონასტრების საქმიანობა.

საეკლესიო პოლიტიკის შეცვლამ მრევლის მოწონება დაიმსახურა. მრევლის მიერ შეწირული ასეულობით მილიონი მანეთით აიგო დიმიტრი დონელის სახელობის სატანკო კოლონა და ალექსანდრე ნეველის სახელობის ავიაესკადრილია.

**6. კურსკის ბრძოლა.** მიუხედავად სტალინგრადთან განცდილი კატასტროფისა, გერმანიის არმიას კიდევ შეეძლო უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტრატეგიული გეგმების წარმატებით განხორციელება. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ხარკოვის სამხრეთით გერმანიის სარდლობის მიერ განხორციელებული კონტრშეტევა, ხოლო შემდეგ ძლიერი თავდაცვითი ზღუდის შექმნა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობა იძულებული გახდა უარი ეთქვა შეტევის გაგრძელებაზე და თავდაცვაზე ეზრუნა. მეორე შეტევა გერმანელებმა 1943 წლის მარტის ბოლოს განახორციელეს. საბრძოლო ოპერაციების შედეგად ქალაქ კურსკის რაიონში წარმოიქმნა, ე. წ. კურსკის რკალი. ეს იყო გერმანიის ჯარების განლაგებაში შეჭრილი შვერილი, რომელიც საბჭოთა ჯარებმა არ დათმეს.

წარმატებული გამოდგა საბჭოთა ჯარების მოქმედება ჩრდილო-დასავლეთით. 1943 წლის

18 იანვარს მათ გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა, რითაც მოიხსნა ლადოგის ტბის აღმოსავლეთით გერმანიისა და ფინეთის ჯარების შეერთების საფრთხე. ლენინგრადთან დამაკავშირებელი საავტომობილო და სარკინიგზო გზების აღდგენამ შესაძლებელი გახადა ლენინგრადის ფრონტის ჯარებისა და ბალტიის სამხედრო ფლოტის ცოცხალი ძალითა და ტექნიკით მომარაგება. ლენინგრადთან გერმანელებმა საბრძოლო ინიციატივა დაკარგეს.

აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობის ხსნის მიზნით გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ დასავლეთ ევროპიდან და აფრიკიდან გადმოისროლა 33 დივიზია და 3 ბრიგადა, ასევე საავიაციო და სხვა ნაწილები.

1943 წლის მარტში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე აქტიური ბრძოლები შეწყდა. შემდგომი სამი თვის განმავლობაში ფრონტზე სიწყნარე სუფევდა. გერმანიაც და საბჭოთა კავშირიც 1943 წლის ზაფხულის კამპანიისათვის ემზადებოდნენ.

გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ კონტრშეტევისათვის კურსკის დასავლეთით არსებული შვერილი შეარჩია. კურსკის შვერილი გერმანიის ჯარების პოზიციაში 120 კილომეტრით იყო შეჭრილი. შვერილის სიგანე ფრონტის ხაზთან 200 კილომეტრს უდრიდა. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმა (ოპერაცია „ციტადელი") გულისხმობდა ბელგოროდისა და ორიოლის რაიონებიდან ძლიერი კონცენტრირებული დარტყმით კურსკის შვერილზე განლაგებული საბჭოთა ჯარების ალყაში მოქცევასა და განადგურებას. ოპერაცია „ციტადელის" განხორციელების მიზნით გერმანელებმა თავი მოუყარეს 900 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს, 100 ათას ქვემეხსა და ნაღმტყორცნს, 2700 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 2000 თვითმფრინავს. ამ პერიოდისათვის გერმანიის არმიამ მიიღო ახალი ტიპის მძიმე ტანკი ტ-VI პ („ვეფხვი"), საშუალო ტანკი ტ-V („ავაზა"), თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი". გერმანელები წარმატების მიღწევას სწორედ ძლიერი სატანკო დარტყმებით აპირებდნენ. გარდა ახალი ტანკებისა გერმანიის არმიამ მიიღო ახალი ტიპის თვითმფრინავები გამანადგურებელი „ფოკე-ვულფ-190 ა" და მოიერიშე „ჰენკელ-129".

გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ 1943 წლის მაისსა და ივნისში რამდენჯერმე გადადო შეტევის დაწყების თარიღი. ბოლოს გადაწყდა, რომ შეტევას დაიწყებდნენ 1943 წლის 5 ივლისს. საბჭოთა დაზვერვას შეუმჩნეველი არ დარჩენია კურსკის რაიონში გერმანელთა ჯარების თავმოყრა. დაზვერვამ შეტევის დაწყების ზუსტი თარიღიც დაადგინა.

საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ კურსკის მიმართულებით დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალა და სამხედრო ტექნიკა დააჯგუფა. კურსკის შვერილის (კურსკის რკალის) ჩრდილოეთ ნაწილს იცავდა ცენტრალური ფრონტი (სარდალი კ. როკოსოვსკი), სამხრეთ ნაწილს — ვორონეჟის ფრონტი (სარდალი ნ. ვატუტინი). ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ჯარები 1337 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა. მათ შეიარაღებას შეადგენდა: 3306 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 20 ათასი ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 2900 თვითმფრინავი. ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ზურგში განლაგებული იყო სტეპის ფრონტის ჯარები (სარდალი ი. კონევი), რომლის შემადგენლობაში იყო 580 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 1,5 ათასი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 7,5 ქვემეხი და ნაღმტყორცნი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ცენტრალური, ვორონეჟისა და სტეპის ფრონტების ზურგში აგებული იქნა ტანკსაწინააღმდეგო ზღუდე, რომელიც 8 სარტყლისაგან შედგებოდა.

1943 წლის 5 ივლისს, ნაშუაღამევის 3 საათზე, გერმანიის ჯარები შეტევის დაწყებისათვის მზად იყვნენ. საბჭოთა სარდლობამ გადაწყვიტა მოწინააღმდეგისათვის დაესწრო და გერმანელთა პოზიციების ძლიერი საარტილერიო დაბომბვა დაიწყო. როგორც შემდეგ გაირკვა, სხვადასხვა მიზეზის გამო დაბომბვას სასურველი შედეგი არ მოუტანია. სამაგიეროდ, გერმანელებმა მოულოდნელი შეტევის ფაქტორით ვერ ისარგებლეს.

5 ივლისს, 5 საათსა და 30 წუთზე, გერმანიის მე-9 არმია, მე-6 და მე-4 სატანკო არმიებთან ერთად შეტევაზე გადავიდა. ორიოლ-კურსკის მიმართულებით, ცენტრალური ფრონტის თავდაცვითი ზღუდის 40 კილომეტრიან მონაკვეთზე გერმანელებმა სამი ძლიერი შეტევა განახორციელეს. მთავარი დამრტყმელი ძალა იყო სატანკო ჯგუფი 500 ტანკის შემადგენლობით. შეტევა დაიწყეს ტ-VI პ („ვეფხვი") მარკის მძიმე ტანკების ჯგუფებმაც 10-15 ტანკის ოდენობით თითოეულში. „ვეფხვებს" თან ახლდა „ფერდინანდის" მარკის თვითმავალი ქვემეხები. „ვეფხვებისა" და „ფერდინანდების" შეტევიდან მცირე პაუზის შემდეგ იერიშზე გადმოვიდნენ საშუალო

ტანკების ჯგუფები 50-100 ტანკის შემადგენლობით თვითეულში. ტანკებს უკან მისდევდა ჯავშანმანქანები ქვეითი ჯარით. 5 ივლისს მთელი დღის განმავლობაში გერმანელებმა ოთხჯერ სცადეს ცენტრალური ფრონტის თავდაცვითი ზღუდის გარღვევა, მაგრამ უშედეგოდ.

5 ივლისიდან 11 ივლისამდე გერმანელებმა ცენტრალური ფრონტის სიღრმეში წინ წაიწიეს 6-12 კილომეტრით. მეტის მიღწევა შეუძლებელი გახდა. ცენტრალურმა ფრონტმა სარეზერვო ძალების დახმარების გარეშე შეძლო გერმანელთა შეტევის შეჩერება.

ბელგოროდ-კურსკის მიმართულებით შეტევაზე გადასულ გერმანელებს გზას ვორონეჟის ფრონტი ულობავდა. 5 ივლისსვე საბჭოთა ჯარების თავდაცვის ზღუდის გარღვევას 700 ტანკი შეეცადა. ორდღიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა შეძლეს თავდაცვის მთავარი ზღუდის, ბოლო შემდეგ მეორე გამაგრებული ხაზის გარღვევა და ობოვიანის მიმართულებით 10-18 კილომეტრით წაიწიეს წინ. 9-11 ივლისს გერმანელები შეუპოვრად ცდილობდნენ კურსკის დაკავებას. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ვორონეჟის ფრონტი გააძლიერა ჯერ ორი სატანკო კორპუსით, ხოლო შემდეგ ერთი საერთო-საჯარიმო არმიითა და ერთი სატანკო არმიით. ვორონეჟის ფრონტს გერმანელთა ტანკების მოგერიებაში დიდი დახმარება აღმოუჩინა ავიაციამ.

1943 წლის 10 ივლისს, კურსკის რაიონში ცხარე ბრძოლების მიმდინარეობის დროს, იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე გადასხდა ინგლისამერიკის დესანტი. ამის მიუხედავად ადოლფ ჰიტლერმა ოპერაცია „ციტადელის" ბოლომდე მიყვანა გადაწყვიტა.

კურსკის ბრძოლაში გადამწყვეტი მომენტი 1943 წლის 12 ივლისს დადგა. ამ დღეს ობოვიანის რაიონის დაბა პროხოროვკასთან გაიმართა დიდი სატანკო ბრძოლა. ორივე მხრიდან ბრძოლაში 1100 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი მონაწილეობდა. ბრძოლამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

1943 წლის 13-15 ივლისს გერმანიის ჯარები რამდენიმე მიმართულებით კიდევ ცდილობდნენ შეტევას, მაგრამ ჩანდა, რომ გერმანელები უკიდურესად მოიქანცნენ. 17 ივლისს ადოლფ ჰიტლერმა მიიღო გადაწყვეტილება ოპერაცია „ციტადელის" შეწყვეტის შესახებ. ეს პრაქტიკულად „ციტადელის" კრახს ნიშნავდა.

კურსკის ბრძოლის მეორე ეტაპი — საბჭოთა ჯარების კონტრშეტევა — 1943 წლის 12 ივლისიდან 23 აგვისტომდე გრძელდებოდა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ დაგეგმილ შეტევაში (ოპერაცია „კუტუზოვი") მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბრიანსკის ფრონტისა (სარდალი მ. პოპოვი) და ცენტრალური ფრონტის (სარდალი კ. როკოსოვსკი) ჯარებს, ასევე დასავლეთის ფრონტის (სარდალი ვ. სოკოლოვსკი) ჯარების ნაწილის. სარდლობის ჩანაფიქრით ოპერაცია „კუტუზოვი" 12 ივლისს უნდა დაწყებულიყო და 18 აგვისტოს დამთავრებულიყო.

ოპერაცია „კუტუზოვი" 1943 წლის 12 ივლისს წარმატებით დაიწყო, მაგრამ გერმანიის ჯარების ალყაში მოქცევა შეუძლებელი გახდა. გერმანიის სარდლობამ ვითარების შესაბამისი ტაქტიკა აირჩია: ორიოლის დაჯგუფებას ჯარების ნაწილი თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა, ნაწილი კი 5-8 კილომეტრით უკან ახალ თავდაცვით ხაზს ამზადებდა. ამასთან ერთად გერმანელები შესანიშნავად იყენებდნენ სატანკო დაჯგუფებების კონტრშეტევებს. 18 აგვისტოსათვის ბრიანსკის, ცენტრალური და დასავლეთის ფრონტების ჯარებმა გაანადგურეს გერმანიის ჯარების ბრიანსკის დაჯგუფება და წინ წაიწიეს 150 კილომეტრით. ცენტრალური ფრონტის ჯარებს ბრიანსკის მიმართულებით შეტევის დაწყებისა და ბელორუსიის აღმოსავლეთ რაიონებში შეჭრის კარგი შესაძლებლობა მიეცათ.

სხვაგვარად განვითარდა მოვლენები ბელგოროდ-ხარკოვის მიმართულებით (ოპერაცია „რუმიანცევი"). ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა ბრძოლებში დიდი დანაკარგი ნახეს და მზად არ იყვნენ სერიოზული შეტევითი ოპერაციის განხორციელებისათვის. გარდა ამისა, გერმანიის ჯარებმა კარგად გამაგრებულ თავდაცვით ზღუდეზე დაიხიეს და ხანგრძლივი ბრძოლებისათვის მოემზადნენ. ვორონეჟის ფრონტის ამოცანას შეადგენდა გერმანელთა ჯარების დაჯგუფების დაქსაქსვა, დაქსაქსული ნაწილების ალყაში მოქცევა და განადგურება. 1943 წლის 3 აგვისტოდან 18 აგვისტომდე ვორონეჟისა და სტეპის ფრონტის ჯარებმა გერმანიის ჯარების ხარკოვის დაჯგუფებას სამი მხრიდან შემოარტყეს ალყა. გერმანიის სარდლობამ სწრაფად გადააჯგუფა ჯარები და ახტირკისა და ბოგოდუხოვის რაიონიდან 10 დივიზიის ძალებით ძლიერი კონტრშეტევა განახორციელა. კონტრშეტევაში 600 ტანკი მონაწილეობდა. საბჭოთა სარდლობამ ბრძოლაში სარეზერვო ჯარები ჩაბა. დიდი ბრძოლების შემდეგ 1943 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა ჯარებმა

ხარკოვი დაიკავეს. ამ ბრძოლების შედეგად საბჭოთა ჯარებმა წინ წაიწიეს 150 კილომეტრით. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მარჯვენა ნაპირის უკრაინის განთავისუფლებისა და მდინარე დნეპრის გადალახვისათვის.

კურსკის ბრძოლა გრძელდებოდა 50 დღე (პირველი ეტაპი — 1943 წლის 5 ივლისიდან 12 ივლისამდე, მეორე ეტაპი — 1943 წლის 12 ივლისიდან 23 აგვისტომდე). საომარი მოქმედების ფრონტი 400-500 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. ორივე მხრიდან ბრძოლაში 300 დივიზია (4 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი) მონაწილეობდა. საბჭოთა ჯარებმა კურსკის ბრძოლაში მოკლულთა სახით დაკარგეს 254,4 ათასი კაცი, დაჭრილთა სახით — 608,8 ათასი. ცოცხალი ძალის მხრივ გერმანელთა დანაკარგი 3,5-ჯერ ნაკლები იყო. დიდი იყო ტექნიკის დანაკარგიც. საბჭოთა ჯარებმა დაკარგეს: 6 ათასი ტანკი და 1600 თვითმფრინავი. გერმანელთა დანაკარგი ტექნიკის მხრივაც ნაკლები იყო. გერმანელებმა დაკარგეს 1300 ტანკი და 1000 თვითმფრინავი.

**კურსკის ბრძოლით დასრულდა ძირეული გადახრა ომის მსვლელობაში. გერმანიის სამხედრო ძლიერება სერიოზულად შეირყა. მომზადდა პირობები საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან გერმანიის ჯარების განდევნისათვის.**

კურსკთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ ხელი შეუწყო ანტიგერმანული კოალიციის გააქტიურებასა და მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში.

**7. საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციები 1943 წლის აგვისტო-დეკემბერში.** კურსკთან განცდილი მარცხის შემდეგ ადოლფ ჰიტლერმა გადაწყვიტა მთელ აღმოსავლეთის ფრონტზე თავდაცვაზე გადასულიყო. ასეთი გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ გერმანიისათვის აუცილებელი იყო დონბასისა და კრივოი როგის სამრეწველო რაიონების შენარჩუნება, საერთოდ, უკრაინისა და ბელორუსიის შენარჩუნება, საიდანაც გერმანია დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს იღებდა. 1943 წლის 11 აგვისტოს ადოლფ ჰიტლერმა აღმოსავლეთის გამაგრებული ზღუდის მშენებლობის დაწყების ბრძანება გასცა. თავდაცვითი ზღუდე უნდა აგებულიყო მდინარე ნარვას გასწვრივ, შემდეგ ქალაქების ფსკოვის, ვიტებსკისა და ორშას ხაზზე და მდინარე სოჟის გასწვრივ ვიდრე მდინარე დნეპრის შუა წელამდე. თავდაცვითი ზღუდის მშენებლობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მდინარე დნეპრს, როგორც ბუნებრივ ზღუდეს.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობა კურსკთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ახალ შეტევით ოპერაციებს გეგმავდა. ამ ოპერაციის მიზანი იყო დონბასის, მარცხენა ნაპირის უკრაინის და ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლება. იმავდროულად საბჭოთა ჯარებს უნდა გადაელახათ მდინარე დნეპრი და მის მარჯვენა ნაპირზე მომავალი შეტევისათვის პლაცდარმები მოემზადებინათ. 1943 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს გერმანულ არმიათა დაჯგუფება „სამხრეთის" ძირითადი ძალები, წინ წაიწიეს დასავლეთით 200-400 კილომეტრით და გერმანიის ჯარებს დაატოვებინეს თითქმის ნახევარი უკრაინა. ამ პერიოდში განთავისუფლებულ იქნა 162 ქალაქი, მათ შორის: კიევი, ტაგანროგი, სმოლენსკი, გომელი, დნეპროპეტროვსკი, დნეპროძერჟინსკი, ზაპოროჟიე, სტალინო (დღევანდელი დონეცკი), ნოვოროსიისკი და სხვ.

**8. კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა.** მეორე მსოფლიო ომმა გავლენა იქონია კომუნისტური ინტერნაციონალის მოღვაწეობაზე. 1943 წლის 22 მაისს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ინტერნაციონალის დაშლის შესახებ. ამ დადგენილების მიღებას წინ უსწრებდა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა. სხდომაზე იოსებ სტალინმა კომინტერნის დაშლის აუცილებლობა ასე დაასაბუთა: თანამედროვე ვითარებაში ერთი საერთაშორისო ცენტრიდან ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის მართვა შეუძლებელია. იოსებ სტალინი თვლიდა, რომ ომის პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა სრულიად განსხვავებული პირობები, ამიტომაც მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა ახალი ფორმით უნდა განხორციელებულიყო. „როიტერის" კორესპონდენტთან საუბრისას იოსებ სტალინმა აღნიშნა: კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლა გაფანტავს ჭორებს იმის შესახებ, რომ თითქოს მოსკოვს სურს სხვა ქვეყნების ბოლშევიზაცია და რომ ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიები მოსკოვიდან იმართებიან და თავიანთი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. **იოსებ სტალინი სიმართლეს ბოლომდე არ ამბობდა.** კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლის ნამდვილი მიზეზი უფრო გლობალური იყო. კომინტერნის არსებობა ძალზე აფერხებდა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და

ინგლისის და საერთოდ, ანტიგერმანული კოალიციის მჭიდრო თანამშრომლობას. ფრანკლინ რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი ვერ შეეგუებოდნენ იმას, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიები გერმანიის განადგურების შემდეგ ევროპაში წითელი არმიის შესვლას დალოდებოდნენ, როგორც თავიანთ ქვეყნებში პროსაბჭოთა (პროკომუნისტური) რეჟიმის დამამყარებლებს. იოსებ სტალინმა სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ლიდერების განაწყენება არჩია და კომუნისტური ინტერნაციონალის ბედიც გადაწყდა. კომინტერნის დაშლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ანტიგერმანული კოალიციის განმტკიცებას.

9. მეორე ფრონტის პრობლემა. გერმანიის ჯარების განადგურებამ სტალინგრადთან ხელსაყრელი პირობები შექმნა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისათვის. 1943 წლის იანვარში კასაბლანკაში გამართულ კონფერენციაზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა გადაწყვიტეს თავიანთი ჯარები ხმელთაშუა ზღვის რაიონში გადაესროლათ და ხელთ ეგდოთ კუნძული სიცილია. რაც შეეხება უშუალოდ გერმანიის წინააღმდეგ სახმელეთო და საზღვაო საბრძოლო მოქმედებების დაწყებას, მოკავშირეებმა ამჯერად თავი შეიკავეს. გადაწყდა გერმანიის დაბომბვა ინგლისის აეროდრომებიდან. ამავე დროს გერმანიის წინააღმდეგ მომავალი დიდი სამხედრო ოპერაციისათვის ინგლისში თავი უნდა მოეყარა მოკავშირეთა სერიოზულ სამხედრო კონტინგენტს. უინსტონ ჩერჩილი პირდაპირ აცხადებდა: ინგლისიდან კონტინენტზე ჯარების გადასხმა დაიწყებოდა მას შემდეგ, რაც „გერმანიის წინააღმდეგობა აუცილებელ დონემდე შესუსტდება".

1943 წლის ივნისის დამდეგს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა საბჭოთა კავშირს აცნობეს, რომ გადაწყდა 1943 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა. მეორე ფრონტის გახსნა მნიშვნელოვნად დააჩქარა კურსკთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებამ. 1943 წლის აგვისტოში კვებეკში გამართულ კონფერენციაზე ფრანკლინ რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი შეთანხმდნენ ლა-მანშის სრუტით ინგლისიდან კონტინენტური ევროპის ტერიტორიაზე ჯარების გადასხმის შესახებ. ჯარების გადასხმა (ოპერაცია „ოვერლორდი") უნდა დაწყებულიყო 1944 წლის 1 მაისს.

მეორე ფრონტის გახსნის თარიღის განსაზღვრამ ხელი შეუწყო ანტიგერმანული კოალიციის განმტკიცებას. 1943 წლის დეკემბერში მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. ხელმოწერილი იქნა საიდუმლო ოქმი, რომელშიც დადასტურებული იყო ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება 1944 წლის გაზაფხულზე ჩრდილოეთ საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ. მოსკოვის კონფერენციამ დიდად შეუწყო ხელი იოსებ სტალინის, ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის შეხვედრას.

10. თეირანის კონფერენცია. პირველად იოსებ სტალინი, ფრანკლინ რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი ერთმანეთს თეირანში შეხვდნენ. თეირანის კონფერენცია მიმდინარეობდა 1943 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე. კონფერენციის დასკვნით დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ მოკავშირეთა ჯარების გადასხმა ჩრდილოეთ საფრანგეთში (ოპერაცია „ოვერლორდი") დაიწყებოდა 1944 წლის მაისის განმავლობაში. იოსებ სტალინმა განაცხადა, რომ „ოვერლორდის" მიმდინარეობის პარალელურად საბჭოთა ჯარები დაიწყებდნენ შეტევას, რათა გერმანიის უმაღლეს მთავარსარდლობას აღმოსავლეთის ფრონტიდან დასავლეთში ჯარების გადასროლის საშუალება არ მისცემოდა. მართალია, მოკავშირეებს ერთი აზრი ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ სად გაეხსნათ მეორე ფრონტი (ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ბალკანეთში თუ ჩრდილოეთ საფრანგეთში), მაგრამ უმთავრესში თანხმობა მიღწეული იქნა: გერმანია საერთო ძალებით უნდა გაენადგურებინათ. საბოლოოდ მეორე ფრონტი გაიხსნა 1944 წლის ივნისში. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში გადასხდნენ.

თეირანის კონფერენციაზე იხილებოდა გერმანიის ომისშემდგომი მოწყობის საკითხი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა წამოაყენა წინადადება, მომავალი აგრესიის თავიდან აცილების მიზნით გერმანია რამდენიმე ნაწილად გაეყოთ. თავდაპირველად იოსებ სტალინი ამ აზრს დაეთანხმა. შემდეგ იგი მიხვდა, რომ გერმანიის დანაწევრება საბოლოოდ საბჭოთა კავშირს დაბრალდებოდა და თავი შეიკავა.

დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა თეირანის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების დეკლარაციის გამოქვეყნებას. დეკლარაცია გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ იუწყებოდა.

## § 3. ომის დამამთავრებელი ეტაპი (1944 წელი — 1945 წლის სექტემბერი)

**1. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი 1944 წლის დამდეგისათვის.** 1943 წლის ბოლოს გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ დასავლეთის ფრონტიდან აღმოსავლეთის ფრონტზე 75 დივიზია და დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა გადაისროლა. ეს ძალები არასაკმარისი იყო საბჭოთა ჯარების მოსალოდნელი შეტევის შესაჩერებლად. ამ პერიოდისათვის სამხედრო გერმანიის ქარხნები უკვე შესაძლებლობის ზღვარზე მუშაობდნენ, აღარ კმაროდა ნედლეული და მუშა ხელი. 1944 წლის შემოდგომიდან გერმანიის მთავრობა ყოველთვიურად ჯარში სამსახურისათვის 200 ათას კაცს იწვევდა. გაწვეულთა შორის ბევრი იყო მეტალურგიული და სხვა ქარხნების მუშები. მიუხედავად ასეთი ტოტალური მობილიზაციისა, ფრონტის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილება მაინც არ ხერხდებოდა. გარდა ამისა, გაწვეულთა დიდ ნაწილს სამხედრო საქმის ცოდნა და საჭირო გამოცდილება არ გააჩნდა. გამოცდილ მფრინავთა დაღუპვისა და თვითმფრინავების წარმოების შემცირების გამო მნიშვნელოვნად შესუსტდა გერმანიის ავიაციის ბრძოლისუნარიანობა. 1944 წლის დამდეგისათვის გერმანიას აღმოსავლეთის ფრონტზე 4906000 ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავდა (მათ შორის 706 ათასი კაცი იტალიის, რუმინეთისა და უნგრეთის ჯარების შემადგენლობაში). გერმანელთა შეიარაღებას შეადგენდა 54570 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 5400 ტანკი და მოიერიშე ქვემეხი, 3073 თვითმფრინავი.

1944 წლის დამდეგისათვის საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში მობილიზებული იყო 6736000 ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა ჯარების შეიარაღებას შეადგენდა 97690 ქვემეხი და ნაღმტყორცნი (რეაქტიული ნაღმტყორცნების ჩაუთვლელად), 5628 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 8818 საბრძოლო თვითმფრინავი. 1944 წლის განმავლობაში და 1945 წლის პირველ კვარტალში საბჭოთა კავშირში დაამზადეს 6,2 მილიონი ცეცხლსასროლი იარაღი (პისტოლეტი, შაშხანა, კარაბინი, ავტომატი, ტყვიამფრქვევი), 45 ათასი ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 58,6 ათასი ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 41,4 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის სამხედრო ქარხნებს, ისინი გამართულად მუშაობდნენ, ნედლეულისა და მუშა ხელის ნაკლებობას არ განიცდიდნენ. საბჭოთა კავშირს შეეძლო ახალი მობილიზაციის გზით არმიის მნიშვნელოვნად გაზრდა.

**2. ლენდ-ლიზით მიღებული დახმარება.** საბჭოთა კავშირისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირეთა (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, კანადა) მიერ ლენდ-ლიზის ფარგლებში გაწეულ დახმარებას. 1943 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაწეული დახმარება ისე იყო გათვლილი, რომ საბჭოთა კავშირს გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან ომში აშკარა უპირატესობა არ მიეღო. განსხვავებული იყო ინგლისის პოზიცია. 1941 წლის ზაფხულიდან ინგლისი საბჭოთა კავშირს იმ ოდენობის დახმარებას უწევდა, რომ აღმოსავლეთის (საბჭოთა კავშირ-გერმანიის) ფრონტზე ბრძოლები ინტენსიურად გაგრძელებულიყო, რათა გერმანიას ინგლისის ტერიტორიაზე დიდი დესანტის გადასხმის საშუალება არ ჰქონოდა.

სულ ლენდ-ლიზით ომის წლებში საბჭოთა კავშირმა 11,3 მილიარდი დოლარის დახმარება მიიღო, აქედან დაახლოებით 10 მილიარდი ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდიოდა. მიღებული დახმარებიდან მეოთხედს სურსათი შეადგენდა, ხოლო დანარჩენი ასე ნაწილდებოდა: ავტომობილები — 70%, ტანკები — 12%, თვითმფრინავები 10%. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა ლენდ-ლიზით მიიღო: სადესანტო გემები, ტრალერები, რადიოსალოკაციო და ჰიდროაკუსტიკური აპარატურა (არც ერთი მათგანი იმხანად საბჭოთა კავშირში არ იწარმოებოდა).

ლენდ-ლიზით გათვალისწინებული დახმარება საბჭოთა კავშირში სამი საოკეანო მარშრუტით წარმოებდა: ჩრდილო ატლანტიკით (22,7%), სამხრეთი ატლანტიკით, სპარსეთის ყურითა და ირანის ტერიტორიით (23,80%) და წყნარი ოკეანით (47,1%).

ლენდ-ლიზით მიღებულმა დახმარებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა საბჭოთა კავშირის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი. დიდი იყო ამ დახმარების პოლიტიკური მნიშვნელობაც.

**3. საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციები 1944 წელს.** 1944 წლის ზამთრის კამპანია საბჭოთა ჯარების დიდი გამარჯვებებით აღინიშნა. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაგეგმა 10 შეტევითი ოპერაცია.

პირველი შეტევითი ოპერაცია ლენინგრადთან განხორციელდა 1944 წლის იანვარში. ამ ოპერაციის შედეგად ლენინგრადის ბლოკადა მთლიანად მოიხსნა. შეტევით ოპერაციაში მონაწილეობდა სამი ფრონტის ჯარები — ლენინგრადის (სარდალი ლ. გოვოროვი), ვოლხოვის (სარდალი კ. მერეცკოვი) და ბალტიისპირეთის მეორე (სარდალი მ. პოპოვი). სამივე ფრონტის ერთობლივი მოქმედებითა და ბალტიის სამხედრო ფლოტის მხარდაჭერით გათავისუფლდა ლენინგრადის ოლქის დასავლეთი ნაწილი, კალინინის ოლქი, რის შემდეგაც საბჭოთა ჯარები ესტონეთის ტერიტორიაზე შევიდნენ.



*ლეონიდ ალექსანდრეს ძე გოვოროვი (1897-1955). საბჭოთა კავშირის მარშალი დაიბადა გლეხის ოჯახში განათლება მიიღო კონსტანტინეს საარტილერიო სასწავლებელში (1917 წ.), მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში (1933 წ.), გენერალური შტაბის აკადემიაში (1938 წ.). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, პორუჩიკი. 1918-1919 წლებში იბრძოდა ადმირალ ა. კოლჩაკის არმიაში, 1920 წელს მოხალისედ შევიდა წითელ არმიაში. სამოქალაქო ომის წლებში მეთაურობდა საარტილერიო ბრიგადას. რეპრესიებს გადაურჩა. 1941 წელს დაინიშნა ფ. ძერჟინსკის სახ. საარტილერიო აკადემიის უფროსად. ომის წლებში იყო: დასავლეთის მიმართულების არტილერიის უფროსი, სარეზერვო ფრონტის არტილერიის უფროსი, დასავლეთის ფრონტის არტილერიის უფროსი. 1941 წლის 10 ივლისს დაინიშნა მე-5 არმიის სარდლად, 1942 წლის აპრილში — ლენინგრადის ფრონტის ჯარების ჯგუფის სარდლად. 1942 წლის ივნისიდან ლენინგრადის ფრონტის ჯარების სარდალია, მონაწილეობდა ბლოკადის გარღვევაში და გერმანიის ჯარების განადგურებაში ბალტიისპირეთში. ომის შემდგომ იყო ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, საბჭოთა კავშირის საჰაერო თავდაცვის ჯარების მთავარსარდალი. 1952 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.*



*კირილე ათანასეს ძე მერეცკოვი (1897-1968). მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო წითელი არმიის სამხედრო აკადემიაში (1921 წ.) და უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე (1928 წ.) პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1917 წელს შევიდა წითელ გვარდიაში, 1918 წელს — წითელ არმიაში. იყო პირველი ცხენოსანი არმიის შტაბის მუშაკი. 1922 წლიდან ისევ შტაბის მუშაკია ჯერ საკავალერიო დივიზიაში, შემდეგ — მსროლელთა კორპუსში და სამხედრო ოლქში. 1928 წელს დაინიშნა მე-14 მსროლელი დივიზიის მეთაურად. 1931 წელს სასწავლებლად გაგზავნეს გერმანიაში. 1931 წელს დაინიშნა სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად, 1935 წელს — შორეული აღმოსავლეთის არმიის შტაბის უფროსად. მონაწილეობდა ესპანეთის სამოქალაქო ომში. 1937 წელს დაინიშნა წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ. 1937 წელს დააპატიმრეს, მაგრამ თავის მართლება შეძლო. 1938 წლიდან იყო ვოლგისპირეთის სამხედრო ოლქის ჯარების, ხოლო 1939 წლიდან — ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში (1939-1940 წწ.) იყო მე-7 არმიის სარდალი. დიდი დანაკარგის საფასურად შეძლო ფინელთა შეტევის შეჩერება, ხოლო 1940 წლის 1 თებერვალს მანერჰეიმის ხაზი გაარღვია და ვიბორგის მიმართულებით შეუტია. 1940 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილედ, ხოლო იმავე წლის აგვისტოში — წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსად. 1941 წლის იანვრიდან იყო თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე. 1941 წლის 24 ივლისს დააპატიმრეს. საშინელი წამების შემდეგ იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ თითქოს იყო ფაშისტური შეთქმულების მონაწილე. 1941 წლის სექტემბერში მოულოდნელად შეიწყალეს და დანიშნეს უმაღლესი მთავარბანაკის წარმომადგენლად ჩრდილო კავკასიისა და კარელიის ფრონტებზე, ხოლო შემდეგ მე-7 არმიის სარდლად. ამის შემდეგ იყო მე-4 არმიის სარდალი (1941 წლის დეკემბერი-მაისი და 1942 წლის ივნისი — 1944 წლის თებერვალი), 33-ე არმიის სარდალი (1942 წლის მაისი-ივნისი), კარელიის ფრონტის სარდალი (1944 წლის თებერვალი), შორეული აღმოსავლეთის პირველი ფრონტის სარდალი (1945 წლის აგვისტო-სექტემბერი). ომის შემდეგ იყო რამდენიმე სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.*

მეორე შეტევითი ოპერაცია უკრაინის ტერიტორიაზე, კორსუნ-შევჩენკოს რაიონისა და მდინარე სამხრეთ ბუგის აუზში განხორციელდა 1944 წლის თებერვალ-მარტში. ამ ოპერაციის შედეგად საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინა. საბჭოთა ჯარები აღმოჩნდნენ იმ პოზიციაზე, საიდანაც შეიძლებოდა შეტევის განხორციელება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში რუმინეთისა და უნგრეთის წინააღმდეგ.

მესამე შეტევითი ოპერაციის შედეგად 1944 წლის აპრილ-მაისში საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს ოდესა, სევასტოპოლი და მთელი ყირიმის ნახევარკუნძული.

მეოთხე შეტევითი ოპერაციის დროს, 1944 წლის ივნისში, ლიკვიდირებული იქნა გერმანიის ჯარების პლაცდარმები კარელიის ყელზე, ასევე ლადოგისა და ონეგის ტბების მიდამოებში. ამ ოპერაციის შედეგად საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს კარელიის დიდი ნაწილი. ევროპის უკიდურეს ჩრდილოეთში განლაგებული გერმანიის ჯარები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ფრონტზე შექმნილმა ვითარებამ მალე ფინეთი აიძულა გერმანიის ბლოკიდან გამოსულიყო.

მეხუთე შეტევითი ოპერაცია · ბელორუსიის შეტევითი ოპერაცია (ოპერაცია „ბაგრატიონი“), რომელიც 1944 წლის 23 ივნისიდან 29 აგვისტომდე გრძელდებოდა, გერმანიის არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უდიდესი შეტევითი ოპერაცია. ოპერაცია „ბაგრატიონის" განხორციელება დაევალა ოთხი ფრონტის ჯარებს ··· ბელორუსიის პირველი (სარდალი კ. როკოსოვსკი), ბელორუსიის მეორე (სარდალი გ. ზახაროვი), ბელორუსიის მესამე (სარდალი ი. ჩერნიახოვსკი) და ბალტიისპირეთის პირველი (სარდალი ი. ბაგრამიანი). ოპერაციაში ასევე მონაწილეობდნენ: დნეპრის სამხედრო ფლოტილია და საბჭოთა კავშირში შექმნილი პირველი პოლონური არმია. შეტევითი ოპერაციის ფრონტის სიგრძე 1100 კილომეტრს უდრიდა. შეტევა უნდა განხორციელებულიყო 550-600 კილომეტრის სიღრმეში, დღეღამეში ჯარებს საშუალოდ 14-20 კილომეტრი უნდა გაევლოთ.

*გიორგი ფეოდორის ძე ზახაროვი (1897-1957).*



*არმიის გენერალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო პრაპორშჩიკთა სკოლაში (1916 წ.), მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში (1933 წ.) და გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში (1939 წ.). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1919 წელს შევიდა წითელ არმიაში, ასმეთაური. იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. სამოქალაქო ომის შემდეგ იყო ბატალიონისა და პოლკის მეთაური, წითელი არმიის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის ლექტორი. 1939 წელს დაინიშნა ურალის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად. 1941 წლის ოქტომბრიდან იყო ბრიანსკის ფრონტის ჯარების სარდალი, დასავლეთის, სტალინგრადისა და სამხრეთის ფრონტის სარდლის მოადგილე, 51-ე და მე-2 არმიების სარდალი, ბელორუსიის მეორე ფრონტის სარდალი, მე-4 არმიის სარდალი, უკრაინის მეოთხე ფრონტის სარდალი. ომის შემდგომ იყო სამხრეთ ურალისა და აღმოსავლეთ ციმბირის სამხედრო ოლქების ჯარების სარდალი.*

*ივანე დანილის ძე ჩერნიახოვსკი (1906-1945).*



*არმიის გენერალი. დაიბადა რკინიგზელის ოჯახში. განათლება მიიღო კიევის საარტილერიო სკოლაში (1928 წ.) და წითელი არმიის მექანიზაციისა და მოტორიზაციის აკადემიაში. 1941 წლის მარტიდან იყო 28-ე სატანკო დივიზიის მეთაური. ომის დაწყების შემდეგ ძალზე სწრაფად დაწინაურდა: 1942 წლის ივნისში დაინიშნა მე-18 სატანკო კორპუსის მეთაურად. 1942 წლის აპრილში — ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდლად. წითელი არმიის ისტორიაში ის იყო ყველაზე ახალგაზრდა არმიის გენერალი და ფრონტის სარდალი. თავი გამოიჩინა კურსკის ბრძოლაში, უკრაინის, ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ პრუსიაში მიმდინარე ბრძოლებში. 1945 წლის 18 თებერვალს აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ მელზაკის მისადგომებთან, დაიჭრა და მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა.*

*ივანე ქრისტოფორეს ძე ბაგრამიანი (1897-1982).*



*საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა რკინიგზელის ოჯახში. განათლება მიიღო მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში (1934 წ.) და გენერალური შტაბის აკადემიაში (1938 წ.). 1920 წელს შევიდა წითელ არმიაში, კავალერისტი, ესკადრონის მეთაური. 1923 წლიდან მსახურობდა სხვადასხვა საკავალერიო ნაწილში. 1938 წლიდან გენერალური შტაბის აკადემიის ლექტორია. 1942 წლის აპრილში დაინიშნა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსად, 1942 წლის ივლისიდან მე-16 არმიის სარდალია. 1943 წლის ნოემბერში დაინიშნა ბალტიისპირეთის პირველი ფრონტის ჯარების სარდლად, 1945 წლის აპრილში ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდლად. 1945-1946 წლებში იყო ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის სარდალი. 1956 წელს დაინიშნა კ. ვოროშილოვის სახ. სამხედრო აკადემიის უფროსად, ხოლო 1958 წელს*

*საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ და საბჭოთა არმიის ზურგის უფროსად.*

1943-1944 წლების ზამთარში საბჭოთა ჯარების მიერ უკრაინაში მოპოვებული დიდი გამარჯვებების შემდეგ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა ვარაუდობდა, რომ 1944 წლის ზაფხულში საბჭოთა ჯარები შეტევას განახორციელებდნენ ისევ უკრაინაში — მდინარე პრიპიატსა და შავ ზღვას შორის. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა იმდენად იყო დარწმუნებული ამაში, რომ ყურადღება არ მიაქცია ბელორუსიაში საბჭოთა ჯარების დიდი რაოდენობით თავმოყრას და კვლავ გამალებით ამაგრებდა პოზიციებს უკრაინაში. სწორედ ამიტომ არმიათა დაჯგუფება „ცენტრის" სარდლობის განკარგულებაში არსებული ჯარები და რეზერვები საკმარისი არ აღმოჩნდა საბჭოთა ჯარების შეტევის შესაჩერებლად.

ოპერაცია „ბაგრატიონში" მონაწილეობდა 168 დივიზია, 12 კორპუსი და 20 ბრიგადა. საბჭოთა ჯარების საერთო რაოდენობა ოპერაციის დასაწყისში 2,3 მილიონ კაცს უდრიდა. საბჭოთა ჯარებმა გერმანელთა თავდაცვა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით გაარღვიეს და სწრაფად წაიწიეს წინ. გერმანელთა ზურგში აქტიურად მოქმედებდნენ პარტიზანები. ოპერაცია „ბაგრატიონი" დიდი წარმატებით დასრულდა, არმიათა დაჯგუფება „ცენტრი" განადგურებულ იქნა. ბელორუსიის ტერიტორიიდან გერმანიის ჯარების განდევნით საბჭოთა ჯარებმა ხელსაყრელი პოზიცია დაიკავეს ცენტრალურ ევროპაში შეჭრისათვის.

მეექვსე შეტევითი ოპერაციის დროს, 1944 წლის ივლის-აგვისტოში, უკრაინის პირველი ფრონტის (სარდალი ი. კონევი) ჯარებმა ბროლდი-რავა-რუსკაია-ლვოვის რაიონში გაანადგურეს გერმანიის არმიათა დაჯგუფება „ჩრდილოეთ უკრაინა" და მდინარე ვისლას მარცხენა ნაპირზე, სანდომირთან, ხელთ იგდეს მნიშვნელოვანი პლაცდარმი. ამ ოპერაციის წარმატებით დასრულების შედეგად საბჭოთა ჯარებს შესაძლებლობა მიეეცათ შეჭრილიყვნენ რუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

მეშვიდე შეტევითი ოპერაციის დროს, 1944 წლის აგვისტოში, უკრაინის მეორე ფრონტისა (სარდალი რ. მალინოვსკი) და უკრაინის მესამე ფრონტის (სარდალი ფ. ტოლბუხინი) ჯარებმა მოლდავეთში, კიშინიოვ-იასის რაიონში, გაანადგურეს გერმანიისა და რუმინეთის ჯარების 22 დივიზია და შეიჭრნენ რუმინეთის ცენტრალურ რაიონებში. ამ ოპერაციის შემდეგ რუმინეთმა და ბულგარეთმა კაპიტულაცი გამოაცხადა. რუმინეთის ნავთობის დაკარგვამ გერმანიის ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა.



*როდიონ იაკობის ძე მალინოვსკი (1898-1968). საბჭოთა კავშირის მარშალი. მზარეულის უკანონო შვილი. განათლება მიიღო უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სკოლაში (1920 წ.) და მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში (1930 წ.). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ეფრეიტორი. 1919 წელს შევიდა წითელ არმიაში, იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. 1923-1937 წლებში ეკავა სხვადასხვა თანამდებობები. 1937-1938 წლებში იბრძოდა ესპანეთში. რეპრესიებს გადაურჩა. 1941 წლის მარტიდან იყო 48-ე მსროლელი კორპუსის მეთაური, 1941 წლის აგვისტოდან – მე-6 არმიის სარდალი, 1942 წლის ნოემბრიდან — მე-2 არმიის სარდალი, 1943 წლის თებერვლიდან – სამხრეთის ფრონტის სარდალი, 1943 წლის მარტიდან სამხრეთ-დასავლეთის (უკრაინის მესამე) ფრონტის სარდალი, 1944 წლის მაისიდან – უკრაინის მეორე ფრონტის სარდალი. 1945 წლის ივლის-აგვისტოში სარდლობდა ბაიკალისპირეთის ფრონტს. 1945-1947 წლებში იყო ბაიკალისპირეთ-ამურისპირეთის სამხედრო ოლქის სარდალი, 1947-1953 წლებში – შორეული აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდალი, 1953-1956 წლებში – შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. 1957 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრად.*



*ფეოდორ ივანეს ძე ტოლბუხინი (1894-1949). საბჭოთა კავშირის მარშალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო პეტერბურგის კომერციულ სასწავლებელში (1912 წ.), პრაპორშჩიკთა სკოლაში (1915 წ.), მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე (1927 წ., 1930 წ.), მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში (1934 წ.). პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, შტაბს-კაპიტანი. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში. მონაწილეობდა კრონშტადტის ამბოხების ჩახშობაში (1921 წ.). 1923 წლიდან იყო დივიზიისა და კორპუსის შტაბის უფროსი, დივიზიის მეთაური. 1938 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის*

*სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად. ომის დაწყების შემდეგ იყო ფრონტის შტაბის უფროსი, 57-ე და 68-ე არმიების სარდალი. 1943 წლის მარტიდან იყო სამხრეთის ფრონტის სარდალი, 1943 წლის ოქტომბრიდან — უკრაინის მეოთხე ფრონტის სარდალი, 1944 წლის მაისიდან — უკრაინის მესამე ფრონტის სარდალი. 1947 წლიდან იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.*

მერვე შეტევითი ოპერაცია 1944 წლის სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელდა ბალტიისპირეთში. საბჭოთა ჯარებმა მძიმე დარტყმა მიაყენეს გერმანიის არმიათა დაჯგუფება „ცენტრს", გაათავისუფლეს ესტონეთი, ლატვიის დიდი ნაწილი. გერმანიის ჯარების ნაწილი კურლანდიაში (მემულის რაიონში) ზღვის სანაპიროზე აღმოჩნდა ბლოკირებული. მემელის დაჯგუფებას აღმოსავლეთ პრუსიასთან სახმელეთო გზით დაკავშირება აღარ შეეძლო. კურლანდიაში, მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ საბჭოთა ჯარებს. აქ გერმანიის სარდლობამ რამდენიმე წარმატებული კონტრშეტევაც კი განავითარა.

მეცხრე შეტევითი ოპერაცია მდინარეებს ტისასა და დუნაის შორის განხორციელდა. ამ ოპერაციის შედეგად გერმანიამ პრაქტიკულად დაკარგა უკანასკნელი მოკავშირე — უნგრეთი. ოპერაცია 1944 წლის ოქტომბრიდან 1945 წლის თებერვლამდე გრძელდებოდა და ორივე მხრიდან უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ოპერაციაში მონაწილე საბჭოთა ჯარებმა მოკლულთა სახით პირადი შემადგენლობის 11,1% დაკარგეს. გერმანელებმა გაანადგურეს 1766 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 4127 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 293 საბრძოლო თვითმფრინავი. 1945 წლის 13 თებერვალს სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ბუდაპეშტი დაიკავეს.

მეათე შეტევითი ოპერაცია კარელიის ფრონტის (სარდალი კ. მერეცკოვი) ჯარებმა ჩრდილოეთის სამხედრო ფლოტთან ერთად გერმანიის მე-20 არმიის წინააღმდეგ პეტსამოს (პეჩენგის) რაიონში განახორციელეს. საბჭოთა ტერიტორიის განთავისუფლების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ნორვეგიის ჩრდილოეთ რაიონები დაიკავეს, რის შედეგადაც გერმანია მოწყვეტილი აღმოჩნდა ნიკელის საბადოებს.

1944 წელს საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებული ათი შეტევითი ოპერაცია ბრწყინვალე სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური შედეგებით დასრულდა. განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის ტერიტორია და მომზადდა პირობები სამხრეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში შეჭრისათვის. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ შეტევით ოპერაციებს შეეწირა უამრავი ადამიანი. მსხვერპლის ნაწილობრივ თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა იოსებ სტალინის პოლიტიკური მიზანი — არ დაეშვა ევროპაში მოკავშირეთა სრული ბატონობა. იოსებ სტალინს სურდა საბჭოთა კავშირს, კონტროლის ქვეშ მოექცია უზარმაზარი ტერიტორია შავი ზღვიდან და ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ბალტიის ზღვამდე და სკანდინავიის ნახევარკუნძულამდე, იქ მცხოვრები ხალხებითა და მათი სახელმწიფოებით. ცხადია, ამ გეგმის ჩასაშლელად მოკავშირეები ყველაფერს იღონებდნენ. სწორედ ამიტომ ჩქარობდა იოსებ სტალინი. სამხრეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების საზღვრებთან საბჭოთა ჯარების გამოჩენა დიდი მსხვერპლის ფასად გახდა შესაძლებელი.

4. ყირიმის კონფერენცია. მოკავშირეები ტაქტიკას არ ცვლიდნენ — გერმანიის სამხედრო მანქანის დამსხვრევას საბჭოთა კავშირის ძალებით გეგმავდნენ. 1944 წლის 16 დეკემბერს გერმანიის ჯარები ბელგიაში, არდენის მთებში, შეტევაზე გადავიდნენ. ოპერაციის მიზანი იყო ბელგიაში განლაგებული მოკავშირეთა ჯარების განადგურება. მოკავშირეებმა დახმარებისათვის იოსებ სტალინს მიმართეს. იმხანად უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ საბჭოთა ჯარები დიდ შეტევით ოპერაციას (ვისლა-ოდერის ოპერაციას) 1945 წლის 20 იანვარს დაიწყებდნენ. მოკავშირეთა თხოვნის საპასუხოდ ვისლა-ოდერის ოპერაცია 8 დღით ადრე — 12 იანვარს დაიწყო. გერმანელები იძულებულნი გახდნენ არდენის მთებში აქტიური შეტევითი ოპერაციები შეეწყვიტათ და ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე გადაესროლათ.

მოკავშირეთა მოქმედების კოორდინაციისა და სამომავლო გეგმების შეთანხმების მიზნით 1945 წლის 4 თებერვლიდან 11 თებერვლამდე ყირიმში, იალტაში, მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: იოსებ სტალინი, ფრანკლინ რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი, ასევე სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელები, გენერალური შტაბების წარმომადგენლები, სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტები.



იოსებ სტალინი, ფრანკლინ რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი

იალტის კონფერენციაზე ხელმოწერილი იქნა საიდუმლო შეთანხმება. შეთანხმების ძალით, გერმანიის კაპიტულაციიდან ორი-სამი თვის შემდეგ საბჭოთა კავშირი იაპონიის წინააღმდეგ ომში უნდა ჩაბმულიყო. შეთანხმების ეს პუნქტი ძალზე ახარებდა ფრანკლინ რუზველტს, რადგან, მისი აზრით, გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ ომის დაწყება მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ თუ გახდებოდა შესაძლებელი. იოსებ სტალინმა ამ დათმობის ფასად მოითხოვა: რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ იაპონიის მიერ მიტაცებული კუნძულ სახალინის სამხრეთ ნაწილისა და მიმდებარე კუნძულების საბჭოთა კავშირისათვის დაბრუნება, საბჭოთა კავშირისათვის პორტ-არტურის იჯარით გადაცემა იქ სამხედრო-საზღვაო ბაზის განლაგების უფლებით, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის გადასელა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივ ექსპლოატაციაში, კურილიის კუნძულების საბჭოთა კავშირისათვის გადაცემა. ფრანკლინ რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი იოსებ სტალინის წინადადებას დასთანხმდნენ.

ყირიმის კონფერენციაზე მოკავშირეები შეთანხმდნენ, თუ როგორ უნდა ემოქმედათ გერმანიის, როგორც დამარცხებული ქვეყნის, მიმართ. გადაწყდა, რომ გერმანიაში მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარები მკაცრად დაიცავდნენ მათთვის განსაზღვრული საოკუპაციო ზონის მიჯნებს. გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილი საბჭოთა ჯარებს უნდა დაეკავებინა. „დიდი ბერლინი" საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯარების ერთობლივ კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა.

კონფერენციაზე განიხილეს რეპარაციის საკითხი. გადაწყდა, რომ გერმანიას უნდა გადაეხადა დაახლოებით 20 მილიარდი დოლარის ოდენობის რეპარაცია, რომლის ნახევარი საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო.

ყირიმის კონფერენციაზე მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ 1945 წლის 25 აპრილს ქალაქ სან-ფრანცისკოში მოიწვევდნენ გაერთიანებული ერების კონფერენციას, რომლის მიზანი იქნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნება.

**5. საბჭოთა სამხედრო ტყვეების მდგომარეობა და საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაცია.** ყირიმის კონფერენციაზე სხვა დოკუმენტებთან ერთად ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ. კონფერენციაზე იოსებ სტალინმა განაცხადა: „მათ საქმეს, ვინც გერმანელთა მხარეზე იბრძოდა, დაბრუნების შემდეგ გამოარკვევენ". ეს იყო ამკარა მუქარა. შეთანხმებაში სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ აღნიშნული იყო, რომ ყველა საბჭოთა მოქალაქე, რომელსაც მოკავშირეები (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი) გაათავისუფლებდნენ ტყვეობიდან, უნდა გადაეცათ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისათვის წინასწარ დადგენილ პუნქტებში და წინასწარ დადგენილი წესით. შეთანხმება გულისხმობდა, რომ სამხედრო ტყვეთა გადაცემა თვით ყოფილ ტყვეთა სურვილზე არ იყო დამოკიდებული, იგი აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო. ამასთან ერთად, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, დასავლეთ უკრაინის, დასავლეთ ბელორუსიის, მდინარე დნეპრის მაჯვენა ნაპირის, მოლდავეთის და ჩრდილოეთ ბუკოვინის ტერიტორიაზე მცხოვრებთა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისათვის გადაცემა სავალდებული არ იყო.

1945 წლის მაის-ივნისში ინგლისელებმა თავიანთი საოკუპაციო ზონიდან საბჭოთა კავშირს გადასცეს: კაზაკთა სამხედრო ნაწილი დომანოვისა და ლიენცეს მეთაურობით, კაზაკთა მე-15 საკავალერიო კორპუსი გენერალ ფონ პანნვიცის მეთაურობით, გენერალ ა. შკუროს სამხედრო ნაწილი, კავკასიელ მთიელთა სამხედრო ნაწილი კლიჩ გირეის მეთაურობით. იძულებითი გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ზონიდანაც წარმოებდა.

1946 წლის 1 მარტისათვის ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ზონებიდან საბჭოთა კავშირს გადაეცა: 5352963 საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის 3527189 სამოქალაქო პირი და 1825773 სამხედრო ტყვე. ყველა მათგანმა გაიარა შემოწმება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო უშიშ-

როების სახალხო კომისარიატის და კონტრდაზვერვის სამსახურის („სმერშის") ორგანოებში. შემოწმების შემდეგ ძველ საცხოვრებელ ადგილზე დააბრუნეს 58%, არმიაში გაიწვიეს 19%, თავდაცვის სახალხო კომისარიატის შრომით ბატალიონებში ჩარიცხეს 15%, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში დატოვეს 7% (ეს უკანასკნელი კატეგორია ძირითადად სამხედრო ტყვეებისაგან შედგებოდა).

რეპატრირებულ მოსახლეობას ოფიციალურად განუმარტავდნენ, რომ მათ ჰქონდათ ყველა ის უფლება, რითაც ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქე სარგებლობდა. რეალური ვითარება კი სულ სხვა იყო. მაგალითად, საბჭოთა კავშირის ოკუპირებული ტერიტორიიდან გერმანიაში სამუშაოდ გაყვანილებს საბჭოთა ხელისუფლება განიხილავდა, როგორც „მტრულად განწყობილ ქვეყანაში ნებაყოფლობით წასულებს". ეს ადამიანები სამშობლოში განიცდიდნენ აშკარა დისკრიმინაციას როგორც სამსახურში, ისე სასწავლებლებში. მათ მიმართ ღიად გამოხატავდნენ უნდობლობასა და ზიზღს.

საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით **სამხედრო ტყვე ომის მონაწილეთა კატეგორიას არ განეკუთვნებოდა. ტყვედ ჩავარდნა სამშობლოს ღალატად ითვლებოდა.** ის, ვინც ტყვედ იმ დროს ჩაბარდა, როცა ბრძოლის გაგრძელებას ჯერ კიდევ ჰქონდა აზრი, **სიკვდილით ისჯებოდა.** ის სამხედრო ტყვეები, რომლებიც ტყვეობიდან ომის დროსვე განთავისუფლდნენ, საგანგებო შემოწმებას გადიოდნენ. რიგით ჯარისკაცებსა და სერჟანტებს, თუ რაიმე დამატებითი დამამძიმებელი გარემოება არ გახდებოდა ცნობილი, არმიაში აბრუნებდნენ. ოფიცრებს სამხედრო წოდებას ართმევდნენ და **საჯარიმო ბატალიონებში** აგზავნიდნენ.

განსაკუთრებით მკაცრი იყო დამოკიდებულება მათდამი, ვინც ომის წლებში გერმანელებთან თანამშრომლობდა. 1941 წლის ბოლოსათვის გერმანიის ტყვეობაში იმყოფებოდა 3,8 მილიონი სამხედრო მოსამსახურე (ჯარისკაცი, ოფიცერი, გენერალი). 1942 წლის თებერვლისათვის გერმანიის ტყვეთა ბანაკებში იმყოფებოდა 1 მილიონი საბჭოთა ადამიანი, მათგან 280 ათასი გერმანიის არმიასა და პოლიციაში სამსახურს დასთანხმდა. ამ დროისათვის ტყვეთა ბანაკებში უკვე დაღუპული იყო 2 მილიონი საბჭოთა მოქალაქე. დაღუპულთა უმეტესობა ცუდი კვების, მძიმე სანიტარული პირობისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. ტყვეთა ნაწილი გაქცევის მცდელობისას დახოცეს, ნაწილი კი სხვადასხვა არალეგალურ ორგანიზაციებში მუშაობისათვის დასაჯეს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ **კვებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მიხედვით გერმანიის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში არსებულ გერმანელ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში.** შრომის პირობები ერთნაირად მძიმე იყო როგორც საბჭოთა, ისე გერმანელი ტყვეებისათვის.

**6. კოლაბორაციონიზმი. გენერალი ა. ვლასოვი და ვლასოველები.** 1943 წლის შუა ხანებისათვის გერმანიის შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა 400 ათასიდან 600 ათასამდე მოხალისე, რომელთაგან უმეტესობას ყოფილი საბჭოთა ტყვეები შეადგენდნენ. გარდა ამისა, 1942 წლის იანვრიდან ჩამოყალიბება დაიწყო მოხალისეთა ბატალიონებმა. სულ შეიქმნა 90 ქვეითი ბატალიონი (თითეულ ბატალიონში დაახლოებით 1000 ჯარისკაცი და ოფიცერი ირიცხებოდა). მოხალისეთა ბატალიონებიც ძირითადად საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან ყალიბდებოდა. ბატალიონები ეროვნული პრინციპით იქმნებოდა. 90 ბატალიონიდან თურქმენებისა იყო 26, აზერბაიჯანელებისა — 15, ქართველების — 13, სომხებისა — 12, ჩრდილო კავკასიის მთიელთა — 9, ყირიმელი თათრებისა — 9, ვოლგისპირეთის თათრებისა და ვოლგისპირეთის სხვა არარუსი ხალხებისა — 7. 1943 წლის გაზაფხულზე დასრულდა ფონ პანვიცის კაზაკთა დივიზიის ჩამოყალიბება. საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან შეიქმნა სხვა სამხედრო ნაწილებიც. 1944 წლის ბოლოსათვის ესესის ჯარებში იყო უკრაინელების, ბელორუსების, ლიტველების, ლატვიელებისა და ესტონელების 7 დივიზია. კოლაბორაციონისტთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 1 მილიონს უდრიდა.

გერმანიის უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის ზოგიერთი გავლენიანი წარმომადგენელი, მაგალითად, ვ. ბრაუხიჩი, რუსი სამხედრო ტყვეებისაგან არმიის შექმნას აუცილებელ საქმედ მიიჩნევდა. ადოლფ ჰიტლერი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა რუსული სამხედრო ნაწილების შექმნას. 1943 წლის ზაფხულში მან განაცხადა: **„ჩვენ არასდროს არ შევქმნით რუსულ არმიას. ეს წმინდა წყლის ქიმერაა".** ადოლფ ჰიტლერი ისტორიულ გამოცდილებას აზოგადებდა და ასკვნიდა: **„ასეთი ეროვნული შენაერთები კრიზისის მომენტში ყოველთვის დამპყრო-**

ბი სახელმწიფოს წინააღმდეგ იწყებენ გამოსვლას". ადოლფ ჰიტლერის წინასწარმეტყველება ახდა. სტალინგრადთან განცდილი დიდი მარცხის შემდეგ გერმანელებმა სასწრაფო დაშალეს ზემოთხსენებული ეროვნული ნიშნით შექმნილი ქვეითი ბატალიონების ნაწილი, ხოლო დარჩენილი ბატალიონები საფრანგეთში, პოლანდიაში, იტალიასა და ბალკანეთის ქვეყნებში გადაიყვანეს.

1944 წლის ბოლომდე საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან დაიწყო რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის შექმნა. 1945 წლის 28 იანვარს ადოლფ ჰიტლერმა ყველა რუსული სამხედრო ფორმირების მთავარსარდლად გენერალი ანდრეი ვლასოვი დანიშნა.

*ანდრეი ანდრეის ძე ვლასოვი (1901-1946). გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა გლეხის ოჯახში. 1920 წელს გაწვეული იქნა წითელი არმიის რიგებში, იბრძოდა რუსეთის სამხრეთში მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. დაასრულა წითელ მეთაურთა კურსები. 1922 წლიდან წითელ არმიაში ეკავა სხვადასხვა დონის მეთაურთა თანამდებობები, მუშაობდა შტაბებში. 1935 წელს სწავლა განაგრძო მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში. 1937-1938 წლებში იყო ლენინგრადისა და კიევის სამხედრო ოლქების სამხედრო ტრიბუნალების წევრი. 1938-1939 წლებში იმყოფებოდა ჩინეთში ჩან კაი-შის სამხედრო მრჩევლად. 1940 წელს დაინიშნა დივიზიის მეთაურად, 1941 წლის იანვარში - კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის მე-4 მექანიზებული კორპუსის მეთაურად. ომში ჩაება ქ. ლვოვთან, იბრძოდა შემართებით, რის გამოც დააჯილდოვეს და დანიშნეს 37-ე არმიის სარდლად, შემდეგ კიევის სამხედრო კომენდანტად. კიევთან ალყაში მოჰყვა, მაგრამ ალყას თავი დააღწია. მიღებულ ჭრილობებს ჰოსპიტალში იმუშებდა. 1941 წლის ნოემბრიდან ი. სტალინის უშუალო მითითებით შეუდგა მე-20 არმიის ფორმირებას. მოსკოვთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1942 წლის მარტში დაინიშნა ვოლხოვის ფრონტის სარდლის მოადგილედ და მე-2 დამრტყმელი არმიის სარდლად. 1942 წლის გაზაფხულზე მე-2 დამრტყმელი არმია ალყაში მოექცა. 1942 წლის 11 ივლისს, ალყიდან გამოსვლის წარუმატებელი ცდების შემდეგ, ა. ვლასოვი ტყვედ დანებდა გერმანელებს. არსებობს ვერსია, რომლის მიხედვითაც ალყაში მყოფი ა. ვლასოვი ტყვედ ჩაიგდეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და გადასცეს გერმანიის მე-18 არმიის 28-ე პოლკის პატრულს. 1945 წლის მაისში ა. ვლასოვი ტყვედ იგდეს საბჭოთა ჯარებმა. 1946 წლის 2 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განაჩენის საფუძველზე დახვრიტეს.*



ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, 1942 წლის აგვისტოს დამდეგს გენერალმა ანდრეი ვლასოვმა წითელი არმიის 41-ე მსროლელი დივიზიის ყოფილ მეთაურთან პოლკოვნიკ ბოიარსკისთან ერთად საგანგებო მემორანდუმი გამოაქვეყნა. მემორანდუმში აღნიშნული იყო, რომ წითელი არმიის მარცხი გაპირობებული იყო იოსებ სტალინის მოღვაწეობითა და საბჭოთა კავშირში არსებული რეჟიმით, იმ რეჟიმით, რომელიც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხიშტებზე იყო დაფუძნებული. მემორანდუმის ავტორების აზრით ხალხში „სულ უფრო იღვიძებს იმის შეგნება, რომ ომის შემდგომი გაგრძელება უსარგებლო და უპერსპექტივოა". დოკუმენტი მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, „ახალი რუსეთის" შექმნის მიზნით გერმანელების მიერ ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისა და საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან „რუსული არმიის" შექმნისაკენ. ეს იმისათვის იყო აუცილებელი, რომ „ოპოზიციურ მოძრაობას კანონიერი ხასიათი შეეძინა და სამხედრო ტყვეებს მოღალატეებად არ ეგრძნოთ თავი". მოგვიანებით საბჭოთა გამომძიებლისათვის მიცემულ ჩვენებაში ა. ვლასოვმა აღნიშნა, რომ გენერლები პ. პონედელინი, მ. სნეგოვი და მ. ლუკინი წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის შექმნისა, რადგან გერმანელებს არ ენდობოდნენ.

*ანდრეი ვლასოვის ღია წერილიდან „რატომ დავადექი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზას" (1943 წლის მარტი): „მოვუწოდებ რა ყველა რუსს სტალინისა და მისი ხროვის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბოლშევიკებისა და კაპიტალისტებისაგან თავისუფალი ახალი რუსეთის ასაშენებლად, მე ვალდებულად ვთვლი თავს გავაკეთო შემდეგი განმარტება.*

*მე საბჭოთა ხელისუფლებას არაფრით არ გავუწყენებივარ. მე ვარ გლეხის შვილი, დავიბადე ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნიაში, მივაღწიე იმას, რომ მივიღე უმაღლესი განათლება, ვსწავლობდი სილარიბეში. მე მხარი დავუჭირე სახალხო რევოლუციას, შევედი წითელ არმიაში რათა მებრძოლა იმისათვის, რომ გლეხებს მიეღოთ მიწა, რომ რუს ხალხს ჰქონოდა ნათელი მომავალი. აქედან დაწყებული ჩემი ცხოვრება განუყოფლად დაუკავშირდა წითელ არმიას, რომლის რიგებში მე უწყვეტად ვიმსახურე 24 წელი. მე გავიარე გზა რიგითი მებრძოლიდან არმიის სარდლამდე და ფრონტის სარდლის მოადგილემდე. ვიყავი ასეულის, ბატალიონის, პოლკის, დივიზიის, კორპუსის მეთაური. დაჯილდოებული ვიყავი ლენინის, წითელი დროშისა და*

მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავის აღსანიშნავად დაწესებული ორდენებით. 1930 წლიდან ვიყავი სკპ(ბ) წევრი.

და აი, ახლა მე ვიწყებ ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ და მოვუხმობ იმ ხალხს, რომლის შვილიც მე ვარ.

რატომ? ეს კითხვა გაუჩნდება ყოველს, ვინც წაიკითხავს ჩემს მიმართვას, ამიტომაც მე ვალდებული ვარ პატიოსნად ვუპასუხო მას. სამოქალაქო ომის წლებში მე ვიბრძოდი წითელი არმიის რიგებში და მჯეროდა, რომ რევოლუცია რუს ხალხს მისცემდა მიწას, თავისუფლებას და ბედნიერებას.

წითელი არმიის მეთაური რომ ვიყავი, მე ვცხოვრობდი მებრძოლებსა და მეთაურებს შორის — რუხი ფერის ფარაჯაში გამოწყობილ რუს მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენტებს შორის. მე ვიცოდი მათი აზრების, ფიქრების, საზრუნავისა და გაჭირვების შესახებ. მე ჩემს ოჯახთან, ჩემს სოფელთან კავშირი არ გამიწყვეტია, ვიცოდი როგორ ცხოვრობდა გლეხი.

და მე დავინახე, რომ ის, რისთვისაც რუსი ხალხი იბრძოდა სამოქალაქო ომის წლებში, ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ მან ვერ მიიღო. მე ვხედავდი, თუ როგორ გაჭირვებაში ცხოვრობდა რუსი მუშა, როგორ ძალით შერეკეს გლეხები კოლმეურნეობებში, როგორ გაქრა უკვალოდ ძიებისა და სასამართლოს გარეშე დაპატიმრებული მილიონობით რუსი ადამიანი. მე ვხედავდი, როგორ ითელებოდა ფეხქვეშ ყოველგვარი რუსული, წითელი არმიის ხელმძღვანელ თანამდებობებზე აწინაურებდნენ მლიქვნელებს, იმ ადამიანებს, რომელთათვისაც სულაც არ იყო ძვირფასი რუსი ხალხის ინტერესები.

კომისრების სისტემამ გახრწნა წითელი არმია. უპასუხისმგებლობამ, თვალთვალმა, ბეზღობამ მეთაურები აქცია სათამაშო თოჯინად სამოქალაქო პიჯაკში ან სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პარტიული ჩინოვნიკების ხელში .

1938-1939 წლებში მე ვიმყოფებოდი ჩინეთში ჩანს კაიშის სამხედრო მრჩევლად. როცა მე საბჭოთა კავშირში დავბრუნდი, აღმოჩნდა, რომ წითელი არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობა სტალინის ბრძანებით ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაენადგურებინათ. ათასობით საუკეთესო მეთაური, მათ შორის მარშლები, დააპატიმრეს და დახვრიტეს, ან საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს, საიდანაც ისინი სამუდამოდ გაქრნენ. ტერორი გავრცელდა არა მარტო არმიაზე, არამედ მთელ ხალხზე. არ მოიპოვებოდა ოჯახი, რომელსაც რაიმე გზით თავი დაეღწია ასეთი ხვედრისაგან. არმია დასუსტდა, და ზაფრული ხალხი შიშით შეჰყურებდა მომავალს, ელოდა ომს, რომელსაც სტალინი ამზადებდა.

წინასწარ ვიცოდი იმ მსხვერპლის შესახებ, რომლის გაღებაც ამ ომში რუს ხალხს მოუხდებოდა, ამიტომაც ყველაფერს ვაკეთებდი წითელი არმიის გასაძლიერებლად. 99-ე დივიზია, რომლის მეთაურიც მე ვიყავი, წითელ არმიაში საუკეთესოდ იქნა ცნობილი. ჩემს სამხედრო ნაწილში მუშაობასა და მუდმივ საზრუნავს უნდა ჩაეკლა ჩემში სტალინისა და მისი ხროვის მოქმედებებით გამოწვეული აღშფოთება.

და აი, დაიწყო ომი. ომის დაწყებისას მე მე-4 მექანიზებული კორპუსის მეთაური ვიყავი. როგორც ჯარისკაცი, როგორც სამშობლოს შვილი მე ვალდებულად ვთვლიდი თავს პატიოსნად მომეხადა ჩემი ვალი. ჩემმა კორპუსმა პერემიშლთან და ლვოვთან თავის თავზე მიიღო დარტყმა, გაუძლო ამ დარტყმას და მზად იყო გადასულიყო შეტევაზე, მაგრამ ჩემი წინადადება დაიწუნეს. გაუბედაობამ, კომისრების კონტროლისაგან გახრწნილმა და დაბნეულმა ფრონტის სარდლობამ წითელი არმია მთელ რიგ მძიმე დამარცხებებამდე მიიყვანა.

მე ჯარებით კიევისაკენ დავიხიე. იქ ჩავიბარე 37-ე არმიის სარდლობა და ქალაქ კიევის გარნიზონის უფროსობა. ვხედავდი, რომ ომს ორი მიზეზის გამო ვაგებდით: რუს ხალხს არ სურდა ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ შექმნილი ძალმომრეობის სისტემის დაცვა; არმიის ხელმძღვანელობა იყო უპასუხისმგებლო, მის საქმიანობაში ერეოდნენ პატარა და დიდი კომისრები.

მძიმე პირობებში ჩემმა არმიამ მოახერხა კიევის დაცვის ორგანიზება და ორი თვე წარმატებით იცავდა უკრაინის დედაქალაქს. მაგრამ წითელი არმიის უკურნებელმა სენმა თავისი გაიტანა. მეზობელი არმიების უბანზე ფრონტი გაირღვა. კიევი ალყაში მოექცა. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით, მე იძულებული გავხდი გამაგრებული რაიონი დამეტოვებინა.

ალყიდან გამოსვლის შემდეგ მე დავინიშნე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდლის მოადგილედ, ხოლო შემდეგ მე-20 არმიის სარდლად. მე-20 არმიის ფორმირება მიმდინარეობდა მძიმე პირობებში, მაშინ, როდესაც წყდებოდა მოსკოვის ბედი. მე ქვეყნის დედაქალაქის დასაცავად ვაკეთებდი ყველაფერს, რაც კი ჩემზე იყო დამოკიდებული. მე-20 არმიამ შეაჩერა მოსკოვზე შეტევა, ხოლო შემდეგ თავად გადავიდა შეტევაზე. არმიამ გაარღვია გერმანიის არმიის ფრონტი და დაიკავა სოლნეჩნოგორსკი, ვოლოკოლამსკი, შახოვსკაია, სერედა და სხვა პუნქტები, რითაც უზრუნველყო შეტევის დაწყება ფრონტის მოსკოვის მონაკვეთზე და მიუახლოვდა გჟატსკს.

მოსკოვისათვის გადამწყვეტი ბრძოლების დროს მე ვხედავდი, როგორ ეხმარებოდა ზურგი ფრონტს. როგორც მებრძოლი ფრონტზე, ისე ყოველი მუშა, ყოველი მცხოვრები ზურგში ამას აკეთებდა იმიტომ, რომ იცავდა სამშობლოს. სამშობლოსათვის ითმენდა ურიცხვ ტანჯვას, სწირავდა თავს. მე ხშირად თავს ვარიდებდი კითხვას, რომელიც მუდმივად იდგა ჩემს წინაშე: ნუთუ სამშობლოს წმინდა სახელს ამოფარებული ბოლშევიკებისათვის ღვრის სისხლს რუსი ხალხი?..

მე დავინიშნე ვოლხოვის ფრონტის სარდლის მოადგილედ და მე-2 დამრტყმელი არმიის სარდლად. არმიის ხელმძღვანელობა ცენტრალიზაციის წესით თავმოყრილი იყო მთავარი შტაბის ხელში. არმიის ნამდვილი მდგომარეობა არავინ იცოდა და არც ინტერესს იჩენდა ვინმე. სარდლობის ერთი ბრძანება ეწინააღმდეგებოდა მეორეს. არმია განწირული იყო გარდაუვალი დაღუპვისათვის.

მებრძოლები და მეთაურები კვირათა განმავლობაში დღიურად 100 გრამ, ხოლო ზოგჯერ 50 გრამ ორცხობილას იღებდნენ შიმშილისაგან სივდებოდნენ და ჭაობში

*გადაადგილება აღარ შეეძლოთ. ქაობში კი არმია მთავარსარდლობის უშუალო ხელმძღვანელობის გამო მოხვდა. მიუხედავად ამისა ყველა თავგანწირვით იბრძოდა. რუსები გმირულად კვდებოდნენ. მაგრამ რისთვის? რისთვის სწირავდნენ ისინი სიცოცხლეს? რისთვის უნდა დაღუპულიყვნენ ისინი?*

*მე ბოლო წუთამდე არმიის მებრძოლებთან და მეთაურებთან ვიყავი. ჩვენ ძალიან ცოტანი დავრჩით, მაგრამ ჯარისკაცის ვალი ბოლომდე მოვიხადეთ. მე ალყიდან გამოსვლას ვცდილობდი და ერთი თვე ვიმალებოდი ტყესა და ქაობებში. ჩემს წინაშე მთელი სისრულით დაისვა კითხვა: ღირს კი კვლავ დაიღვაროს რუსი ხალხის სისხლი? შედის კი რუსი ხალხის ინტერესებში ომის გაგრძელება? რისთვის იბრძვის რუსი ხალხი?*

*მე ნათლად დავინახე, რომ რუსი ხალხი ბოლშევიკებმა მისთვის უცხო ინგლისელი და ამერიკელი კაპიტალისტების ინტერესებისათვის ჩაითრიეს ომში. ინგლისი ყოველთვის რუსი ხალხის მტერი იყო. იგი ყოველთვის ცდილობდა ჩვენი სამშობლოს დასუსტებას, მისთვის ზიანის მიყენებას. მაგრამ სტალინი მსოფლიო ბატონობის საკუთარი გეგმის რეალიზებას ინგლის-ამერიკის ინტერესების დაცვის გზით აპირებდა. ამ გეგმის განხორციელების მიზნით მან რუსი ხალხის ბედი ინგლისის ბედს დაუკავშირა. სტალინმა რუსი ხალხი გადაჩეხა ომში, თავს დაატეხა მას ურიცხვი უბედურება. ამით დაგვირგვინდა ის უბედურებები, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხალხები ბოლშევიკების ხელისუფლების არსებობის 25 წლის განმავლობაში ითმენდნენ.*

*სისხლისღვრის კვლავ გაგრძელება ხომ არ იქნება დანაშაული? ხომ არ არის ბოლშევიზმი, და კერძოდ სტალინი, რუსი ერის მთავარი მტერი? ხომ არ არის ყოველი პატიოსანი რუსის პირველი და წმინდა მოვალეობა სტალინისა და მისი ხროვის წინააღმდეგ ბრძოლა?*

*იქ, ტყეებსა და ქაობებში, მე საბოლოოდ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩემი ვალია მოვუწოდოთ რუს ხალხს ბოლშევიკების ხელისუფლების დამხობისაკენ, სისხლის-ღვრის შეწყვეტისა და რუსი ხალხის მშვიდობისათვის ბრძოლისაკენ, რუსი ხალხისათვის მიუღებელი ომის შეწყვეტისაკენ".*

მართალია, გენერალ ანდრეი ვლასოვის სახელს გერმანიის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა მთელი ორი წლის განმავლობაში აქტიურად იყენებდა, მაგრამ რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის ფორმირებას მხოლოდ უკიდურესად მძიმე სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შექმნის შემდეგ დასთანხმდა. 1945 წლის აპრილში დასრულდა სამი დივიზიის, ტანკსაწინააღმდეგო ბრიგადისა და სამხედრო-საჰაერო ქვედანაყოფის ჩამოყალიბება. გაიხსნა ოფიცერთა სასწავლებელი. რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის ქვეითი ნაწილები 45 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა. მათ ბირთვს შეადგენდნენ ყოფილი საბჭოთა ტყვეები, რომელთაც სამხედრო სამსახური გაიარეს გერმანელების მიერ 1942 წელს შექმნილ რუსულ ბატალიონებსა,და ესესის დივიზიებში. ა. ვლასოვის უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ: გენერალ-მაიორი თ. ტრუხინი (ბალტიისპირეთის საგანგებო სამხედრო ოლქის შტაბის ოპერატიული განყოფილების ყოფილი უფროსი), ვ. მალიშკინი (მე-19 არმიის შტაბის ყოფილი უფროსი), გ. ჟილენკოვი (32-ე არმიის სამხედრო საბჭოს ყოფილი წევრი), ს. ბუნიაჩენკო (389-ე მსროლელი დივიზიის ყოფილი მეთაური), დ. ზაკუტნი (21-ე მსროლელი კორპუსის შტაბის ყოფილი უფროსი) და კიდევ წითელი არმიის რამდენიმე ოფიცერი და პოლიტმუშაკი. რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის გამანადგურებელ და ბომბდამშენ ესკადრილიებს მეთაურობდნენ საბჭოთა კავშირის გმირი ს. ბიჩკოვი და ბ. ანტილეესკი. რუსეთის განმათავისუფლებელი არმია ორგზის მონაწილეობდა საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლებში — პირველად 1945 წლის თებერვალში ბუდაპეშტთან, მეორედ — 1945 წლის აპრილში მდინარე ოდერზე.

სამხედრო ფორმირებების გარდა გერმანელები ქმნიდნენ ეროვნულ კომიტეტებს. ამ კომიტეტების მიზანს წარმოადგენდა არარუსი ხალხების დაპირისპირება რუსებთან. 1942 წელს შეიქმნა ჩრდილო-კავკასიის, თურქმენეთის, თათრეთის, ყალმუხეთის, ყარაჩაის, ყაბარდო-ბალყარეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და სხვა ეროვნული კომიტეტები. კომიტეტებში წამყვან როლს ემიგრაცია ასრულებდა. 1945 წლის მარტში გერმანიის მთავრობამ ეროვნული კომიტეტები ცნო დამოუკიდებელი სახელმწიფოების ეროვნულ მთავრობებად. 1944 წლის ნოემბერში შეიქმნა რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტი, რომლის თავმჯდომარე გენერალი ანდრეი ვლასოვი იყო. კომიტეტის მოღვაწეობის მიზანს შეადგენდა: საბჭოთა კავშირში არსებული პოლიტიკური რეჟიმის დამხობა, საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის მიერ ბოძებული უფლებების დაბრუნება, გერმანიასთან ომის შეწყვეტა და ზავის დადება, ახალი სახელმწიფოებრიობის შექმნა ბოლშევიკებისა და ექსპლოატატორთა გარეშე.

ვლასოველთა მოძრაობის დიდი გაქანება იმაზე მიანიშნებდა რომ „საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობა" საბჭოთა პროპაგანდის მიერ იყო გამოგონილი. ვლასოველთა მოძრაობის აქტიურ ნაწილს სოფლიდან გამოსუ-

ლი გლეხები შეადგენდნენ. მათ თავიანთ თავზე გამოსცადეს იძულებითი კოლექტივიზაცია და მასთან დაკავშირებული ძალმომრეობა, საკუთარი თვალით იხილეს გლეხთა ამბოხებების არაადამიანური სისასტიკით ჩახშობა და სხვ. გლეხობიდან გამოსული ჯარისკაცთა მასის განწყობილებას იზიარებდა წითელი არმიის ოფიცერთა და გენერალთა ნაწილი. კონტრდაზვერვის სამსახურის „სმერშის" მონაცემებით საბჭოთა გენერლები პონედელინი, არტემენკო, ეგოროვი, ლიზუტინი, ლუკინი, ზიბინი და სხვები გერმანელთა ტყვეობაში ყოფნისას გამოხატავდნენ „ანტისაბჭოთა განწყობილებას", ეწეოდნენ „აგიტაციას საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ", „ცილს სწამებდნენ კპ(ბ) ხელმძღვანელობასა და საბჭოთა მთავრობას".

1946 წლის 2 აგვისტოს გაზეთი „პრავდაში" გამოქვეყნდა ცნობა ვლასოველთა სასამართლო პროცესისა და 12 ვლასოველის, მათ შორის თვით ანდრეი ვლასოვის, სიკვდილით დასჯის შესახებ. 148 ათას კაცს, რომლებიც რუსეთის განმათავისუფლებელ არმიაში, ეროვნულ ბატალიონებში, პოლიციასა და გერმანელების მიერ შექმნილ სხვა სამხედრო შენაერთებში მსახურობდნენ, 6 წლით გადასახლება (სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ჩასახლება) მიესაჯა.

**7. საბჭოთა კავშირში მცხოვრები ცალკეული ერების დეპორტაცია.** ომის წლებში განხორციელდა საბჭოთა კავშირში მცხოვრები ზოგიერთი ერის დეპორტაცია. პირველად დეპორტაცია შეეხო გერმანელებს. 1941-1942 წლებში გერმანელები გასახლებული იქნენ ვოლგისპირეთის გერმანელთა რესპუბლიკიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან. 1944 წლის თებერვალში განხორციელდა ჩეჩნების, ინგუშების, ყალმუხებისა და ყარაჩაელების დეპორტაცია (მათი საერთო რაოდენობა 650 ათასს უდრიდა). 1944 წლის ზაფხულში მათი ბედი გაიზიარა 225 ათასმა ყირიმელმა თათარმა, ასევე ყირიმში მცხოვრებმა ბულგარელებმა, ბერძნებმა და სომხებმა. ოფიციალურ დოკუმენტებში დეპორტაციის მიზეზებად დასახელებულია: რეგიონში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის აუცილებლობა, ბანდიტიზმის აღკვეთა, რეგიონის გაწმენდა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან და უცხოეთის აგენტებისაგან, გერმანელებთან თანამშრომლობისა და ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის დასჯა.

დეპორტაცია მიმდინარეობდა, როგორც სამხედრო ოპერაცია. მასში მონაწილეობდნენ როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ჯარები, ისე წითელი არმია. მაგალითად, ჩეჩენთა და ინგუშთა დეპორტაციისათვის მობილიზებული იყო 100 ჯარისკაცი და ოფიცერი, ასევე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატისა და კონტრდაზვერვის სამსახურის „სმერშის" 19 ათასი ოპერატიული მუშაკი. ჩეჩენთა და ინგუშთა გასახლება სულ რამდენიმე დღეში დასრულდა. გასახლების ოპერაციას ადგილზე ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლავრენტი ბერია. ამ ოპერაციისათვის დაახლოებით 700 კაცი დაჯილდოვდა საბრძოლო ჯილდოებით, ხოლო ლავრენტი ბერია, ბოგდან ქობულოვი, სერგეი კრუგლოვი და ივანე სეროვი დაჯილდოვდნენ ალექსანდრე სუვოროვის I ხარისხის ორდენით.



*ბოგდან ზაქარიას ძე ქობულოვი (1904-1953). სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა თბილისში, მკერავის ოჯახში. 1922 წლიდან საქართველოს საგანგებო კომისიის თანამშრომელი. იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს და ამიერკავკასიის ფედერაციის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1938 წლიდან ლ. ბერიამ სამუშაოდ გადაიყვანა მოსკოვში. 1938-1939 წლებში იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამძებრო ნაწილის უფროსი. ბრალი ედება უდანაშაულო ადამიანების რეპრესიებში. სარგებლობდა ლ. ბერიას ნდობით. 1941 წლის 25 თებერვალს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ, 1941 წლის 30 ივლისს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, 1943 წლის 14 აპრილს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის მოადგილედ. იყო 1944 წელს მოსახლეობის დეპორტაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს, ლ. ბერიამ დანიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ. 1953 წლის 27 ივნისს ლ. ბერიასთან ერთად დააპატიმრეს და 1953 წლის 12 დეკემბერს დახვრიტეს. არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ ბ. ქობულოვი მოკლეს თავის სამუშაო კაბინეტში, ხოლო სასამართლო პროცესზე მისი ორეული წარსდგა.*



*სერგეი ნიკიფორეს ძე კრუგლოვი (1907-1977). მისი ნამდვილი გვარია იაკოვლევი. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო კ. ლიბკნეხტის სახ. მოსკოვის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ინსტიტუტში (1934 წ.), აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (1935 წ.), წითელი პროფესურის ინსტიტუტში (1937 წ.). საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში ლ. ბერიამ გადაიყვანა. 1938 წლიდან იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საგანგებო რწმუნებული. დიდი როლი შეასრულა ნ. ეჟოვისდროინდელი კადრების წმენდაში. 1939 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, 1941 წელს და 1943-1945 წლებში - პირველი მოადგილე, 1941-1943 წლებში მოადგილე. იყო 1944 წელს მოსახლეობის დეპორტაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1945 წლის 29 დეკემბერს დაინიშნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს, ლ. ბერია კვლავ გახდა შინაგან საქმეთა მინისტრი. ს. კრუგლოვი დაინიშნა მინისტრის პირველ მოადგილედ. ლ. ბერიას დაპატიმრების შემდეგ, 1953 წლის 26 ივნისს, დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად. 1956 წელს ნ. ხრუშჩოვმა მინისტრობიდან მოხსნა. შემდგომ წლებში იმყოფებოდა სამეურნეო სამუშაოზე. 1958 წელს გავიდა პენსიაზე.*



*ივანე ალექსანდრეს ძე სეროვი (1905-1990). სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, არმიის გენერალი. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო ვ. კუიბიშევის სახ. სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში (1936 წ.), მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში (1939 წ.). 1928 წლიდან მსახურობდა წითელ არმიაში, ეკავა სხვადასხვა თანამდებობა (ბატარეის მეთაური, საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსი და სხვ.). 1939 წელს გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში. იყო მუშურ-გლეხური მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი. 1939 წლის 2 სექტემბერს დაინიშნა უკრაინის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. მონაწილეობდა დასავლეთ უკრაინიდან მოსახლეობის დეპორტაციაში და კატინის ტყეში პოლონელ ოფიცერთა დახვრეტაში. 1941 წლის 3 თებერვალს დაინიშნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ. ომის დაწყების შემდეგ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატები კვლავ გაერთიანდა. ი. სეროვმა გაერთიანებულ კომისარიატში (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში) კვლავ შეინარჩუნა სახალხო კომისრის პირველი მოადგილის თანამდებობა. ომის წლებში კურირებდა მილიციას, სახანძრო დაცვას, პაერსაწინააღმდეგო თავდაცვას, პირველ (სააღრიცხვო) სპეციალურ განყოფილებას, ციხეების სამმართველოს, სამხედრო ტყვეებისა და ინტერნირებული მოსახლეობის სამმართველოს და სხვ. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1944 წელს მოსახლეობის დეპორტაციაში. 1945 წლის იანვრიდან ივნისამდე იმავდროულად იყო ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლის მოადგილე და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ფრონტზე. 1944-1945 წლებში მონაწილეობდა პოლონეთის არმიის ოფიცერთა კადრების წმენდაში, აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე პოლიტიკურ რეპრესიებში. 1947 წელს კვლავ დაინიშნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ. 1954 წელს გახდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი თავმჯდომარე. 1956 წელს იმყოფებოდა უნგრეთში და პირადად ხელმძღვანელობდა რეპრესიებს. ვ. მოლოტოვის, გ. მალენკოვის, ლ. კაგანოვიჩის მიერ ნ. ხრუშჩოვის გადაყენების მცდელობისას პრაქტიკულად იხსნა ნ. ხრუშჩოვი. 1958 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილედ და ზვერვის დარგში და და ზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსად. 1963 წელს და ზვერვის მთავარ სამმართველოში უცხოეთის აგენტის გამჟღავნების შემდეგ ყველა თანამდებობიდან მოხსნეს. 1965 წელს პენსიაზე გავიდა.*

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით 1944 წლის შემოდგომისათვის სულ დეპორტირებული იყო 1514000 ადამიანი. ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები და ბალყარები ყაზახეთსა და ყირგიზეთში დაასახლეს; ყირიმელი თათრები — უზბეკეთში; ყალმუხები — კრასნოარსკისა და ალტაის მხარეებში, ნოვოსიბირსკისა და ომსკის ოლქებში; გერმანელები -- ყაზახეთსა და ციმბირში. ომის წინ და ომის დროს წითელ არმიაში გაწვეული 150 ათასი ჩეჩენი 1944 წლის გაზაფხულზე ფრონტიდან გაიწვიეს და შუა აზიაში გადაასახლეს. მათ ჩამოართვეს სამხედრო ბილეთები და აეკრძალათ სამხრეების ტარება.

**8. წითელი არმიის ბრძოლები ევროპაში.** ბერლინის აღება. 1945 წლისათვის დაგეგმილ საბჭოთა ჯარები შეტევითი ოპერაციებს შორის ყველაზე მთავარი იყო შეტევა ვარშავა-ბერლინის მიმართულებით (ვისლა-ოდერის ოპერაცია). 1945 წლის 12 იანვარს დაწყებული ვისლა-ოდერის ოპერაციის დროს ბელორუსიის პირველი ფრონტი-

სა (სარდალი გ. ჟუკოვი) და უკრაინის პირველი ფრონტის (სარდალი ი. კონევი) ჯარებმა გაათავისუფლეს პოლონეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი და მიადგნენ მდინარე ოდერს. ეს იყო საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ ჩატარებული პირველი დიდი სამხედრო ოპერაცია.

ძალზე ძნელი და ხანგრძლივი აღმოჩნდა წითელი არმიისათვის აღმოსავლეთ პრუსიაში განხორციელებული შეტევითი ოპერაცია. იგი 1945 წლის 13 იანვრიდან 25 აპრილამდე მიმდინარეობდა. ტრადიციულად აღმოსავლეთ პრუსია გერმანიისათვის წარმოადგენდა პლაცდარმს რუსეთის წინააღმდეგ შეტევისათვის. აღმოსავლეთი პრუსიის პლაცდარმი კარგად იყო გამაგრებული. გარდა უამრავი საცეცხლე წერტილისა, იქ აგებული იყო ციხე-სიმაგრის ტიპის შენობები, რომელთაც აღმოსავლეთიდან ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვითი ნაგებობები იცავდა.

აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელთა თავდაცვის გარღვევა ნელი ტემპით მიმდინარეობდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ბრძოლების გაჭიანურების მიზეზი ისიც იყო, რომ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობისათვის აღმოსავლეთ პრუსიაში ბელორუსიის მეორე ფრონტისა (სარდალი კ. როკოსოვსკი) და ბელორუსიის მესამე ფრონტის (სარდალი ი. ჩერნიახოვსკი) ჯარების შეტევა არ შეიძლებოდა მოულოდნელი ყოფილიყო. გერმანელები შეტევას ელოდნენ და დიდხანს და კარგად ემზადებოდნენ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ჯარებმა გერმანელთა თავდაცვა გაარღვიეს და აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფება გაანადგურეს. აღმოსავლეთ პრუსიის დაკარგვით გერმანია მნიშვნელოვანი სამხედროსაზღვაო ბაზების გარეშე დარჩა, რაც ძალზე აძნელებდა კურლანდიაში განლაგებული ჯარების მომარაგებას. აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა და 1945 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა ბელორუსიის მესამე ფრონტის სარდალი ი. ჩერნიახოვსკი. ოპერაციის დროს საბჭოთა ჯარებმა მოკლულთა სახით დაკარგეს 126 ათასი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი, დაიჭრა 359 ათასი კაცი.

ომის დამამთავრებელ ეტაპზე უინსტონ ჩერჩილმა ცადა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი დ. ეიზენჰაუერი დაეთანხმებინა ბერლინის წითელი არმიის გარეშე დაკავებაზე. 1945 წლის აპრილისათვის მოკავშირეთა ჯარები მდინარე ელბაზე, ბერლინიდან 100-200 კილომეტრის დაშორებით, იდგნენ, ხოლო საბჭოთა ჯარები — მდინარე ოდერზე, ბერლინიდან 60 კილომეტრის დაშორებით.

იოსებ სტალინი არ გამორიცხავდა იმას, რომ გერმანელები ინგლისელებსა და ამერიკელებს წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ და ბერლინს ჩააბარებდნენ. დ. ეიზენჰაუერი არ იყო ბერლინის დაკავების წინააღმდეგი, მაგრამ მას აშინებდა მოსალოდნელი მსხვერპლი. სამხედრო ექსპერტთა აზრით ბერლინის სასწრაფოდ დაკავებას 100 ათასი კაცი მაინც შეეწირებოდა. მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა ინგლისის პრემიერ-მინისტრის წინადადება არ მიიღო და თანაც ამის შესახებ 1945 წლის 28 მარტს იოსებ სტალინს აცნობა. იოსებ სტალინი უკვე ინფორმირებული იყო დ. ეიზენჰაუერსა და უ. ჩერჩილს შორის არსებული უთანხმოების შესახებ. იოსებ სტალინმა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის დამშვიდების მიზნით განაცხადა: ბერლინმა დაკარგა ადრინდელი სტრატეგიული მნიშვნელობა, ამიტომაც საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლობა ბერლინზე შეტევისათვის დიდ ძალებს არ გამოყოფს. სინამდვილეში კი ბერლინის დაკავების მიზნით სერიოზულად ემზადებოდნენ. წითელი არმიის გენერალური შტაბი ბერლინის ოპერაციის რამდენიმე ვარიანტს განიხილავდა. 1945 წლის 1 აპრილის უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა შეაჯამა ბერლინის ოპერაციის გეგმაზე მუშაობა. დამტკიცებული გეგმის თანახმად, შეტევა ბერლინზე უნდა დაწყებულიყო 1945 წლის 16 აპრილს. ამ დროისათვის შეტევის დაწყებისათვის მომზადებას ვერ ასწრებდა ბელორუსიის მეორე ფრონტი, იგი ბრძოლაში 20 აპრილიდან ჩაებმებოდა. ძირითადი დარტყმა ბელორუსიის პირველ ფრონტს უნდა განეხორციელებინა. ფრონტის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა. მართალია, ამ დროისათვის წითელ არმიას დიდი გამოცდილება დაუგროვდა, მაგრამ ისეთი დიდი ქალაქის აღების გამოცდილება, როგორიც ბერლინი იყო, მას არ გააჩნდა. ბერლინს ეკავა უზარმაზარი ტერიტორია — 900 კვადრატული კილომეტრი. მეტრო და სხვა მიწისქვეშა კომუნიკაციები ჯარების ფარული და სწრაფი მანევრირების საშუალებას იძლეოდა. ყოველი სახლი, ქუჩა და არხი თავდაცვის ზღუდეს წარმოადგენდა.

ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებს მთავარი დარტყმა კიუსტრინის პლაცდარმიდან უნდა განეხორციელებინა. გერმანელების თავდაცვის პირველი ხაზი მდინარე ოდერს გასდევდა. შემდეგ საბჭოთა ჯარებს უნდა გადაელახათ

40-50 მეტრის სიმაღლის ზეელის მაღლობი. ზეელის მაღლობი ოდერის დასავლეთით 12-15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა და ფრონტის გასწვრივ 20 კილომეტრზე იყო გადაჭიმული.

საბჭოთა კავშირის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ბერლინის ოპერაციისათვის დიდ ძალებს მოუყარა თავი. ოპერაციაში მონაწილეობდა სამი ფრონტის ჯარები — ბელორუსიის პირველი (სარდალი გ. ჟუკოვი), ბელორუსიის მეორე (სარდალი კ. როკოსოვსკი) და უკრაინის პირველი (სარდალი ი. კონევი). 1945 წლის 16 აპრილისათვის ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტების ჯარების პირადი შემადგენლობა 1279800 კაცს უდრიდა. ფრონტების სარდლობის განკარგულებაში იყო 3183 ტანკი, 2027 თვითმავალი ქვემეხი, 12482 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 12411 ნაღმტყორცნი, 2448 რეაქტიული არტილერიის დანადგარი, 2611 საზენიტო ქვემეხი, 73537 ავტომანქანა, 5117 საბრძოლო თვითმფრინავი. ჯარის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ ბელორუსიის პირველი ფრონტის შეტევის ძირითად უბანზე ერთი დივიზიას გარღვევისათვის ეძლეოდა გერმანელთა თავდაცვის 900-1200 მეტრიანი მონაკვეთი. ბერლინს იცავდა 47 დივიზია და 1 ქვეითი ბრიგადა. საბჭოთა ჯარების შეტევის დაწყების შემდეგ გერმანელებმა ბრძოლაში ჩართეს კიდევ 32 დივიზია (მათ შორის 5 სატანკო და 3 მოტორიზებული) და 3 ბრიგადა. ერთ გერმანულ დივიზიას უნდა დაეცვა ფრონტი, რომლის სიგრძე საშუალოდ 8,2 კილომეტრს შეადგენდა.

ბერლინის ოპერაცია სამ ეტაპად ჩატარდა. პირველ ეტაპზე (1945 წლის 16-19 აპრილი) ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს ოდერ-ნეისის გამაგრებული ზღუდე, ხოლო ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარებმა დაასრულეს გადაჯგუფება და დაზვერვით ბრძოლებს შეუდგნენ. მეორე ეტაპზე (1945 წლის 19-25 აპრილი) ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა ალყაში მოაქციეს და რამდენიმე ნაწილად დააქუცმა;ეს ბერლინის დაჯგუფება. მესამე ეტაპზე (1945 წლის 26 აპრილიდან — 8 მაისამდე) ბერლინის დაჯგუფება განადგურებული იქნა. გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა.

1945 წლის 16 აპრილს, ნაშუაღამევის 3 საათზე, საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს გერმანელთა პოზიციების საავიაციო და საარტილერიო დაბომბვა. ამის შემდეგ ბელორუსიის პირველი ფრონტის შეტევის ცენტრალურ უბანზე ერთდროულად ჩაირთო გერმანელთა პოზიციებისაკენ მიმართული 143 საზენიტო პროჟექტორი, რომელმაც პირველ წუთებში საბჭოთა ჯარების პოზიციებზე დაკვირვების საშუალება არ მისცა გერმანელებს. პროჟექტორების ჩართვასთან ერთად შეტევა დაიწყო ქვეითმა ჯარმა, რასაც მხარს უჭერდა სატანკო ნაწილები. ზეელის მაღლობს გერმანელები მედგრად იცავდნენ. აშკარა გახდა, რომ ქვეითი ჯარი ზეელის მაღლობს ვერ აიღებდა. ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალმა გიორგი ჟუკოვმა ბრძოლის წინასწარ შემუშავებული ტაქტიკა შეცვალა. ფრონტის ორი სატანკო არმია ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო მას შემდეგ, რაც ზეელის მაღლობის რაიონში ქვეითი ჯარი გერმანელთა თავდაცვას გაარღვევდა. გ. ჟუკოვმა კი ორივე სატანკო არმია ზეელის მაღლობის დაკავებამდე ჩააბა ბრძოლაში. გერმანელებმა სატანკო არმიების შეტევას ველარ გაუძლეს. 18 აპრილს უდიდესი მსხვერპლის ფასად საბჭოთა ჯარებმა ზეელის მაღლობი დაიკავეს. 19 აპრილს გერმანიის ჯარებმა უშუალოდ ბერლინის მისადგომებთან არსებულ სიმაგრეებამდე დაიხიეს. ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარები ყოველ დილით, შეტევის დაწყების წინ, 30-40 წუთის განმავლობაში ძლიერი საავიაციო და სარტილერიო ცეცხლით ბომბავდნენ და ანგრევდნენ გერმანელთა თავდაცვით სიმაგრეებს.

გაცილებით უფრო წარმატებული გამოდგა უკრაინის პირველი ფრონტის ჯარების შეტევა. 1945 წლის 17 აპრილს ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის ზღუდის პირველი და მეორე ხაზი, რის შემდეგაც გერმანიის ჯარებმა უკან დაიხიეს და მდინარე შპრეეს მეორე ნაპირზე დაიწყეს გადასვლა. 18 აპრილს უკრაინის პირველი ფრონტის ორმა სატანკო არმიამ ბერლინს სამხრეთიდან შეუტია.

1945 წლის 18 აპრილს ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარებმა მიიღეს ბრძანება, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ფრონტის ძირითად ძალებს სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა შემოევლოთ ბერლინისათვის. ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე ოდერი და მის მარცხენა სანაპიროზე ხელთ იგდეს პლაცდარმი. ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარების მიერ განხორციელებული შეტევის შედეგად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანიის მე-3 სატანკო არმია, რამაც ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებს შეტევის გაგრძელების საშუალება მისცა. თვით ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარები კი მძიმე მდგომარეობაში აღ-

მოჩნდნენ. მდინარე ოდერზე წყალდიდობა დაიწყო, საარტილერიო ნაწილები ქვეით ჯარს ჩამორჩნენ, რის გამოც ქვეითი ჯარის შეტევა არაეფექტური გახდა. წყალდიდობის გამო ოდერზე ვერც სატანკო ნაწილების გადაყვანა მოხერხდა.

1945 წლის 24 აპრილს უკრაინის პირველი ფრონტისა და ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარები შეერთდნენ და ამრიგად, ბერლინის გარშემო ალყა შეიკრა. 28 აპრილისათვის ბერლინის დაჯგუფება საბჭოთა ჯარებმა სამ ნაწილად დააქუცმაცეს. ბრძოლები უკვე უშუალოდ ქალაქის ქუჩებისათვის მიმდინარეობდა. 21 აპრილიდან 2 მაისამდე საბჭოთა ჯარები ბერლინს ყოველდღიურად 1800000 საარტილერიო ყუმბარას უშენდნენ. უშუალოდ ბერლინის ქუჩებში ბრძოლების დაწყებიდან მესამე დღეს სილეზიის რკინიგზის სადგურთან განლაგებული მძიმე არტილერიიდან დაიწყო რაიხსტაგის დაბომბვა, 29 აპრილს კი თვით რაიხსტაგის იერიში დაიწყო. 1945 წლის 30 აპრილს, 14 საათსა და 25 წუთზე, რაიხსტაგზე საბჭოთა მეომრებმა წითელი დროშა აღმართეს, ხოლო 2 მაისს 15 საათზე ბერლინის გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა. 134 ათასი გერმანელი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი ტყვედ ჩაბარდა.

ბერლინისათვის ბრძოლამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებმა მოკლულთა სახით 179 ათასი კაცი დაკარგეს, ხოლო ბერლინის ოპერაციაში მონაწილე სამივე ფრონტმა ერთად — 362 ათასი კაცი.

1945 წლის 30 აპრილს ბერლინში, რაიხსკანცელარიის ბუნკერში თავი მოიკლა ადოლფ ჰიტლერმა.

1945 წლის 7 მაისს რეიმსში (პარიზიდან 150 კილომეტრზე) გერმანელებმა ხელი მოაწერეს აქტს უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. ცხადია, მხოლოდ მოკავშირეთა (ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები) წინაშე გერმანიის კაპიტულაცია მიუღებელი იყო იოსებ სტალინისათვის. მოკავშირეები დაეთანხმნენ საბჭოთა კავშირს იმაში, რომ რეიმსის აქტი კაპიტულაციის შესახებ წინასწარ ოქმად ჩაეთვალათ. 1945 წლის 8 მაისს, გვიან ღამით, ბერლინის გარეუბან კარლსჰორსტში მოკავშირეების — საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლების წინაშე გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი. საბჭოთა კავშირის მხრიდან კაპიტულაციის აქტს ხელი მარშალმა გიორგი ჟუკოვმა მოაწერა.

**9. პოტსდამის კონფერენცია.** 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე ქალაქ პოტსდამში (გერმანია) მიმდინარეობდა მოკავშირეთა კონფერენცია. კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა იოსებ სტალინი, ამერიკის შეერთებული შტატებისას — პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი (28 ივლისიდან უ. ჩერჩილი ახალმა პრემიერ-მინისტრმა კ. ეტლიმ შეცვალა). კონფერენციის უმთავრესი საკითხი იყო გერმანიის ომისშემდგომი ბედი. ამ საკითხის გადაწყვეტისას მოკავშირეები რამდენიმე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. მოკავშირეებს უნდა მოეხდინათ: გერმანიის სრული განიარაღება და დემილიტარიზაცია; იმ სამრეწველო სიმძლავრეების განადგურება, რომელიც შეიძლებოდა ახალი შეიარაღების შესაქმნელად ყოფილიყო გამოყენებული; გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიკვიდაცია; ნაცისტური და მილიტარისტული პროპაგანდის აკრძალვა; გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების რეკონსტრუქცია და დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრება.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება რეპარაციების შესახებ. გადაწყდა, რომ საბჭოთა კავშირი უნდა დაკმაყოფილებულიყო საბჭოთა საოკუპაციო ზონაში არსებული ქარხნებისა და ფაბრიკების მოწყობილობებით და მზა პროდუქციით, ასევე გერმანიის ქონებით ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ფინეთსა და აღმოსავლეთ ავსტრიაში. გარდა ამისა, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ზონებიდან საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო ამოღებული სამრეწველო დანიშნულების დანადგარების 25% (აქედან სამრეწველო დანიშნულების დანადგარების 15%-ის ღირებულება ფულზე უნდა გადაეანგარიშებინათ და ამ ფულით საბჭოთა კავშირს უნდა შეესყიდა დასავლეთის საოკუპაციო ზონაში არსებული სურსათი, ქვანახშირი და სხვა მასალა). ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე, 1945 წლის თებერვალში, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა გიორგი მალენკოვის ხელმძღვანელობით შექმნა სპეციალური კომისია. კომისიის დანიშნულებას შეადგენდა გერმანიიდან და პოლონეთიდან სამრეწველო დანიშნულება მანქანა-დანადგარების და სხვა მასალის საბჭოთა კავშირში გატანის ორგანიზება. 1945 წლის მარტიდან 1946 წლის მარტამდე დემონტაჟი მოახდინეს და საბჭოთა კავშირში გაიტანეს: გერმანიიდან — 2885 სამრეწველო ობიექტი, პოლონეთიდან (სილეზიიდან) — 1137, ავსტრიიდან —

20ნ, უნგრეთიდან 11, ჩეხოსლოვაკიიდან – 54. სამრეწველო დანიშნულების დანადგარების გარდა გაჰქონდათ სხვა მატერიალური ფასეულობანიც. პოტსდამის კონფერენციაზე მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ გერმანიის მიერ რეპარაციების გადახდის შემდეგ „გერმანელ ხალხს უნდა დარჩენოდა რესურსების იმდენი მარაგი, რომ გარედან დახმარების გარეშე არსებობა შესძლებოდა".

პოტსდამის კონფერენციაზე მოკავშირეებმა დაადასტურეს ქალაქ კენისგსბერგის (დღევანდელი კალინინგრადის) საბჭოთა კავშირისათვის გადაცემა.

პოტსდამის კონფერენციაზე იოსებ სტალინმა დაადასტურა იალტის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმება იაპონიის წინააღმდეგ ომის დაწყების თაობაზე. დაზუსტდა იაპონიის წინააღმდეგ ომის დაწყების დრო.

10. კვანტუნის არმიის განადგურება. 1945 წლის 8 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ მოსკოვში იაპონიის ელჩს განუცხადა, რომ 9 აგვისტოდან საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომის მდგომარეობაში თვლიდა თავს. ჯერ კიდევ 1945 წლის 5 აპრილს საბჭოთა კავშირმა მოახდინა იაპონიასთან დადებული ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის დენონსაცია. ეს იმას ნიშნავდა, რომ იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის მოსალოდნელი იყო ომი.

ჯერ კიდევ 1944 წლის სექტემბერში იოსებ სტალინმა წითელი არმიის გენერალურ შტაბს დაავალა მოემზადებინა შორეულ აღმოსავლეთში ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის თავმოყრის გეგმა. მიუხედავად ამისა, ყირიმის კონფერენციამდე (1945 წლის თებერვალი) იაპონიის წინააღმდეგ ომის გეგმის დეტალურად დაზუსტება არ მომხდარა. 1945 წლის გაზაფხულზე შორეულ აღმოსავლეთში გადაისროლეს ტ-34 მარკის 700 ტანკი და სხვა საბრძოლო ტექნიკა. მაის-ივნისში მოსალოდნელი ბრძოლების რაიონში გადაყვანილ იქნა 4 არმია (მათ შორის ერთი სატანკო). შორეულ აღმოსავლეთში დაგეგმილი საბრძოლო ოპერაციის მიზანს იაპონელთა კვანტუნის არმიის განადგურება შეადგენდა.

იაპონიის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდნენ ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ქვეყნების სამხედრო ექსპერტთა გავლით იაპონიის დამარცხებას 7 მილიონიანი არმია სჭირდებოდა. 1945 წლის იანვრისათვის ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს იაპონიის წინააღმდეგ მზად ჰყავდათ 2458000 ჯარისკაცი და ოფიცერი, 19300 თვითმფრინავი და 711 ხომალდი. ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას ძალზე აშინებდა მოსალოდნელი მსხვერპლი.

ამერიკის შეერთებულ შტატებს მთელი მსოფლიოსათვის, და პირველ რიგში, საბჭოთა კავშირისათვის, სურდა დაემტკიცებინა, რომ ატომური ბომბის შექმნის გამო მას მსოფლიო ჰეგემონიისათვის ბრძოლის რეალური საფუძველი გააჩნდა. 1945 წლის 6 აგვისტოსა და 9 აგვისტოს იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატომური ბომბები ჩამოყარა.

წითელმა არმიამ მანჯურიის შეტევითი ოპერაცია 1945 წლის 9 აგვისტოს დაიწყო. ოპერაციაში მონაწილეობდა სამი ფრონტის ჯარები — ბაიკალისპირეთის (სარდალი რ. მალინოვსკი), შორეული აღმოსავლეთის პირველი (სარდალი კ. მერეცკოვი) და შორეული აღმოსავლეთის მეორე (სარდალი მ. პურკაევი). გარდა ამისა, ოპერაციაში მონაწილეობდნენ წყნარი ოკეანის სამხედრო ფლოტი და მდინარე ამურის სამხედრო ფლოტილია. საბჭოთა ძალებს დახმარებას უწევდნენ მონღოლეთის ჯარები.



*მაქსიმ ალექსის ძე პურკაევი (1894-1953). არმიის გენერალი. განათლება მიიღო მ. ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, პრაპორშჩიკი. 1918 წელს შევიდა წითელ არმიაში. იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე. 1923-1930 წლებში იყო პოლკის მეთაური, დივიზიის მეთაური. 1938 წელს დაინიშნა ბელორუსიის, ხოლო 1940 წელს -- კიევის განსაკუთრებული სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად. ომის წლებში იყო დასავლეთის ფრონტის შტაბის უფროსი, მე-60 არმიის სარდალი. 1942-1943 წლებში სარდლობდა კალინინის ფრონტს, ხოლო 1945 წელს შორეული აღმოსავლეთის მეორე ფრონტს. 1945-1947 წლებში იყო შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი. 1947 წელს დაინიშნა შორეული აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლის პირველ მოადგილედ. 1952 წლიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოს უფროსი.*

კვანტუნის არმიის განადგურების მიზნით დაგეგმილი მანჯურიის შეტევითი ოპერაციის ფარგლებში ჩატარდა ჰინგან-მუკდენის, ჰარბინ-გირინის, სუნგარის და სამხრეთ სახალინის შეტევითი ოპერაციები და კურილიის სადესანტო ოპერაცია. მანჯურიის ოპერაციაში მონაწილე საბჭოთა ჯარების საერთო რაოდენობა 1669500 კაცს უდრიდა. სამივე ფრონტის განკარგულებაში იყო 5500 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 26000 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 3800 საბრძოლო თვითმფრინავი. შორეულ აღმოსავლეთში საბრძოლო მოქმედებების კოორდინირებას ახორციელებდა მარშალი ა. ვასილევსკი.

იაპონიას მანჯურიაში, კორეაში, სამხრეთ სახალინზე და კურილიის კუნძულებზე 1 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ჰყავდა დაჯგუფებული. უშუალოდ მანჯურიაში იაპონელებს აგებული ჰქონდათ 17 გამაგრებული რაიონი, თითოეული გამაგრებული რაიონის სიგრძე 40 კილომეტრზე მეტს აღწევდა.

1945 წლის 9 აგვისტოს ღამით ბაიკალისპირეთის ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ჰინგან-შენიანის მიმართულებით. 9 აგვისტოს დღის ბოლოს ფრონტის სატანკო ნაწილებმა 120-150 კილომეტრით წაიწიეს წინ. ეს წინსვლა საბჭოთა ჯარები უძნელეს პირობებში უხდებოდათ. დიდი წვიმების გამო დაზიანდა გზები, მდინარეებში წყლის დონემ 2-4 მეტრს მიაღწია, უზარმაზარი ტერიტორიები წყლით იტბორებოდა. მიუხედავად ამისა, შეტევის დაწყებიდან მეექვსე დღეს ბაიკალისპირეთის ფრონტის მე-6 სატანკო არმიამ დიდი ჰინგანის ქედი გადალახა, იაპონელებისათვის მოულოდნელად მანჯურიის დაბლობზე გავიდა და ქალაქი ლუბეი დაიკავა. კვანტუნის არმიის მომარაგებისათვის აუცილებელი კომუნიკაციები საბჭოთა ჯარების ხელში აღმოჩნდა.

შორეული აღმოსავლეთის მეორე ფრონტის ჯარები რამდენიმე მიმართულებით უტევდნენ: ჩრდილოეთიდან — ბლაგოვეშჩენსკის რაიონიდან ციცკარის მიმართულებით და ბირობიჯანიდან ხარბინის მიმართულებით; აღმოსავლეთიდან — ქალაქ ბიკინიდან ბოლის მიმართულებით. ფრონტის მე-16 არმია სამხრეთ სახალინის მიმართულებით უტევდა. ადიდებული მდინარე ამური აძნელებდა შეტევას. მიუხედავად ამისა, 14 აგვისტოსათვის ფრონტის ჯარებმა მანჯურიის სიღრმეში 50-200 კილომეტრით წაიწიეს. იაპონელთა სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად სახმელეთო და საზღვაო ძალების ერთობლივი მოქმედების შედეგად 1 სექტემბერს საბჭოთა ჯარებმა კურილიის კუნძულები დაიკავეს.

შორეული აღმოსავლეთის პირველი ფრონტი შეტევას ავითარებდა ლინკოუს, ჰარბინის და გირინის მიმართულებით. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის, კორეისა და ლიაოდუნის ნახევარკუნძულის დიდ ქალაქებში — შენიანში, ჩანჩუნში, ცზილინში, პორტ-არტურში, ფხენიანში — საჰაერო დესანტი გადასხეს, 16 აგვისტოს ფრონტის ჯარებმა ხარბინი აიღეს.

1945 წლის 19 აგვისტოს იაპონიის ჯარებმა მასობრივად იწყეს დანებება. ტყვედ ჩავარდა 148 იაპონელი გენერალი, 594 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. მანჯურიის შეტევითი ოპერაციის დროს საბჭოთა ჯარებმა 36456 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს.

1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ კაპიტულაციის აქტს მოაწერა ხელი. მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

11. ომში გამარჯვების მიზეზები. საბჭოთა კავშირის მიერ გერმანიისა და მისი სატელიტების (იტალიის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის) დამარცხება შემთხვევითი არ ყოფილა. ეს გამარჯვება გაპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით, რომელთაგან უმთავრესია შემდეგი:

პირველი. პოლიტიკურმა რეჟიმმა, რომელიც საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა, ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში შეძლო ყოველგვარი რესურსის სწრაფი მობილიზება და შექმნა ძლიერი არმია და დიდი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი.

მეორე. მეორე მსოფლიო ომის იმ პერიოდიდან, როცა საბჭოთა კავშირი და გერმანია ერთმანეთს დაუპირისპირდნენ (1941 წლის ივნისი — 1945 წლის მაისი), საერთაშორისო ვითარება მუდმივად საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ და გერმანიის საზიანოდ ვითარდებოდა. ანტიგერმანული კოალიციის (ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, საბჭოთა კავშირი) შექმნამ გერმანია უაღრესად რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ჩააგდო.

მესამე. საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა. ამ ქვეყნებიდან მიღებულმა დახმარებამ (სურსათი, სამხედრო ტექნიკა და სხვ.), ასევე ინგლის-ამერიკის მიერ გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში წარმოებულმა დიდი თუ მცირე მასშტაბის სამხედრო ოპერაციებმა სერიოზული დარტყმა მიაყენა გერმანიის სამხედრო-ეკონომიკურ ძლიერებას.

# თავი III. საბჭოთა სახელმწიფო ომისშემდგომ წლებში (1946 წელი — 1953 წლის მარტი)

## § 1. ეკონომიკური განვითარება

**1. ომის შედეგები.** ომმი დიდ გამარჯვებას მოჰყვა ძალზე მძიმე ომისშემდგომი წლები. არც თუ მთლად ზუსტი მონაცემებით 1941 წლი 1 იანვრისათვის საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 196,8 მილიონი კაცი, ხოლო 1946 წლის 1 იანვრისათვის — 162,4 მილიონი, ე. ი. ქვეყნის მოსახლეობა შემცირდა თითქმის 18%-ით. 1946 წლისათვის ომის ინვალიდთა რაოდენობა 2575694 კაცს უდრიდა.

დიდი იყო ომისაგან მიყენებული მატერიალური ზარალი. მთლიანად ან ნანილობრივ დაინგრა 1710 ქალაქი, 70 ათასზე მეტი სოფელი, დაახლოებით 6 მილიონი შენობა. საცხოვრებელი ბინის გარეშე დარჩა 25 მილიონი ადამიანი. ომის დროს დაიხოცა ან გერმანიაში გარეკეს 7 მილიონი ცხენი, 17 მილიონი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. ომის ნლებში საბჭოთა კავშირისათვის მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 2 ტრილიონ 169 მილიარდი მანეთი (1941 წლის ფასებით), ე. ი. ქვეყანამ დაკარგა მთელი ეროვნული სიმდიდრის მესამედი.

ეკონომიკის ნგრევა იმდენად დიდი მასშტაბებისა იყო, რომ მის დაძლევას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა. მოსახლეობის რაოდენობის შემცირებამ ბუნებრივად გამოიწვია მუშა ხელის შემცირება. ქარხნებსა და ფაბრიკებში შრომისუნარიანი კადრების მოზარდებითა და მოხუცებით შეცვლამ, მამაკაცების ქალებით, ხოლო კვალიფიცირებული მუშებისა და ტექნიკური პერსონალის ახალბედებით შეცვლამ, ცუდმა კვებამ და საერთოდ ცუდმა საყოფაცხოვრებო პირობებმა ძალზე დასცა შრომის ნაყოფიერება.

ეკონომიკის აღდგენას ართულებდა მძიმე მდგომარეობა ტრანსპორტზე, განსაკუთრებით კი სარკინიგზო ტრანსპორტზე, ნედლეულის მარაგის ამონურვა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება. ვითარებას სერიოზულად ართულებდა მოსახლეობის სულიერი მდგომარეობა და საერთოდ ომისშემდგომი ფსიქოლოგიური კლიმატი. ადამიანებმა ომის წლებში წარმოუდგენელ ფიზიკურ და სულიერ დატვირთვას გაუძლეს და, ცხადია, გამარჯვების შემდეგ შვებას ელოდნენ. საბარათო სისტემა და ომის პერიოდში შემოღებული სხვა შეზღუდვები უკვე ძალზე აღიზიანებდა ომგამოვლილ ადამიანებს. ქალაქთან შედარებით გაცილებით მძიმე მდგომარეობა შექმნილიყო სოფლად. ხშირად სახელმწიფო არ კმაყოფილდებოდა კოლმეურნეობებიდან პურისა და სხვა პროდუქტის მთელი მარაგის ამოღებით და გლეხობას პირად მეურნეობაში მონეულ პროდუქტსაც ართმევდნენ. ომიდან სოფელში დაბრუნებული უამრავი ხეიბარი ოჯახის ნევრებთან ერთად შიმშილობდა.

**2. ომისშემდგომი ხუთნლედები (1949-1955 ნნ.).** 1946 წლის მარტში საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთნლიანი (1946-1950 ნნ.) გეგმის შესახებ. ეს იყო

რიგით მეოთხე ხუთწლიანი გეგმა. ხუთწლიანი გეგმის ამოცანებს შეადგენდა: მძიმე მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება, ტექნიკური პროგრესის დანერგვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და არმიის შეიარაღება ახალი სამხედრო ტექნიკით. ომგამოვლილი ქვეყნისათვის ყოველივე ეს ძალზე ძნელად დასაძლევი იყო.

მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლას თან მოჰყვა ცვლილებები ხელისუფლების სტრუქტურაში. 1945 წლის 4 სექტემბერს გაუქმდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი. 1946 წლის 15 მარტს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გარდაიქმნა მინისტრთა საბჭოდ, ხოლო სახალხო კომისარიატები სამინისტროებად. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა იოსებ სტალინი, მანვე შეითავსა შეიარაღებული ძალების მინისტრის თანამდებობა. ომის შემდგომ იოსებ სტალინის უახლოეს გარემოცვაში შედიოდნენ: ვიაჩესლავ მოლოტოვი, ანდრეი ანდრეევი, ანასტას მიქოიანი, კლიმენტ ვოროშილოვი, ლაზარ კაგანოვიჩი, ლავრენტი ბერია, ალექსი კოსიგინი, ნიკოლოზ ვოზნესენსკი, გიორგი მალენკოვი.



*ანდრეი ანდრეის ძე ანდრეევი (1895-1971). სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო სოფლის ორკლასიან სასწავლებელში, მუშაობდა დუქნის ბიჭად, მექანიკოსად. 1914 წელს შევიდა რსდმპ რიგებში, ბოლშევიკი. პირველ მსოფლიო ომს თავი აარიდა, იმალებოდა. მონაწილეობდა 1917 წლის ოქტომბრის კონტრრევოლუციურ სახელმწიფო გადატრიალებაში. 1921 წელს მიემხრო ლ. ტროცკისა და ნ. ბუხარინს. 1922 წლიდან სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატშია, 1924-1925 წლებში იყო სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი. წინასწარ განჭვრიტა ლ. ტროცკის დამარცხება, ი. სტალინის მხარეზე გადავიდა და გახდა მისი მიმდევარი. აქტიურად მონაწილეობდა კოლექტივიზაციაში. 1930 წლიდან იყო სკპ(ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, გზების სახალხო კომისარი, სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი. 1943 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების მინისტრად, 1946 წელს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1953 წელს, ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ, დაკარგა თანამდებობა. შემდეგ წლებში მუშაობდა საპატიო, მაგრამ უმნიშვნელო თანამდებობებზე.*

ომისშემდგომ წლებში (1946 წ., 1948 წ., 1953 წ.) რამდენჯერმე განხორციელდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების შერწყმა და დაყოფა, რამაც სახელმწიფო აპარატის გაზრდა გამოიწვია. 1928-1953 წლებში მრეწველობის დარგში ჩინოვნიკური კადრები 300 ათასიდან 2 მილიონ 300 ათასამდე, ე. ი. 7-ჯერ გაიზარდა. იმავე პერიოდში მუშათა რაოდენობა მხოლოდ 4,5-ჯერ გაიზარდა.

დიდი სიძნელეები შეექმნათ იმ ფაბრიკებსა და ქარხნებს, რომლებიც ომის პერიოდში სამოქალაქო პროდუქციის ნაცვლად სამხედრო პროდუქციას უშვებდნენ. 1945 წლის გაზაფხულიდან 500 საწარმო გადაიარაღდა სამხედროდან სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებაზე. დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული 1941-1942 წლებში ქვეყნის ზურგის რაიონებში ევაკუირებული საწარმოების ისევ დასავლეთ რაიონებში დაბრუნება. საწარმოთა ნაწილი უკან აღარ დაუბრუნებიათ. ევაკუირებული მოსახლეობის ნაწილიც დარჩა ახალ საცხოვრებელ ადგილზე. დანგრეული და ევაკუირებული საწარმოების ადგილას აშენდა 3200 ახალი საწარმო.

მრეწველობის ახალი ტექნიკით აღჭურვა ძირითადად განხორციელდა გერმანიისა და იაპონიის იმ საწარმოების მოწყობილობის ბაზაზე, რომელიც სამხედრო ნადავლის სახით ერგო საბჭოთა კავშირს. ჩარხმშენებლობაში ტექნიკური გადაიარაღების მაჩვენებელი 109%-ის ტოლი იყო, მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობაში — 83%-ს უდრიდა, ხოლო მძიმე მანქანათმშენებლობაში 55%-ს. დიდი რაოდენობით ახალი ტექნიკა მიიღეს რადიოსალოკაციოდ კავშირგაბმულობის დანადგარების გამომშვებმა ქარხნებმა. გერმანული ტექნოლოგიითა და გერმანული მოწყობილობით დაიწყო სინთეტიკური თხევადი საწვავის დამზადება.

მთლიანად მეოთხე ხუთწლედში (1946-1950 წწ.) აშენდა ან აღდგენილი იქნა 6200 მსხვილი სამრეწველო საწარმო.

წარმატებით იქნა დაძლეული სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმა (1951-1955 წწ.). 1953 წლისათვის სახელმწიფო ხორბლის მარაგის რაოდენობა 1941 წელთან შედარებით 4-ჯერ გაიზარდა, ფერადი ლითონების

ნარმოება 10-ჯერ, ნავთობპროდუქტების 3,3-ჯერ, ქვანახშირის -- 5,1-ჯერ. ამ ნარმატებების ფონზე ქვეყანაში გროვდებოდა სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ბევრი პრობლემა.

**3. ატომური ბომბის შექმნა.** ომისშემდგომი პერიოდის უმნიშვნელოვანეს მოვლენას ნარმოადგენდა ატომური ბომბის შექმნა. იოსებ სტალინი ვერ შეეგუებოდა ამერიკის შეერთებული შტატების უპირატესობის დაშვებას ხანგრძლივი ვადით. მანამდე, სანამ საბჭოთა დაზვერვა ამერიკის შეერთებულ შტატებში შემუშავებული ტექნოლოგიის შესახებ ინფორმაციას მოიპოვებდა, ფიზიკოსებმა ი. ზელდოვიჩმა, ი. ხარიტონმა, ი. კურჩატოვმა, გ. ფლეროვმა და ლ. რუსინოვმა ჩაატარეს ატომური ბომბის შექმნისათვის აუცილებელი ექსპერიმენტები, ხოლო 1943 ნლიდან პრაქტიკულად შეუდგნენ ატომური ბომბის დამზადებას. 1945 ნლის 20 აგვისტოს სახელმნიფო თავდაცვის კომიტეტმა ლავრენტი ბერიას თავმჯდომარეობით შექმნა სპეციალური კომიტეტი, რომლის მიზანი იყო ატომური ბომბის დამზადება. კომიტეტის ტექნიკურ საბჭოს ხელმძღვანელობდა სამხედრო ეკონომიკის ცნობილი ორგანიზატორი ბორის ვანნიკოვი. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: აკადემიკოსები ა. ალიხანოვი, ა. იოფე, პ. კაპიცა, ი. კურჩატოვი, ვ. ხლოპინი, ი. ხარიტონი, აკადემიის ნევრ-კორესპონდენტები: ი. ვოზნესენსკი და ი. კიკოინი. ლავრენტი ბერიას თავმჯდომარეობით მოქმედ სპეციალურ კომიტეტს მინიჭებული ჰქონდა საგანგებო უფლებამოსილება მატერიალური და სხვა რესურსების ხარჯვის შეუზღუდველობა, ასევე სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება გადანყვეტილების მიღებისას.



*იგორ ვასილის ძე კურჩატოვი (1902-1960).* *ცნობილი ფიზიკოსი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1923 ნელს დაასრულა ყირიმის უნივერსიტეტი. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი საბჭოთა ციკლოტრონი (1939 ნ.), პრაქტიკულად გან ხორციელდა ურანის ბირთვის სპონტანური გაყოფა (1940 ნ.), აიგო ევროპაში პირველი ატომური რეაქტორი (1946 ნ.).*

*1942 ნლიდან იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სამეცნიერო-ტექნიკური საკითხთა კომისიის სნავლული მდივანი, ფიზიკურ-ტექნიკურ ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა სატანკო ჯავშნის ლაბორატორიას. 1943 ნელს დააარსა და გახდა ატომური ენერგიის ინსტიტუტის პირველი დირექტორი. სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა სამხედრო მიზნებისათვის ატომური ენერგიის გამოყენების პროექტებს. 1949 ნელს მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა მეცნიერებმა შექმნეს ატომური ბომბი.*



*ბორის ლვოვის ძე ვანნიკოვი (1897-1962). გენერალ-პოლკოვნიკი. დაიბადა მუშის ოჯახში. 1918 ნელს დაამთავრა ბაქოს პოლიტექნიკური სასნავლებელი, ხოლო 1926 ნელს -- მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასნავლებელი. 1933 ნელს დაინიშნა ტულის იარაღის ქარხნის დირექტორად, 1936 ნელს — საბჭოთა კავშირის თავდაცვითი მრენველობის სახალხო კომისარიატის საარტილერიო-სატანკო მთავარი სამმართველოს, 1937 ნელს -- სატანკო მთავარი სამმართველოს უფროსად, 1939 ნელს — საბჭოთა კავშირის შეიარაღების სახალხო კომისრად. 1941 ნლის 7 ივნისს დააპატიმრეს და ორი დღის შემდეგ გაათავისუფლეს სახალხო კომისრის თანამდებობიდან. ბოლო მომენტში ი. სტალინმა მისი სიკვდილით დასჯა გადაიფიქრა და 1941 ნლის 25 ივლისს პატიმრობიდან გაათავისუფლეს. 1941 ნლის აგვისტოდან იყო შეიარაღების სახალხო კომისრის მოადგილე, 1942 ნლის თებერვლიდან -- საბრძოლო საჭურვლის სახალხო კომისარი, 1946 ნლის იანვრიდან — სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის მინისტრი. იმავე ნელს მინისტრობიდან გაათავისუფლეს. 1958 ნელს პენსიაზე გავიდა.*

1948 ნლის ზაფხულში ქ. ჩელიაბინსკში ამოქმედდა პირველი საბჭოთა ატომური რეაქტორი. რამდენიმე თვის შემდეგ მუშაობა დაინყო რადიოქიმიურმა ქარხანამ, სადაც ურანიდან პლუტონიუმის გამოყოფა ხდებოდა. ამ ორი უმნიშვნელოვანესი ობიექტის ამოქმედებამ შესაძლებელი გახადა 1949 ნლის 29 აგვისტოს სემიპალატინსკის პოლიგონზე პირველი ატომური ბომბის გამოცდა.

ატომური ბომბის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა დაზვერვამ. 1942-1949 ნლებში საბჭოთა დაზვერვას უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას ანვდიდა კლაუს ფუქსი. საბჭოთა დაზ-

ვერვამ ინგლისიდან წყალქვეშა ნავით საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანა ბრუნო პონტეკორვო. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის გაელით საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს ორი ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და კიდევ სხვა სპეციალისტები, რომლებიც საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობდნენ.

**4. ფულის რეფორმა და საბარათო სისტემის გაუქმება.** ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის ფინანსური სისტემის სტაბილიზაციას ხელი შეუწყო 1947 წლის დეკემბერში გატარებულმა ფულის რეფორმამ და საბარათო სისტემის გაუქმებამ. ყოველივე ამას მთავრობა უფრო ადრე — 1946 წელს — გეგმავდა, მაგრამ ძლიერმა გვალვამ და ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში დაწყებულმა შიმშილმა რეფორმის გატარება შეუძლებელი გახადა.

1946 წლის დასაწყისში სრულიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში საბჭოთა კავშირის მთავრობამ ფულის რეფორმის მზადება დაიწყო. 1941-1945 წლებში მთავრობის მიერ ბრუნვაში გაშვებული ფულის რაოდენობა 18,4 მილიარდი მანეთიდან 74 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. იმავდროულად სახელმწიფო და კოოპერატიულ ქსელში საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვამ იკლო და 1945 წელს 1941 წლის დონის მხოლოდ ნახევარი შეადგინა. ფულის მასის ზრდა შედეგი იყო დიდი სამხედრო ხარჯებისა. საბიუჯეტო დეფიციტმა აუცილებელი გახადა ფულის ემისია. ომის შემდგომ მოსახლეობას ხელზე ჰქონდა დაახლოებით 66 მილიარდი მანეთი. იოსებ სტალინს ფულის რეფორმის არსი ასე ესმოდა: 1) მიმოქცევიდან უნდა ამოეღოთ მთელი ზედმეტი ფული, 2) ფულის ნიშნების გადაცვლისას გადაცვლის ისეთი ნორმა უნდა დაეწესებინათ, რომ ომის წლებში არაკანონიერი გზით დაგროვილი ფულის უდიდესი ნაწილის გამოჩენა და გადაცვლა შეუძლებელი გამხდარიყო. ფულის რეფორმის გატარებას ხელმძღვანელობდა ფინანსთა მინისტრი არსენი ზვერევი. ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ იოსებ სტალინისა და არსენი ზვერევის შეხვედრებზე წყდებოდა.



*არსენი გრიგოლის ძე ზვერევი (1900-1969). სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ კურსებზე (1925 წ.) და მოსკოვის საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტში (1933 წ.). 1936 წლიდან იყო მოსკოვის მოლოტოვის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, 1937 წლიდან — სკპ(ბ) მოსკოვის მოლოტოვის რაიკომის პირველი მდივანი. 1937 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილედ, ხოლო 1938 წელს — სახალხო კომისრად. 1948 წელს დააქვეითეს და დანიშნეს საბჭოთა კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილედ, მაგრამ იმავე წელს ისევ ფინანსთა მინისტრად დანიშნეს. ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ თანამდებობა შეინარჩუნა. 1960 წელს პენსიაზე გავიდა.*

ფულის რეფორმის პროცესში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკმა ძველი ფული ახალზე გადაცვალა შეფარდებით 10:1 (ლითონის მონეტა გადაცვლას არ ექვემდებარებოდა, რის გამოც მას შეუნარჩუნდა მინიმალური მსყიდველობითუნარიანობა). მოქალაქეს ბანკში პირად ანგარიშზე არსებული თანხა შეფარდებით 10:1 გადაეცვლებოდა თუ ამ თანხის რაოდენობა არ აღემატებოდა 3 ათას მანეთს (მოსახლეობის 80%-ს სწორედ ამ რაოდენობის თანხა ჰქონდათ ბანკებში). 3 ათასი მანეთიდან 10 ათას მანეთამდე თანხა გადაიცვლებოდა შეფარდებით 3:2, ხოლო 10 ათას მანეთს ზემოთ — შეფარდებით 2:1.

ფულის გადაცვლა საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა 1947 წლის 16 დეკემბრიდან 29 დეკემბრამდე. სულ გადაიცვალა 37,2 მილიარდი მანეთი ძველი ფული (ფულის დანარჩენი მასა განადგურდა ომის წლებში და ამდენად, გადასაცვლელად ვერ წარმოადგენდნენ). რეფორმის წინ მოსახლეობას ხელზე (ბანკების გარეშე) ჰქონდა 16 მილიარდი მანეთი. ფულის ეს მასა მთლიანად არ გადაცვლილა. ნაწილი ძველი ფულისა მოსახლეობამ დამალა იმის გამო, რომ ფული არაკანონიერი გზით ჰქონდა ნაშოვნი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ძველი ფული დაიმალა უზბეკეთსა და საქართველოში.

ობლიგაციების გადაცვლა, რომელიც მოსახლეობას ძველ ფულზე წინა წლებში ჰქონდა შეძენილი, 1948 წელს უნდა მომხდარიყო. გადაცვლის შედეგად სახელმწიფოს მოსახლეობისათვის უნდა დაებრუნებინა 100 მილიარდი მანეთის ოდენობის ვალი.

1947 წლის დეკემბერში ფულის რეფორმასთან ერთად გაუქმდა საბარათო სისტემა. აღ-

სანიშნავია, რომ საბარათო სისტემის გაუქმებას ფასების შემცირება მოჰყვა. მაგალითად, პურის ფასი 10-12%-ით ნაკლები იყო ვიდრე საბარათო სისტემის დროს. საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ დაწესდა შემდეგი ფასები: 1 კილოგრამი პური — 2.80-3.20 მანეთი, პურის ფქვილი — 7-9 მანეთი, შაქარი — 13.50-16.50 მანეთი, საქონლის ხორცი — 28-32 მანეთი, მარილი — 1.60-1.80 მანეთი, 1 ლიტრი ზეთი — 62-66 მანეთი, 0,5 ლიტრი არაყი — 60 მანეთი, მამაკაცის კოსტიუმი — 400 მანეთი, ფეხაცმელი — 228 მანეთი, რეზინის ჩექმა — 216 მანეთი, ქალის წინდა — 7.50 მანეთი, ხელის საათი — 900 მანეთი, პატეფონი — 900 მანეთი, სარეცხი საპონი (1 ცალი) — 5.20 მანეთი, ნავთი (1 ლიტრი) — 2-2.50 მანეთი.

ფასების შემცირებასთან ერთად შეიზღუდა ერთი მოქალაქეზე გასაცემი საქონლის რაოდენობა.

**5. ფასების დაკლება.** ომისშემდგომ წლებში რამდენჯერმე შემცირდა საცალო ფასები მასობრივი მოხმარების პროდუქტსა და სამრეწველო საქონელზე. ფასების დაკლების მიუხედავად ომისშემდგომი პერიოდის ფასები მაინც 2-3-ჯერ აღემატებოდა ომამდელ ფასებს. 1947 წლის დეკემბერში სახელმწიფო ვაჭრობის ქსელში ფასები 57 მილიარდი მანეთით შემცირდა, ხოლო კოოპერატიული ვაჭრობის ქსელსა და საკოლმეურნეო ბაზარზე — 29 მილიარდი მანეთით, 1948 წელს — შესაბამისად 48 მილიარდი მანეთითა და 23 მილიარდი მანეთით, 1949 წლის 1 მარტს — შესაბამისად ისევ 48 მილიარდი მანეთითა და 23 მილიარდი მანეთით, 1950 წლის 1 მარტს — შესაბამისად 80 მილიარდი მანეთითა და 30 მილიარდი მანეთით, 1951 წლის 1 მარტს — შესაბამისად 27,5 მილიარდი მანეთითა და 7 მილიარდი მანეთით, 1952 წლის 1 მარტს — შესაბამისად 23 მილიარდი მანეთითა და 5 მილიარდი მანეთით.

**6. „ოქროს მანეთი".** 1950 წლის მარტიდან საბჭოთა კავშირის მთავრობამ შეწყვიტა მანეთის (რუბლის) კურსის განსაზღვრა უცხოურ ვალუტასთან — ამერიკის შეერთებული შტატების დოლართან მიმართებაში (1922 წლიდან საბჭოთა რუსეთის 10 მანეთიანი გაუტოლდა პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდის რუსეთის იმპერიის 1 ოქროს მანეთს; 1935 წლიდან საბჭოთა კავშირის მანეთის კურსი განისაზღვრებოდა საფრანგეთის ფრანკთან მიმართებაში; 1937 წლიდან — ამერიკის შეერთებული შტატების დოლართან მიმართებაში). 1950 წლიდან საბჭოთა მანეთი გადაყვანილი იქნა „უფრო მყარ, ოქროს საფუძველზე, მანეთის ოქროს ღირებულების შესაბამისად". 1 მანეთის ფასი განისაღზვრა 0,222168 გრამი სუფთა ოქროთი.

მეორე მსოფლიო ომმა მთელ მსოფლიოში დასცა ფულის კურსი. 1937-1947 წლებში ფრანკის მსყიდველობითი უნარი 12-ჯერ დაეცა, ფუნტი სტერლინგისა — 2-ჯერ და მეტად, ამერიკის შეერთებული შტატების დოლარისა — თითქმის 2-ჯერ. ასეთ პირობებში უცხოური ვალუტა ველარ გამოდგებოდა საბჭოთა მანეთის კურსის განსაზღვრისათვის. საბჭოთა კავშირი ოქროს მსხვილი მომპოვებელი იყო (1948 წელს საბჭოთა კავშირის ოქროს მარაგი 1500 ტონას უდრიდა), რის გამოც საბჭოთა მთავრობას შეეძლო ოქროთი განესაზღვრა მანეთის კურსი. როგორც აღვნიშნეთ, 1 საბჭოთა მანეთის ფასი 0,222168 გრამ სუფთა ოქროს უდრიდა. თუ 1950 წლამდე 1 ამერიკული დოლარი 5 მანეთი და 30 კაპიკი ღირდა, 1950 წლიდან მისი ფასი შემცირდა და 4 მანეთის ტოლი გახდა.

**7. 1946-1948 წლების შიმშილი.** 1946 წელს საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რეგიონები ძლიერმა გვალვამ მოიცვა. კერძოდ, გვალვამ დააზარალა მოლდავეთი, უკრაინა (სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო რეგიონები) და მთელი ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ზონა. სულ 1946 წელს საბჭოთა კავშირმა 39,6 მილიარდი ტონა ხორბალი მოიწია, აქედან სახელმწიფო დამზადების წილი 17,5 მილიარდ ტონას შეადგენდა (1940 წელს ხორბლის მოსავალი 85,5 მილიარდ ტონას უდრიდა, ხოლო 1945 წელს — 47,3 მილიარდ ტონას). შეიქმნა საგანგაშო მდგომარეობა. მთავრობამ სასწრაფოდ გაატარა საგანგებო ზომები: შემცირდა საბარათო სისტემით გასაცემი პურის დღიური ნორმა, სოფლის მოსახლეობის 85%-ს საერთოდ შეუწყვიტეს საბარათო სისტემით პურის განაწილება. 1946 წელს საბარათო სისტემით პურს იღებდა 59,5 მილიონი ადამიანი, მათ შორის სოფლის მცხოვრები მხოლოდ 4 მილიონი იყო. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა სოფლად 110 მილიონი კაცი ცხოვრობდა.

მთავრობა იძულებული გახდა ხელშეუხებელი სახელმწიფო მარაგიდან გაეცა 3 მილიარდი ტონა ხორბალი, თუმცა ეს სავსებით არ იყო საკმარისი. გვალვით დაზარალებული რეგიონებისათვის გამოყოფილი დახმარებაც არასაკმარისი

იყო. 1947-1948 წლებში უშუალოდ შიმშილისაგან და შიმშილისაგან გართულებულ ავადმყოფობით მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში 1 მილიონი ადამიანი დაიღუპა, ხოლო 2 მილიონი სერიოზულად დაავადდა. სიკვდილიანობის ზრდასთან ერთად შემცირდა შობადობა. აღსანიშნავია, რომ შობადობა არც მომდევნო მოსავლიან წლებში გაზრდილა.

გვალვით დაზარალებულ რეგიონებში, მართალია, ხორბალი ისეთი რაოდენობით არ იგზავნებოდა, რომ მოსახლეობა სრულად დაეკმაყოფილებინა, მაგრამ დახმარება საკმაოდ სერიოზული იყო. 1946 წელს გვალვითა და მოუსავლიანობით დაზარალებულ რეგიონებში 10,1 მილიონი ტონა ხორბალი გაიგზავნა, ხოლო 1949 წელს — 18,8 მილიონი ტონა. გაგზავნილი ხორბლის ნაწილი მოსახლეობამდე არც კი მისულა, ისე დაიტაცეს და შემდეგ შავ ბაზარზე გაყიდეს.

მთავრობა შიმშილიანობის წლებშიც კი არ წყვეტდა ხორბლის ექსპორტს. 1947 წელს ხორბლის ექსპორტი 1946 წელთან შედარებით 0,4 მილიონი ტონიდან 2,4 მილიონ ტონამდე გაიზარდა. 1946-1947 წლებში საბჭოთა კავშირიდან ხორბალი გაჰქონდათ ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, ასევე ბერლინში.

1947 წლის 4 ივნისს მიღებული იქნა კანონი **„სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“**. კანონის ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში ხსენებული კანონის ძალით დაისაჯა 200 ათასი კაცი, ხოლო 1947-1953 წლებში — 1,3 მილიონი კაცი. სასჯელი ითვალისწინებდა პატიმრობას 1-8 წლით ან 8-25 წლით. 2-3 წლის პატიმრობა ეხებოდა მას, ვინც იცოდა დატაცების ფაქტი ან დატაცებისათვის მზადების შესახებ და არ აცნობა ხელისუფლებას.

**8. სოფელი ომისშემდგომ წლებში.** ომისშემდგომ წლებში სოფელი ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შემცირდა შრომითი რესურსები, შემცირდა თვით სოფლების რაოდენობაც. 1945 წლის ბოლოსათვის (1940 წელთან შედარებით) სოფლების რაოდენობა 15%-ით შემცირდა, ხოლო შრომითი რესურსებისა — 32,5%-ით. ომამდე სოფლად ცხოვრობდა 16,9 მილიონი შრომისუნარიანი მამაკაცი, ხოლო 1946 წლის დამდეგს — 6,5 მილიონი. მამაკაცების რაოდენობის შემცირების გამო სოფლად აღდგენითი პროცესის მთელი სიმძიმე ქალებს, მოზარდებსა და მოხუცებს დააწვათ.

ომის წლებში განადგურდა 98 ათასი კოლმეურნეობა და 1876 საბჭოთა მეურნეობა, 2890 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. განადგურდა ტრაქტორებისა და კომბაინების პარკის 25%, გადარჩენილი ტრაქტორების 11% არ მუშაობდა. ტრაქტორების გამწევი პირუტყვით შეცვლა ვერ ხერხდებოდა, რადგან 1945 წლის ბოლოსათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ცხენების ომამდელი რაოდენობის მხოლოდ ნახევარი შემორჩათ.

ომის წლებში თითქმის 25%-ით შემცირდა სათესი ფართობის რაოდენობა. მუშა ხელისა და ტექნიკის სიმცირის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უხარისხოდ სრულდებოდა, რაც მოსავლიანობის შემცირებას იწვევდა.

**მეოთხე ხუთწლედის (1946-1950 წწ.)** ბოლოსათვის მოხერხდა სოფლად არსებული ზოგიერთი სიძნელის გადალახვა. ხუთწლედის ბოლოსათვის ელექტროენერგიას ღებულობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 80% და საბჭოთა მეურნეობების 76%. საერთოდ, სოფლის ელექტროფიკაციის დონე წარმოუდგენლად დაბალი იყო. 1950 წლის ბოლოსათვის სოფელი მოიხმარდა ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის დაახლოებით 1,5%-ს. გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა მუშახელის ნაკლებობა. 1940 წელს სოფლის მშრომელთა რაოდენობა 32 მილიონს უდრიდა, 1946 წელს — 21,5 მილიონს, 1947 წელს — 23 მილიონს, 1948 წელს — 25,4 მილიონს. სოფლის მოსახლეობა მობილიზებული იყო სამრეწველო ობიექტების აღდგენაზე, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე სამუშაოდ. სოფლის ახალგაზრდობას დიდი რაოდენობით აგზავნიდნენ სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებლებში. საპასპორტო სისტემის არსებობის გამო ხელისუფლების ნებართვის გარეშე სოფლის მცხოვრები საცხოვრებელ ადგილს ვერ ტოვებდა. ეს იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშახელით მინიმალურად უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება. სოფლის მცხოვრებს პასპორტი არ გააჩნდა, პასპორტის გარეშე კი იგი სოფელს ვერ დატოვებდა. 1949 წელს ლავრენტი ბერიამ წამოაყენა წინადადება პასპორტი გაეცათ როგორც ქალაქის, ისე სოფლის სრულწლოვან მო-

საბლეობაზე. იოსებ სტალინმა ეს მიუღებლად მიიჩნია.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ძალზე დაბალი ანაზღაურების გამო გლეხობა პირად საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიღებული მოსავლის გაყიდვით ცდილობდა კომპენსაციის მიღებას. ხელისუფლება გაგებით არ მოეკიდა გლეხობის ამ ინიციატივას და გლეხის პირადი მეურნეობის ბეგარა გაზარდა. თუ 1940 წელს გლეხის ოჯახის პირადი მეურნეობის ბეგარა 112 მანეთს უდრიდა, 1951 წელს იგი 523 მანეთამდე გაიზარდა. ძალზე დაბალი იყო ფასები გლეხის მიერ პირად მეურნეობაში მოწეულ პროდუქტზე. მაგალითად, 1950 წელს გლეხები სახელმწიფოს ერთ ლიტრს რძეს 25 კაპიკად, ხოლო ერთ კილოგრამ ხორცს — 14 კაპიკად აბარებდნენ, მაშინ როცა სახელმწიფო ვაჭრობის ქსელში ერთი ლიტრი რძის ფასი 2 მანეთსა და 70 კაპიკს უდრიდა, ხოლო ერთი კილოგრამი ხორცისა — 11 მანეთსა და 40 კაპიკს.

1950 წელს საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობათა გამსხვილება მოხდა — 252 ათასი კოლმეურნეობის ნაცვლად 121 ათასი კოლმეურნეობა დარჩა. ამ პროცესს თან სდევდა პატარა სოფლების ძალდატანებითი ლიკვიდაცია და იქ მცხოვრები გლეხობის სხვა ადგილებში გადასახლება. გადასახლების დროს ოჯახების ნაწილი საერთოდ გაღატაკდა და ახალი საცხოვრებელ ადგილას მეურნეობა ვეღარ გამართა. ამან ხელი შეუწყო სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის სტიქიურ მიგრაციას.

## §2. სულიერი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება

**1. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ომისშემდგომ წლებში.** ომის წლებში რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები. 1944-1948 წლებში სათანადო ორგანოებში 23 ათასზე მეტი განაცხადი შევიდა ეკლესიების გახსნის თხოვნით. მოსახლეობის სულ უფრო დიდი რაოდენობა მონაწილეობდა საეკლესიო ცხოვრებაში. ამაღლდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტი მართლმადიდებელ სამყაროში. 1948 წელს, რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალიის 500 წლისთავთან დაკავშირებით, მოსკოვში შედგა ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურთა თათბირი. თათბირმა დაგმო რომის კათოლიკური ეკლესიის მცდელობა, რომლის მიზანი იყო მართლმადიდებლობის პოზიციების შესუსტება და უნიატური ეკლესიის წახალისება. მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებმა, მათ შორის 1945 წელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად არჩეულმა ალექსი I-მა, მხარი არ დაუჭირეს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მართლმადიდებლური ეკლესიების მონაწილეობის იდეას.

1948 წელს სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივან მ. სუსლოვის ხელმძღვანელობით შემუშავდა ანტირელიგიური პროპაგანდის პროგრამა, რომლის აგრესიული ხასიათი დაგმო იოსებ სტალინმა. 40-იანი წლების ბოლოდან იოსებ სტალინის ძალისხმევით ოფიციალური დოკუმენტებიდან გაქრა ტერმინები „ანტირელიგიური" და „ათეისტური". სკკპ XIX ყრილობაზე (1952 წ.) პირველად აუარეს გვერდი საკითხს ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ. ცხადია, ესეც იოსებ სტალინის ინიციატივას წარმოადგენდა.

**2. სახელმწიფო პოლიტიკა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.** 1946-1948 წლებში სკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე მიიღო სპეციალური დადგენილებები: „ჟურნალების „ზვეზდასა" და „ლენინგრადის" შესახებ" (1946 წლის 14 აგვისტო), „დრამატული თეატრების რეპერტუარებისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ" (1946 წლის 26 აგვისტო), „ვ. მურადელის ოპერის „დიდი მეგობრობის" შესახებ" (1948 წლის 10 თებერვალი), „ჟურნალ

„კროკოდილის" შესახებ" (1948 წლის 11 სექტემბერი) და სხვ. ამ დადგენილებებში უარყოფითად შეფასდა პოეტ ანა ახმატოვას და პროზაიკოს მიხეილ ზოშჩენკოს, ასევე კომპოზიტორ ვანო მურადელის შემოქმედება. მათი შემოქმედება გამოცხადდა აპოლიტიკურად, უიდეოდ და ბურჟუაზუალი იდეოლოგიის გამოვლინებად. ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ არც ხელოვნების სხვა მოღვაწენი დაინდო. რეჟისორ ა. დოვჟენკოს ფილმი „უკრაინა ცეცხლის ალში" უკრაინული ნაციონალიზმის გამოხატულებად იქნა მიჩნეული. საბჭოთა სინამდვილის დამახინჯება დასდეს ბრალად რეჟისორ ლ. ლუკოვს, რომლის ფილმი „დიდი ცხოვრება" ომისაგან დანგრეული დონბასის აღდგენას მიეძღვნა. გამანადგურებელი კრიტიკა დაატყდათ თავს რეჟისორებს ს. იუტკევიჩს (ფილმისათვის „ნათელი რუსეთსა ზედა"), ა. დოვჟენკოს (ფილმისათვის „მიჩურინი"), ს. გერასიმოვს (ფილმისათვის „ახალგაზრდა გვარდია").

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მწერლებს, მუსიკოსებს, თეატრისა და კინოს რეჟისორებს ბრალად სდებდა „საბჭოთა სინამდვილის დამახინჯებას", „ქედის მოხრას ბურჟუაზიული ხელოვნების წინაშე", „კომუნისტური პარტიის როლის არასრულად წარმოჩენას". დიდ ცოდვად იყო მიჩნეული ის, რომ ხელოვნების ზოგიერთი მოღვაწე იზიარებდა პრინციპს — „ხელოვნება ხელოვნებისათვის". ეს მოღვაწენი ლამის „ხალხის მტრებად" იქნენ გამოცხადებულნი. ამასთან ერთად, ხელოვნების ეტალონად ცხადდებოდა დაბალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებები. ასეთი ვითარება აუტანელი იყო ხელოვნების მოღვაწეთათვის, მძიმე ფსიქოლოგიური ატმოსფერო იქმნებოდა ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანის გარშემო.

სახელმწიფო პოლიტიკა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ერთი მიზანს ემსახურებოდა — ყოველ მწერალს, მუსიკოსს, მხატვარს, რეჟისორს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა ემოღვაწა და ზუსტად შეესრულებინა მისი დაკვეთა.

**3. საზოგადოების დემოგრაფიული მდგომარეობა.** ომისშემდგომ პერიოდში მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატებით სოფელი წინ უსწრებდა ქალაქს. ამასთან ერთად 1946-1953 წლებში ქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 15,1 მილიონი კაცით, ხოლო სოფლისა — 9,9 მილიონით. ეს შედეგი იყო იმისა, რომ სოფლის მოსახლეობა მასობრივად ტოვებდა სოფელს და ქალაქში მიდიოდა საცხოვრებლად. საპასპორტო რეჟიმის პირობებში ეს ძალზე ძნელი იყო. სოფლიდან ქალაქში გადასვლა ძირითადად ხდებოდა ხელისუფლების ნებართვით. ასეთი ნებართვა გაიცემოდა დიდი სამრეწველო ცენტრების მშენებლობაზე მუშახელის მობილიზების დროს, ქორწინებისა და სასწავლებლად წასვლის შემთხვევაში და ა. შ. სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის გადასვლის პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა კოლმეურნეობების გამსხვილების პერიოდში, როდესაც სოფლის ოჯახთა ნაწილი საერთოდ უსახსროდ დარჩა. სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შემცირება იმანაც გამოიწვია, რომ სოფლის ტიპის მრავალმა დასახლებამ ქალაქის სტატუსი მიიღო. ხელისუფლება ცდილობდა წინ აღდგომოდა უარყოფით დემოგრაფიულ ტენდენციებს. 1955 წლამდე მოქმედებდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა აბორტს, თუ იგი ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ იყო აუცილებელი. ფარული აბორტი სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯებოდა. აბორტის აკრძალვის პერიოდში საბჭოთა კავშირში ფარული აბორტისათვის ყოველწლიურად 40-60 ათასი ადამიანი ისჯებოდა.

1944 წლის ივლისში მიღებული იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომელიც აძნელებდა განქორწინებას. ბრძანებულების შემდეგ ოფიციალური სტატისტიკით განქორწინების შემთხვევებმა იკლო. ბრძანებულების ამოქმედებიდან ერთი წლის მანძილზე ქალაქში განქორწინებულთა რაოდენობა 34 ათასიდან 5,8 ათასამდე შემცირდა.

ომში უამრავი მამაკაცის დაღუპვა ტრაგედია იყო მრავალი ქალისათვის. ბევრმა მათგანმა დაკარგა ქმარი ან საქმრო. ამ ქალების ნაწილმა შვილები უკვე ქორწინების გარეშე გააჩინეს. ქორწინების გარეშე გააჩინა შვილები არმიიდან დემობილებული ქალების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. 1946 წელს ოფიციალური ქორწინების გარეშე დაიბადა 752 ათასი ბავშვი, 1947 წელს — 747 ათასი, 1948 წელს — 665 ათასი, 1949 წელს — 985 ათასი, 1950 წელს — 944 ათასი, 1951 წელს — 930 ათასი, 1952 წელს — 849 ათასი.

**4. პოლიტიკური ცხოვრება იოსებ სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში.** იოსებ სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის



იოსებ სტალინი

უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში (სკპ(ბ) — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო) ხელისუფლებისათვის ბრძოლა გამწვავდა. ნებისმიერი რანგის სახელმწიფო მოღვაწის ბედი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ უყურებდა მას იოსებ სტალინი. 1945-1953 წლებში იოსებ სტალინი განუწყვეტლივ ახდენდა ძალთა დაბალანსებას — თანამდებობიდან ხსნიდა დამსახურებულ და გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწეებს, ზოგიერთ მათგანს აქვეითებდა, ზოგიერთს კი გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ აწინაურებდა. ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში გამოჩნდნენ ადრე ნაკლებად ცნობილი ადამიანები. ამ ხასიათის საკადრო ცვლილებები შეეხო სკპ(ბ) — სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და მის პოლიტბიუროს, მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მის მდივნებს, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და სხვ. იოსებ სტალინი ცდილობდა კონტროლი არ დაეკარგა ხელისუფლების არც ერთ შტოზე, არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკაზე, არც ერთ ძალოვან სამინისტროზე. იოსებ სტალინი კარგად გრძნობდა, რომ მისი ფიზიკური დაუძლურება ხელისუფლებისათვის ბრძოლას გაამწვავებდა, რაც შეიძლებოდა ზესახელმწიფოსათვის ძალზე ცუდი შედეგებით დასრულებულიყო. ცხადია, იოსებ სტალინს შერჩეული ეყოლებოდა პოლიტიკური მემკვიდრე, მაგრამ პოლიტიკური თუ ტაქტიკური მოსაზრებით მისი ოფიციალურად დასახელებისაგან თავს იკავებდა. მიუხედავად ამისა, ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში აშკარად გამოიკვეთა სამი მოღვაწე: ვიაჩესლავ მოლოტოვი, ლავრენტი ბერია და გიორგი მალენკოვი. დანარჩენები — ლაზარ კაგანოვიჩი, ნიკოლოზ ბულგანინი, ნიკიტა ხრუშჩოვი და სხვები — ხსენებულ სამეულს კონკურენციას ვერ უწევდნენ. იოსებ სტალინი მისი სავარაუდო პოლიტიკური მემკვიდრეების არაოფიციალურ რეიტინგს არ ცნობდა და ყველას ერთნაირად ეპყრობოდა — ძალთა დაბალანსებას აგრძელებდა.

1946 წლის ოქტომბრიდან სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელიც იოსებ სტალინის ნების გამოხატულებას წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავდა იოსებ სტალინის უახლოესი გარემოცვა: ვიაჩესლავ მოლოტოვი, ლავრენტი ბერია, გიორგი მალენკოვი, ანდრეი ჟდანოვი, ანასტას მიქოიანი და ნიკოლოზ ვოზნესენსკი. ომის შემდგომ პერიოდში იოსებ სტალინმა მინისტრთა საბჭოს როლის ამაღლებისაკენ აიღო კურსი. ქვეყანას პრაქტიკულად მინისტრთა საბჭო მართავდა. მინისტრთა საბჭოში შეიქმნა შვიდი ბიურო, რომელთა შორის განაწილდა სამინისტროებსა და უწყებებზე კურირება. მინისტრთა საბჭოს ბიუროების თავმჯდომარეები იყვნენ: გიორგი მალენკოვი, ნიკოლოზ ვოზნესენსკი, მიხეილ საბუროვი, ლავრენტი ბერია, ანასტას მიქოიანი, ლაზარ კაგანოვიჩი, ალექსი კოსიგინი და კლიმენტი ვოროშილოვი. ყველა ისინი მინისტრთა საბჭოს ბიუროს წევრებიც იყვნენ. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო იოსებ სტალინი, ხოლო მისი პირველი მოადგილე — ვიაჩესლავ მოლოტოვი.

1945 წლის ნოემბერ-დეკემბერში იოსებ სტალინი სოჩში ისვენებდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო კონფლიქტი იოსებ სტალინსა და ვიაჩესლავ მოლოტოვს შორის. იოსებ სტალინმა ვიაჩესლავ მოლოტოვს ბრალი დასდო იმაში, რომ ამ უკანასკნელმა იოსებ სტალინთან შეთანხმების გარეშე გამოაქვეყნა საბჭოთა პრესაში უინსტონ ჩერჩილის სიტყვა, რომელიც შეიცავდა „რუსეთისა და სტალინის ქებას". იოსებ სტალინის აზრით, ეს საზღვარგარეთელი მოღვაწეების წინაშე ქედის მოხრას ნიშნავდა. „მე აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ საბჭოთა ლიდერებს არ

სჭირდებათ უცხოელი ლიდერების ქება" -- დაასკვნა ი. სტალინმა. ამის შემდეგ იოსებ სტალინი გაუჯავრდა თავის უახლოეს გარემოცვას — ლავრენტი ბერიას, ვიაჩესლავ მოლოტოვს, გიორგი მალენკოვსა და ანასტას მიქოიანს — იმის გამო, რომ საზღვარგარეთის პრესაში გაჩნდა მასალა საბჭოთა კავშირში ცენზურის შესუსტებისა და ამ საქმეში ვ. მოლოტოვის როლის შესახებ. ამ პერიოდში საზღვარგარეთის პრესაში მართლაც გაჩნდა მასალა საბჭოთა კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცხოვრებიდან. „დეილი ჰერალდეში" დაბეჭდილი ერთ-ერთი ასეთი მასალა მიეძღვნა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. მასალაში იყო მინიშნება იმაზე, რომ საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ვიაჩესლავ მოლოტოვი იოსებ სტალინის გარეშე წყვეტდა. მიუხედავად იმისა, რომ ვ. მოლოტოვმა თავისი შეცდომები აღიარა, იოსებ სტალინმა ყოველივე ზემოთ თქმული თავისი პირადი ავტორიტეტის შელახვად მიიჩნია. იოსებ სტალინის აზრით, ვიაჩესლავ მოლოტოვი შეგნებულად ეწეოდა დასავლეთის სამყაროსთან თამაშს, რათა ამ გზით ავტორიტეტი აემაღლებინა და ბურჟუაზიულ პრესაში პოპულარობა მოეპოვებინა. იოსებ სტალინი ვ. მოლოტოვის მოქმედების შეფასების შემდეგ მთელი სერიოზულობით აცხადებდა: „მე აღარ შემიძლია ასეთი ამხანაგი ჩემს პირველ მოადგილედ ჩავთვალო". ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იოსებ სტალინმა ვიაჩესლავ მოლოტოვს პოლიტიკური უნდობლობა გამოუცხადა. არა და, ვ. მოლოტოვი იყო ი. სტალინის უახლესი თანამებრძოლი ორი ათეული წლის განმავლობაში.

იოსებ სტალინისა და ვიაჩესლავ მოლოტოვის ურთიერთობას საბოლოოდ დაესვა წერტილი 1949 წელს. 1949 წლის იანვარში დააპატიმრეს ე. წ. ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის წევრები, რომელთაც ბრალი დასდეს „ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ მოღვაწეობაში". 1950 წლის მარტიდან ამ საქმეში უკვე როგორც ბრალდებული ფიგურირებდა ვ. მოლოტოვის მეუღლე პ. ჟემჩუჟინა. სკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში პ. ჟემჩუჟინას კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხვის საკითხის განხილვისას ვ. მოლოტოვმა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა. მალე ვ. მოლოტოვმა სპეციალური განცხადებით თავისი საქციელი დაგმო, შეცდომა მოინანია და მხარი დაუჭირა პ. ჟემჩუჟინას პარტიიდან გარიცხვას. მიუხედაეად ამისა, იოსებ სტალინმა ვიაჩესლავ მოლოტოვს თავისი საქციელი არ აპატია. იოსებ სტალინის სამი სავარაუდო პოლიტიკური მემკვიდრიდან ერთის მდგომარეობა ძალზე კრიტიკული გახდა.

1946 წლის მარტში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს საიდუმლო დადგენილებით შეიქმნა მინისტრთა საბჭოს ბიურო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ლავრენტი ბერია, ხოლო წევრებად — ნიკოლოზ ვოზნესენსკი და ალექსი კოსიგინი. ამ დროისათვის ლავრენტი ბერიას უკვე ეკავა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და ატომური ბომბის დამზადების მიზნით შექმნილი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობები. მიუხედავად ამისა, მასვე დაევალა თვალყურის დევნება შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მუშაობაზე. ცვლილება მოხდა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სტრუქტურაში. კადრების სამმართველოს გიორგი მალენკოვის ნაცვლად სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ალექსი კუზნეცოვი. 1947 წლის სექტემბერში ა. კუზნეცოვს დაევალა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კურირება. 1946 წლის აპრილში დააპატიმრეს ავიამშენებლობის ყოფილი მინისტრი ალექსი შახურინი და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი ალექსანდრე ნოვიკოვი. ა. შახურინისა და ა. ნოვიკოვის დაპატიმრება სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობიდან გიორგი მალენკოვის გამოყვანის საფუძველი გახდა. მიზეზი მარტივი იყო: ომის წლებში გ. მალენკოვი ავიამშენებლობას კურირებდა, ხოლო ომის შემდეგ სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების სამმართველოს ედგა სათავეში. იოსებ სტალინის შესაძლო პოლიტიკური მემკვიდრეებიდან კიდევ ერთის მდგომარეობა გახდა კრიტიკული.

ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მყარი პოზიცია გააჩნდა ანდრეი ჟდანოვს. იგი იყო სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საორგანიზაციო ბიუროსა და სამდივნოს წევრი. ა. ჟდანოვი ძირითადად პროპაგანდისა და აგიტაციის საქმეს კურირებდა. მართალია, ანდრეი ჟდანოვი თავისი გავლენით ვიაჩესლავ მოლოტოვს, ლავრენტი ბერიასა და გიორგი მალენკოვს ვერ უტოლდებოდა, მაგრამ მისმა ავადმყოფობამ (1948 წლის ზაფხული) და გარდაცვალებამ (1948 წლის აგვისტო) მნიშვნელოვნად გაამაგრა გიორგი მალენკოვის პოზიციე-

ბი. ა. ჟდანოვის სიკვდილის შემდეგ დაიწყო მათი დევნა, ვინც სამსახურებრივად დაკავშირებული იყო მასთან და შეიძლებოდა ა. ჟდანოვის ადგილის დაკავების პრეტენზია ჰქონოდა. სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ალექსი კუზნეცოვს, რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ როდიონოვს, სკპ(ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო ორგანიზაციის პირველ მდივანს პეტრე პოპკოვს და სხვებს ბრალი დასდეს ფრაქციულობაში, რუსულ შოვინიზმში და საკავშირო კომუნისტურ პარტიასთან (ბოლშევიკებისა) ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის დაპირისპირების მცდელობაში (ა. კუზნეცოვი ადრე სკპ(ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო ორგანიზაციების პირველი მდივანი იყო). ეს საქმე ისტორიაში „ლენინგრადის საქმის" სახელწოდებით შევიდა. გამოძიებას სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო აწარმოებდა გ. მალენკოვის კონტროლითა და უშუალო მონაწილეობით. 1950 წლის ოქტომბერში დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს: სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ალექსი კუზნეცოვს, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ როდიონოვს, სკპ(ბ) ლენინგრადის საოლქო და საქალაქო ორგანიზაციის პირველ მდივანს პეტრე პოპკოვს, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს ნიკოლოზ ვოზნესენსკის, სკპ(ბ) ლენინგრადის საქალაქო ორგანიზაციის მეორე მდივანს იაკობ კაპუსტინს და სხვებს. სულ „ლენინგრადის საქმესთან" დაკავშირებით რეპრესირებული იქნა 2000 ადამიანი, მათ შორის უმრავლესობა მაღალი თანამდებობის პირი იყ ო.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებები აისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპ) XIX ყრილობის (1952 წლის ოქტომბერი) გადაწყვეტილებებში. გაფართოვდა უმაღლესი პარტიული ორგანოების — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სამდივნოს შემადგენლობა. ამ ორგანოებში ახალი წევრების შ.ყვანით შესუსტდა „სტალინური გვარდიის" გავლენა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანი თანამდებობები დაიკავეს ვასილ ანდრიანოვმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, იგივე პოლიტბიუროს, წევრი), ამბერკი არისტოვმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პრეზიდიუმის წევრი), სიმონ იგნატოვმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი), ვასილი კუზნეცოვმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი), ლეონიდ მელნიკოვმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი), ნიკოლოზ მიხაილოვმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პრეზიდიუმის წევრი), პანტელეიმონ პონომარენკომ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი), ლეონიდ ბრეჟნევმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი), ნიკოლოზ პეგოვმა (სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი) და სხვებმა.

1952 წლის ზაფხულში გაასამართლეს და დახვრიტეს ებრაელთა ანტიფაშისტურ კომიტეტთან დაკავშირებული ადამიანების ჯგუფი: სოლომონ ლოზოვსკი (დრიძო), ისაკ ფეფერი (ფეიფერი) და სხვები. მათ ბრალი დასდეს აგენტურულ და ნაციონალისტურ საქმიანობაში.

1953 წელს საბჭოთა საინფორმაციო საშუალებებმა გამოაქვეყნეს ცნობა „მავნებელ ექიმთა" დაპატიმრების შესახებ, რომლებიც მოსკოვში, კრემლის საავადმყოფოში, მუშაობდნენ. დაიწყო „ექიმთა საქმის" ძიება.

ლენინგრადის საქმე, ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის საქმე და ექიმთა საქმე იმ ბრძოლის გამოხატულებას წარმოადგენდა, რომელიც იოსებ სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში საბჭოთა კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მიმდინარეობდა. ამ ბრძოლას ბევრი სრულიად უდანაშაულო და პატიოსანი ადამიანი შეეწირა.

5. იდეოლოგია და მეცნიერება. იდეოლოგია ბატონობდა საბჭოთა სინამდვილის ყველა სფეროში, მათ შორის მეცნიერებაშიც. 1948 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე აკადემიკოს ტროფიმ ლისენკოს ჯგუფმა წამოაყენა ცრუ თეზისი საბჭოთა კავშირში ორი, ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული ბიოლოგიის არსებობის შესახებ. ტ. ლისენკოს აზრით, ნამდვილი მეცნიერული ბიოლოგიის — მატერიალისტური, მიჩურინისეული ბიოლოგიის გვერდით არსებობდა ცრუმეცნიერული ბიოლოგია — იდეალისტურ-მეტაფიზიკური, ვეისმან-მენდელისეული ბიოლოგია. ტ. ლისენკოს „მეცნიერულ თეორიას" აშკარად პოლიტიკური დაკვეთის ელფერი ჰქონდა. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა უსიტყვოდ დაუჭირა

მხარი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესიის გადაწყვეტილებას. დაიხურა მთელი რიგი ლაბორატორიები, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აეკრძალათ ტ. ლისენკოს „თეორიის" მოწინააღმდეგე ცნობილ მეცნიერებს: გენეტიკოსებს, ფიზიოლოგებს, მორფოლოგებს, ნიადაგმცოდნეებს, ექიმებს. განადგურდა მთელი რიგი სახელმძღვანელოები, პროგრამები, წიგნები. სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შეწყდა ყველა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო, რომელიც რაიმე კუთხით ეწინააღმდეგებოდა ტ. ლისენკოს „თეორიას".

მალე ტროფიმ ლისენკოს მცდარი თეორია გაავრცელეს მედიცინის მეცნიერებაზე, ნიადაგთმცოდნეობაზე, კიბერნეტიკაზე. აიკრძალა სამედიცინო მეცნიერების ის დარგები, რომლებიც მემკვიდრეობით დაავადებებს სწავლობდნენ. რეაქციულად და ანტიმეცნიერულად გამოცხადდა ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორია, ლაინუს კარლ პოლინგის რეზონანსისა და ბევრი სხვა მეცნიერული თეორია. 1952 წელს გამოიცა კრებული „თანამედროვე ფიზიკის ფილოსოფიური პრობლემები". კრებულში შევიდა ანტიმეცნიერული და დემაგოგიური ხასიათის სტატიები. აკადემიკოს იგორ კურჩატოვს ეყო მოქალაქეობრივი გამბედაობა და იოსებ სტალინს აცნობა: ფიზიკოსების ჩართვას „ფილოსოფიურ დისკუსიაში" შეიძლებოდა ატომური ბომბის დამზადების გრაფიკი დაერღვია. იგორ კურჩატოვის წყალობით ფიზიკოსების დევნა შეწყდა.

**6. იოსებ სტალინის უკანასკნელი შრომები.** 40-იანი წლების მიწურულისა და 50-იანი წლების დამდეგის საბჭოთა კავშირის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეცნიერო დისკუსიებსა და იოსებ სტალინის შრომებს. 1947 წელს გაიმართა დისკუსია ფილოსოფიის საკითხებზე, 1950 წელს — ენათმეცნიერების საკითხებზე, 1951 წელს — პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. დისკუსიას ენათმეცნიერების საკითხებზე მოჰყვა იოსებ სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" (1950 წ.), ხოლო დისკუსიას პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" (1952 წ.). ამ უკანასკნელ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო იოსებ სტალინის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის მომავლისათვის. იოსებ სტალინის ნაშრომიდან აშკარად ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მოდელის და შესაბამისად, პოლიტიკური და სოციალური სისტემის სერიოზულ რეფორმას იოსებ სტალინი არ აპირებდა. ბურჟუაზიულ და სოციალისტურ სისტემათა დაპირისპირება და ბრძოლა იოსებ სტალინს კვლავ მსოფლიოს განვითარების მაგისტრალურ ხაზად მიაჩნდა.

## § 3. საერთაშორისო ვითარება და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა

**1. „ცივი ომის" დასაწყისი.** მეორე მსოფლიო ომში გერმანიისა და იაპონიის დამარცხება თავისთავად ნიშნავდა მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის შეცვლას. ოთხი გამარჯვებული სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ჯარებმა პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილების თანახმად მოახდინეს გერმანიისა და ავსტრიის ტერიტორიის ოკუპირება. საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში აღმოჩნდნენ პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, რუმინეთი.

ომის შემდგომ საბჭოთა კავშირი არ გეგმავდა აგრესიას რომელიმე ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირს არ გააჩნდა ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებებისათვის აუცილებელი სამხედრო ფლოტი (ავიამზიდები, სადესანტო გემები), 1948 წლამდე პრაქტიკულად არ

გააჩნდა სტრატეგიული ავიაცია, 1949 წლამდე ვერ დაამზადეს ატომური ბომბი. 1946 წლის ბოლოსა და 1947 წლის დამდეგს შედგენილი „საბჭოთა კავშირის აქტიური დაცვის გეგმა“ მხოლოდ თავდაცვითი ხასიათისა იყო. 1945 წლის ივლისიდან 1948 წლის ჩათვლით შეიარაღებული ძალების რაოდენობა 11,4 მილიონი კაციდან 2,9 მილიონამდე შემცირდა.

საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით **ამერიკის შეერთებული შტატები იქცა მსოფლიოში გაბატონებულ ზესახელმწიფოდ.** მას გააჩნდა დიდი ეკონომიკური პოტენციალი, ძლიერი სტრატეგიული ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი (ავიამზიდები, სადესანტო გემები), ფლობდა ატომურ ბომბს. მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეფექტურად აამოქმედა სტრატეგია, რომელიც ასე გამოიხატებოდა: **„დიდი მოგება მინიმალურ ფასად“.** ომის წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთო ეროვნული შემოსავალი 1,7-ჯერ გაიზარდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეორე მსოფლიო ომში მოკლულთა სახით მხოლოდ 300 ათასი კაცი დაკარგა. დოლარი მსოფლიოში ყველაზე მყარ ვალუტად იქცა, ხოლო ნიუ-იორკი მსოფლიოს ფინანსურ ცენტრი გახდა. **ძლიერი ეკონომიკა, ძლიერი არმია, ომის წლებში სხვა ქვეყნებში განხორციელებული სამრეწველო და ფინანსური ექსპანსია ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოში ჰეგემონიის დამყარებისათვის ბრძოლას უადვილებდა.**

1945 წელს კონგრესისათვის გაგზავნილ წერილში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი აღნიშნავდა, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ ამერიკელი ხალხი მსოფლიოში ბატონობის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირს მოკავშირედ აღარ განიხილავდა. 1945 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყებამ მოიწონა პოტენციური მოწინააღმდეგისათვის პირველი დარტყმის მიყენების გეგმა. ამასთან ერთად, გადაწყდა შეერჩიათ ოცამდე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამიზნე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ასევე მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ატომური დარტყმების განხორციელების მიზნით. ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული გეგმა **„დროპშოტი“** ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის 100 ქალაქში 300 ატომური ბომბის ჩამოგდებას. მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან სულ რამდენიმე წელიწადში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა შემდეგ დასკვნებამდე მივიდა: პირველი. თუ სოციალიზმის შემოტევის შეჩერება არ მოხერხდა, მაშინ ომი საბჭოთა კავშირთან სავსებით რეალურია; მეორე. საბჭოთა კავშირი და მისმა სატელიტები ვერ უნდა გაუტოლდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით; მესამე. ამერიკის შეერთებული შტატები მზად უნდა ყოფილიყო, რათა პირველს გამოეყენებინა ატომური იარაღი.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას მხარს უჭერდა ინგლისი. 1946 წლის მარტში ფულტონის (აშშ) კოლეჯში გამოსვლისას **უინსტონ ჩერჩილმა** ჰარი ტრუმენის თანდასწრებით განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას **„ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხების ძმური ასოციაცია“**, რომელმაც **„ქრისტიანული ცივილიზაცია“** უნდა დაიცვას **„კომუნისტური ან ნეოფაშისტური სახელმწიფოებისაგან“**. ამასთან ერთად, უ. ჩერჩილმა ხაზი გაუსვა ატომურ ბომბზე მონოპოლიის შენარჩუნების აუცილებლობას; სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების, ასევე მათი ბაზების ერთიანი სარდლობისათვის დაქვემდებარების აუცილებლობას. უ. ჩერჩილი უდიდეს საფრთხეს ხედავდა ევროპის ქვეყნებში კომუნისტური პარტიების გაძლიერებაში, რადგან ეს პარტიები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ კომუნისტური ცენტრიდან მიღებულ მითითებებს. უ. ჩერჩილი პირდაპირ აცხადებდა: **რუსები პატივს სცემენ მხოლოდ სამხედრო ძალას, ამიტომაც აუცილებელია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო ძალა მნიშვნელოვნად აღემატებოდეს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალას.** ამ დროისათვის (1946 წლისათვის) ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებული ძალები ისედაც სჭარბობდნენ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალას. ორივე ქვეყანას ერთად გააჩნდა 167 ავიამზიდი და 7700 თვითმფრინავი, რომელსაც ავიამზიდიდან აფრენა შეეძლო (საბჭოთა კავშირს ასეთი ავიაცია არ გააჩნდა). ინგლის-ამერიკის წყალქვეშა ნავების რაოდენობა 2,3-ჯერ აღემატებოდა საბჭოთა კავშირის წყალქვეშა ნავების რაოდენობას, 9-ჯერ — ლინკორნებისა და კრეისერების რაოდენობას. ინგლის-ამერიკას გააჩნდა სტრატეგიული ავიაციის 4 არმია, ხოლო ბომბდამშენების ფრენის სიშორე 7300 კილომეტრის შეადგენდა (საბჭოთა კავშირის ავიაციის ფრენის სიშორე 1500-2000 კილომეტრს უდრიდა).

ფულტონის კოლეჯში გამოსვლა უინსტონ ჩერჩილმა ასე დაასრულა: „მე არ მჯერა, რომ საბჭოთა რუსეთს ომი უნდოდეს. მას ომის შედეგების გამოყენება სურს, რათა უსაზღვროდ განავრცოს თავის ძლიერება და თავისი დოქტრინა".

2. „ცივი ომის" გაძლიერება. 1946 წელს ყოფილ მოკავშირეებს (საბჭოთა კავშირი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები) შორის დიდი დისკუსია დაიწყო ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის თაობაზე. დიდი პოლემიკა გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ატომურ ენერგიაზე კონტროლის საკითხმა — მისაღები პროექტი შემუშავებული ვერ იქნა. არანაკლებ ცხარედ მიმდინარეობდა პოლემიკა პარიზის კონფერენციაზე, სადაც გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან (რუმინეთი, უნგრეთი, იტალია, ბულგარეთი) ხელშეკრულების დადების საკითხი იხილებოდა (კომპრომისი მხოლოდ 1946 წლის ნოემბერში იქნა მიღწეული). ძალზე დაძაბა ვითარება გერმანიის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საოკუპაციო ზონების გაერთიანებამ და ინგლის-ამერიკის მხრიდან საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონასთან საზღვრის დახურვამ. 1946 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ეჭვქვეშ დააყენა მდინარეებს ოდერსა და ნეისზე არსებული საზღვრის სამართლიანობა, რასაც საბჭოთა კავშირის მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა.

საბჭოთა კავშირი მზად იყო გერმანიიდან მისაღები რეპარაციების ფასად ომისშემდგომი გერმანიის მოწყობის საკითხში ზოგიერთი რამ დაეთმო. მიუხედავად ამისა, 1947 წლის დეკემბერში მოკავშირეთა საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა სახელმწიფო მდივანმა ჯ. მარშალმა თავისი მთავრობის სახელით გერმანიიდან საბჭოთა კავშირისათვის რეპარაციების დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვა. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას მხარი დაუჭირეს ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. რეპარაციების შეწყვეტის მოთხოვნა დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ასე იყო მოტივირებული: რეპარაციების გაგრძელება „გერმანელთა ცხოვრების დონეს იმდენად დასწევს, რომ გერმანია ევროპის ცენტრში შფოთის კერად იქცევა", რაც სამუდმოდ შეაფერხებს გერმანიისა და ევროპის ეკონომიკის აღდგენას. ვ. მოლოტოვის კონტრარგუმენტები გაზიარებული არ იქნა. საბჭოთა ექსპერტები თვლიდნენ, რომ 1947 წლის ბოლოსათვის საბჭოთა კავშირმა გერმანიიდან რეპარაციების სახით მიიღო 3,7 მილიარდი დოლარის ღირებულების სხვადასხვა ქონება, რაც თითქმის 3-ჯერ უფრო მცირე იყო იმასთან შედარებით, რაც ადრე მიღწეული შეთანხმების მიხედვით უნდა მიეღო საბჭოთა კავშირს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შემუშავებული ევროპის სახელმწიფოების მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის გეგმის ნაწილს წარმოადგენდა 1947 წლის ზაფხულში შემუშავებული მარშალის გეგმა. ამ გეგმის თანახმად 1949-1952 წლებში ევროპის ქვეყნების სამრეწველო განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებს კრედიტების, სესხებისა და სუფსიდიების სახით უნდა გამოეყო 20 მილიარდ დოლარზე მეტი. მარშალის გეგმას არა მარტო ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკის სტაბილიზაცია, არამედ მსოფლიოს ორ ნაწილად — დასავლეთად და აღმოსავლეთად — გაყოფა უნდა მოჰყოლოდა.

მარშალის გეგმის თანახმად მიღებული დახმარების წყალობით შესაძლებელი გახდა გერმანიაში, ინგლის-ამერიკის საოკუპაციო ზონაში, ფულის რეფორმის გატარება. 1948 წლის 17 ივნისს ოფიციალურად გამოცხადდა ინგლის-ამერიკის საოკუპაციო ზონაში ფულის რეფორმის შესახებ. ამის საპასუხოდ, 24 ივნისიდან საბჭოთა კავშირმა დასავლეთ ბერლინთან სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა შეწყვიტა. მოკავშირეთა შორის მიღწეული შეთანხმებით ე. წ. დიდი ბერლინი განსაკუთრებულ რაიონად იქნა გამოყოფილი და იქ ოთხი სახელმწიფო (საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის) ჯარები განლაგდნენ. თითოეულ მათგანს საკუთარი სექტორი გამოეყო. ქალაქში მოკავშირეთა კომენდატურა მოქმედებდა, რომელიც ქალაქს განაგებდა. ბერლინი საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მდებარეობდა, რის გამოც მისი სატრანსპორტო ბლოკადა მძიმე მდგომარეობაში აგდებდა ამერიკელებს, ინგლისელებსა და ფრანგებს, რადგან დიდ ბერლინში, მათ კონტროლირებად სექტორებში, განლაგებული ჯარების მომარაგება ფერხდებოდა. სწორედ ამაზე იყო გათვლილი საბჭოთა კავშირის გეგმაც. ამერიკელებმა გამოსავალი იპოვეს და სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის ნაცვლად ავიაციის გამოყენება დაიწყეს. იოსებ

სტალინი დათმობაზე წავიდა. საბჭოთა კავშირი ბლოკადას მოხსნიდა, სამაგიეროდ, ამერიკელებს უარი უნდა ეთქვათ დასავლეთის საოკუპაციო ზონის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი დასავლეთ-გერმანულ სახელმწიფოს შექმნის იდეაზე. ი. სტალინის წინადადება ამერიკელებმა არ მიიღეს (ბლოკადა მხოლოდ 1949 წლის მაისში მოიხსნა).

1949 წლის 23 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ზონების ტერიტორიაზე შეიქმნა **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**, რომლის დედაქალაქი გახდა **ბონი** (სახელმწიფოს შექმნის ოფიციალურ თარიღად მიჩნეულია 1949 წლის სექტემბერი). ამის საპასუხოდ, 1949 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონის ტერიტორიაზე შეიქმნა **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა**. ამრიგად, ბერლინის კრიზისი ორი **გერმანული სახელმწიფოს შექმნით დასრულდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კონფრონტაცია ყოფილ მოკავშირეებს შორის უკიდურესად გამწვავდა — „ცივი ომი" ძალას იკრებდა. მსოფლიო ახალ ეპოქაში შედიოდა.**

ორი სამყაროს დაპირისპირებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს, კანადას, იტალიასა და სხვა ქვეყნებს შორის ხელმოწერილი **ატლანტიკის პაქტი**. ასე შეიქმნა **ჩრდილოეთ ატლანტიკის ორგანიზაცია (ნატო)**. ნატოში შემავალი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ ერთმანეთისათვის დაუყოვნებლივ აღმოეჩინათ დახმარება, მათ შორის სამხედრო დახმარებაც, თუ რომელიმე მათგანს ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში ვინმე დაესხმოდა თავს. **ნატოს შექმნა იმისი მაუწყებელი იყო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდებოდა. 1952 წელს ნატოში შევიდნენ თურქეთი და საბერძნეთი**, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილი ძალთა თანაფარდობა კარდინალურად შეიცვალა. ძალთა ახალი თანაფარდობა უდიდესი სიძნელეების წინაშე აყენებდა საბჭოთა კავშირს.

1949 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირში წარმატებით განხორციელდა **პირველი ატომური ბომბის გამოცდა**. 1949 წლის სექტემბერში ალიასკის ნახევარკუნძულის პატრულირებისას ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავებმა დაადგინეს რადიაციის ნიშნების არსებობა, რომლის წყარო ციმბირის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. საბჭოთა კავშირის ოფიციალური საინფორმაციო საშუალებების განცხადებას ატომური ბომბის გამოცდის წარმატებით დასრულების შესახებ დაერთო ამერიკელების მიერ ციმბირის ტერიტორიაზე რადიაციის წყაროს დადგენა. ამან ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ატომური შეიარაღების პოლიტიკის განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე დააყენა. რ. ოპენჰაიმერი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ატომური ბომბის დამზადებას ხელმძღვანელობდა და ატომური ენერგეტიკის კომისიის მთავარი კონსულტანტიც იყო, თერმოატომური შეიარაღების შექმნის წინააღმდეგ გამოვიდა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური დაგეგმვის განყოფილების ხელმძღვანელი კენანიც იმავე პოზიციაზე დადგა და 1950 წელს პროტესტის ნიშნად თანამდებობიდანაც გადადგა. კენანის შემცვლელი პ. ნიტცე თერმოატომური შეიარაღების თავგამოდებული მომხრე იყო. ამერიკის შეერთებული შტატები ვერ დაუშვებდა იმას, რომ საბჭოთა კავშირს თერმოატომურ შეიარაღებაში უპირატესობა მოეპოვებინა. ამერიკას სასწრაფოდ უნდა გამოეყენებინა ის უპირატესობა, რაც მას 1949 წლის აგვისტოსათვის გააჩნდა. ასეც მოხდა. 1949 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს 250 ატომური ბომბი გააჩნდა, 1950 წელს — 400. 1951-1953 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი 13 მილიარდი დოლარიდან 50 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ამ ოდენობის სამხედრო ხარჯებს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა, შეიძლება ითქვას, უმტკივნეულოდ იტანდა. ომისაგან გაჩანაგებულ საბჭოთა კავშირის ეკონომიკას კი სამხედრო ხარჯები მძიმე ტვირთად აწვა და დამღუპველ გავლენას ახდენდა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

**3. კორეის ომი (1950-1953 წწ.) და საბჭოთა კავშირი.** ორი სამყაროს დაპირისპირების კულმინაციას წარმოადგენდა **კორეის ომი** (1950 წლის 25 ივნისი — 1953 წლის 28 ივლისი). 1949 წელს ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვებით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ძალთა თანაფარდობა ძირეულად შეიცვალა. მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული იაპონიის ადგილი რეგიონში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიკავა. 1950 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დ. აჩესონმა

განაცხადა: წყნარ ოკეანეზე ამერიკის შეერთებული შტატების „თავდაცვის პერიმეტრი" გადის ალეუტის კუნძულებიდან იაპონიაზე და ოკინავიდან ფილიპინებზე (ე. ი. გვერდს უვლიდა კორეას). თავის დროზე კორეაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განლაგებული იყო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები. ჯარების დანიშნულებას შეადგენდა იაპონიის არმიის კაპიტულაციის ბოლომდე მიყვანა. საბჭოთა ჯარებს ეკავათ ტერიტორია 38-ე პარალელის ჩრდილოეთით, ხოლო ამერიკელებს — 38-ე პარალელის სამხრეთით. კორეა პრაქტიკულად ორად გაყოფილი აღმოჩნდა. 1948 წლის ბოლოს საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ჩრდილო კორეა. ჩრდილო კორეაში დარჩნენ საბჭოთა სამხედრო მრჩევლები, დატოვებული იქნა დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა. 1949 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმაც დატოვეს სამხრეთ კორეა. თუმცა ამერიკელებმა სამხრეთ კორეაში დატოვეს სამხედრო მრჩევლები, სამხრეთი კორეის არმია ამერიკის სამხედრო ტექნიკით კარგად იყო შეიარაღებული.

იოსებ სტალინმა გადაწყვიტა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შესუსტება. იოსებ სტალინის პოლიტიკას მხარს უჭერდა ჩინეთის ლიდერი მაო ძედუნი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის შესუსტება კორეიდან უნდა დაწყებულიყო. 1950 წლის 25 ივნისს იოსებ სტალინისა და მაო ძედუნის მხარდაჭერით დაიმედებულმა ჩრდილო კორეის ლიდერმა კიმ ირ სენმა ომი დაიწყო სამხრეთ კორეის წინააღმდეგ. ჩრდილო კორეის ჯარებმა 38-ე პარალელი გადალახეს და სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ომის დასაწყისში ჩრდილო კორეის ჯარებმა წარმატებები მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ტყვედ ჩავარდა ამერიკელი გენერალი დინი. სამხრეთ კორეის ჯარები პუსანის რაიონში ზღვის სანაპიროსთან აღმოჩნდნენ ბლოკირებული. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამიერიდან ამერიკა „რუსეთს ჩათვლის პასუხისმგებლად კომუნისტური ჩრდილო კორეის მიერ სამხრეთ კორეის რესპუბლიკის წინააღმდეგ დაწყებულ ომში". ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხრეთ კორეა სჭირდებოდა აზიაში კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ჰეგემონიის შესაზღუდავად. ამიტომ იყო, რომ იგი ძალებს არ ზოგავდა სამხრეთ კორეის დასაცავად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აგრესიას სამხრეთ კორეაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხრეთ კორეაში გაგზავნა სახმელეთო ჯარების ნაწილები, ხოლო ამერიკის ავიაციამ დაიწყო ჩრდილო კორეის სანაპიროს ბლოკირება. მართალია, სამხრეთ კორეის დაცვაში გადამწყვეტ როლს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ასრულებდნენ, თუმცა ოფიციალურად იქ „გაეროს ჯარები" იბრძოდნენ. გაეროს ჯარები 15 ქვეყნის სამხედრო შენაერთებისაგან შედგებოდა, რომელთაგან 70%-ზე მეტი ამერიკელები იყვნენ.

საბჭოთა კავშირი ჩრდილოეთ კორეას თავიდან სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო საჭურვლითა და სხვა მატერიალური საშუალებებით ეხმარებოდა. 1950 წლის ნოემბრიდან ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან ჩრდილო კორეაში გადაისროლეს რამდენიმე საბჭოთა საავიაციო დივიზია, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის წინააღმდეგ იბრძოდა. ჩრდილო კორეის მთელი ავიაცია მხოლოდ საბჭოთა თვითმფრინავებისაგან შედგებოდა.

1950 წლის სექტემბერში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩრდილო კორეის ჯარების ზურგში გადასხა დიდი დესანტი — 50 ათასი ქვეითი, ტანკები და არტილერია. დესანტის გადასხმას იცავდა ძლიერი საავიაციო შენაერთები. 1950 წლის ოქტომბერში სამხრეთ კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები მიადგნენ ჩინეთის მოსაზღვრე მდინარეებს — იალუსა და ტუმინს. 1950 წლის ოქტომბერშივე ჩინეთის ტერიტორიიდან 200 ათასი მოხალისე სამხრეთ კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა. ჩინელი მოხალისეები საბჭოთა კავშირის სამხედრო ტექნიკით იყვნენ უზრუნველყოფილნი. სამხრეთ კორეისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა უკან დაიხიეს. ამან ამერიკის შეერთებულ შტატებში მემარჯვენე ძალთა გააქტიურება გამოიწვია. ისინი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წინააღმდეგ „გამაფრთხილებელი დარტყმების" განხორციელებას მოითხოვდნენ. პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა ასეთი სარისკო ნაბიჯი არ გადადგა.

1951 წლის ივნისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში საბჭოთა

კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეომარი მხარეებისათვის სასარგებლო იქნებოდა ჯარების 38-ე პარალელიდან უკან დახევა. 1951 წლის ნოემბერში ამ თვალსაზრისით გარკვეული შედეგიც იქნა მიღწეული. მიუხედავად ამისა, ომი მაინც გრძელდებოდა. 1952 წლის ივლისში ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ კვლავ განახორციელა ჩრდილო კორეის ტერიტორიისა და მისი დედაქალაქის ფხენიანის დაბომბვა.

1953 წლის 28 ივლისს კორეაში ომი დასრულდა. საზღვარი ჩრდილო და სამხრეთ კორეას შორის კვლავ 38-ე პარალელზე გავიდა.

კორეის ომში (1950-1953 წ.) ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 140 ათასი კაცი დაკარგა, ხოლო მისმა მოკავშირეებმა „გაეროს ჯარებიდან" — 13 ათასი. სამხრეთ კორეის არმიამ 200 ათასი კაცი დაკარგა, ჩრდილო კორეამ და ჩინეთმა ერთად — 2 მილიონი კაცი.

**კორეის ომმა დიდი ხნით შეაფერხა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაცია.**

**4. საბჭოთა კავშირი და ევროპის „სახალხო დემოკრატიის" ქვეყნები.** „ცივი ომის" პირობებში საბჭოთა კავშირისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პოზიციების განმტკიცებას, ამ ქვეყნების დასავლეთის სამყაროდან მოწყვეტას და მათ მოქცევას საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში განლაგებული საბჭოთა ჯარები იოსებ სტალინის შესაძლებლობას აძლევდა აღმოსავლეთ ევროპის ხალხებისათვის თავს მოეხვია საბჭოთა კავშირისათვის სასურველი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წყობილების მოდელი. საბჭოთა ჯარების ყოფნა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში შეუძლებელს ხდიდა მოსკოვისადმი ოპოზიციურად, უფრო მეტიც, მტრულად განწყობილი ეროვნული ძალების კონსოლიდაციას და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოსვლას. სამაგიეროდ, ძალზე ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდნენ პრომოსკოვური, პროკომუნისტური ძალები, რომლებმაც ხელისუფლება ფაქტობრივად უბრძოლველად მიიღეს.

1945 წლის 11 აპრილს საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ. 1945 წლის 21 აპრილს ასეთივე ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის. მოგვიანებით საბჭოთა კავშირმა ხელშეკრულებები დადო აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან.

პოლიტიკური ცხოვრება რუმინეთში საბჭოთა კავშირის მხრიდან სრული კონტროლის პირობებში მიმდინარეობდა. მოსკოვის ძლიერი დაწოლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ 1947 წელს უარი განაცხადა პარიზის კონფერენციაში მონაწილეობაზე. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირი ვალდებულებას იღებდა ჩეხოსლოვაკიისათვის „აენაზღაურებინა ის ზარალი, რასაც იგი დასავლეთიდან ჩამოცილების გამო მიიღებდა". ჩეხოსლოვაკიას, ისევე როგორც ბულგარეთს, იუგოსლავიასა და პოლონეთს, იოსებ სტალინი დაჰპირდა, რომ გარდა მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის პროდუქციისა, მიაწოდებდა ხორბალს.

1942 წელს გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის V ყრილობა. პარტიის პროგრამაში ლენინ-სტალინისეული სოციალიზმის მშენებლობის გეგმა (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია) უცვლელად გადავიდა, ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმი ოფიციალურ იდეოლოგიად იქნა აღიარებული. მართალია, გარკვეულ დრომდე მრავალპარტიულობა დაშვებული იყო, მაგრამ ყველა პარტიას უნდა ეცნო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი.

1947 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის ინიციატივით 9 ქვეყნის — ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის — კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა დააარსეს საინფორმაციო ბიურო. ფაქტობრივად ეს იყო 1943 წელს გაუქმებული კომუნისტური ინტერნაციონალის აღდგენის ცდა. თუმცა ჯერ კიდევ 1946 წლის სექტემბერში მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის უმაღლესი დონის შეხვედრაზე იოსებ სტალინმა განაცხადა: კომუნისტური ინტერნაციონალის რაიმე ფორმით აღდგენა მიზანშეწონილი არ იქნებოდა, მაგრამ საჭიროა საინფორმაციო ორგანოს შექმნა, რომელიც პერიოდულად შეიკრიბებოდა გამოცდილების გაზიარებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელსაც სავალდებულო ხასიათი არ ექნება. მალე ნათელი გახდა, რომ საინფორმაციო ბიურო

დასავლეთის სამყაროს მზარდი აქტიურობის ვითარებაში უფუნქციო ორგანოდ დარჩა.

ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მარშალის გეგმაში მონაწილეობა შესთავაზეს. დასავლეთი ამ მეტად ხელსაყრელი დახმარების სანაცვლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან პროსაბჭოთა ორიენტაციის დაგმობას ითხოვდა. ამასთან ერთად, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები თავიანთ საჯარო გამოსვლებში საბჭოთა კავშირს მარშალის გეგმაში მონაწილეობას სთავაზობდნენ, თუმცა სავსებით დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საბჭოთა კავშირი ამ წინადადებას არ მიიღებდა. მართლაც ასე მოხდა. 1947 წელს საბჭოთა კავშირმა მონაწილეობა არ მიიღო პარიზში გამართულ ევროპის ეკონომიკურ კონფერენციაში. თავდაპირველად მოსკოვმა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს პარიზში დელეგაციების გაგზავნა ურჩია, თუმცა ბოლოს კონფერენციის ბოიკოტისაკენ მოუწოდა. ჩეხოსლოვაკიის დელეგაციასთან შეხვედრაზე იოსებ სტალინმა პირდაპირ განაცხადა: „პარიზის კონფერენციაში თქვენი მონაწილეობით თქვენ იმის დემონსტრირებას მოახდენთ, რომ ნებას აძლევთ გამოიყენონ იარაღად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

საინფორმაციო ბიუროს პირველი სხდომა 1947 წლის სექტემბერში კონსპირაციის მიზნით პოლონეთში გაიმართა. ანდრეი ჟდანოვმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში ჩამოყალიბდა ორი ბანაკი. „იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული" ბანაკის მიზანია მსოფლიო ბატონობის დამყარება და დემოკრატიის მოსპობა, ხოლო „ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული" ბანაკის მიზანია იმპერიალიზმის აფეთქება, დემოკრატიის გაძლიერება და ფაშიზმის ნარჩენების მოსპობა. ა. ჟდანოვმა გააკრიტიკა ფრანგი და იტალიელი კომუნისტები იმის გამო, რომ მათ არ იცოდნენ ხალხის მასებთან მუშაობა, რის გამოც თავიანთ ქვეყნებში გავლენა დაკარგეს.

აღმოსავლეთ ევროპაში გაბატონებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირს დიდად შეუშალა ხელი 1948 წელს იუგოსლავიასთან დაწყებულმა კონფლიქტმა. 1948 წლის ივნისში გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნდა საინფორმაციო ბიუროს რეზოლუცია, რომელიც იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის პოზიციას ეხებოდა. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ იუგოსლავიის კომუნისტური პარტია არასწორ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს უჭერდა მხარს, უგულებელყოფდა მარქსიზმ-ლენინიზმს და ეწეოდა პროპაგანდას საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკებისა) და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამასთან ერთად, რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ თუ იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა არ აღიარებდა თავის შეცდომებს, მაშინ იგი პარტიის „ჯანსაღ ძალებს" უნდა შეეცვალა. ერთი ვერსიით იოსებ სტალინისა და ბროზ ტიტოს ურთიერთობა იმის გამო გამწვავდა, რომ ბროზ ტიტო იუგოსლავიისა და ბულგარეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას ესწრაფოდა. ი. სტალინის აზრით, ეს ბალკანეთის ქვეყნებზე ბროზ ტიტოს სრულ დიქტატსა და რეგიონში საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტებას გამოიწვევდა. ბროზ ტიტომ უკან არ დაიხია და მოსკოვთან ურთიერთობის გამწვავებას არ მოერიდა. 1949 წლის 29 ნოემბერს გამოქვეყნდა საინფორმაციო ბიუროს მეორე რეზოლუცია სათაურით: „იუგოსლავიის კომპარტია მკვლელებისა და აგენტების ხელში". ურთიერთობა უაღრესად დაიძაბა. იუგოსლავიასთან ურთიერთობა განყვიტა არა მარტო საბჭოთა კავშირმა, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმაც. იუგოსლავიის საზღვრებთან მოსკოვის მითითებით დაიწყო ძალის დემონსტრირება, მოხდა შეიარაღებული შეტაკებები. იუგოსლავიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დელეგაციებს შორის მწვავე პოლემიკა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. 1950 წლიდან იუგოსლავიასთან ყოველგვარი კავშირი განყვიტეს საბჭოთა კავშირმა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა.

1949 წლის იანვარში ბულგარეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა, რუმინეთმა, საბჭოთა კავშირმა და ჩეხოსლოვაკიამ შექმნეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო. საბჭოს შექმნის მიზანი იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გადაქცევა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დანამატად, რაც ამ ქვეყნებზე საბჭოთა კავშირის ბატონობის საფუძვლად უნდა ქცეულიყო.

**5. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა.** მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა მეგობრულ ატმოსფეროში ვითარდებოდა. 1950 წლის 14 თებერვალს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. იოსებ სტალინსა და მაო ძედუნს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა.

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებისათვის ბრძოლა აახლოებდა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში იყო სერიოზული სირთულეები. მაგალითად, 1950 წლის ხელშეკრულების დადებამდე, მაო ძედუნმა ჩინეთთან მონღოლეთის შეერთების საკითხი დააყენა, რასაც საბჭოთა კავშირი ვერ დაუშვებდა. რთული იყო ჩინეთისათვის საბჭოთა კრედიტის მიცემის საკითხიც. საბჭოთა კავშირი თანახმა იყო ჩინეთისათვის გადაეცა ყველა უფლება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე, ასევე რკინიგზის მთელი ქონება. საბჭოთა კავშირი ასევე თანახმა იყო ჯარები გამოეყვანა პორტ-არტურის ბაზიდან, ხოლო დალნის პორტი საერთოდ გადაეცა



მაო ძედუნი

ჩინეთისათვის. მიღწეული იქნა შეთანხმება ჩინეთისათვის 300 მილიონი დოლარის ოდენობის 1%-იანი სესხის მიცემის თაობაზე.

მოგვიანებით საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა სერიოზულად დაიძაბა.

# დანართი

## I. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო (1938-1953 წწ.)

საბჭოთა სოციალიალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო
**I მოწვევა — 1937 წლის 12 დეკემბერი — 1946 წლის 9 თებერვალი**
**II მოწვევა — 1941 წლის 10 თებერვალი — 1950 წლის 11 მარტი**
**III მოწვევა — 1950 წლის 12 მარტი — 1954 წლის 13 მარტი**

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეები:
**1. მიხეილ კალინინი — 1938 წლის იანვარი — 1946 წლის მარტი**
**2. ნიკოლოზ შვერნიკი — 1946 წლის მარტი — 1953 წლის მარტი**

## II. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი აღმასრულებე-ლი ხელისუფლების ორგანო (1938-1951 წწ.)

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭო (1946 წლის 15 მარტიდან — მინისტრთა საბჭო)

სახალხო კომისართა საბჭოს (მინისტრთა საბჭოს) თავმჯდომარეები:
**1. ვიაჩესლავ მოლოტოვი (სკრიაბინი) — 1930 წლის 19 დეკემბერი — 1941 წლის 6 მაისი.**
**2. იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) — 1941 წლის 6 მაისი — 1953 წლის 5 მარტი.**

## III. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია (1938-1953 წწ.)

**ა) კომუნისტური პარტიის სახელწოდებები**
1. 1925 წლის დეკემბრიდან — საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) — სკპ(ბ).
2. 1952 წლის ოქტომბრიდან — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — სკკპ.
**ბ) სკპ(ბ) — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი**
1922 წლის 3 აპრილიდან 1953 წლის 5 მარტამდე იყო იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი).

## IV. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოები (1938-1953 წწ.)

### 1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (1938-1941 წწ.)

(შეიქმნა 1934 წლის 19 ივლისს გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ბაზაზე. 1941 წლის 3 თებერვალს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გაიყო ორ დამოუკიდებელ უწყებად — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატად).

**სახალხო კომისარი:**
ლავრენტი ბერია -- 1938 წლის 25 ნოემბერი — 1941 წლის 3 თებერვალი.

**2. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (1941 წლის თებერვალ-ივლისი)**

(შეიქმნა 1941 წლის 3 თებერვალს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის გამოყოფის შემდეგ. დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, 1941 წლის 20 ივლისს, ორივე სახალხო კომისარიატი გაერთიანდა).

**სახალხო კომისარი:**
**ლავრენტი ბერია — 1941 წლის თებერვალი — 20 ივლისი.**

**3. სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი (1941 წლის თებერვალი-ივლისი)**

(შეიქმნა 1941 წლის 3 თებერვალს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორ დამოუკიდებელ უწყებად გაყოფის შემდეგ. 1941 წლის 20 ივლისს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი კვლავ ერთ კომისარიატად გაერთიანდა).

**სახალხო კომისარი:**
**ვსევოლოდ მერკულოვი — 1941 წლის 3 თებერვალი-20 ივლისი.**

**4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (1941 წლის ივლისი — 1943 წლის აპრილი)**

(შეიქმნა 1941 წლის 20 ივლისს ძველი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ერთ კომისარიატად გაერთიანების შედეგად. 1943 წლის 14 აპრილს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ისევ გაიყო ორ დამოუკიდებელ უწყებად — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატად).

**სახალხო კომისარი:**
**ლავრენტი ბერია — 1941 წლის 20 ივლისი — 1943 წლის 14 აპრილი.**

**5. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (სამინისტრო)**
(1943 წლის აპრილი — 1953 წლის მარტი)

(შეიქმნა 1943 წლის 14 აპრილს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის გამოყოფის შემდეგ. 1946 წლიდან ეწოდება სამინისტრო. 1953 წლის 5 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო გაერთიანდა და შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტრო).

**სახალხო კომისრები (მინისტრები):**
1. ლავრენტი ბერია — 1943 წლის 14 აპრილი — 1945 წლის 29 დეკემბერი.
2. სერგეი კრუგლოვი — 1945 წლის 29 დეკემბერი — 1953 წლის 11 მარტი.

**6. სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი (სამინისტრო)**
(1943 წლის აპრილი — 1953 წლის მარტი)

(შეიქმნა 1943 წლის 14 აპრილს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორ დამოუკიდებელ უწყებად გაყოფის შემდეგ. 1946 წლიდან ეწოდება სამინისტრო).

**სახალხო კომისრები (მინისტრები):**
1. ვსევოლოდ მერკულოვი — 1943 წლის 14 აპრილი — 1946 წლის 4 მაისი.
2. ვიქტორ აბაკუმოვი — 1946 წლის 4 მაისი — 1951 წლის 11 ივლისი.
3. სერგეი ოგოლცოვი (მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი) -- 1951 წლის 11 ივლისი — 9 აგვისტო.
4. სერგეი იგნატიევი — 1951 წლის 9 აგვისტო — 1953 წლის 5 მარტი.

# ძირითადი წყაროები და ლიტერატურა

## პირველი თავისთვის


### ა) წყაროები

1. В поисках пути: Русская интеллигенция и судьбы России. М., 1992.
2. Год кризиса. 1938-1939: Документы и материалы. В двух томах. М., 1990.
3. Из истории христианской церкви на родине и за рубежом в XX столетии. М., 1995.
4. Неизвестная Карелия: Документы спецорганов о жизни республики. 1921-1940. Петрозаводск. 1997.
5. Неизвестная Россия. Том 1-4. М., 1992-1994.
6. Оглашению подлежит. СССР – Германия. 1939-1941. Документы и материалы. М., 1991.
7. Секреты Гитлера на столе у Сталина: разведка и контрразведка о подготовке германской агрессии против СССР. М., 1995.
8. СССР-Германия. 1939. Вильнюс. 1989.
9. Хрестоматия по истории России. 1914-1945. М., 1996.

### ბ) ლიტერატურა

1. Бурмистрова Т.Ю. Зерна и плевелы: национальная политика в СССР. 1917-1984. СПб, 1993.
2. Другая война. 1939-1945. М., 1996.
3. Иванова Г.М. Гулаг в системе тоталитарного государства. М., 1997.
4. История национально-государственного строительства в СССР. 1917-1978. Том 1. М., 1979.
5. Кокошкин А.А. Армия и политика. Советская военная политика и военно-стратегическая мысль. 1918-1991. М., 1995.
6. Мельтюхов М.И. Упущенный шанс Сталина. Советский Союз и борьба за Европу. 1939-1941 (Документы, факты, суждения). М., 2000.
7. Одинцов М.И. Государство и церковь в России. XX век. М., 1994.
8. Семиряга М.И. Тайны сталинской дипломатии. 1931-1941. М., 1992.
9. Симонов Н.С. История военно-промышленного комплекса СССР. 20-50-е годы. М., 1996.
10. Советская внешняя политика в ретроспективе. 1917-1991. М., 1993.
11. Фляйшхауэр И. Пакт: Гитлер, Сталин и инициатива германской дипломатии. 1938-1939. М.. 1991.


## მეორე თავისთვის


### ა) წყაროები

1. Блокада рассекреченная. СПб, 1995.
2. Гриф секретности снят: потери вооруженных сил СССР в войнах, боевых действиях и военных конфликтах. М., 1993.
3. Документы внешней политики. 1939. Т.XXII. Кн.1-2. М., 1992.
4. Документы внешней политики. 1940 – 22 июня 1941 г. Т.XXIII. Кн.1-2. М., 1995.
5. Жуков Г.К. Воспоминания и размышления. В трех томах. М., 1991.
6. Кожурин В.С. Народ и власть. 1941-1945: Новые документы. М., 1995.
7. «Литературный фронт»: История политической цензуры. 1932-1946 гг.: Сборник документов. М., 1994.
8. Москва военная. 1941-1945: Мемуары и архивные документы. М., 1995.
9. Откровения и признания. Нацистская верхушка о войне «Третьего рейха» против СССР: Секретные речи. Дневники. Воспоминания. М., 1996.
10. Переписка Председателя Совета Министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны. Т.1–2. М., 1989.
11. Полпреды сообщают: Сборник документов об отношениях СССР с Латвией, Литвой и Эстонией. Август 1939 – август 1940. М., 1990.
12. Реабилитация: Политические процессы 30-50-х гг. М., 1991.

13. Риббентроп И. Между Лондоном и Москвой: Воспоминания и последние записи. М., 1996.
14. Рокоссовский К.К. Солдатский долг. М., 1997.
15. Секретная переписка Рузвельта и Черчилля в период войны. М., 1995.
16. Совершенно секретно! Только для командования. Стратегия фашистской Германии в войне против СССР: Документы и материалы. М., 1967.
17. Сталин И.В. О Великой Отечественной войне Советского Союза. М., 1950.

ბ) ლიტერატურა

1. Великая Отечественная война 1941-1945 гг. Военно-исторические очерки. М., 1995.
2. Верт А. Россия в войне. 1941-1945. М., 1967.
3. Всероссийская книга памяти. 1941-1945 гг. Обзорный том. М., 1995.
4. Вторая мировая война: Актуальные проблемы. М., 1995.
5. Вторая мировая война: Два взгляда. М., 1995.
6. Вторая мировая война: Дискуссии. Основные тенденции. Результаты исследований. М., 1996.
7. Гареев М.А. Неоднозначные страницы войны: Очерки о проблемных вопросах Великой Отечественной войны. М., 1995.
8. Горьков Ю.А. Кремль. Ставка. Генштаб. Тверь. 1995.

9. Кто был кто в Великой Отечественной войне 1941-1945 гг. Краткий справочник. М., 1995.
10. Кулаков Е.Н., Мягков М.Ю., Ржешевский О.А. Война 1941-1945 гг. Факты и документы. М., 2001.
11. Лиддел-Гарт Б. Вторая мировая война. М., 1976.
12. Союзники в войне. 1941-1945. М., 1995.
13. Спар У. Жуков: Взлет и падение великого полководца. М., 1995.
14. Сталинград. Событие. Воздействие. Символ. М., 1995.
15. Толстой Н.Д. Жертвы Ялты. М., 1996.
16. Хастингс М. Операция «Оверлард»: Как был открыт второй фронт. М., 1989.

## მესამე თავისთვის

ა) წყაროები

1. Депортация народов СССР (1930-1950-е гг.). Материалы. М., 1992.
2. Корниенко Г.М. Холодная война: свидетельства ее участника. М., 1994.
3. Раппопорт Я. На рубеже двух эпох. Дело врачей 1953 года. М., 1989.
4. Реабилитация. Политические процессы 30-50-х годов. М., 1991.
5. Российская деревня после войны (июнь 1945-март 1953 гг.). Сборник документов. М., 1991.
6. Совещания Коминформа. 1947, 1948, 1949. Документы и материалы. М., 1998.
7. Хрестоматия по истории России. 1946-1995. М., 1996.

ბ) ლიტერატურა

1. Адибеков Г.М. Коминформ и послевоенная Европа. 1947-1956. М., 1994.
2. Бабиченко Д.Л. Писатели и цензоры: Советская литература 1940-х гг. под политическим контролем ЦК. М., 1994.
3. Данилов А. А., Пыжков А. В. Рождение сверхдержавы. СССР в первые послевоенные годы. М., 2001.
4. Зубкова Е.Ю. Общество и реформы. 1945-1964. М., 1993.
5. Пихоя Р.Г. Советский Союз: история власти. 1945-1991. М., 2001.
6. Поляк Г.Б. Послевоенное восстановление народного хозяйства. М., 1986.
7. СССР и холодная война. М., 1995.
8. Цыпин В.А. История русской церкви. 1917-1997. М., 1997.
9. Шкаровский М.В. Русская православная церковь и Советское государство. 1943-1964. СПб, 1995.

# შინაარსი


თავი I. საბჭოთა სახელმწიფო 1938-1941 წლებში ... 5

§ 1. საერთაშორისო ურთიერთობები 1938-1941 წლებში ... 5

§ 2. საბჭოთა კავშირი ომის წინ (1938-1941 წწ.) ... 24

თავი II. საბჭოთა სახელმწიფო დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941-1945 წწ.) ... 30

§ 1. ომის საწყისი პერიოდი (1941 წლის ივნისი — 1942 წლის ნოემბერი) ... 30

§ 2. ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში
(1942 წლის ნოემბერი — 1943 წლის დეკემბერი) ... 57

§ 3. ომის დამამთავრებელი ეტაპი (1944 წელი — 1945 წლის სექტემბერი) ... 69

თავი III. საბჭოთა სახელმწიფო ომისშემდგომ წლებში (1946 წელი — 1953 წლის მარტი) .. 86

§ 1. ეკონომიკური განვითარება ... 86

§2. სულიერი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ... 92

§ 3. საერთაშორისო ვითარება და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ... 97

დანართი ... 105

ძირითადი წყაროები და ლიტერატურა ... 107

შინაარსი ... 109